

644  
1957/4



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

644/4

Օրմազն

8

5

1957



## შ ი ნ ა ა რ ს ი

ილია ჭავჭავაძე — პოეტი (ლექსი)	3
ბ. ნატროშვილი — განახლების მებაი- რახტრე	4
ა. მირცხულავა — ილიას აჩრდილს (ლექ- სი)	16
ლ. გოთუა — წიწამურის მიწა (მოთხ- რობა)	17
თ. ჯანგულაშვილი — ილიას ხილვა და- რიალში (ლექსი)	34
ბ. შატბერაშვილი — საუკუნო საგზალი (მოთხრობა)	37
თ. ზილაძე — სიზმარი (ლექსი)	48
ბ. ნახუციანი — შეუპოვარი ხმა (ნა- წყვეტი პიესიდან)	49

### მემუარები

შ. დადიანი — რაც გამახსენდა	59
დ. კახიანი — ილია ჭავჭავაძე ჩემს ხსო- ვნაში	63

### მწერლის არქივიდან

ბ. ლეონიძე — ნაუბარები, ჩანაწერები ჩემი არქივიდან	69
მ. ჯავახიშვილი — რამდენიმე შეხვე- დრა	80
ლ. ასათიანი — დილა „ციცქარში“ (ნა- წყვეტი პიესიდან)	84
ა. ჯაჯანაშვილი — შეიარაღებული მშვიდობიანობა	90

### კუბლიკაცია

შ. გოგალიშვილი — ილია ჭავჭავაძის პირადი წერილები	92
---	----



ბ. ბერძენიშვილი — ილიას ოქროს სა- ათი	
--	--

8097


5857

# 5

## 1957

ოქტომბერი

სახელგამი





## პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ს. ჩიკოვანი — ი. ჭავჭავაძის ლირიკული ლექსები	103
ს. ცაიშვილი — ერთი მოგზაურობის ის- ტორიიდან	110
ნ. კანდელაკი — ი. ჭავჭავაძე, როგორც მკვლევარ-მეცნიერი	115
ნ. ზაფხაძე — ხალხი და პოეტი	121
ზ. ზუგდიძე — ილია და აკაკი	124
შ. ძიძიგური — ილია ჭავჭავაძე და ქარ- თული სალიტერატურო ენა	127
ბ. გვერდუაძე — პოემა სიცოცხლის გამარჯვებისა	131
ა. კოჭლავაძე — ილია ჭავჭავაძე და მრეწველობის საკითხები	137
ც. თოფჩიანი — „განდევნილი“ ინგლი- სურ ენაზე	142
ა. ბურთინაძე — ჩვენი თეატრის მო- ქირნახულე	146



ბ. გომეზკორი — სახლი საგურამოში	148
---------------------------------	-----

## ხელოვნება

ა. ბაქრაძე — კეთილი იყოს თქვენი მო- ბრძანება	153
---	-----

## მოგზაურის დღიური

ა. შიშინი — მთაწმინდიდან მყინვარ- წვერამდე	155
---	-----

## სატირა და იუმორი

ნ. აბიაშვილი — ვიცინოთ თუ ვიტროთ?	165
-----------------------------------	-----

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე


სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატერაშვილი,  
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ტიპრედაქტორი რ. ჩიჩინაძე.

ნომერი გააფორმა ჯ. ლოლუაშვილი.



## ჰომეტი

მისთვის არ ვმდურ, რომ ვამდერო,  
ვით ფრინველმა კარგვანმა;  
არა მარტო ტკბალ სმებისთვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცაში.

მე ტა მნიშნავს და ერა მზრდის  
მიწიერა ზუციერსა;  
დმერთთან მისთვის ვლანარაკობ,  
რომ წარუდღვე წინა ერსა.

დიდის დმერთის სკურთსეველის  
მისთვის დევის ტეტსლი გულში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ტმუნსასა და სიხარულში;

ერის წულული მანნდეს წულულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სულა,  
მის ბუდით და უბედობით  
დამედაგოს მტეცე გულა...

მაშინ ციდამ ნანერწკალი  
თუ აღმიფეთქს გულში ტეტსლსა,  
მაშინ ვამდურ, მსოფოდ მაშინ  
მოგსწმენდ ერსც ტანჯვის ტრემლსა!

15-10   




## გიორგი ნაზროშვილი

### ბანახლების მუზიკანტი

„ველარ განუღებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრავალის ქროლას“.

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე ეკუთვნოდა იმ დიდ ადამიანთა, ერის იმ სულიერ წინამძღოლთა რიცხვს, რომელთა სახელებს საქართველოში მუდამ განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობით წარმოთქვამენ. ვის არ განუცდია რაღაც განუყოფელი აღფრთოვანება, როცა ბავშვობის წლებში პირველად წაუკითხავს მისი „მესმის, მესმის“, ან „ტყემ მოისხა ფოთოლი“. ის უცნაური სანეტარო განცდა ადამიანს მისდევს მთელი სიცოცხლის მანძილზე, ყოველი ახალი გადაკითხვა ამ ლექსებისა, ყოველი ახალი შეხვედრა ილიას წიგნებთან, ყოველი ახალი გაგონება მისი პოეტური ხმისა, ამ ლექსებს რომ შეუნახავთ, — ხელახლა განაცდევინებთ ადრინდელ სიხარულს, თითქოს ამ ლექსებს პირველად კითხულობდეთ.

თავის სტატიებში ილია, როცა ამა თუ იმ პოეტზე ლაპარაკობდა, კარგ ლექსებს ხშირად ხან ყვავილებს ადარებდა („ეგ სონეტები — ეგ უკეთესნი ყვავილნი პოეზიისანი“ — წერდა იგი მიცკევიჩის „ყირიმულ სონეტებზე“), ხანაც პატიოსან თვლებს, მარგალიტებს. პოეტი ღრმად უნდა ჩასწვდეს ცხოვრებას, „ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში“, „იქ იზოვის ბევრ მარგალიტებსა და უფრო ბევრ ლექს და ლაფსა“, აღნიშნავს ილია თავის წერილში „საქართველოს მოამბეზე“ და შემდეგ დაასკვნის: „ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭუკი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“.

ძალზე საგულისხმო და საინტერესოა ლექსების ეს შედარება მარგალიტებთან. ანტიკურ ეპოქაში და შუა საუკუნეებში სწამდათ, რომ პატიოსან თვლებს თილისმის ძალა აქვთ: ზურმუხტს მიაწერდნენ ძალას, თითქოს მას შეეძლო გაეფანტა სევდა და დამწუხრებელი ადამიანის გული გაემხიარულებინა, საფირონი გონებას ანათებსო და აზრს სიცხადეს აძლევსო, მთვარის ქვა — მომავლის განჭვრეტის უნარს იძლევა და ადამიანს სიბრძნესა მატებსო, ფირუზი — სიყვარულის ქვა და მას ბედნიერება მოაქვს მიჯნურთათვისო, ეს იქამდე სჯეოდათ, ბავშვებთან ამ ქვას ხელზე არ იკეთებდნენ — ტრფობის სახშილი არ წაეკიდოთო, მუქი წითელი ლალი ცუდ სიზმრებსა ჭვანტავს და მისი ცქერა ათრობს ადამიანს ისე, სულაც ღვინოს რომ არ მიეკაროსო. არაბები ფიქრობდნენ, რომ ალმასი მხედარს ბრძოლის ველზე გამარჯვებას ანიჭებსო.



ცხადია, ყველაფერი ეს ცრურწმენანი იყო, მაგრამ როცა ილიამ ლირიკულად პოეზიის უკეთესი შედეგები პატიოსან ქვებს შეადარა — ამით მართლაც ჭეშმარიტება გამოსთქვა: არა ზურმუხტს, არამედ ლექსს შეუძლია გაჭვანტოს ადამიანის ნაღველი და მისი სული სიხარულის შუქით გაანათოს, არა საფირონი, არამედ ჭეშმარიტი პოეზია აძლევს ადამიანს აზრის სიცხადეს და ხშირად მომავლის განჭვრეტის უნარს, არა ფირუხს, არამედ ლექსს მოაქვს ხშირად ბედნიერება მიჯნურთათვის, არა ძვირფას ქვას, არამედ ხშირად ლექსს გაუმხნეებია მეომარი და გამარჯვება მიუნიჭებია ბრძოლის ველზე; როცა შანდორ პეტეფიმ თავისი ლექსი „საბრძოლო სიმღერა“ დასწერა, მაშინვე იგი უნგრეთის პარლამენტს გაუგზავნა და თან ასეთი წერილი გააყოლა:

„დეპუტატებო და მოქალაქენო!

თუ რა ძალა აქვს პატარა ლექსს, ამას მოწმობს წერილი ერთი ფრანგი გენერლისა, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში კონვენტს წერილი მისწერა — მტერმა გააფთრებით შემოგვიტია და ან ჯარები მომაშველეთ, ან „მარსელიოზას“ ტექსტი და ნოტები გამომიგზავნეთ.

თუ თქვენ დაინახავთ, რომ ამ ლექსს შეუძლია ადაფრთოვანოს ჩვენი მეომრები, დაბეჭდეთ იგი იმ რაოდენობით, რომ ეყოს მთელს ჩვენს ჯარებს“.

აი ყოველივე ეს, პოეზიის ეს შთამაგონებელი ძალა ჰქონდა მხედველობაში ილიას, როცა ლექსებს ძვირფას თვლებს ადარებდა. და ეს პირველ რიგში თვითონ ილიას ლირიკულ ლექსებზე ითქმის. გაიხსენეთ მისი „ტყემ მოისხა ფოთოლი“. ილიამ ის პეტერბურგში დასწერა, იანვრის თვეში, როცა ნევა ყინულში იყო ჩაქვილილი და მთელი ჰაერიც გათოშილ-გათანგული იყო სიცივისაგან. და ასეთ ვითარებაში, როგორც სიზმარში, ელანდება მას საქართველოს გაზაფხული, თითქოს ხედავს შორიდან როგორ იფოთლებიან ტყეები ალაზნის ველზე და არაგვის სანაპიროზე, როგორ ტირის ვაზი იმით დაღხინებული, რომ ზამთრის ძილის შემდეგ ხელახლა სიცოცხლეს იწყებს. და პოეტიც ნატრობს იმ ტყესავით შეიფოთლოს გამარცხული სამშობლოც, იმ ვენახვით აყვავდეს.

სულის როგორი იღუმალი თრთოლვაა აქ გადმოცემული, რა ზარზეიმური და ამაღლებულია აქ ყოველი სიტყვა! უცნაური ძალა აქვთ მათ და ამიტომ ისინი, როგორც განუყრელი თანამგზავრები, ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე მისდევს. ასევე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ ილიას სატრფიალო ლექსები — „მეც შავ თვალებს“, „ვიზილე სატრფო“, „რისთვის მიყვარხარ“, „ხმა გულისა“, „გახსოვს, ტურფავ“ — ეს ლექსები გვიხატავენ ადამიანის სულს იმ წუთებში, როცა ის ყველაზე უფრო ლამაზი და ნათელია. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ლექსს:

მაშინ დაეტკებები სრული სამოთხით,  
როს, ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე,  
და ქალწულების კრთომით, მორცხვობით,  
მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე.

მე დაგყურებდე ტრფილებითა,  
შენ ჩემ გულზედა თავი გეცვენოს,  
მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა  
მე შენთვის კოცნა ვერ გამებედნოს.

ვიშ, მაგ შენს ნარნარ გულისცემასა,  
ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდე,  
და ცოდვილ ფიქრთა ზედმოხვევასა  
შენი სიწმინდით ვიგერიებდე.



როგორი წმინდა, ნაზი და კდემამოსილი, იმავე დროს როგორი ვნებანიანი პოეტის სიყვარული; ყოველგვარი შედარებების გარეშე ეს ლექსები მართლაც პათოსანი თვლებია ქართული პოეზიისა.

პოეტი თავის ლექსებში ხშირად იძლევა მომავლის პერსპექტივასაც; გაიხსენეთ მისი „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ბაზალეთის ტბა“ და მრავალი სხვა ლექსი, რომლებშიც ჩანს იდეების სიღრმე, მეტყველების სიმძაფრე და ენერგიულობა, გრძნობათა სიჭარბე, ისტორიული მასშტაბი და პერსპექტივა.

ახლა ვნახოთ ბრძოლის რა მგზნებარე პათოსით იყო აღსავსე ილია ჭავჭავაძის არა მარტო ლირიკა, არამედ მთელი შემოქმედება.

\* \*

კლასიკური ლიტერატურის ყველაზე უკეთესობილესი ტრადიცია სწორედ ის იყო, რომ პოეტს ეკისრებოდა მოწინავე მებრძოლის, ხალხის წინამძღოლის, ტრიბუნის როლის შესრულება. მეცხრამეტე საუკუნემ პოეტის ეს როლი უფრო გაზარდა, უფრო დიდ სიმაღლეზე აიყვანა. ლერმონტოვი ვალდებულად სთვლიდა პოეტს, რათა მისი ხმა ვეჩეს ზარის გუგუნევით მოსდებოდა უზარმაზარ ქვეყანას, გაეღვიძებინა ხალხი, წამოეშალა, დაერაზმა და წინ წაეყვანა საიერიშოდ და საბრძოლველად. პუშკინი წერდა:

ვიდრემდე გულს სწავეს თავისუფლების,  
პათოსების ცეცხლი მგზნებარი,  
მძებო, მიუძღვნათ მამულს უკლებლივ  
სულის სპეტაკი მისწრაფებანი.

ამ შესანიშნავი ტრადიციის სრულყოფილი განსახიერება იყო ილია ჭავჭავაძის პოეზია. 1860 წელს ოცდასამი წლის ჭაბუკმა კარგად იცოდა, რომ პოეტმა არ შეიძლება იმღეროს „ვით ფრინველმა გარეგანმა“, რომ ის ქვეყნად მოსულია „არა მარტო ტკბილ ხმათათვის“, რომ ის მოვალეა „წარუძღვეს წინა ერსა“, „ერისა მოძმედ იყოს ჰუმუნასა და სიხარულში“, ერის წყალული თავის წყლულად აჩნდეს, მისი ტანჯვით სული ეწვოდეს, მისი უბედობით მტკიცე გული ედაგებოდეს.

და რა იყო მთელი ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა, თუ არა გაუთავებელი ბრძოლა, უკომპრომისო და შეურიგებელი ჭიდილი აგბედით სინამდვილესთან — მართლაც მოწოდების ზარივით გუგუნებდა საქართველოში მისი ხმა და აფხიზლებდა გონებას, სწავდა ადამიანის გულს საქვეყნო დარდითა და ტკივილით. მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეებს, სახელოვან თერგ-დალუღებს პოეტად არც მიაჩნდათ ის, ვინც ამავე დროს მებრძოლი არ იყო. ე. წ. „წმინდა პოეზია“, ისეთი პოეზია, რომელიც გამოთიშული იქნებოდა ცხოვრებისაგან, რომელიც საზოგადოებრივი ღზრის საკეთილო მოძრაობას გზას არ აძლევდა, — სამოციანი წლების დიდი მოღვაწეების სასტიკი გაეცხვის საგანი იყო. მომავლდინებელი განაჩენი გამოუტანა ილია ჭავჭავაძემ უდიდო პოეტებს, როცა ეს სტრიქონები დასწერა:

„მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა. დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა; მეშვიდე ცას შეაჩეროს თავისი გაბეცებული თვალეები და ბულბულსავით უაზრო სტევნა დაიწყოს და აღარ გაათავოს, ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითსა პურსა ცხოვრებაში გა-



მომცხვარსა და მშიერთათვის მოსახმარესა და გამოსადეგსა. მეცნიერებებმცხვარსა გვეშველოს თავისი გამოცნობილი ქეშმარიტებით ცხოვრების ახსნა და გვეხმარება; მან უნდა მოგვეცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზე... ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გადმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავი კალმით ცხოვლად იყოს წამომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცულედ და სიკეთედ ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესას, ეგება ცრემლი მომივიდესო. დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის“.

ასე მკაცრად ჰგმობს ილია ჭავჭავაძე უიდეო, აბოლიტიკურ პოეზიას, ე. წ. „წმინდა“ ხელოვნებას და სამაგიეროდ დიდების ჰიმნს უძღვნის იმ პოეტებს, რომლებიც პირველნი გადაეშვებიან ხოლმე ცხოვრების მღუღარეში, აღვიძებენ ადამიანის აზრს, მხარდამხარ მისდევენ ცხოვრებას და მომავალსაც განსჭვრეტენ, შესწევთ ძალა, რომ ამ მომავალს აწყობივიე დაუღონ მაგარი ფუქე.

ილიას მთელი შემოქმედების შესწავლისათვის, მისი შინაგანი ბუნებისა და პოეტური ტემპერამენტის ამოცნობისათვის განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება მის „მგზავრის წერილებს“, მის ამ მართლაც საპროგრამო ნაწარმოებს, სადაც ილიამ მეზრძოლი ადამიანის, მეზრძოლი პოეტის სიმბოლოდ თერგი აიღო.

„მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, — წერდა ილია, — გამალებული ბრძოლა, დრტენვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის ვალვიძებული ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“.

და რომ ეს სიმბოლო, ეს პარალელი უფრო გასაგები გახადოს, ილია აქვე დასკვნის — თერგი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონს მაგონებსო. როგორც ვხედავთ, ესაა იდეალი ილიასათვის, რომელსაც არ შეუძლია ქვეყნის მარტო განჭვრეტთ დაქმყოფილდეს. გული მას მუღამ ბრძოლისაკენ მიუწევს, და როგორც ბაირონმა სიცოცხლე გასწირა საბერძნეთის თავისუფლებისათვის, ჭაბუკი ილია ოცნებობს ვოლონტერად წავიდეს გარიბალდის რაზმში და მიეშველოს უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმულ იტალიელებს.

ილია არ წასულა გარიბალდისთან; მისი პიემონტიც და პარმიც თბილისში იყო, საქართველოში იყო. აქ უფრო დიდი, უფრო ცხარე ბრძოლის ველი ელოდა მას და აქ ის რიგითი ვოლონტერი კი არა, თვითონ იყო მეზაირახტრე, თვითონ იყო გარიბალდი, რომელსაც უნდა გამოეღვიძებინა თავისი ხალხი, აღეზარდა ის, საბრძოლველად დაერაზმა.

„მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე სახავს საქართველოს ნაციონალური და სოციალური განთავისუფლების პერსპექტივას და ამ პრობლემათა გადაჭრის გზას ის სწორედ რევოლუციაში ხედავს.

„სიტყვამ რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! — წერს ილია ხსენებულ ნაწარმოებში. — რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. დვინო ჯერ უნდა აღუღდეს, აირ-დაირიოს და მერე დაწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე“.

რა ბრძნული სიტყვებია, რა გენიალური განსაზღვრაა იმისა, თუ რას წარმოადგენს რევოლუცია. იქნებ ვინმეს ეგონოს, რომ ეს ილიასათვის მხოლოდ ჭაბუკური გატაცება იყო. არა, ეს იყო მთელი მისი ცხოვრების ყველაზე მაღალი მიზანი. მუღამ ამ აზრს დასტრიალებდა პოეტის ფიქრი, ეს იყო მისი ყველაზე სანატრელი ოცნება არა მარტო სიჭაბუკის წლებში, არამედ მთელს სიცოცხლეში; შემდგომში, როცა საცენზურო მუხრუჭებმა უფრო მაგრად შეზო-



ქვე ქართული პრესა, ილიას აღარ შეუძლია ასე პირდაპირ ახსენოს ესა თუ ის პირი. ნუკვარი სიტყვა — რევოლუცია, ამიტომ მუდამ მის ქართულ შესატყვისებს დაეძებს, იცის, რომ გულისხმიერი მკითხველი ადვილად მიუხვდება; ამიტომ ის ახლა გარდატეხაზე, გადატრიალებაზე, ქვეყნის შეცვლაზე, ბორკილთა მსხვერველზე ლაპარაკობს.

და აი „მგზავრის წერილების“ დაწერიდან ზუსტად ოცი წლის შემდეგ ილია კვლავ ერთგული რჩება თავისი პირვანდელი გატაცებისა. იგი აღნიშნავს, რომ რევოლუცია (ანუ როგორც ახლა უწოდებს, ქვეყნის ცვლილება), მარტო ჩაგრულთათვის, უბედურთათვის არის მომტანი სიხარულისა. ილია წერს:

„ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგაჩნობდეთ, ცვლილება შეგვაწუხებდა, დავვალდებულდებოდა, ვაი თუ, რაცა გვაქვს, ისიც დავკარგოთო, ვიტყვით, მაგრამ... ოჰ, რა კარგი რამ არის შექსპირი. გულთამხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის. იმისი ერთი ლექსი მომაგონდა და, თუმცა ამ საგანს, რაზედაც ვლაპარაკობთ, არ უხდება, მაგრამ თითონ ლექსი ისეთი კარგია, რომ ვერ მომიტოვებია აქ არ ამოვწერო:

ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,  
ბედურული კი მას სიხარულით მიეგვიან.  
მაშ შენ, ზე, სვეო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი“.

ილია იძულებული იყო ასე გადაკრული სიტყვებით ეწერა, მაგრამ მკითხველი მაინც ყველაფერს ხვდებოდა. მან იცოდა, საით უმიზნებდა კალამი მწერლისა, იცოდა და თვითონაც ცდილობდა შესწოდა ქვეყნის განახლების საქმეს.

მეტწილად საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშივე, იმ დღეებიდანვე, როცა ილია ჭავჭავაძე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე — იგი სათავეში ჩაუდგა ყველა ცოცხალ ძალას, ყოველივე ახალს, აღმოცენებადს. ის ამიერიდან თავისი ქვეყნის მესაჭე ხდება, რათა თავის ხალხს ისტორიული მსვლელობის გზაზე წამოუძღვოს, ყველა წყალქვეშა ლოდს ააცილოს. ისტორიამ მას მეტად მძიმე ტვირთი წამოჰკიდა. ის არ იყო მარტო პოეტად, მარტო ბელეტრისტიად დაბადებული, ცხოვრების ყოველი უბანი საჭიროებდა და მიელოდა მზრუნველ პატრონს, გულშემამტკივარს და ისიც ათასად უნდა გაჭირდებოდა, რომ ყველა უბანს დასწვდენოდა, თვალი ყველგან მიედევნებინა, ქვეყნის ყველა წყალსათვის მალამო და ყველა ჭირისათვის წამალი ეძებნა, ტანჯვის ცრემლი ჩამოეწმინდა და ჩააგრული მოამისათვის, შებრძოლებოდა ქვეყნის მტერს ყველა ფრონტზე — ესთეტიკაშიც და არქეოლოგიაშიც, ისტორიაშიც და ეკონომიურ მეცნიერებაშიც. თვითონ დრო, ისტორიული ეპოქა, რომელიც განაპირობებს ადამიანის მთელ მოქმედებას, რა გინდ ბუმბერაზიც არ უნდა იყოს ის, მოითხოვდა ილიასაგან ყოფილიყო პოეტიცა და ფილოსოფოსიც, ისტორიკოსიც და ეკონომისტიც, ფინანსისტიც და ჟურნალისტიც... მას უნდა ეწერა ესთეტიკის უღრმეს პრობლემებზე, ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის საკითხებზე, და იმავე დროს ქართველ მევენახეთა გასაჭირზე, საქართველოს ისტორიაზე და იმავე დროს ომისის სამეურნეო სკოლაზე, ქართულ რომანტიზმზე და იმავე დროს საგლეხო გამსესხებელ-შემნახველ საზოგადოებაზე და მოკლევადიან კრედიტზე. და ყველგან ის ღრმად კომპეტენტური იყო, ყველგან მისი სიტყვა ბრძნული იყო და რჩევა ხელსატაკი.

ჩვენ განზრახ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ცალკე საკითხები, რომელნიც თითქოს დაშორიშორებულნი არიან ერთი-მეორისაგან. მაგრამ აქ იმ საკითხთა შესახებ არ არის აღნიშნული, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე ეხებოდა. აბა დაასა-



ხელეთ ერთი უბანი ცხოვრებისა, სადაც არ სწევდებოდა მისი გამჭირავებულობა; უადრესად ფართო იყო წრე საკითხებისა, რომელიც მას აღევლინებოდა, აფიქრებდნენ, რომელიც მის საზრუნავად გადაქცეულიყვნენ. არ იყო არცერთი ტკივილი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, რომელიც ამ შესანიშნავ ადამიანს თავისად არ მიეღო, რომელიც მას საკუთარ ტკივილად არ მიეჩნია და მის დაუყრებლად არ ეზრუნა. მთავარი ის არის, რომ ყოველი ნაბიჯი მწერლისა, ყოველი მისი წერილი ზუსტად გაიზნულია, აქ ყოველი სტრიქონი ერთი სუნთქვით არის გამთბარი, ერთ დიდ მიზანს ემსახურება — ეს მიზანია ასწავლოს ხალხს, წინ სავალი გზა გაუნათოს, გრძნობთ, რომ ყოველივე ამას წერს ადამიანი, რომელიც ცხოვრების უმაღლეს მიზნად ხალხის უფლებებისათვის ბრძოლა და მისი ტანჯვის შემსუბუქება დაუსახავს.

მართლაც განსაცვიფრებელია ეს უნივერსალიზმი, ეს მრავალმხრივი განსწავლულობა, ეს აზრის სიძლიერე და პრაქტიკული გამჭირავებობა. როცა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების რთულ და საინტერესო გზას ვითვალისწინებთ, ჩვენ გვაგონდება ის სიტყვები, რომლითაც ფრ. ენგელსმა თავის „ბუნების დიალექტიკაში“ აღორძინების ეპოქის მოღვაწენი დაახასიათა. „იმ დროს, — წერს ენგელსი, — არ ცხოვრობდა თითქმის არცერთი ღირსშესანიშნავი ადამიანი, ... რომელიც რამდენსამე სპეციალობაში ბრწყინვალედ არ გამოჩენილიყოს. ლეონარდო და ვინჩი მარტო დიდი მხატვარი კი არ ყოფილა, არამედ იყო აგრეთვე დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერი... ალბრეხტ დიურერი იყო მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, ... ლუთერმა არა მარტო ეკლესიის ავგიოსის თავლები გასწმინდა, არამედ გერმანული ენისაც, მან შექმნა თანამედროვე გერმანული პროზა და შეთხზა გამარჯვების რწმენით აღსავსე იმ ქორალის ტექსტი და მელოდია, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის მარსელიეზა გახდა. იმდროინდელი გმირები ჯერ კიდევ არ ჰყავდა დამონებული შრომის განაწილებას, რომლის შემზღუდავ, გამაქალმხრივებელ ზეგავლენას ჩვენ ასე ხშირად ვნახულობთ მათს შთამომავლობაზე. მაგრამ რაც მათთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია, ეს ის არის, რომ ისინი თითქმის ყველანი მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში იმყოფებიან, პრაქტიკულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, ამა თუ იმ პარტიის მხარეზე დგანან და იბრძვიან... აქედან მოდის ხასიათის ის სავსება და ძალა, რომელიც მათ მთლიან ადამიანებად ხდიდა“.

სწორედ ასეთი მთლიანი ადამიანები იყვნენ თერგდალეულებიც და მათი მეთაური ილია ჭავჭავაძეც. სწორედ ეს ხასიათის სავსება და ძალა იყო მათი მთავარი თვისება, სწორედ ისინიც მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში იმყოფებოდნენ, პრაქტიკულ ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი, სწორედ ისინიც ბრწყინვალედ გამოჩნდნენ რამდენსამე დარგში, რამდენსამე სფეროში. და თუ პარალელს უდრო ფართოდ გვაავლებთ — მათვე დაამკვიდრეს ახალი ქართული ენა და შექმნეს ახალი ქართული პოეზია და პროზა.

\* \*

„უხედავ ჩემს თავს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებს შორის, ვხედავ როგორ დაგვხარბიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარბო ბავშვური სიხარულით დედას, მამას. მესმის მტრედით უგუნური ტიტინი ჩემი პატარა დისა, პატარა ძმისა, მომესმის ჭკუაღამჯდარი სიყვარულიანი ლაპარაკი დედაჩემისა, მამაჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, სადაც ამოდენა სასოვარი აუგია ჩემს გულს,





მართო ხუთი სამარე-დაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ახლა გული მეწევის, გული შედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა“.

იმ პატარა სოფელს — ყვარელს, რომელზედაც ილია ჭავჭავაძემ ლაპარაკობს, ახლა მთელი ქვეყანა იცნობს. პეტერბურგისაკენ სამზავროდ გამზადებული ილია აქ ეთხოვებოდა თავის ყვარლის მთებს, მიდიოდა და იმ მთების ხსოვნა თან მიჰქონდა — „თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული“, ამბობდა პოეტს. და მართლაც, შორეულ პეტერბურგში ჭაბუკ ილიას თავისი სამშობლო ერთი წუთითაც არ დავიწყებია. პირიქით, ყოველი დღე მასზე ფიქრში გაუტარებია, იმ ფიქრში, თუ რა გაეკეთებინა, რომ უკეთ გამოსდგომოდა სამშობლოს. ადრინდელი ასაკიდანვე ბრძენსა და დაკვირვებულს, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწორედ კამერალური განყოფილება აურჩევია და იქ ჩარიცხულა, რადგან ამ განყოფილებაზე, იურიდიულ მეცნიერებათა გარდა, პოლიტიკურ ეკონომიასაც ასწავლიდნენ, საფინანსო თეორიასაც, სტატისტიკასაც, სოფლის მეურნეობასაც. როგორც ვხედავთ, დიდებულ ქართველ პოეტს, ქართული ლექსისა და პროზის უბრწყინვალეს ოსტატს თავიდანვე გაზომილი და გათვალისწინებული აქვს, რომ მისი მომავალი მოღვაწეობის ასპარეზი ძალიან ფართო იქნებოდა, ამიტომ ახლავე უნდა ემზადოს, წუთსაც ვერ დაჰკარგავს. და ილიაც ემზადება როგორც დიდი ბრძოლის წინ, რომელიც იმდენ ხანს უნდა გაგრძელდეს, რამდენსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე გასწვდება.

იმავე დროს, იმავე პეტერბურგში ილია ჭავჭავაძემ უფრო დიდი უნივერსიტეტის კარებიც შეაღო — ეს იყო მოწინავე რუსული ლიტერატურა. იმ დიდ უნივერსიტეტს უფრო ფართო აუდიტორია ჰქონდა, ეს იყო მთელი რუსეთი, იმ უნივერსიტეტის მესვეურებს — ახალი, რევოლუციური რუსეთის წინამძღოლებს — მეტად მწარე ბედი ეწერათ. ჩერნიშევსკის მსგავსად მათ საბოლოოდ ან ციხეებსა და ციხეების კატორღაში უნდა გავლიათ სიცოცხლე, ანაც გერცენით უტხოვთში გადახვეწილიყვნენ და შორიდან მოეწვდინათ თავიანთი ხმა სამშობლოსათვის. სამოციანი წლების ეს ეპოქა აკაკი წერეთელმა შემდეგნაირად დაახასიათა:

„მესამოცე წლებში იტალია და უნგრეთი ცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კომუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ იმ დროს მოვიდა ჩერნიშევსკი, სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „სოკრემენიკს“ და დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს ყიჟინა, ამოძრავდა რუსეთი“.

შესანიშნავად არის ნათქვამი. რაზნოჩინელებმა მართლაც ყიჟინა დასცეს დეკარისტების შემდეგ მიძინებულ და განაბულ ქვეყანას, ამომძრავეს რუსეთი და მათს საბრძოლო ყიჟინას, მათს საბრძოლო შეძახილებს აჰყვნენ ყველა დაჩაგრულნი, მათ შორის ქართველებიც. აკაკის ამ სიტყვებში ნათლადაა ნაჩვენები ის იდეური წყაროები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ქართველ თერგდალეულთა მსოფლმხედველობას. ილია ჭავჭავაძეს და საერთოდ თერგდალეულებს მთელი ძალით იტაცებდათ ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მჩაგვრელთა წინააღმდეგ ევროპაში დაიწყეს დაჩაგრულმა ერებმა. „მესმის, მესმის სანატრელი, ხალხთ ბოროტების ხმა მტრებისა“, წერდა ილია და ეს ხმა მართლაც მკაფიოდ ისმოდა მთელ მსოფლიოში. მიუხედავად მკაცრი საცენზურო ტერორისა, სამოციანი წლების რუსეთის ახალგაზრდობისთვის ეს მოვლენები უცნობი არ იყო. მათ იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ მაძინი

და გარიბალდი, მათ იცოდნენ როგორ ჰხვდებოდა ამ ბრძოლას მთელი მსოფლიო-  
ნავე კაცობრიობა, იცოდნენ, რომ როცა გარიბალდი გასცილდა თავის სახმადრთველ  
ლოს საზღვრებს, მას ზარბაზნების სალუტით და ზარების რეკვით ხვდებოდნენ,  
ქუჩაში მას ქალები აჩერებდნენ, ხელებსა და მახარის კალთებს უკოცნიდნენ.  
ეს სტიმულს აძლევდა და რომანტიკულ შარავანდელსა ჰმატებდა ქართველი  
ახალგაზრდობის პატრიოტულ გრძნობას, ახალგაზრდობის, რომელიც იმ დროს  
რუსეთში იმყოფებოდა და მსოფლიოს მოწინავე იდეებს ეზიარებოდა.

მეორეს მხრივ, თავიანთ სოციალურ პროგრამას თერგდალეულები რაზნო-  
ჩინელების იდეური ზეგავლენით ჰქმნიდნენ. თუ გარიბალდის და მაძინის მაგა-  
ლითი ამხნევებდა მათ საქართველოს ნაციონალური თავისუფლებისათვის  
ბრძოლაში, სამაგიეროდ ჩერნიშევსკისაგან სწავლობდნენ სოციალური ბრძო-  
ლის მრისხანე ტექნიკას. ბუნებრივი იყო, რომ თერგდალეულებმა ხალხის  
სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის პირობებში, — იმ პირობებში, როცა  
საქართველო კოლონიური ძარცვა-გლეჯის და მეფის მოხელეთა თარეშის ასა-  
რეზად იყო გადაქცეული, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლა ორ-  
განიულად და განუყოფლად დაუკავშირეს კლასობრივ ბრძოლას, სოციალური  
თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლას.

დაეწაფნენ რა ამ იდეურ წყაროებს, თერგდალეულებმა ამ გზით გააფარ-  
თოვეს ქართველი ხალხის გონებრივი ჰორიზონტი. ევროპისა და რუსეთის მო-  
წინავე იდეებმა უფრო გაანაყოფიერეს ჰუმანიზმის დიდი ტრადიცია, რომე-  
ლიც მუდამ ცოცხალი იყო ქართულ ლიტერატურაში. ეს ნათლად ჩანს თვი-  
თონ ილია ჭავჭავაძის მაგალითზე. ის პეტერბურგშივე იწყებს ქართული ლი-  
ტერატურის განახლებას.

ილია აღზრდილი იყო ამ ტრადიციაზე, აკვანშივე ესმოდა მას მომხიბლავი  
მელოდია ქართული სიმღერებისა, მოწაფეობის პირველ წლებშივე ეწაფება  
იგი რუსთაველის ბრძნულ პოემას, და აქაც, პეტერბურგშიც, ხდება ერთი სა-  
გულისხმო ამბავი, რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გავლენა იქონია  
მის სულიერ ფორმირებაზე. „პეტერბურგში, — გადმოგვცემს ილიას მეგობარი  
კობტა აფხაზი, — ვცხოვრობდით მომეტებულ ნაწილად ვასილიევის კუნძულ-  
ზე. ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა  
დროს. ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიყავით ხოლმე. მასხოვს ერთხელ  
პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ და-  
დიანს... მან გამოიტანა, რამდენადაც მასხოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელ-  
ნაწერი. ეს იყო „ბედი ქართლისა“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ რა შთა-  
ბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზე. თითქმის მთელ ერთ კვირას  
ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილზე“.

თუ რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ილიაზე ბარათაშვილის ლექსე-  
ბის პირველმა გაცნობამ — ეს ნათლად ჩანს შემდეგი ლექსიდანაც:

როს წარვიტოხე მისი ლექსები,  
ვერა-რა ვთქვი-რა განცვიფრებულმა,  
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა  
ცას განუბნისო შავი ღრუბლები,  
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა.  
ხალხო ობოლო, შენ მებრალები,  
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა  
და განგაშორა თვისი სხივები.  
როს წარვიტოხე მისი ლექსები,  
აღმოვიკენეს დაობლებულმა.



კონტა აფხაზის ეს მოგონებაც და ილიას ზემომოყვანილი ლექსიც ბევრს რამეს ხსნიან მწერლის შემოქმედებითს ცხოვრებაშიც და საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც. იმ დროის მღელვარე ვითარებაში ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის ლექსების სახით თითქოს სინათლის სათავე იპოვნა; ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე გაიტაცა ამ ქმნილებათა არა მარტო არაჩვეულებრივმა ორიგინალობამ და ლექსის მარად უჭკნობმა სიახლემ, არამედ წინასწარ განკვრეტის პათოსმაც, რომელიც ესოდენ მძაფრად იგრძნობა „მერანსა“ და „ბედი ქართლისაში“. ნ. ბარათაშვილის პოემაში საქართველოს მომავლის ისტორიული პროგნოზია მოცემული. ამ პოეტის სახით ილია ჭავჭავაძემ დაინახა კაცი, — მომტანი პერსპექტივისა, მოციქული მომავლისა, წარმომთქმელი საპროგრამო სიყვავისა. ამ მხრივ მის მიერ გაკაფული გზა მართლაც ჯერ უვალი იყო. თავისი აზროვნების ფართოდ გაშლილი ჰორიზონტით, თავისი იდეების სიღრმით და სიღიადით ის შორს სცილდებოდა თავის თანამედროვეობას და მთელი მისი ლექსები, შეიძლება ითქვას, ეს იყო სულიერი თრთოლვით აღსავსე, მგზნებარე პოეტური წერილები მომავლის საქართველოსადმი.

სწორედ ეს ყველაზე პირველად იგრძნო ილია ჭავჭავაძემ, იგრძნო, რომ ბარათაშვილის ლექსი გზას უხსნიდა ახლისათვის ბრძოლას, გზას უხსნიდა პროგრესს. მისი სიტყვები — „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს“, — ეს მერმისის წარუხოცილი რწმენა იყო, რომელიც გულისხმობდა, რომ არ შეიძლება არ გათენდეს. პოეტმა იცოდა, რომ საჭირო იყო ამოქმედება, გამოფხიზლება, — „დილა მზიანი“ თავისთავად არ მოვიდოდა.

მაგრამ ნ. ბარათაშვილი წინ უსწრებდა თავის დროს და მისთვის სამოქმედო ასპარეზი ჯერ არსად იყო: საქართველოში მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ დიდ მოძრაობას სათავეში უდგება ბარათაშვილის მომდევნო თაობა — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით, თაობა, რომელმაც გადასჭრა ისტორიული ამოცანა, შექმნა მოწინავე კლასიკური ქართული რეალიზმის მძლავრი მიმდინარეობა და დაამკვიდრა ახალი ქართული ლიტერატურული ენა. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი მხოლოდ წინამორბედი იყო; ეს არა ერთგვის აღუნიშნავთ როგორც ილიას, ისე აკაკის. ისინი მას თავის ყველაზე ახლობელ სულიერ წინაპრად თვლიდნენ. ნ. ბარათაშვილი თავისი პოემით „ბედი ქართლისა“, თავისი ლექსით „საფლავი მეფე ირაკლისა“ დაეხმარა მათ საესეებით ნათლად დაენახათ, თუ საით მიდიოდა ისტორია, დაენახათ უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა რუსეთთან საქართველოს შეერთებისა.

ასეთი იყო ის წყაროები, რომლებიც ასაზრდოებდნენ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას.

\* \*

სოციალური და ნაციონალური უკუღმართობის დათრგუნვა, შრომის სუფევის დამკვიდრება — ასეთია ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების დედა-აზრი, ესაა მისი რწმენის უწმინდესი სიმბოლო. ილიამ „პასუხის პასუხში“, რომელშიც მთელი თავისი თაობის სახელით ლაპარაკობდა, მრისხანედ დაჰგმო „ღმერთი მზაკვრობის და თვალთმაქცობის“, „ღმერთი ხარბობის და მძარცველობის“. თავის პოზიტიურ იდეალს კი იგი შემდეგნაირად აყალიბებდა:





ხოლო გვეწამს ღმერთი  
 უქმთა წარმწყემელი,  
 ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მსხნელი,  
 ღმერთი ტანჯულთა,  
 ღმერთი ჩაგრულთა,  
 ღმერთი უმღურთა შემწყნარებელი.

აქ ბიბლიურ ღმერთზე როდია ლაპარაკი. როგორც რუსი, ისე ქართველი 60-იანი წლების მოღვაწეთა ლექსებში ამას როდი ჰქონდა ორთოდოქსალური ქრისტიანობის აღიარების მნიშვნელობა. გაეხსენოთ ნეკრასოვის ლექსები: „მყუღროება“, „რანდი ერთი სათით“, „ჩერნიშეესკი“. აქ დიდი რუსი პოეტი ლაპარაკობს „ჯვარცმულზე“, რომელიც კვლავ მოუტანს თავისუფლებას ხალხს, ლაპარაკობს „შურისძიების ღმერთზე“, მაგრამ ვის შეუძლია შეეჭვდეს ნეკრასოვის ათეიზმში? ილიას პოეზიაშიც, როგორც მსოფლმხედველობის საფუძველი, თავისთავად ნაგულისხმევია ათეიზმი; უამისოდ მეცხრამეტე საუკუნეში შეუძლებელი იყო ადამიანი პროგრესულ პოზიციებზე მდგარიყო; უამისოდ არავითარ მატერიალიზმზე, არავითარ მატერიალისტურ ტენდენციებზე ლაპარაკი არ შეიძლება. ხოლო ასეთი ტენდენციები უადრესად მძლავრი იყო ილიას აზროვნებასა და შემოქმედებაში. აქაც იგი განახლების მაუწყებელი იყო.

ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებსაც არ უნდა გადახედოთ, თქვენ მოგესმით ჰუმანიზმისა, კაცთმოყვარეობისა და ხალხთა ძმობისაკენ მომწოდებელი ხმები, მოგესმით მძლავრი პროტესტი ძველის, დახვეწულის, ადამიანის ჩაგვრანზე დაფუძნებული სამყაროს წინააღმდეგ, „გლახის ნამბობში“, „კაკო ყაჩაღში“, „კაცია-ადამიანში“, „აჩრდილში“ ის ყველგან ხმას იმაღლებს დაჩაგრული გლეხკაცობის უფლების დასაცავად, თავის პუბლიცისტურ სტატიებში ის გვაძლევს კაპიტალიზმის გამანადგურებელ კრიტიკას; როგორი გატაცებით ოცნებობს პოეტი თავის „აჩრდილში“ იმ დღეებზე, როცა მოისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია:

შრომის სუფევა მოვა მაშინა,  
 ჭეშმარიტების მის ძლიერებით  
 და განმტკიცდება სოფელსა შინა  
 კაცთმოყვარების სახიერებით.  
 მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებია  
 ძმობა, ერთობა, თავისუფლება,  
 ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან  
 კაცთმოყვარება და სათნობა.  
 ალლო აილო ჭვეყანამ ძველმა,  
 რომ დღე-ღამ მისი წყობა ირღვევა,  
 და ამ ზვიადმა საუკუნემა  
 უნდა შვას იგი შრომის სუფევა.  
 მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,  
 წართმეულ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
 სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
 არც ვის ემონვი, არც ვის იმონებ.

გაიხსენეთ ილიას ლექსი „1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“. როდენ უღრმესი სიყვარულით იხსენებს პოეტი „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მსხნელ დიდ დროშას“, პარიზის კომუნის დროშას, როდენი მწუხარებით იცემა მისი გული იმის გამო, რომ ჭვეყნის „მიჩაგრავმა ძალამ“ „იგი დროშა





დასცა დაბლა“. ვიქტორ გოლცევი თავის წიგნში „ქართველი მწერლები“ აღნიშნავდა, რომ „არა მარტო ქართულ, არამედ მთელ იმდროინდელ რუსულ პოეზიაშიც არ მოიძებნება მეორე ლექსი, რომელიც ესოდენ ძლიერად და აზრის სიცხადით აღიდგებდეს 1871 წლის პარიზის კომუნისათვის მებრძოლებს“. ილია ჭავჭავაძე გადაჭრით და მტკიცედ გამოესარჩლა ადამიანის განთავისუფლებისათვის მებრძოლ პარიზელ პროლეტარებს. „აჩრდილის“ ავტორი არც შეიძლება და სხვანაირად მოქცეულიყო. ჩაგრული კლასების განთავისუფლება — ეს იყო მისი მუდმივი საფიქრალი, სანატრელი, ეს იყო მისი ყველაზე უწმიდნისი და სანეტარო ოცნება... ის დაუღალავად, დაუცხრომლად, მთელი თავისი ბუმბერაზული ენერგიით იბრძოდა იმისათვის, რომ ეს ოცნება სინამდვილედ გადაქცეულიყო.

ამ ისტორიულ ამოცანასთან, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის საკითხთან ილიამ განუყრელად დააკავშირა ხალხთა ეროვნული განთავისუფლების საქმე. განუზომელია სიღრმე სიყვარულის იმ გრძნობისა, რომლითაც ილიას საქართველო უყვარს. ამიტომ ასე სასტიკად, ასე მრისხანედ და დაუზოგავად იმაღლებს იგი ხმას ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ცუდი და უარყოფითი იყო მისი დროის საქართველოში. ეს კეთილშობილური გულისწყრომა ილიამ მთელი სიმძაფრით გამოსთქვა ჯერ ისევ სიჭაბუკის წლებში გამოქვეყნებულ იმ ნაშრომში, რომელიც საპროგრამო წერილის სახით დაიბეჭდა ილიას მიერ დაარსებული ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში; მასში ილია წერდა:

„ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიტუდე კი ყველგან საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ინგლისელი, სულ ერთია ჩვენთვის, ორივე წყალში გადასაყარნი იქნებიან. ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენი ცხოვრების სიბოროტის დამალვას, ეგ იმათ მოსდით ქართველებს უმეტარი სიყვარულისა გამო; ის კი არ იციან, რომ დიდი ხანია არის ჩვენში გლუხური ანდაზა: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო. ისინი, უმეტარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დასმენ ხოლმე შეჩვენების და განგდების ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო, თორემ დაღუპებო მის წამწყვენდელ ოზნივარის ზედ-მოქმედებისაგან. ჩვენ საბედნიეროდ არიან ჩვენში იმისთანა პირნიც, რომელთაც ჩვენზედ უკეთ იციან, რომ ვინც შენიშნავს მართლად სხვის ნაკულულოვანებას, შეიძლება მასვე უნდოდეს გასწორება და სიკეთე მისი. რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკულულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჩანს გამოთქმულის გულის სიმშურვალე, მოუთმენელი, ცხარი წადილი გასწორებისა. ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი — ეგ აშკარაა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ეს ლექსი“. და ილიას თავისივე ლექსი მოჰყავს:

ჩემზე ამბობენ: „ის ქართველისა სიავეს ამბობს,  
ჩვენს ცულს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულელია!“  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს,  
ამ სიძულელიში რაოდენი სიყვარულია.



ილია მუდამ პრინციპული და განუხრელია, დაუღალავი და დაუცხრომი. ილია ამ ცუდთან, უარყოფითთან ბრძოლაში. ამას მოწმობენ არა მარტო მისი პუბლიცისტური წერილები, არამედ შესანიშნავი ლექსებიც — „ჩემო კალამო“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „პასუხის პასუხი“ და მრავალი სხვა. ბევრი მწარე სიტყვაა აქ ნათქვამი, მაგრამ ილია სიმართლეს არ ერიდება, რაც უნდა მწარე იყოს ის, იცის, რომ ესაა წამალი და ეს მხილება არის გზა ხსნისა. როცა გულმოდგინედ ვაკვირდებით ილიას ამ ლექსებს, მის მძაფრ, მამხილებელ წერილებს — ჩვენ ვხედავთ, რომ სწორედ ეს არის ყველაზე უღრმესი სიყვარული სამშობლოსადმი, ეს არის ბრძოლა მომავლის საქართველოსათვის, რომელიც პოეტს წარმოესახებოდა როგორც გამოფხიზლებული და აყვავებული ქვეყანა.

თავის პოემაში „ქართველის დედა“, რომელსაც პოეტმა ქვესათაურად წააწერა „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“ — მან დახატა ოცნებით წარმოსახული სურათები თავისუფალი საქართველოსი. მოხუცი, ავადმყოფი დედა ამ პოემაში ამბობს:

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,  
მაგრამ პე, ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ მომასწარი  
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება.  
ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება,  
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,  
კასპის ზღვიდან შავ ზღვამდის ერთ ფიქრსა ფიქრობს  
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება,  
დიდა ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვება.

საგულისხმოა, რომ აქ პოეტი ხალხთა ერთობლივ ბრძოლაზე — მთელი კავკასიის თავისუფლებაზე ლაპარაკობს. ილიას პატრიოტიზმი მკიდროდ იყო შერწყმული ხალხთა ძმობის იდეასთან, ის აქაც მოწინავე პოზიციებზე იდგა და თავისი სამშობლოს ხსნას მოძმე ხალხთა განთავისუფლების საქმეს უკავშირებდა.

ჩვენმა დრომ, საბჭოთა ეპოქამ ხორცი შეასხა იმ ნატერას, იმ ოცნებას, რომლითაც აღბეჭდილია ილიას მთელი მგზნებარე შემოქმედება. თავისუფალი ქართველი ხალხი დღეს სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით იხსენებს თავის სახელოვან მწერალს, რომელსაც მუდამ სჯეროდა თავისი ხალხისა და მისი დიადი მომავლისა.



## ადიო მიჩხუაძე

### აჩრდილი

მთაზე შემდგარა თეთრი ღრუბელი,  
თითქოს ილიას აჩრდილი არი,  
მკერდზე შუქი სდის დაუგუბელი,  
ნუთუ ის ახლაც დაჭრილი არი?

სდუმს წიწამურის გზა მეწამული,  
სდუმს ობელისკიც... რა დროს ძილია?  
აყვავებულა ქართლის მამული,  
და შენზე მაინც დარდობს ილია!

ზევით ზედაზნის მთა და მდელია,  
შენი მამულიც არ გადაშენდა,  
ეს მშობლიური საქართველოა,  
მარად და ყველგან, და მარად შენთან...

შენს ობელისკთან დუმლით მოვა,  
სიცოცხლეს უსმენს მთებში და ბარად,  
მას გული ეწვის და გული ტკივა,  
რომ ვერაგ მტრისგახ ვერ დაგიფარა!



დავან კოთუა

წიწამურის მიწა

„ილიას მკვლევებს რომ შეეძლოთ,  
საქართველოს მოქალაქედნენ“...

ვაჟა-ფშაველა. 1907 წ.

8097

ეტლი საბურთალოს გაცდა თუ არა, ილიამ შვება იგრძნო... თითქოს ქა-  
ლაქის უხილავი არტახები ჩამოიცილა. მაგრამ ახლა თვალზე ლიბრად დაედო  
ზოლებ-ზოლებად შედებილი საყარაულო... შიგ გაშეშებული, ჩექმებში ჩამ-  
დგარი სხეული. მხარილივ დაგორგლილი ფარაჯა დასდებოდა, ზევით კი მხო-  
ლოდ ხიშტი უჩანდა. სახე ვერ შეუმჩნია ილიამ... იქნებ არც ჰქონდა სახე... და  
მის მაგივრად გაფაფრული ორთავა არწივი იყო.

ილიამ სახე იბრუნა...

— გარეკე! — შეუძახა კოფოზე მოგუდულად მჯდარ მეეტლეს. ლაბაურმა  
სადავეები უნდილად ამოკრიფა. თეთრა ცხენებმა მუხლი გაშალეს. ეტლი გაბ-  
მულ-ამღერებულად ახმიანდა გზატყვილობზე.

ილიამ ღრმად ამოითქვა სული, ქული მოიხადა და მოძლიერებულ ქარს  
შუბლი შეუშვია. მაღლა, ჯერ ცას შეჰხედა, მერმე მთებს. მის მახვილ თვალს  
არაფერი გამოჰპარვია, არც მზეჩაქრული ღრუბლების უსაზღვრო ღტოლვა...  
არც შეტრუსული მთა-გორაკები... არც გზის პირას შეყუყულო, გამტვერილი  
ბუჩქები.

გვერდზე მჯდარი მეუღლის ფაფუკი ხელი იგრძნო...

— აბა ქვევით გაიხედე!.. შენ გიყვარს...

ეტლი მოხვეულ თავქვეზე დაეშვა და მტკვრის პირს სულ ახლო მისწვდა.  
ხედი ჩრდილდაკრულ ვერცხლისფრად გაიშალა და უეცრად ალივლივდა.

გზის ქვევით ვიწრო რიყე იყო.

რიყეზე მეთევზე იდგა და მარცხენა ხელით სასროლი ბადის ლანძვებს,  
ჩანგის სიმეზივით, თითებში იკრეფდა... იმარჯვებდა. სველი სამოსი ტანზე შე-  
მოსწუროდა და ბრვე მხრებსა და კუნთოვან წვივებს უტვიფრავდა.

ილიას სახეზე სიამისა და ცნობისმოყვარეობის იერმა გადაჰკრა. ხელი წას-  
წია, მეეტლის ნაცვლად თავის ერთგულ დარაჯს — იაკობს შეახო... მაგრამ  
იაკობმა ხელად იაზრა და ლაბაურს ეტლი სულ ახლო, გზის კიდესთან მიაცე-  
ნებინა.





მტკვრის გულისხმაში წასულ მეთევზეს არც გაუგია ეტლის მოსვლა. კბილებში მოივლო ბადის კიდე, ორიოდ ნაბიჯით, წყალჩაყოლებით, ეტლსა და ბადე ჰაერში ფართოდ გასტყორცნა.

ილიამ თვალს გაჰკრა ჰაეროვან კალოსავით გაშლილ ბადის ლანძვებს, ბადისიქითა მტკვარს, ქვევით ატეხილ-ჩატეხილად გამომწირალ ტფილის-ქალაქს, მის სევდიან შემოგარენს... თვალის ეერთ ხამხამში ყველაფერი ბადეში გახვეულად ჩანდა... მერმე ბადე წყალს გაეკრა, მტკვრის ტალღას ვეება ბადიმივით გადაეფარა, თითქმის უხილავი ჭადრაკული კვალი დაჩინია და ჩაიძირა.

— წყალ-ხმელეთავ, ჩემს ბედზე იყოს! — გადასძახა უკვე გულშეძგერებულმა და მოხიბლულმა ილიამ.

მეთევზე ძირა თოკის რხევა-რხევით მიჰყვა ბადეს... ოდნავ შემობრუნდა და შენამული თავ-ქოჩორი ჩაუკრა:

— ეგრე გახლდეთ... მგზავრო-ბატონო! — ბადის თოკი დაოკებული ილეთით მოიმოკლა და მოიზიდა...

ილიას ყველაფერი დაავიწყდა... გადმოწეულმა, მარჯვნივ გადმოსძალა ეტლი, სახეზე წამოწითლდა, მარცხენა ლოყაზე ხალი აუთრთოლდა... ოლღას მოსიყვარულე თვალს არ გამოჰპარვია მისი ილკოს „ხალის ციმციმი“ — უტყუარი ნიშანი უადრესი გატაცებისა.

მტკვრის სიღრმიდან კი ბადის კუმტული ჯერ სახნისივით ამოცურდა, მერმე აფრის სამკუთხედად გაიზარდა... ბოლოს უბე-კალთები მოიყარა.

რიყეზე ჯერ ლიფსიტები და წვრილ-თევზები აშხვართალდნენ, მერმე კი ბადის ლანძვებში მოზრდილი ჭანარებიც მოქნეული ხანჯლებივით აბრძოლდნენ.

ილიამ გულის ჯიბეზე გაიკრა ხელი, ჯერ საათი, მერმე სათვალე მოებორკა... მცირე ჯიბესაც მიაგნო და წვრილი ვერცხლი, რაც აღმოაჩინდა, მუჭით გადააყარა ჯერ გაუშლელ ბადეს.

ახლა, თევზებთან ერთად, ვერცხლის ფულიც აწკრიალდა და აკიაფდა რიყეზე.

— შენ გიშველა ღმერთმა! მაამე!.. ახლა გაუშვი, გეთაყვა! ისევ წყალში გაუშვი თევზი! სიცოცხლე ჩვენც გვწყურია და მაგათაცა!..

— ვაჰ! — გაიკვირვა მეთევზემ. — აჰანდე, შენი ჭირი წაუღია! — ცალი ხელით თევზებს დაუწყო წყალში ყრა, მეორეთი კი ვერცხლის ფულებს ჰკრეფდა.

— წუთისოფლის მგზავრო, შენ ქალღმერთის მოთამაშე რამე ჩანხარ!

— ჰო, ქალღმერთისაცა და წიგნისაცა! — ჩაეღიმა ილიას და უკანასკნელ თევზს თვალი გააყოლა. თევზი ვერცხლის მცირე ცისარტყელასავით გადაეწერა მტკვრის თავს და მორევში შთაინთქა... მტკვარჩაყოლებით კი ისევ ატეხილ-ჩატეხილი ტფილის-ქალაქი შერჩა თვალწინ... მაგრამ, ჰოი, უცნაურობავ... ტფილისი ისევ ბადეში ჩანდა!.. წელან თვალშესწრებული სურათი ისევ უძრავად და გამოტვიფრულად ედგა წინ... „აი ეს თუ არის სიბერე!.. თვალის მოდუნება და ჭირისუფლის გარძობა-დარღვის გამახვილება!.. მაგრამ მე აბა სად მცალია სიბერისათვის?..“ და მაინც...

ამ ბოლო დროს გულის ფრიალივით შემოჩვეულმა ფიქრმა ერთი შავი კენკიც გამოუგორა. „ერთიც ვნახოთ, ეს წლოვანი კაცი უკანასკნელად ვხედავ ტფილისს?.. ნუთუ ასე ბადეში გაბმულად უნდა დამჩრეს?“

ქარმა მტკვრის ბოლქვი დააგორა გზაზე... ოღლამ ხმა მისცა თავის ჩაფიქრებულ ქმარს... მეთევზეც რაღაცას ეუბნებოდა...

— ჰო... ხეირი ნახე... ხეირი! — ილია შემობრუნდა და ახლა მეტყველებდა აუქნია ხელი. ცხენებმა გაიწიეს გზისაკენ.

ცოტა ხნის შემდგომ სათვალე მოქებნა ილიამ. მისი ზონარი რომ მოზიდა, თითქოს ბადის თოკს ეწეოდა... ნაჩქარევად გაიკეთა და ჯემუხა ტანით ერთბაშად უკან მობრუნდა... მაგრამ მოსახვევი გავლილი იყო და ტფილისი აღარ ჩანდა.

ილიას სოფელი მუდამ უფრო უყვარდა, ვიდრე ქალაქი. მით უფრო სიბერეში, როდესაც აღამიანი უფრო გრძნობს ბუნებას... ჰოდა ამ გრძნობით ილიას ყვარელი და საგურამო მუდამ ერჩია ტფილისს... ახლა კი საოცრად ეწყინა ტფილისის თვალთაგან მიფარება. სათვალე მოიხსნა და ისევ ჯიბეში ჩაისვენა.

— დღეს რომელი რიცხვია? — უმიზნოდ და, ვგონებ, უფიქროდაც შეეკითხა მეუღლეს. ოღონდ ფერხითი დაწყობილი ხელბარგი გადასწია, გაზეთების დასტიდან დღევანდელი ამოიღო და რიცხვს დაჰხედა...

— 30 აგვისტო, ხუთშაბათი... — მაგრამ ილიას სახეზე მიხვდა, რომ მას არც გაუგია. — ცხრაას შვიდი წელი! — ოღონდ ღიმილით დასძინა და ყურადღების მისაქცევად ქალაღივ გააშრიალა, ხელში მისცა.

ილიას სიტყვებზე უფრო ძველნაცნობი, ჩვეულებაში გადასული შრიალი მოესმა. ქალაღის გლევი და ჩუჩუნა ხოც უმალ იგრძნო ხელმა. სტამბის სუნი და წიგნის სურნელიც მისწვდა... მერმე კი დახუჭული თვალებითაც, დაგუბული სმენითაც დასანახ-გასაგონი სიტყვების ტვიფარი და ხმიანობა იწყებოდა... ასეთ დროს გატრუნვა იცოდა ილიამ... და დაიძრებოდა სიღრმისეული გულისხმა... დაუმთავრებელი კილოები და სახეები... ნაკვეცი სიტყვები... ჯერ დაუხვეწი შედარებანი... აზრის ნაკვესები... შიგნიდან წამოსულ ტალღას ახლა გარედან შეერწყმოდა თვალმემთხვეული, ყურმოკრული თუ ყნოსვა-შეხებით ნაგრძნობი კილო, ფერი თუ ნივთი.

აი ახლაც ქალაღის შრიალს თითქოს წამოეწია და შეერია თევზების წკაპანი, ვერცხლის ქღერა, მტკვრის ჩუმ-ძალუმი დუღუნე და ქართულ გზაზე ეტლის თვლების გაბმული ზრიალი. ილიას ესმოდა ეს უეცრად წყობილი კილო-კაფია... თითქოს ყოვლად ნაცნობი, მაგრამ ამდაგეარად და ბოლომდე არაოდეს არმოსმენილი... ისიც იცოდა ილიამ, რომ ეს კილო-კაფია, ამავე ხმებით თხზული, სრული დამთხვევით არაოდეს აღარ გამეორდება.

მალე ქარის მონაბერის ხმა მოძლიერდა. დიღმის ღელისპირას გაჩენილი ბაღების შრიამული მოსწვდა ილიას ყოვლისშემსრუტავ სმენას. ერთ წუთს ისევ შეახამხამა თვალები, მაგრამ ისევ დახუჭა და ეტლის თვლების ქვეშ ჩაბოხებულმა გუგუნმა ამცნო, რომ დიღმის ხიდზე იყვნენ. მოძლიერებულ ჰანგს ახლა გაჭაჭული, კვინიხის მიღმა გადასული სიმღერაც შეემატა და შეეხიწევა.

„თეთრი დუქანი?... ალბათ დამე უთქვიათ ლოთებს!“

— აქ არ შევფერხდეთ, ილიკო?! — მეუღლის გამაფრთხილებელი ხმა და მოძრაობა იგრძნო.

— არა! — ილიამ თეთრ დუქანს თვალი გაუსწორა და ხშირი წარბები შეჰკრა.

დაჩრდილულ, დაბალ აივანზე დიდი სუფრა ჩანდა გაშლილი... დამთვრალ-გასავათებული მოქიფენი ფხამერეულად ისხდნენ... აპრეხილი სახეები და ამოღამებული თვალები დროსა და ზომის არარაობად მიჩნევაზე მეტყველებდნენ...

— ისევ ქეიფობენ თათქარიძენი! — ზიზნარევი ნაღველით ჩაიდუღუნა ილიამ და სახე იბრუნა, გაზეთი აიფარა, მაგრამ გვიან იყო...

— ჩენს ილია ჭავჭავაძეს გაუმარჯოს! — ქვევრის ხმით დაიგრავინა მალამ, თავადაც ქვევრივით კაცმა.

გაბრუებული სუფრა თითქოს ფეხის წვერებზე შებროწილდა...

— ჭაქას ვაშა!.. — ენაბორკილად, მარცვალდაკლებულად აროხროხდა სუფრიონი. ქვევრივით კაცმა კი ცალ ხელში მწვადწამოცმული შამფური აიტაცა, მეორეში ვეება ყანწი. ბაჭუა-მედუქნემ ხელად კვარტიანი ბოთლი ყირამა-ლა ჩაუყუდა ყანწში.

— ახალი სადღევრძელო განიკითხენით! — ქვევრის ბანი დააქუხა თამადამ, მოკლე ფეხები აასავსავა და გზაზე რუმბივით გამოვორდა...

— გარეკე! — ჩუმად შეუძახა ილიამ. — სუფრაზე ცოცხალთან ერთად შექამეს საქართველო!

ერთი ჩრდილის დადებით თუ გადაუსწრო ეტლმა სუფრის აბარბაცებულ წვერებს. მერმე იმატა მანძილმა.

— დააყე! დააყე!.. თავადო... ან შენი სადღევრძელო გვასვი... ან ჩენი შესვი!

— გარეკე! — უფრო ხმამაღლა აღმოხდა ილიას...

— გაგონილა ავეთი ბიბარუ?! — გაწყრა ყოვლისშემძლე და კიდევ ერთი ჩაფხის დამლევი თამადა... შამფური გზის შუაგულში ხანჯალივით დაარტო, საგსე ყანწი ეტლის მიმართულებით სტყორცნა, ღვინო მტვრიან გზას გადააღვარა...

— შენი შესანდობარი იყოს!.. არამც გამობრუნებულხარ! ახლა კაცია ეს ადამიანი?!..

ილია კი ჩაკუჭკუჭებულად იცინოდა...

— ხომ გავეჭეცი თათქარიძეებს?!

... მაგრამ ოლღამ უმცდარად იცოდა, რომ არც ასე ეციინებოდა გაქცეულ მგზავრს.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ... უგნურებს! — ოლღამ თვალზე მიმდგარი ცრემლი ჩუმად მოიხზია და ილიას ხელში უნებურად შეკმუჭვნილი გაზეთის გამოართმევა დააბირა. ილიამ ხელი მოუჭირა ქალაღს, სიცილი სიმივით გაწყვიტა, თავი მხრებში ჩაიღრმავა და სულ სხვა ხმით აღმოხდა:

— უგნურები მეტად გავგიმრავლდნენ... ახლა ვიციინოთ თუ ვიტყვიოთ?!

თეთრი ცხენები კი გულდაგულ მიჰქროდნენ. ადგილიც გავაკდა და გაიშალა. გზა მშვილდის ლარივით გაიწვართა. პირის ქარიც გალაღდა... მერმე კი შემომტევი ძალაც მოიტაცა...

ძუა-ფაფარაშლილი თეთრი ცხენები, ილიას თვალში, თანდათან ზღაპრულ თეთრონებს დაემსგავსნენ, ფიქრებსაც შეება და სხვა მიმართება მისცეს... შუბლის კოპები გაუხსნეს... შეიაცნებეს... მაგრამ დიღმის ველის ჯირგალა ქარმა ძალუმად გაჰკრა ეტლს... ილიას გაზეთი ხელიდან წასტაცა, ხოლო ოლღას ქული და მისი სამაგრი წაჰგლიჯა თავიდან და შორის... უკან, თეთრ დუქნისაკენ გააფრიალა...

ქალმა შეჰკვივლა...

— ჩენი ჭირი წაუღია, ოლიკო! — წამოიძახა ილიამ და კოფოდან გაღმოსახტომად წამოწეულ იაკობს კალთა დაუჭირა...

— გარეკეთ!.. გარეკეთ! სიკეთე — სიკეთეა მინიც... და სანთელ-საკმელი გზას არ დაჰკარავას! — დაუშრეტელმა რწმენამ წელანდელ ბოღმას თავი ამოუხვია და ფიქრს შემოქმედებითი ხალისის ნიშატი მისცა... ილია მწყურვალ ირემივით დაეწაფა დიღმის ველის გაშლილ გარემოს.

შორეულ ბაღებში და სოფლის პირებში ქარგაკრული ალვის ხეები გაან-





ჩსლებული პატარძლებივით ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ... ჩიქილებში და წიგნებში სწვდებოდნენ და ვერც სწვდებოდნენ... მათ თავზე მხრებდახეტილი წაქინდრული გორაკები გადმომდგარიყვნენ... ჩრდილ-მწვანე ლაქებს ყვითლად ჩამწვარი ფორეჯები და ჩათასმული რუხი ნეკნები ენაცვლებოდნენ... ვეფხისა და კამეჩის ვეება ტყავების ნაერთი ემსგავსებოდნენ...

დიდი ჭირისუფლის მჭვრეტელი თვალი და ფიქრი მიდამოს სხივის ფარცხივით ეღებოდა... თან მოაქონდა ყოველი ნიშანდობლივი და მკიდევ აზრის მზადი, ყველაფერს თავის სახესა და შესატყვისს უძებნიდა. არაფერი არ რჩებოდა განუცდელი... და თავად უსაზღვრო გრძნობებით აღსავსეს მრავალჯერ ნანახიც კვლავ აძლევდა საბაბს ახალ გრძნობათა და აზრთა გადმოსაფრენად.

ილიამ იცოდა, რომ თავის ფიქრებში, საერთოდ, შინაგან ცხოვრებაში, იგი უფრო აღფრთოვანებული მეოცნებე და რთულად მთქმელი იყო, ვიდრე თავის ათასჯერ ნახვეწ და ნათეთრ ნაწერებში. იგი თავის სათქმელს უფრო დინჯსა და გარეგნულად სადა სახეს უძებნიდა და ჰპოულობდა.

— აი დიდგორი... უფრო ქვევით, ამოხნეჭილი — თელოვანია... მერმე კალთა-კალთად ჩამოსული კოდისწყარო... იმის იქით კი, მღვეის მუხლივით რომ შეშოსდგომია დიდდაკეს, ეს არის მუხათგვერდი! — ილია ასჯერ ნათქვამს კიდევ ერთხელ სიამით და ალერსით უამბობდა თავის ოლიკოს... იგიც გატაცებით, ათითქოს პირველად, ისე უსმენდა...

მუხათგვერდის „ცხვირწამოწვდილი“ ბოლო მაინც განსაკუთრებით უყვარდა ილიას. მის დანახვაზე მუდამ გული ეხსნებოდა... ბოლოს მიხვდა, რომ კუდიგორას აგონებდა... და ეს მსგავსება ესოდენ მოხუცს დაუბრუნებლად წასულ ყმაწვილდროებასა და გრძნობებს ალანდებდა... გაფრენილი ჩიტივით ახლოშახლო უტრიალებდა... ისეთ წადილ-გუმანს ჰბადებდა, რომ ახლა... აქ... სადმე გადმოხტება ბლაჭიაშვილი...

...და მართლაც გზაზე ვილაც გამოჩნდა... იმის უკან კი ილიას მოელანდა, ათითქოს გორის ბოლოში ვეებერთელად გაზრდილი და გადაშლილი წიგნი იდო და უხილავი ხელით იფურცლებოდა... მაგრამ... ჰოი უცნაურობავ!.. ეტლი რომ მიუახლოვდა, ცხოვრების გზასავით გადაშლილმა წიგნმა უფრო შორს გადაინაცვლა, ხოლო იქიდან გადმოსული თუ თავის გზით მავალი მგზავრი სრულიადაც არა ჰკავდა ბლაჭიაშვილს. არც იარაღი ესხა, თუ ეტეს არ ჩავთვლით ამად. უფრო მეტიც — ვაჟკაცი სრულიადაც არ გამოდგა მავალი... ახლოს უქვე კარვად გააჩნია ილიამ... თალხსამოსიანი შემძლე დედაკაცი მოაბიჯებდა... შავ თავსაფარს ქვეშ საფეთქლებთან გამოშლილი ქალარა კავები უფრო უმკაცრებდნენ სახეს. შუბლსა და წარბების ნასკვებს დუხჭირისა და ფიქრის ნიშანი ჭარბად ედო, მაგრამ კუშტი გამძლეობა და სიმტკიცეც იგრძნობოდა.

— ოთარაანთ ქვრივი... საით გაგიწევია?... რა გაგჭირვებია? — გადასძახა ილიამ და ეტლი შეაჩერებინა...

— შექარაანთ ქვრივი გახლავარ... ქალაქელო! როგორც გამჭირვებია და ექტ-ქალამანიც ისეთი ამილ-ჩამიცვია!

ილია ოდნავ დააბნია ამ პასუხმა. სათვალე მოინახა, გულის ჯიბეში თავის სადარბაზო ბარათი ამოებორკა ხელში. ისიც ამოიღო და ოთარაანთ თუ შექარაანთ ქვრივს მიაწოდა:

— თუ დაყოვნდი და ვერას გახდი ქალაქში... მნახე... აი ეს მოგაგნებინებს...

ქვრივმა მცირე, გატყინებული ბარათი გადააბრუნ-გადმოაბრუნა... ქორულად ამოჰხედა ზევით და მქახედ შემოაძახა:





— თუ სიმათლის კაცი ხარ... არადა ილიასთან მივალ!..

— მიდი... იმასთან უსათუოდ მიდი! — უეცრად ავარდნილი სხაპასხაპით მიაძახა ილიამ და აძრულ ეტლში მიიმედა, მაგრამ გულშეჩვილებულად შესწორდა. თვალი ისევ გზასა და მუხათვევრდის კალთას გაუსწორა... იქ ისევ წიგნის... თავისი წიგნის ფარგი შენიშნა... ზედ თავ-ფურცელზე ცხენს მოაგელვებდა ვიღაც.

ეტლმა საქართველოს სამხედრო გზას უგანა, მუხათვევრდის ხიდისაკენ ჩაუხვია. ცხენოსანიც მოსწვდა ეტლს, თვალის მომპრეკლად ჩაუქროლა...

— გამარჯობათ, კეთილ-ქართველებო!.. — და ცხენი უკვე შორს იყო. ილიას თვალში და გულში ჩასწვდა... კალთაშეკეცილი ჩოხის ფარგი და მხარზე მოგდებული, მზეზე ალაპლაპებული თოფის ლულა. თვალი გააყოლა ალაზნისპირელმა და გულიანად ამოიკვნესა...

— ოჰ, ნეტავი შენ!

... და ჯადოსნური, ყოვლისშემძლე ფიქრის ძალით — ეტლიც ურმად იქცა, ქარიანი დღეც — მთვარიან ღამედ... მტკვარიც — ალაზნად და მკრთალი ნათელი დაედო ყველაფერს. ერთი მიბრუნებაც და ფიქრმა ალაზნისა და ბლაქიაშვილის კუდიგორის არედან ახლა უფრო ღრმად, მისი პირველსახის — კაკო გაუხარაშვილის — კარდანახის ტყეში გადაინაცვლა...

აქ შეხვდა პირველად ახალგაზრდა ილია სიკვდილის ფათერაკსა და ჩაგრულის სამართლიან გაბოროტებას...

... იყო ყვავილ-ჩრდილოვანი, კარდანახში მიმავალი გზა... და იყო ირგვლივ ტყე... დაბურული, ქართული ტყე... ძირძარღვიანი, თავ-ტოტმალალი... თუმც ნაქარბუქალი და ნაკაფი. და უეცრად ახალგაზრდა მეოცნებე ილიას თოფშემართული კაცი გადაუდგა და შეუძახა. ილიამ თოფის კორაზე იგრძნო თავისი თავი, მაგრამ სდუმდა. ელოდა. არც იბრძოდა, მაგრამ არც რას უთმობდა...

„მესვრის?.. არ მესვრის?..“ საფეთქელში ჰკვესავდა ფიქრი...

— ვინ ხარ ასეთი? არც ღარიბს ჰგევხარ, მაგრამ არც მდიდარს? არც იარაღი გაქვს, მაგრამ არც გეშინია, გატყობ!

— კაცი ვარ, ადამიანი... თანაც ქართველი... ვგონებ შენცა?!

... მერმე იყო მუხის ძირი, სუფრა, პურ-მარილი... დუხპირის თხრობა... გულქვა თავადის ამბავი ყაჩაღის ღვინოზე უფრო აბრუნებდა მას, მაგრამ კი არ ათრობდა — თვალს უხელდა... ოცნებას უკვეცდა, მაგრამ ცხოვრების ცოდნასა და სიბრძნეს ჰმატებდა...

...„მაშინ არ მესროლა გაუხარაშვილმა და მომარტყა კია... შიგ გულში მომარტყა და ისე... მისი ტკივილი აჰა — სიბერემდე გამომყოლია... ამ ტკივილმა შვა კაკო ყაჩაღი, კაცია ადამიანი; ოთარაანთ ქვრივი, გლახის ნაამბობი... ამ ტკივილმა თითქმის ნახევარი საუკუნე სულ „ჩატეხილ ხიდზე“ მატარა და მაფიქრა... ვგონებ დამძალა კიდევაც... ჩემს საბრძოლო ურემს ორი ბორობალი ჰქონდა — ეროვნული თავისუფლება და შინაგანი უთანასწორობის ამომთელეობა... ჰოდა უკანასკნელ ბორობალს უფრო დაეწეე და ავაჭრიალე... ჩემი საყვარელი გარბილადი და სენკევიჩი კი ვგონებ გულის ჩეროში დამჩრჩნენ... და უფრო ცუდია, რომ ვეღარც ხიდი გავამთელე!“

— ესეც ხიდი!

მეუღლის სიტყვამ გამოარკვია ილია. და მართლაც მუხათვევრდის ორსართულა ხიდს მიადწიეს. ზევით მატარებლის სავალი იყო, ქვევით — საურმე გზა. ხიდის მისავალში ცალფანჯარა დუქანი იდგა. პატრონიც ცალთვალა ჰყავდა. ილიას უყვარდა ეს კუთხე... ცოცხალიც მუდამ იყო და ფიქრიანი გარემო-



ხედიც. ხან მარტოხელა, ხან სტუმრიანი პურ-მარილი ხშირად უგემია ილემის კნუტისოდენა დუქანში. ახლა კი გული არ უდგებოდა, მაგრამ ეტლიდან მაინც ჩამოვიდა. შემოგარენს თვალი მოავლო, მოუაღერსა. ბევრი ჰყავდა მოსაკითხავი... მარჯვნივ მაღალი კლდეებიდან გამოქვაბულები ძველ, თვალდათხრილ საქართველოს სახე-ნიშნებად და იარებად იმზირებოდნენ. მათი დრო და ამბავი მტკვარმა ხან ნამქერ-გრუხუნით, ხან სისხლის ნიაღვრით, ხან კი უღონო დუღუნით ხილქვეშ გაატარა, უბრუნეთში გადალექა...

გზის პირას, ჩრდილდაბალა ფშატებთან, დარბობილ ურემზე ცარიელი აკვანი იდგა. ურმის ჩერომი ზღარბა მოხუცი ახალ ტაბიკს უთლიდა უღელს.

— საიდან, მოხუცო?

— ბაზალეთიდან...

— ბაზალეთის აკვანი?! — ოცნების ხმით გაიმეორა ილიამ.

— ჰოდე, ტყუპის ცალისათვის! — ზღარბა მოხუცმა ბრძნულ-სევდიანად შეპხედა მოსაუბრეს და ახალ ტაბიკს თავი მოუკვერცხა.

— ტყუპის ცალიო?.. მეორესათვის?

— აქვეა!.. — ზღარბამ ცალი ხელით ურმის ბოლოში ჩაფარებული კილობი დასწია, მცირე კუბო გამოაჩინა.

ილია სახტად დარჩა. სიტყვა ამოებორკა გულშეძრულს:

— რისგანა გეჭირს?..

— ცხოვრებისაგან... ასეა... სიკვდილ-სიცოცხლე, როგორც დღე და ღამე... წუთისოფელიც ეგრე ბრუნავს!.. ჭრის და კერავს... ჭრის და კერავს! — ამოიხბრა მოხუცმა და კუბოსა და აკვანს ერთი კილობი გადააფარა... მერმე ისევე თლას მიჰყო ხელი. ილიას წასვლა სწადდა, მაგრამ თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი კიდევ დარჩა უთქმელი ამ ზღარბა მოხუცს.

— ჩვენებურო, შენი სიბრძნე საშინელია! ამას რაღასა სთლი, ალბათ მთავარი ეგ თუ არის?

— ჩვენს ურემს თავტაბიკი გატეხილი აქვს...

ილია თოფნაკრავივით განშორდა ზღარბას... „აი მთავარი... ძირითადი... თავტაბიკი და არა ხიდი! თავტაბიკი და არა ხიდი!“

ეტლი უკვე გაღმა გასულიყო. ილია კი შუაგულ ხილზე შედგა და ქვევით, მორევში გადაიხედა. მტკვარს ორსართულა ხილის ჩრდილი, როგორც ორმაგი უღელი, ედო და ედო... წყალში ჩახედვა სიყრმიდანვე უყვარდა დურუჯის პირზე გაზრდილს, მერმე ალაზნის მღმერთებელს... რიონის ტრფიალს... თერგის მოიმედეს, არაგვის მეოცნებეს... მტკვრის დედად მიმჩნევს!

წყალში ბევრი რამის ანარეკლი ჩანს... დროის მსვლელობასაც აქ უფრო იგრძნობ! ხოლო აზრის თვალი თუ მძლავრად გიჭრის, ბევრ რამეს ნიშანდობლივ ამოიკითხავ!

...ნახირი ჩასულიყო ნაბირზე. წყალში ჩაწოლილი ბებრეკი კამეჩები დინჯად იცოხნებოდნენ... თავ-ყურწყარტილად სთვლემდნენ ბერ-ხარები... გრილოში დასიცხული ძროხები შეგროვილიყვენ, გაშუმებულად იდგნენ... მხოლოდ ერთ ბოჩოლას კული მაღლა ალაპივით შეემართა და ოკრობოკრო კუნტრუმით გარბოდა რიყეზე.

ნაბირის ბექობზე, კატა-ფშატას ძირში, მუხლებზე წამომდგარ გოგონას გაშლილი წიგნით თვალები მოეჩრდილა და მაღალ ხმაზე გაჰკიოდა:

— იპოვეე?!

— ვერაა! — გაღმიდან მოისმოდა ბიჭუნას უფრო ხმადაბალი პასუხი.

— ნეტავ რას ეძებენ? — აღმოხდა ნაამებ ილიას. — მტკვრის პირზეც,



მწყემსებთანაც გასულა წიგნი... ბარაქალა!.. ისე კი, ჰოი რამდენი რამ დავაფრუქე გული გვაქვს საპოვნელი?!.. მაგრამ ვინც ეძებს, ის თუ ზოულობს რასმე!

უეცრად რაღაც სხვა სამყაროს ძალუმი ფეთქვა და გუგუნნი შემოიჭრა მტკვრის სამყაროში. წუთიც და ხიდის მალა სართულზე მატარებელმა ქმენითა და ვიწვევით გადიგრილა... მისმა მოძრავემა ჩრდილმა მტკვრის ტანსაც დასახსრული ურჩხულივით გადაურბინა... კვამლისა და ორთქლის ბოლქვებში გახვია ხიდი... მაინც ქვედა სართული... ილიას ყურთანამენა წაუღო, შეაბრუა...

— აი ახალი ცხოვრება, როგორ მოდის! ახლა მარტო ანაბანა ან „თერგაღლეულობა“ როდი კმარა, რკინის მკვნეტელობაც უნდა ვისწავლოთ! ძველი ურდულების მტრევეაც! განახლების საქმეში სხვა ერებთან ერთად მეწინავედ სვლაც!.. არა თვლეთა ან ხიდის ქვედა სართულზე მკვრეტელად დგომა!

ეტლი შეღმართის თავში ელოდა ჩამორჩენილ მგზავრს. კოფოზე თავჩაქინდრული მეეტლე იჯდა. იაკობა-დარაჯი გზაზე იდგა, შერბულულ ცას გაჰყურებდა. ოლას დაკარგული ქუდის ნაცვლად მსუბუქი თავსაბურავი მოეხვია და ხელს უქნევდა ილიას... ცხენები თავ-ფაფრებსა და ძუებს იქნევდნენ... ყველაფერი ეს ათასჯერ ნანახს, მაგრამ მაინც სიზმარს ჰგავდა... შემოქმედის აზრი კი უხილავი გზებითა და ლანძვებით ვიდოდა, ბილულ სამყაროს თავის ნიშატს აძლევდა...

...„ეჰ, თუ გაასიზმრებ — ყველაფერი სიზმარია!.. თუ გაამასხრებ — ყველაფერი მასხრობაა!.. თუ გააცრემლებ — ყველაფერი სატირალია!“

ილიამ ისევე ეტლს მიატანა და, როდესაც ჩაჯდა, მაშინ უფრო იგრძნო, რომ დღეს „ყველაფერი გამღერებელი“ იყო. მტკვრის მარცხენა ნაპირის აღმართები როცა ალიეს. „გამღერებას“ სიტყვებიც აემარცვლა... სულ მალე ლექსის გარკვევაც კი შესაძლო გახდა!.. ახლა კი განციფრებაც მოეძალა მსცოვან მგოსანს... ვგონებ ლექსიც კი იცნო...

— გესმის? — ილიას დაოფლილ შუბლზე სურნელოვანი ცხვირსახოცი გადაუხვია ოლამ.

— განა შენც გესმის, ჩემო?..

გზა რომ გაივაცეს და ზედა-ველაზე გავიდნენ, დაინახეს... სახნავში გუთნეული ჩაებათ... სიმღერაც მათი ღვაწლი იყო...

ილია ახლა სულ გაფაციცდა... შორიახლოს მიაყოლებინა ეტლი. წამოეწია... ახლა გუთნეული და ილიას ეტლი ახლო-გასწვრივ ვიდოდნენ...

კვალი გრძელი იყო და გუთნისდემამ თავიდან შემოაბრუნა სიმღერა... ჯერ „გასვლა-გამოსვლა“ უსურვა გუთანს, მერმე ღირღიტას ბანი გამოსთხოვა სახნის-საკვეთის გასაწევად, რომ კაჭაქისათვის ძირი ეთხარა... მერმე კი ხალხურს — „ილიაური“ მოსდევდა...

...ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,

წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ...

ილია ისე ხარბად იჭერდა ყოველ სიტყვას, თითქოს პირველად სმენოდა თავისი ლექსი... და მართლაც პირველად სმენოდა გუთანში შემბმული... სხვის პირ-ვარამში შემძიმებული და მის შემოქმედთან, ხალხურთან ერთად გადასკვნილი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ მობრუნებული.

ილიას თვალის კილოში ამო ცრემლი ხორბალივით ამომარცვალდა. ეტლმა, ჯადოსნური ნიჭის ძალით, კიდევ ერთხელ განიცადა ფერისცვალება... ახლა გუთნეულად იქცა... თერთი ცხენები — ღვინია ხარებად და ზანგელა კამეჩე-



ბად... თავად ილია კი გუთნისდებდა... ხნულს კვალში ჩასდგომოდა, ლეტქსაწაღი სთხზავდა, ყამირს ხნავდა და იყო ეს ქართული მიწა და წიგნი!

მოსაბრუნებში მივიდა გუთნეულიცა და ილიას ეტლიც... გუთნური ჩათავდა და ყველანიც შედგნენ.

— ბარაქა თქვენ გუთნეულსა და ნაოფლარს! — გულიანად გადასძახა ილიამ. — შრომაც მაღლიანი გცოდნიათ და სიმღერაცა!

— ლმერთმა გიშველოს და გისმინოს! — გამოეპასუხა გუთნისდებდა... — დააყე, ბიჭო, საქონელი!.. დავასვენოთ!.. სახრის ტლამუნი ადვილია!

ილიამ ხელად კაუჭი გამოსდო სახენათელი მოხუცის სიტყვას... გუთნისდელას „სიბრძნის კბილი“ მოუსინჯა...

— ასეა, მოხუცო... ახლა ჩვენში მეხრეები უფრო არიან, ვიდრე გუთნისდედები!

— ეგ ხომ მუდამ ეგრე იყო, პატროსან-კაცო!.. შენ ეგა სთქვი, ახლა მეხრეები უფრო გადაიან ფონსა... გუთნისდედებსაც ერეკებიან!

— თუ ეგ იცი, ისიც გეცოდინება — რისგან არის?

— ჩვენ-ჩვენობა აღარა გვჭირს!.. სხვის-სხვისობაში კი მეხრე და მემათრახე უფრო ფასობს და ხარობს!

— რა ვქნა?.. შენ ის მოხევე ხომ არა ხარ? — ილია თავის ფიქრს უფრო შეეკითხა, ვიდრე გუთნისდელას. გლეხმა ოდნავ ცერად შეჰხვდა, თავისებურად მიუხვდა... აღარც შეეპუა ამ ჩაჭალარავებულ სახემადლიან კაცს...

— მოხევე?.. ჰოდა რადგანაც ეგეთი მოიარებითი სიტყვის პატრონი ყოფილხარ და აი, მანდ, მცხეთას რომ ქორი დაეცა დედალსა... აი სადაც ბუქი აღინა... სწორედ იქაური ვარ!.. ჩემზე უკეთ გეცოდინება!

ილიას ჩაელიმა. ამ ავჭალელმა გუთნისდედამ მის გულში უკვე კეთილი ხნული გაიკვალა და ოდესმე წიგნშიაც წარმოუდგება.

„აი დაძაბუნებული, ბუქადენილი სამშობლოს იმედი და ქირისუფალი!“ გაიფიქრა ილიამ და ერთხელ კიდევ შეათვალიერა მუხლებამდე მიწაში ჩამდგარი მოსაუბრე.

გუთნისდელას დაძარღვული ხელები გულზე დაეკრიფა, დედამიწას ჩაყუბრებდა, ხარბად იყნოსავდა ახალხნულის ოხშივარს...

— აბა, გვეყო... გაუძეხით, ბიჭებო! გააწევიწით!.. შეუძახეთ! — გუთნისდედამ ფამფალაკი გაუსწორა და გუთანი ახალ კვალში ჩააგდო.

— ავჭალელო კეთილ-კაცო!.. ჰოდა, რადგანაც შენ ეგეთი იგავ-არაკოსანი შემომხვდა... ბარემ წელანდელი გუთნური ერთიც ჩაიღლინეთ... ისიც მითხარ, სად გისწავლია, ან ვისი ნათქვამია?

უღლეულები ჩასწორდნენ კვალში. ჰაპანი თანდათან დაიჭიმა.

— ბალომა... შეილიშვილმა ამოიკითხა დედა-ენაშია... მე კი ჩემი ნათქვამი მგონია... — უცხად შედგა, ერთი მოჰხვდა ეტლსა და ცოტა შეფიქრიანებულნი ხმით განაგრძო: — რა ვქნა, შენ ილია ხომ არა ხარ?

— ჰოდა რომ ვიყო? — ბებრული გამოწვევით გაეპასუხა მხცოვანი...

— ჰოდა ყოფილხარ გუთნისდედა! აი ლექსი ხნავს! — ერთიც შეუძახა გუთნეულს და სახნის-საკვეთს გააჭრევინა... ხმაც ააყოლა... თითქოს ოდესმე გაწყვეტილი სიმღერა განაგრძო... მეორე მუხლიდან დაიწყო...

...შენებრ მეც შელის მიწა, ვით მსხვერპლსა,  
სიკვდილის შემდეგ დასაიწველსა...

მეხრეებმა ხელად აიტაცეს კილო და ხმაშეწყობილად განაგრძეს, ცხრა





ულღეულს გადააწვდინეს... ყველაზე ძირა ბანს კი კვალში გულასნისლი ახალნი  
ხნული დედაშია ამბობდა.

გუთნეულისა და ეტლის გზები თანდათან გაიყარნენ... მაგრამ გუთნის კი-  
ლო თან გაჰყვა ეტლს... თითქოს თვლები ქვევიდან, მიწის წიაღიდან ამოდო-  
და და პირველყოფილი ძალითა და ძრულთი ჟღერდა. ილია კი უსმენდა...  
უსმენდა და მიჰყვებოდა წიწამურის გზას... მიჰყვებოდა წიწამურის გზას და  
ახლა უკვე შინაგანი განცვიფრება ეუფლებოდა...

„მე ერთი ვერ გამიგია... ეს ჩემი სული მღერის, თუ ქართული გარემო?  
ესენი ჩემი გმირები არიან, თუ ქართველი, მრავალტანჯული ხალხის გმირები?  
ნუთუ ჩვენ ისე ვაზნებივით ვართ ურთიერთში გადახლართულნი, რომ საზღვა-  
რიც დაკარგულია? ეს მე ვარ, თუ ქართველი ხალხია?! ერთან განუყრელობის  
გრძნობა — უბედნიერესი გრძნობა ყოფილა!“

ზედა-ველას ბოლოში ფაციანთ ამომშრალი ხევი იწყებოდა. ირგვლივ  
თავმოუკრავი ძნებავით ჩაყვითლებული და ფხაშერეული მთები წამოიშობნენ.  
კლდეები და ფიქალები მოიბეს. მოშლილი ალაყადვით გასავალი ვიწრო ჩარ-  
ხოდ შემოადგა ილიას მხერას... მაგრამ მთის წვერზე, ჰაერის სიღრმეში... უეცარ  
გვირგვინად ჯვარის საყდარი ამოიძერწა.

ილია მუდამ გულის ჩქროლვით მოელოდა ამ წუთს და მუდამ მოულოდ-  
ნელად მოხდებოდა ხოლმე ეს სასწაული.

— აი ჩემი რწმენა და სატრფო! ჩემი ჯვარია, ისევე როგორც ჩემია ყვარ-  
ლის მთები, წიწამურის მიწა, საგურამოს კაკლები! — ილიას მეტად აღვზნებუ-  
ლად მოუვიდა ნათქვამი... კოფოზე მჯდარნიც კი შემობრუნდნენ. დაირცხინა  
ილიამ, დადუმდა, მაგრამ არ ჩაქრა. მცხეთის ჯვარი კი ჩამქრალ, ჩამოღვნილი  
კელატარავით გადმომდგარიყო და ყოველი მხრიდან ახალი სახითა და შინა-  
არსით ევლინებოდა შეყვარებულ მგოსანს... ხან დროისაგან გარუხებულ, ზღაპ-  
რულ ბროლის ციხის მსგავსი იყო... ხან აბჯარში ჩამჯდარ ბერ-მეომარს ედა-  
რებოდა... ხან ამაყი სულის მზეგაკრულ ალმად ენთო... ხან ქვაში ნათქვამ ქარ-  
თულ ლექსსა და საგალობელს გამოსახავდა.

მოსახვევში ურემს წამოეწივნენ. კოფოზე ბალი იჯდა. ბაძია მოზერებს  
ერეკებოდა... შიგადაშიგ სალამურს უფშვიტინებდა...

ურემზე კი ძველი ფარდაგი ეგო, ზედ მორთხმით შავოსანი დედაბერი იჯდა  
და კალთაში თითისტარს აბზრიალებდა, ძაფს ხეწავდა... ურმის ჩაზანყებისას  
თითისტარი ცოცხალივით შეხტებოდა, დედაბერი ორთავ ხელს სტაცებდა და  
ისევ განაგრძობდა ხეწვას...

ეტლის ჩავლისას ბიჭმა სალამურს უტია და ხარები გაფაციცებით მიაცენა.

— გამარჯობა, ბიჭო... საით ამგზავრებულხარ? — შეეკითხა ილია.

ბიჭი დაიბნა, პასუხიც ვეღარ მოახერხა.

— ღმერთმა მშვილობა მოგცეთ! — წამოხმინდა დედაბერი... — უთხარ,  
ბიჭო! ეგენიც აღამიან-ქართველები ყოფილან...

— აი იქა... სამოხროშია... დედათა მონასტერში... დიდდა მიმყავს... —  
სალამური გამოხეულ შარვლის ჯიბეში ჩაიღო და გასწრებულ თეთრონებს შუ-  
რის თვალით გადაჰხედა.

ილიამ შეაჩერებინა ეტლი.

— რაო, რაო?... დედათა მონასტერში, დიდდა?

— დიახ, ბატონო... ეგერ გახლავს! — ოდნავ შემოტრიალდა შავოსანი. —  
ნეტავ თუ მიმიკედლებენ გაბეცებულსა და ჟამზე გადასულს?... მხოლოდ ღმერ-  
თისა და სიკვდილის მოიმედეს!



ოღამ ილიაზე ადრე იგარძო დედაბრის ხეობობა, ხელჩანთაში ვერცხლი მოიხჩრია... ჩანს, ჩხრიალი მისწვდა შავოსანის ყურს...

— მაგას ნუ ინებებთ... სამადლოდ დარჩენა რომ მდომოდა, ჩემ ნაშენ-ნამრავლში დავდგებოდი! განა უშვილიძრო და ლუკმაგამოწყვეტილი გახლავართ! ილიას გულში მოხვდა დედაბრის ნათქვამი, განსაკუთრებით თავისი „უშვილიძრობა“ ეტკინა...

— ამაყი ყოფილხარ... ამბარტავანი!

— არა, დედა-უვილობასა!.. მანამ შემეძლო, არც გულისპირი დამისვენებია, არც მკლავი... ახლა უმაქნისი გავხდი და აბა სოფელში და თუჯანში რაღა გამაჩერებდა?

— ვინ ხარ ასეთი, დედი... სახელი მაინც მითხარ?

— ერთი ქართველი დედაკაცი ვარ, ათასჯერ ნარბევი და ნატანჯი... ამ მცხეთის მიწაშია ჩემისთანა რამდენია... ვინ მოსთვალოს?.. ზედ ამოსული თავთავიც ვერ მიუდგეს სათვალავშია!.. ჩემ დამდგარ თვალსა და ყურს აბა მთელ საქართველოს რას გადაეაწვედენ... მაგრამ აი ამ ჯვარისა და სვეტიცხოვლის მოსაბრუნებში ორი სახელოვანი კაცის სახელი მსმენია... და იმათსას კი მოგახსენებთ... თუ გესურვებთ?

— მაინც ვინა, დედი? — შეფრფენით შეეკითხა უფრო გაკვირვებული მწერალი.

— არსენა და ილია! ერთი ღალატით... ისევ ქართველის ნასროლმა ტყვიამ გამოასალმა წუთისოფელს...

— მეორე კი?.. — გულშეძრულად შეეკითხა მოხუცი მგოსანი და დედაბრის ხელში მბრუნავ თითისტარს ისე დააკვირდა, თითქოს ამ თითისტარზე ეხვეოდა მისი ბედი და მომავალი.

— მეორე კი... მადლი გამჩენსა... ცოცხალია!.. მრავალი წელ-დღე შეემართოს ჩვენი უპატრონო მიწის ჰირისუფლად გაჩენილს!

ილიამ უღვაშებში გაბარული ღიმილი კუმტად მოიოკა... ათასი ფიქრი მორიელის ბუდესავით წამოუშალა ამ საოცარმა დედაბერმა...

„ჰოი, რამდენი დამჩენია დაუწერავი?.. ამოუწერავი სიბრძნე ყოფილა ხალხი! აი სად არის ყოველი სიმაართლის ძირი!“ დედაბერს მოწიწების თვალით შეჰხედა და როგორც თავის ბედის უფალს, მნიშვნელოვნად შეეკითხა:

— მაშ შენ ჰეჭობ — ქართველი კაცი არ ესერის ილიას!?

„არას“ მოელოდა, თითქმის დარწმუნებული იყო... აბა რად უნდა ესროლოს? რას ემართლებათ?.. დაუცადელ შრომასა და ღვაწლსა?.. დარდსა და მადლსა? თავდაწერასა და ზედ გადაგებას?..

დედაკაცმა თითისტარი კალთაში წამოაქცია, ბეცი თვალებით შემოჰხედა:

— ვინ იცის... ქვეყანა ჰრელია.

ილიას უნებურად დაეშვა ეტლის კოფოზე დადებული ხელი. სახეგამოუჩენმა, წინწახრილმა მეეტლემ იდროვა და შოლტი უსუსხა ცხენებს.

ისევ ამღერდნენ ქართულ გზაზე ეტლის ბორბლები... მაგრამ ილიას ხიწვად მოესმა რაღაც ახალი ხმა... თითქოს რეჩხი... დროჩაგდებით, აბეზარად აყდერებული. ბოლოს მიხვდა — ერთ-ერთ ცხენს ნალი შესძროდა და მისი უსიამო ხმა თან აჰყვა სავალს.

მცხეთის ჯვარი უკვე თავზე გადმომდგარიყო... მაგრამ ილიას თვალში ახლა იგი ათასჯერ ნარბევ და გაქვავებულ დედაბერს ჰგავდა... რომელიც უკვალოს შეჰკედლებია და თავის კალთაში აბზრიალებს დროის თითისტარს.

მშობლიური გარემო მაინც სავსე იყო ნუგეშით.



არაგვის ჩქედმა და ვერცხლმა ახლა აქეთ მისხლიტა ილიას გულსაც და მისი გულსაც... „რა სარცარია ადამიანის თვალი!.. დანახვა კიდევ არ ნიშნავს შემხედვას! აი არაგვს გაღმა — მცხეთაა, მაგრამ აზრი არ მიჰყვება თვალს... არაგვს მისდევს აღმა და უეცრად მისი ატეხილი ჭალები, კლდოვანი მუხლები თუ ირგვლივი ქედები თითქოს გამჟვინვალენი ხდებიან... ხატოვანი ფიქრის ნაყურის სიტყვის ჯაგარშიაც ჩამოდგება და უხმო ჩურჩულში ჰპოვებს სავალს... თერგდალეულს მეძახიან, ხოლო მე არაგვის წყალი უფრო მისვამს...

...შენ ზვირთებს შორის ჩემი ქვეყნისა  
გრძელი მოთხრობა დამარხულია!

ილია ახლა ყველაფერს ჩრდილში თუ „აჩრდილში“ გაციოლად ჰხედდა... მყინვარსაც, ბეთლემსაც, შეიდფერ ცისარტყელასაც, დიდებულად აღმობრწყინებულ მწესაც და მთელ „დანგრეულ მამულსაც“... და ისევ უხმოდ აჩურჩულდა გულგამპირახი ილია: „ნახევარ საუუენუზე მეტია, ვეძებდი „გმირს“, რომელიც დანგრეულ „დიდ მამულს“ საიმედო შევებას მისცემდა... და ბოლოს მივხვდი, რომ ეს გმირი — ჩვენი ყველაზე უფრო დაბეჩავებული და უუფლებო ხალხი ყოფილა! ის ხალხი, რომელმაც ყველაზე მეტი ჩაგვრა და რბევა განიცადა და მანც ყველაზე გამბანია, ზნემაღალი და უშრეტი სიცოცხლით სავსე!.. თურმე თევზი და ერი ერთნაირად თავიდან ფუჭდება!“... და ილიამ თავისი თანამედროვე შავრაზმული წნეხი მოიგონა... ბნელი, აღმრევი ხელი... მას აყოლილი ნაძირალნი და თავადობა...

„საოცარი კია ჩვენი ბედი... ერთ ტაფაში ვიწვით, ხსნა და ძალა ჩვენს ერთობაშია... ესეც ვიცით, ვგრძნობთ... ხოლო შავმრუდელ შებრუნებული ცხოვრება კი ყველას და ყველგან გვითმავს და გავემებულ ყოჩებივით ბეწვის ხილზე ურთიერთს გვაჯახებს... შუბლსა და საბრძოლო რქებს ჩვენვე გვამტვრევინებს! ძველ-ქართველური სიამაყე დახეულ ნაბადივით შემოგვრჩენია... დანარჩენი კი სანთლით საძებარი გვაქვს... არა, უგმირობა კი არა გვჭირს — თავად მარტოხელა გმირს... ცალკე მოკრიბაქულეს... ყავლი გაუფიდა... ძალა და მომავალი ხალხშია... მომწიფდება, აღდგება ხალხი... მაცოცხლებელ ნიაღვრით გადარცხავს ქვეყნის სიმყაყეს!.. ნეტავ მე თუ ვიცოცხლებ ამ დღემდე?.. მინდა კია... ჰოი, რა რიგ მინდა!“

ეტლმა დინჯად მავალ ურმებს გაუსწრო. სადღაც ადრეული რთველი დაეწყით. ამოლასტული ურმები ყურძნით იყო სავსე. გზაზე ტბილ-ნაყური კვალი რჩებოდა. ურმებმა არაგვის ფონისაკენ ჩაუხვიეს. „ადრეული ჯიშია თუ სიღარიბის ნიშანია?“ ილიამ თვალი რომ გააყოლა, ხარ-ურმები, ყურძენი, მტკვარ-არაგვი და სვეტიცხოველი ერთ თვალის კილოში მოექცნენ და თითქოს მთელი საქართველო გამოუხატეს.

...რალაც საოცარმა ზმუილმა შემოაბრუნა. ეტლი უკვე არაგვის პირზე, მცხეთის გამოღმა, ბან-დაბალა დუქნებს გაუსწორდა. იქვე ნალბანდები იყვნენ... ერთგან ხარი წამოექციათ, თავი მოეღრიცათ, ფეხები ხარისხაზე გაეკრათ და სკედავდნენ. ხარი ხმადაკარგულად, ჰარაქათგაცილიად ზმოდა.

ისევ პირი იბრუნა ილიამ... ახლა სხალტბის ქედისაკენ გაიხედა... არაგვის პირამდე ჩამოაყოლა მზერა... იქ ჩამონგრეული ბებრის ციხე ჰმუნვის აბჯარში ჩამჯდარიყო და გარინდებული ჩრდილი მოცვეთილ ხმალივით დაშვებოდა დედამიწაზე, არაგვის ფონში კი ყურძნით დატვირთული ურმები გადიოდნენ. ნიავე არაგვისა და არაგველების სიმღერას მოაცოროვებდა...



...წუთისოფელი ესეა...  
 ღამე დღეს უთენებია...  
 რაც მტრობას დაუტყვევია,  
 სიყვარულს უშენებია...

... და კიდევ ვერ გაერკვა მოხუცი მოსიყვარულე, ეს მისი ნათქვამი ლექსი იყო ხალხში გასული, თუ პირიქით — ხალხიდან მოსული და მის ნაწერებში დამკვიდრებული?!

მალე სამენახირო ქედის გამოშიშვლებული ღარტაფები გამოეხიზნენ სამხერს. ილია მტკაველ-მტკაველ იცნობდა აქაურობას. მუდამ მცდელი ფიქრი და თვალი კიდევ ერთხელ ცხრილავდა გარემოს... აი საქოთნიაანი... იქ ძველთაძველი ნასოფლარებია... საერთოდ ნასოფლარები, ნაქალაქრები, ნასაყდრალეები, ნაფუძვარები, ნაბაზრალეები იმდენია საქართველოში, რომ დიდზე დიდი ერის ისტორიასაც ყველა ხარვეზს ამოუვსებდა.

მალე წიწამურის კაკლების გუმბათები გამოჩნდა და წამოიხარდა... გზის შეღმარებებში ვერხვები შემოიარდა. ვენახებიც გამოშუქდა. შეყვითლებულ ფოთლებში მტევნები სავსე ჯიქნებივით ეკიდა... ჰაერში ბადაგასა და წინგოს სუნი ტრიალებდა... საამურად უღიტინებდა ილიას ნესტოებს. ფიქრები და ფუტკრები კი ერთ ხმაზე ზუზუნებდნენ.

„ჩვენ ორი რამ მივეციტ კაცობრიობას... ყველაზე მტკიცე და ყველაზე აღმაფრთოვანებელი — რჩინა და ლეინო!.. და მე ვფიქრობ, ქართულ ხასიათში ორივე დაგვრჩა!“

სოფლის ძაღლები დაედგნენ ეტლს. თავჩაქინდრულმა მეეტლემ მათრახი გამეტებით უსუსხა ერთ-ერთს... ძაღლი საოცარი წკავწკავეით მიასკდა ღობის ძირს და სიმწრისაგან ყმუილიც ააყოლა...

— რას ერჩოდი, უგნურო!.. შენ დღეს რა ბოლმიანად ხარ?.. ერთი სახე არ გიჩვენებია! — ილიას ფიქრმა სიღრმე და ტბილ-კვალი დაჰკარგა. ახლომახლოში მოიხედა. სოფლის გზაზე რუდან გადმოვარდნილი წყალი დიოდა. ეტლის ბორბლებს ნაშხევები ძეწკვებად ჰყვებოდა, მზეზე ნაპერწკლებად ელავდა და ჰქრებოდა. ორღობის ძირში ბებერი, ბუსუსამოსული ჭინჭარი სჩხილავდა...

პო-პო, რამდენი ჭუჭყი და ჭინჭარია ცხოვრებაში! რა დიდი ბუნება და სიკეთე უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ცხოვრების ბოლომდე ეყოს! რა დიდი ღვაწლის დადება ჰმართებს ყოველ ჩვენგანს, რომ ღირსეული სახელი დაიმკვიდროს!

გარეგნულად თითქოს უმიზეზოდ, ილიამ კვლავ თანაყოლილ კილოს მიაპყრო ყური... სხვაობაც შეამჩნია... შერყეული ნალი აღარ ხმინობდა... ამან ფრიად ააღელვა:

„ასძერა?!.. დაიკარგა?!“ და ფიქრმა ერთხელ კიდევ გააკეთა ნახტომი... თავისი თავი, გატეხილი ნალივით, მესამე პირში მოიქცია... „ქვეყანა ჭრელია, მაგრამ... ილიას არ ესვრის ქართველი კაცი!.. და განა ვინ სთქვა, ესვრისო? რათ უნდა ესროლოს?.. ან რას უნდა ემართლებოდეს? ვინც არ უნდა იყოს იგი... ნაძირალა თუ თავზე და სამშობლოზე ხელაღებული! ვილაყას რადაცა მოუჩმახია, ჭორი გაუშვია... წყალი აუმიღრევია... უწმაწური მუქარა შემოუთვლია... უსახელო წერილებიც კი დაუჯღაბნია... მაგრამ ჰავჰავაძინან გვარს მოშიშარობა არასოდეს არ ახასიათებდა... არც ილიაა მხდალი!.. და მერმე ვინგინდარების... ან იმ დედაბრის სიტყვით რომ ვთქვათ, „ჭრელ“ ქვეყნის შიშით ალალ-მართალი თავი ვის მოუკლავს? ან ნაყოფიერ და უღარესად საჭირო შრომაზე ხელი ვის აუღია?





პირიქით, უფრო მეტი, უფრო მუყაითი შრომაა საჭირო, რომ ქვეყნის „სტერეოტიპული“ დაიწმინდოს, თორემ სულ აიძვრება!“

წიწამურის ბოლოში დღეჯანი იდგა, ცოტა ქვევით კი წყარო გადმოდიოდა ფლატეს ძირიდან. ეს წყარო მეტად უყვარდა ილიას. აქ მუდამ შეისვენებდა ხოლმე, თვალსაც დააღვეინებდა წყალს, თავდაც დაღვედა... არც ცხენებს დაივიწყებდა... სოფელში ამ წყაროს ილიას წყაროს ეძახდნენ...

მეექვსე გააჩერა ცხენები და კოფოიდან ჩამოვიდა. დარაჯიც ჩამოხტა.

— იაკობ, აბა ერთი დღეჯანი ნახე... ჩვენი მოურავი იქ ხომ არ გველოდება? — მსახური გაგზავნა, თავად კი სამგზავრო ჭიქა მოიმარჯვა, ეტლიდან მძიმედ გადმოვიდა, თავის ხელით აავსო და ეტლში ოლღას მიაწოდა. ქალს არ სწყუროდა, მაგრამ იცოდა — თავის ილიკოს აამებდა, გამოართვა და სვენებ-სვენებით შესვა.

ილიამაც ეს ყოველივე კარგად იცოდა... დიდი ხანია ტყუპი თხილივით ერთმანეთის გული-გულში ცხოვრობდნენ... ცარიელი ჭიქა შორსფიქრიანად გამოართვა და ისევ ღარს მიაშურა.

... დიდი ხანია აივსო ჭიქა. წყალი ზედ გადმოდის... ილია კი თავწასულად ჰფიქრობს: „მე არ ვიქნები და ეს წყარო კი ძველებურად იდენს ამ ჩემ დაღებულ ღარზე... მე ვეღარ ვიშრომებ, ვეღარ ვიოცნებებ... ვერც ვიდარდებ... ეს კი იდენს, იელურტულებს... მადლს მოიკიდებს... წუთისოფლის სხვა მგზავრებს მოუკლავს წყურბილს!.. ჩვენი გვარი ოდესმე ხევსურეთიდან არის ჩამოსული... ჰოდა, იქ მიცვალბულთა სულის სადგომად წყაროს მიიჩნევენ... ეჰ, რომ ვიცოდე — ეს წყარო ჩემს სახელზე სულის საოხად იდენს...“

იაკობი მოეახლა:

— არ გახლავთ, ბატონო, ჯამი-მოურავი!

ჯამის ხსენებაზე ილიას წარმოუდგა პატარა ტანის, შეესახოვანი, ყურბანჯგვლიანი და თვალმძიმე მოურავი. არ იამა... თითქოს რაღაც ქლესა და ციხისაიანი ქვეწარმავალს შეახო ხელი... წყალი გადაღვარა, ხელები დაიბანა და ისევ შეავსო ჭიქა... „არა, მაინც რატომ არ შემხვდა?.. კარგად იცოდა ჩემი წამოსვლა!“

— თედო, რატომ არ გვეახლა მოურავი? — შეეკითხა მეეტლეს.

— აბა მე... რა მოგახსენოთ?! — თვალგაუმართავად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა ლაბაურმა და ხეცს გაღმა გორაკისაკენ გაიხედა... იქ თითქოს ვიღაც დაინახა, სულ მოიკუნტა და ცხენებს მიაშურა.

— რა იყო?.. მოდის ვინმე? — შეეკითხა ილია.

— არა, არა... არავინ, ბატონო! — შიშნაკრავი დაბეჯითებით უპასუხა ლაბაურმა.

ილიამ წყალი მოსვა და უამური საუბარი გულ-ხასიათიდან თითქოს გადინა. გაახსენდა — შინ ნათესავი ჰყავდა სტუმრად, ალბათ სხვა სტუმრებიც ამოვიდოდნენ... ეტლში ჩადებულ ყვარულ წითლით სავსე ტიქსა და ბოთლებს გადაჰხედა...

— იაკობ! საგურამოში მისვლისთანავე ჩააცივე წყაროში...

— ბატონი ბრძანდებით! — უმთავარსიტყვოდ მიუხედა ერთგული.

ილიამ კი თავის კაკლის ძირი, თავის ვერხვები, თავის ცაცხვები ცოცხლებივით წარმოიდგინა... აი ამ ხეცსაც გადივლის, ცოტასაც წააგდებს მანძილს და თვალს აწვდენს.

„ჩემი ხეები იზრდება და მაგრდება, მე კი ვხუცდები და ვუძღურდები... და რაც უფრო ვბერდები, სულ უფრო და უფრო მიყვარს სიცოცხლე, მთელი ჩვენი



მამული, ეს მიდამო და მისი ბედშავი ხალხი... ვგონებ თვით სიკვდილსაც იმერეთში უფრო ვეკრძალვი, რომ ამათ ვეღარ ვიხილავ... ვეღარაში გამოვადგები!“

ილიამ წყაროსთან გაიარა-გამოიარა. მიუხედავად იმისა, რომ ოღლა ელოდა, მაინც არ ჩქარობდა. ცხენებსაც წყალი დიდი ხანია დაელიათ, ახლა ტყემლის ჩრდილში თავწახრილად ფრუტუნებდნენ.

ილია ჩამოჯდა ქვაზე და წყალი ახლა ორთავ პეშვით აიღო, შიგ სარკესავით ჩაიხედა... „აბა რა დროს სიკვდილია?...“ მონიუგეშა გული... „ჯერ რამდენია საოფლე და ალბათ სადაგიც!..“ და სახელდახელოდ ხატოვანი თქმაც კი გამოუნახა ნათქვამი:

„მე ხევს გამოღმა ვარ, სიკვდილი კი ხევს გაღმა!.. შუაში კი რამდენია საკალი!.. თავმოსაბმელი საერო და საერთო საქმე!..“

... ან, საგურამოში საწერ მაგიდაზე უდევს ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას დაწყებული „გამონაცადი და გამონათქვამი“, მაგრამ მაშინ ვერ დასწერა... არც ერთი ჰქონდა, არც მეორე... ახლა კი, ცხოვრების დაბრძენების ხანაში, მეშვიდე ათეულის მიჯნაზე, დასწერს... უსათუოდ დასწერს... ეს ანდერძისდაგვარი რამე იქნება... სიტყვა იმ ყრმათა მიმართ, რომლებიც ჯერ არც დაბადებულან...

„მე ჩრდილოეთი და დასავლეთი მომივლია, მაგრამ წიწმანურის წყაროს ერთი პეშვი უფრო მეტ სალბუნსა მგვრის. რა ვქნა, ასეთი ვარ!.. ამ წყაროსთან ლოცვასავით მითქვამს... ღმერთების უკვდავება იქნებ წყაროში და ყოველ სტიქიონშია... ჩვენი — ადამიანებისა — კი ოფლში და სახელში... კიდევ ერთიც — ღირსეულ შთამომავლობაში!.. ყოველ თაობას აქვს უმთავრესი თავსატეხი გადასაწყვეტი... ჩვენმა თაობამ ვერ შეასრულა თავისი ვალი ერის წინაშე... მომავალ თაობებს გადმოგილოცათ... ესეც იცოდეთ, რომ არა ცხოვრების უსაგნო მჭკრეტელობა და ვიწვეში არის საჭირო, არამედ გუთნისდებობა და მკლავების დაკაპიწება! ჩვენი ისტორია მეფეებისა და გმირების ისტორიაა... ჩვენ კი ვვიფიქრია — ქეშმარიტი გმირი მხოლოდ ხალხია!.. მაგრამ არა უსახო და დაქაქსული, არამედ ზნემაღალი და თვითშეცნობილი ხალხი... ხოლო შინაგანი სიბრძნე და პირისწყალი თუ ამოუთავდა ხალხს, მაშინ ამომშრალ ჭას ემსგავსება და შიგ გველ-ბაყაყი ადვილად ბუდობს. ჩვენ საქმეს კი სწორედ სიბრძნე დააკლდა და ყოვლად საოცარი უმეცრება და სიცრუე გვძალავს... ჩვენ ვეცრუებით ჩვენს თავსა და ჩვენს სამშობლოს... ჩვენს ხალხსა და ჩვენს დიდებულ მიწას... ჩვენში ჭკუა ვეღარ ჭკუობს და გული ვეღარ გულობს!.. არა ჩატეხილი ხიდი — თავზე დაქცეული სახლი გვაქვს საფიქრი და საზრუნავი!.. ქულზე კაცი — შთავარ საქმეში! გაისარჯენით და გამარჯვებს გზა მიეცით!.. აი ჩემი ძახილი...“

— ილიკო! არც მოურავი ჩანს... გვაგვიანდება კიდევაც... ხედავ, როგორ მოიღრუბლა?! იქნებ წავიდეთ, თუ არ გეწყინება?!.. რაღაც მაწუხებს... — წყნარად, მაგრამ შინაგანი ღელვით უთხრა ოღამ.

ილია შემობრუნდა:

— მეც მაწუხებს რაღაც... ბევრი რაღაც... უშველებელი რაღაც... აი მიყალთ და დავწერ... — მიაშიტად, თითქმის ბალღურად გაუღიმა და თვალების ჭუტცივით დასძინა: — აი ნახავ! აი ნახავ!.. „თავდადებული თაობა“... „იმედი მომავლისა“... ან რამ ასეთი... აი სულ ამ წყაროს ბრალია... ამ გზისა... ყურთამდელია მაქვს გულის კარი! — და წედანდელი ჰანგი ისევ მოეძალა შეოცნებებულ შემოქმედს. ახლა, გუთნისდედის სიმღერის გარდა, დედამბრის თითისტარის ტრიალიც ისმოდა, ნაცემი ძაღლის ყმუილიც და წყაროს რაკრაკიც. ილიამ ეტლს



მიაშურა... ცხრად მოხრილი მეეტლე უკვე კოფოზე იჯდა და მოუსვენებლად აბორჯებდა...

- რას იბრძობ, კაცო? ცოდვა ხომ არ ჩაგიდენია რამე? ლაბაურს მათრახივით ესუსხა ილიას ნათქვამი...
- მე არაფერი... არაფერი არ ვიცი...
- მე ვგრძნობ, შენ რაღაც მართლაც იცი და მალავ!.. ჰო, კარგი. შინ ხომ მივალთ?

ილია მძიმედ ჩაჯდა ეტლში და იგრძნო, რომ კიდევ ერთი საამო „წყაროს წუთი“ ზურგს უკან დარჩა. მეუღლემ გახურებულ შუბლზე და საფეთქლებზე კიდევ ერთხელ გადაუსვა სურნელოვანი ცხვირსახოცი, ოფლის წინწყლები ისე შეუმშრალა, არც ერთი შემოქმედი ფიქრის ნაოჭი არ გადუშლია... თანადგომა და სიფაქიზე უგრძნოდ აგრძნობინა. ილიას ნაფიქრს ერთი ფიქრის ლანძვი კიდევ დაედო...

„საოცარია მოსიყვარულე გულის გუმანი — არაფერი არ დაუნახავს და ყველაფერს მიხვდა, არაფერი არ მოუსმენია და ყველაფერი უსიტყვოდ გაიგო!“

ეტლი დაღმართზე არიხინდა, ხოლო ხევისძირა მოსახვევში აპრიალდა კიდეც.

- რატომ არ გაგიბოხავს, კაცო?
- აბა რით გავბოხო... რითა?
- რა ჩიტის რძე ან კურდღლის სისხლი მაგას სჭიროდა?.. ყოველ მენავეთსთან არის მაგის საბოხავი...

— სისხლიო?!.. აბა სადა?! — დაფეთებულად თვალი გზისაქენ აცეცა მეეტლემ... მერმე მიხვდა, რომ ისევ დაბნეული სიტყვა მოუვიდა და ჯავრი ცხენებზე იყარა, მათრახი უსუსხა... აღმართზე ააჭენა...

...ირგვლივ კი წიწამურის გზის ყოველ ქვასა და ხეს, ხევსა და გორაკს, მკალსა და ქიჭინობელს თავისი კილო გამოეღო... ხან ლაღი, ხან დარდიანი... ილია კი უსმენდა... უსმენდა... გულის სიღრმეში ჩუმი, ხანდახან ხმაშეცილებული ლილინით ჰჰასუსხობდა... აი ცოტაცა და ამ ჯავიან ტყის ოდრიკალსაც გადაივლის, მერმე კი მისი „მწვანე სამოთხეა“!.. ახლო აღმართზე დაქვეითდება, აქ ფეხით ასვლა უყვარს... წყაროსთან, თავის კაკლის ჩრდილში, სასტუმრო ლურჯ სუფრას ჭაშმლევიანებს... თავად კიბეზე ავა... ჯერ კედელზე ჩამოკიდებულ დიდი წინაპრების სურათებს მოინახულებს, მერმე კი აივანზე გავა და უმთავრესსა და უღამაზესს სურათს — თვის ქვეყანას გადაჰხედავს... საარავოს, მუხრანის მინდორ-ველს... ქსნის მხარესაც უწვდენს თვალს... ერწოს არეგარეს... კავკასიონის მწვერვალსაც კი ყველას თვალ-უბიანად ჩაეხვევა, მოუალერესებს...

...უეცრად ზემო ბუჩქნარიდან გადმომდგარ შეიარაღებულ ჯგუფს მოჰკრა თვალი. ისიც იგრძნო — მეეტლემ სადავეები მოუწურა ცხენებს...

- ჯგუფადან ერთ-ერთი გადმოხტა გზაზე...
- დაყე! დაყე! — გავარდა ხრინწიანი მუქარა.

— გარეკე! — მეეტლეს შეუძახა წინ წამოწეულმა ილიამ... მაგრამ გზაზე გადმომხტარმა გადაუსწრო ეტლს და შეფეთებულ ცხენებს ხელი აუჭინა... თოფიც მოისწორა. სხვებიც ტურებივით შემოესივნენ ეტლს.

ილიას მოეჩვენა, რომ თოფი შეკვივლებულ ოლღას მიემიზნა... უმაღლეს მოვარდა, მთელი ტანივით გადაეფარა თავის მეუღლეს და მომხვედრთ საოცარი სიღინჯით გადასძახა:

- რას სჩადო... უგნურებო!.. მე — ილია ვარ!!





...ერთი წუთით ყველა გაშეშდა... ხელაღმართული ილია... თოფმოდერებულ  
 ღი მომხდურნი... კოფოდან გადმომხდარი მეეტლე და დარაჯი... ეტლის სასურ-  
 გეზე მისვენებული ოლღა... ირგვლივ ჯაგნარი და ერთიანად საწიწამურო...

ილიამ იაზრა, რომ მის წინაშე ქართველები არიან, მაგრამ არა ის სახენ-  
 თელი, ღია ღიმილის ხალხი, არამედ შავშუბლიანი, ხიწვიანი ჭრელ-ქართველე-  
 ბი, და მათ უკან კიდევ დიდი, ბრჭალებიანი, აფეთთავალილი შავი ჩრდილია...  
 და მაინც: „არ მესვრიან! ისევე როგორც არ ესვრიან გუთნისდელას! სხვა თუ  
 აღარა — ღვიძლი მაინც შერჩებოდათ!“

...მერმე სადღაც გზაზე თუ ჩაშაგებულ ღრუბლებში იელვა და იქუხა...  
 ახლა კი ყველაფერი შეტორტმანდა და ამოძრავდა... ხოლო ილიამ გულში თა-  
 ვის სამშობლოს სიყვარულზე უფრო მხურვალე რამ ნაძგერი იგრძნო... სრულ-  
 ყოფამდე აღწეულმა ხილვამ წამით ქართული მიწის ყველა შეურაცხყოფა,  
 რბევა-წამება ერთ სახეში — გატეხილი ვაზის ჯვარში წარმოუჩვენა და გაწამე-  
 ბულ მიწაზე დამხობის ყოვლად შეუქავები სურვილი უშვა...

...აი, მკერდით გადაეფარება მშობლიურ მიწას... მისთვის განკუთვნილ ვე-  
 რაგულ ტყვიას თავად მიიღებს... თავის გულიდან დადენილ სისხლს ძველი  
 ივერის იარებს მალამოდ დასცხებს... ოღონდ მოუშუშოს... მომავლის შეგნება  
 და ძალა მისცეს, სწორი გზა და იმედი დაუსახოს... თავად კი განუყრელად მას-  
 თან იქნება ყოველ ახალ ხნულში, ახალ წიგნში, ახალ აგურში... ერისა და ხალ-  
 ხის ბრძოლაში, შრომაში თუ ზეიმში... განუყრელობის გრძნობა ხომ გამარჯვე-  
 ბისა და უკვდავების საფუძველია, საწინდარია!..

...აი, გალობს მეწამული გზა... სივრცეში მიჰქრის თეთრონები... ტოტებს  
 აშრიალებს საგურამოს კაკალი, ზანზარებს ყვარლის ციხე-სადგომი, ჩრდილის  
 ბადეში გასუდრულა ტფილის-ქალაქი... ჰკვიან და ივედრებიან დაუმთავრე-  
 ბელი ხელნაწერები, უთქმელი სახეები, გაწყვეტილი აზრები, გულგანგმირული  
 ქართული ოცნებები და ზრახვები...

ხევს გაღმა კი სდის და უკვდავების ამბავს ჩურჩულებს ილიას წყარო, მისი  
 ფიქრების უკანასკნელი მესაიდუმლე. ირგვლივ იწვის და ვერც იწვის წიწამუ-  
 რის გაწამებული მიწა.





## თეიმურაზ ჯანგელაშვილი

### ილიას ხილვა დარიალში

ო, ალბათ ახლა მზე თამაშობს ყვარლის გორებზე,  
მყინვარწვერს მკერდზე სქელი ნისლი შემოსწოლია...  
ეს დარიალი — ასე ვიწრო, ასე გოროზი —  
უკვდავებაში შესასვლელი კარი მგონია.

ამ დიდ კარებში დგას ილია თვალნაშუქარი —  
ჩემი სამშობლოს მომავალი ტვინი და გული,  
იმ გულს ძარღვებში სისხლად უჩქეფს თერგი მქუხარი,  
ამ სისხლით უნდა წარუხიცოს ქვეყანას წყლული.

ოთხი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა  
და უკვე ბრძენი ახალგაზრდა ხედება დარიალს,  
სულში წყურვილი ტალღასავით დაბრუნებულა, —  
დასწვდა ილია,

თერგის მღვრიე წყალი დალია.

თერგი დალია.

დანისლულ მთებს სუნთქვა შეუტრავთ,  
ეჰ, თუ მაშინაც ამნაირი იდგა დარები...

თერგი დალია და დარიალს ეტლით შეუყვია...

— ჩამოდი!

ფეხით გაიარე!

გემუდარები...

— ჩამოდი!

ისმის დარიალის ბუბუნნი მკვეთრი,

— ჩამოდი!

დაღმა მიღრიალებს თერგი მშფოთვარე,

— ცხენშებმულ ეტლში არ წაგეკცეს სიცოცხლის ეტლი,  
შენი მაძულის განახლების ახალმოთავეც...


წიწამურისკენ ჩაგატაროს მაგ ეტლმა იქნებ,  
ნუ გინდა ეტლი... ფეხით ჩაჰყევ მშობლიურ არაგვს!

... არ მისმენს,  
    მაინც მიჰქრის ეტლი,  
                    მე ვრჩები იქვე  
და ჩემს გულისწვას საზღვარი არ აქვს.

... და დღეს ლექსივით იკითხება ბრძენკაცის კვალი,  
ცას წვდება რეკვა უკვდავების ზართა ძლიერთა;  
როცა ილიამ შეანათა ამ კლდეებს თვალი,  
ასე მგონია, დარიალი გაგანიერდა.

18 სექტემბერი, დარიალი.





„საუკუნო. საბჭალი“

ნახატი ჯემალ როლოუასი



გიორგი შავგუაშვილი

# საყკუნო სუკზალი

ცენზურიდან „ივერიის“ ახალი ნომრის დაგვიანება კარგს არაფერს მოასწავებდა. რედაქციაში ყველა ღელავდა, ღელავდა თავისებურად... იაკობ მანსვეტაშვილი თავჩაქინდრული იჯდა თავის მაგიდასთან და ხანდახან ქვეშ-ქვეშ თუ გახედავდა კარს. მას თავის დამცირებად მიაჩნდა წუთიერი გრძნობის გამოქვავება, ქვის კაცივით სდუმდა. სდუმდნენ სხვა თანამშრომლებიც. ისინიც ხან ქუჩიდან შემოსასვლელს გახედავდნენ, ხან რედაქტორის კაბინეთის დახშულ კარს.

მხოლოდ მორგევით ჩაფსკენილი, მაგრამ საოცრად მოძრავი გიგა ყიდშიძე ვერ ისვენებდა ერთ ადგილას, ეს ღუმილი თითქოს ყელში მარყუევით უჭერდა, ახრჩობდა. წინ და უკან დადიოდა, მერე შეჩერდებოდა, რაღაცას წამოიძახებდა, ხელს ჩაიქნევდა...

უკვე პირველი საათი იწყებოდა, რედაქტორს კი ჯერ თავისი კაბინეთიდან არ გამოეხედა. არც ეს იყო კარგი ნიშანი: ალბათ საფრთხეს ისიც გრძნობდა და ოთხკედელშუა ჩუმად ბღღვინავდა.

უცებ გიგა ყიდშიძემ წამოიძახა:

— ვერ გამიგია, რას გაჩუმებულხართ... როდემდის უნდა ვითმინოთ იმ გადაჯვარებულის თავხედობა?

ის ამ სიტყვებით თითქოს ყველას მიმართავდა, მაგრამ მხოლოდ თავჩალულ მანსვეტაშვილს უცქერდა აბრიალებული თვალებით.

იაკობს თავი არც აუწევია, წყნარად თქვა:

— ვასრულებთ ჰორაციუსის რჩევას: მიძიმე წუთებში მოთმინებას და სიმტკიცეს ვიჩენთ!

— ჰორაციუსი... რა დროს ჰორაციუსია! — დაიქექა გიგამ. — ესეც არ იყოს, განა რუსთაველმა უფრო ადრე არა თქვა: ჭირსა შიგან...

— მოიცა, მოიცა, — ღიმილით გააწყვეტინა იაკობმა, — კარგად გავიხსენოთ, მგონი დაგიჭირე...

— წადი და შენვე შეამოწმე, რომელი ადრე ცხოვრობდა... განა ახლა ამისთვის გვცალია?! თუმცა შენ ბედნიერი კაცი ხარ, ცხოვრებაში ყველაფერს ისე უყურებ, როგორც სანახაობას, ცნობისმოყვარის თვლით... ესეც იმიტომ, რომ მერე უბის წიგნაკში შეიტანო და... შთამომავლობას გადასცე. მე კი, აბა შემომხედე, ვიხრჩობი!

და თითქოს მართლაც იმის დასადასტურებლად, რომ ჰაერი არ ჰყოფნიდა



და იხრჩობოდა, გიგა ყიფშიძემ კარი ხმაურით გააღო და გარეთ ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

იაკობმა თვალი ღიმილით გააყოლა, ჯიბიდან გაცრეცილი წიგნაკი ამოიღო და რამდენიმე წუთის განმავლობაში შიგ რაღაცას იწერდა.

წერა ხმაურმა შეაწყვეტინა. რედაქტორის კაბინეტის კარი გაიღო. ღია კარიდან ჯერ ბოლქვა-ბოლქვად შეკრული პაპიროსის კვამლი გამოვარდა, მერე ტყეისფერ ნისლში რედაქტორის მწყრალი სახე გამოიკვეთა.

— არ მოუტანიათ?

— არა, ბატონო ილია, ალბათ იმ შეჩვენებულმა ისარლოვმა რაღაც საქ-ბილოს მიაგნო.

იაკობმა წიგნაკი ჯიბეში ჩაიდო და ფეხზე წამოდგა.

— დასწყევლოს ღმერთმა, კიდევ კი არ დაგვიჩეხოს გაზეთი.

— ჰო, თქვენი მოწინავე ცოტა არ იყოს...

ილიამ თანამშრომლებს თვალი მოავლო, ვიღაცას ეძებდა. მერე უმცროს თანამშრომელს მიუბრუნდა:

— გარეთ გაიხედე, გიგა ყიფშიძე სადმე მონახე და ახლავე ცენზურაში გაგზავნე, იმ წყეულთან მოგვაროგოს, თორემ... თუ ფეხი ავიდგი, მე თვითონ მივალ და არ ვიცი რა ამბავს დავაწევ!

თანამშრომელი გავიდა. იაკობი ისევ დაჯდა. ილია შუბლშეკრული იდგა ფანჯარასთან და პაპიროსს ეწეოდა.

„არა, როდემდის უნდა გაგარკელდეს ასე... დღემუდამ, ყოველ ნაბიჯზე ერთი და იგივე... — ფიქრობდა იგი, — ერთი წუთიც კი არა გვაქვს ბედნიერი, კაცური ცხოვრებისა“.

— ხომ არავინ მიკითხა?

— დავით ბარათაშვილი გახლდათ.

— მართლა?

ილიას გაეღიმა.

— ბატონო ილია, მეტი აღარ შემიძლია, სული ამომხანდა თავისი უნიჭო ლექსების კითხვით...

— საცოდავი, ჩემთან ვერ ბედავს ლექსების გამოჩენას... ეჰ, ამაზეა ნათქვამი, ერთი ხილამ ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო. ჩვენი დიდებული ნიკო ბარათაშვილის შემდეგ ეს დავითი რაღა მოსაგონი იყო?

ილიამ სიამოვნებით მოიფუნვინტა ხელები. ასე იცოდა, როცა ნათქვამი კარგი გამოუვიდოდა: გული და გონება გაეხსნებოდა და წუთით დღიურ საფიქრალს ივიწყებდა.

— დღეს სადილად ილიასთან ვარ დაპატიებულო... ეტყობა, დილიდანვე ემზადება!

— ჰო, ხანდახან ნარდით ვერთობით. — მორცხვი ღმილით თქვა ილიამ. — არც ისე აბრუგასატეხი კაცია, როგორც ჩვენ ავიგდეთ... ბორჩალოელი ბარათაშვილების ჩამომავალი და დიდი მემამულეა. მართო ერთგან ათი ათასი კაკლის ხე უდგას.

— რა ვიცი, ჯიბე მაინც მუდამ გაფხეკილი უჩანს და... თუ კამათელიც ისეთივე მჩატე აქვს, როგორც ლექსები... — გამომწვევად ანიშნა იაკობმა.

ილია ამ სიტყვებზე ჩაფიქრდა, კილოკავად ნათქვამი ენიშნა, ხითხითი აუტყდა:

— რაო, თავისი ჯიბეების შემსუბუქებას ჩემს კამათელს ხომ არ აბრალებს?



— იცით რა თქვა, ბატონო ილია... სწორედ ასე თქვა: კაცო, მგონი, ილიას სადილები ძალიან ძვირი მიჯდებათ!

— ხა, ხა, ხა... მიხვდა? — ახლა კი ხმამაღლა გადინახარა ილიამ. — მიხვდა?.. კიდევ კარგი, რომ მიხვდა!

ხარხარებდა, ახველებდა, შუბლზე ოფლს იწმენდა ილია. რედაქციაში ყველა იცინოდა მანკეტაშვილის გარდა. ის კეთილი, კმაყოფილი დიმილით შეპყურებდა რედაქტორს. თავის უბის წიგნაკზე თუ ფიქრობდა, რომელსაც მართლაც ხვადიანი დილა გასთენებოდა.

ილიას ხველა და ხარხარი ერთად შეუწყდა.

— უჰ, ავაშენათ ღმერთმა, კარგად არ მაციხეთ ამ ჯავრიან გულზე!.. კიდევ ხომ არავინ ყოფილა?

— ის დრამატურგი იყო... შემოივიღის.

ილიამ შუბლი შეიკმუნხა. კვლავ ჩაფიქრდა. როგორც ჩანდა, დღეს ბევრი უსიამოვნება იყრიდა ერთად თავს... ისე კი ილია კარგა ხანია ემზადებოდა ამ აბეზარი ავტორისათვის გულღია აღსარებებს სათქმელად.

— მოვიდეს... — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს რედაქციის კარი ხმაურით გაიღო და ოთახში ქოშინით შემოვარდა გიგა ყიფშიძე. ხელში „ივერიის“ ახალი ნომრის ამონაბეჭდი გვერდები ეჭირა. უკან გუნებაწამხდარი თანამშრომელი მოსდევდა. გიგა პირველსავე სკამზე მოწყვეტით დაეშვა და ამოიხვნეშა.

— რა იყო, გიგა, რა მოხდა?

თითქოს ამ შეკითხვას ელოდაო, გიგა ფეხზე წამოხტა, წინ და უკან სიარული დაიწყო, ქაქანებდა და ქოთქოთებდა, ამონაბეჭდებს აფრიალებდა.

— არაფერი ადამიანური არ გააჩნია, არა... საიდან არ მოვუარე, რა არ ვუთხარ, რა არ ვუმტკიცე, დავემუქრე კიდევ, მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის წყეული ლუკა ისარლოვი დღევანდელ კანონებს ისე უფრთხილდება, როგორც საკუთარ ქეციან ტყავს... დახედეთ, გული მოგიკვდებათ, დასეტყვილ ყანასა ჰგავს, გაზეთს კი არა!

— მაჩვენე... — შეგუბებული ხმით თქვა ილიამ, გაზეთის ამონაბეჭდები გამოართვა, მაგიდაზე გაშალა და გოროზად დააშტერდა წითელი ფანქრით აჭრელებულ გვერდებს.

ხაზები, ხაზები... წითელი ხაზები, მოკლე და გრძელი ხაზები... ამოშლილი სიტყვები და წინადადებები, მთელი აბზაცები. წითელი ჯვრები, დიდი, წითელი კითხვის ნიშნები... შეუბრალებელ ფანქართან ბრძოლაში დახოცილი სიტყვები და აზრები... ხმამაწყდარი ამოძახილები... წითელი ჯვრით გადახაზული, ჩანწობილი გულის ძეგრა.

ამოშლილი ადგილები უდაბნოებს თუ სასაფლაოებს ჰგავდა, უთანასწორო ბრძოლაში დახოცილ აზრთა სასაფლაოს... გრძელი და მოკლე ხაზების, წითელი ჯვრების, საბედისწერო კითხვის ნიშნების ეკლანი მავთულებით შემოზღუდულ სასაფლაოს.

ბოროტ ხელს საკულდაგულოდ დაეთხარა აზრთა ფესვები, ღონივრად, ენინანდ დასწოლოდა ფანქარს, მარჯვენა წაეჭრა ნათელი აზრისთვის, დაეთხარა თვალები, დაებლაგვებინა მჭრელი პირი, დაემუნჯებინა მეტყველი ბაგე.

სტრიქონის ბოლოს ატუხული კითხვის ნიშნის უკან ცენზორის კმაყოფილი სახე მოჩანდა.

ჰა, მიგიხვდით თუ არაო, ისმოდა დამცინავი ხითხითი...

ილია დაღვრემილი დასცქეროდა ამ უცნაურ სასაფლაოს.

— აი, რა ამოუშლია...



„...რამდენადაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობას სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა“.

რა კაცია ის, ვინც ამ სიტყვებს ხელს შეახებს?

არაკაცი, არაკაცი...

— ისტორიას უნდა გადაეცეს მისი სახელი, რომ მომავალმა საკადრის მსჯავრი დასდოს! — თითქოს ილიას ფიქრის საბასუხოდ თქვა მანსვეტაშვილმა, მაგრამ ილიას თავი არ აუწევია, გაცოფებით წამოიძახა:

— ისტორიას კარგთა სახელები გადაეცეთ... ის კი, ის...

რედაქციამი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ელოდა თუ რით დაამთავრებდა რედაქტორი თავის ნათქვამს, მაგრამ განაჩენი იგვიანებდა.

აი კიდევ...

— „თანდათან უფრო საიმედო, უფრო გამამხნეველებელი ლაპარაკი ისმის, არამც თუ მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ რუსეთშიც კი. აი რას ამბობს ერთი რუსის მწერალი: ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია... დიდი უბედურებისა და დამცირების შემდეგაც კი იგინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ „შურიგებელ სიმძლავარეს დამჩავრელთა და დამპყრობთა მიმართ“.

ილია დაბალი ხმით, მაგრამ გრძნობით კითხულობდა. ამ ხმაში ჟღერდა ის გულისტკივილი, რითაც ეს სიტყვები იწერებოდა. ყველა მონუსხულივით უსმენდა. კითხვა დაამთავრა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა. სდუმდა. პაპიროსს ხარბად აბოლებდა და ფანჯარას გასცქეროდა.

ფანჯარას უკვე მზე მოსდგომოდა, აგვისტოს ცხელი, თბილისური მზე. ოთახში ცხლოდა. ისმოდა გიგა ყიფშიძის შეკავებული ქშენა. მას არ შეეძლო სხვასავით გამკლავებოდა სიჩუმეს.

— ამ სიტყვების ამოშლით... — წამოიძახა მან და ილიას გახედა, — ამ სიტყვების ამოშლით ლუკა ისარლოვი ადასტურებს მეფის მთავრობის სურვილს ჩვენი მოსპობის შესახებ!

— ეჰ, ლუკა ისარლოვი, ლუკა ისარლოვი... — დაღლილი ხმით გაიმეორა ილიამ. — ძალის თავი უფრო ღრმად არის დამარბული, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება. ლუკა ისარლოვს რა უნდა მოვთხოვოთ გიორგი მუხრანსკის „О существе крупных единиц“-ის შემდეგ. ის გადაგვარებული ხომ ამტკიცებდა, დიდმა ერებმა უნდა შთანთქან პატარა ერები!

ამ დროს მანსვეტაშვილს გაელიმა, რაღაც გაახსენდა.

— ამისთვის ხომ კარგადაც მოხვდა... აკი თქვენ თვითონ მოუგრიხეთ კისერი:

კობტაა და ღობემძვრალა,  
პატარა და ჩამომხარი,  
ცხვინისკარტა, ნიკაპ-წვეტი,  
უქმური და განს გამღგარი,  
ჭკვით და გულით მოცვეთილა,  
ქვეყანაზე უქმაღ გლია,  
თვით მაღლა ზის; ქვეყნის საქმე  
მასაც ფეხებზე ჰკილია!

ილიასაც გაელიმა, ფიქრში წავიდა, ხელი ჩაიქნია.

— დავით ერისთავმა ჩემზე უკეთ უპასუხა მუხრანსკის... არ გაგიგიათ?



თავადმა მუხრანსკიმ თურმე თავისი საზიზღარი წიგნი გაუგზავნა დავით მანუჩაშვილს თავს. დავითმა წაიკითხა, საშინლად აღშფოთდა და ნაჩუქარი წიგნი ასეთი წარწერით დაუბრუნა:

О существе ты написал,  
Мой друг, более ста страниц,  
Но этим только доказал  
То, что мы знали без того:  
Что ты совсем не существо  
И нуль меж крупных единиц...

ილიამ მწარე ღიმილით გაიხსენა ეს ლექსი. გიგამ ტაში შემოჰკრა, გახუმრებაც სცადა, მაგრამ რედაქტორის წამხდარ გუნებას ველარაფერი გამოაკეთებდა.

— რანი ვართ, რანი? — ბოლმიანად ამოიძახა მან. — ათასი გიორგი მუხრანსკი, ათასი ლუკა ისარლიჩი, ათასი გამცემი გვაზის თავზე... ეს ავი დრო მაჯლაჯუნასავით დასწოლია ჩვენს აზრსა და სიტყვას და საძრაობას არ აღლევს... არ ვიცით ბრძოლა, არა! ჰმ, წკიბურტები, გამოცანები, ლათაიები!.. აი რით ვებრძვით მტერს, რომელიც ღონეს არ ზოგავს ჩვენი დასამარებისათვის... განა ჩვენ შეგვიძლია გავუძღვეთ ერს, აღვძრათ იგი მზავგრელთა წინააღმდეგ?.. ერეკლემ ხმლით ვერ შეაერთა საქართველო, ჩვენ როგორღა გვინდა კალმით შევაერთოთ? ვაწირიბინებთ, ვაცოდვილებთ უზადრუკ კალამს, ვირაჯებით, ვზალიჩობთ... ვითომ ესმის ჩვენი ხმა ერს? ვითომ გვისმენს ხალხი?.. არა... აი, ხედავთ, მტრის კალამი გვეჯობნის, მოსყიდული კალამი!

მან გაზეთის ანაბეჭდებს დაავლო ხელი და თავისი კაბინეთის კარისკენ დაფიქრებული წავიდა. სანამ შევიდოდა, მობრუნდა, მანსვეტაშვილს გახედა და ყრუ ხმით თქვა:

— თუ ვინმემ მიკითხოს...

აღარ დაამთავრა. გიგას უნდოდა ეკითხა, შეგაწუხობთ თუ არაო, მაგრამ უმალ გადაიფიქრა და როცა ილიას ზურგი კარს მიეფარა, წამოიძახა:

— ვაი მას, ვინც ახლა ილიას ხელში მოხვდება!

— ჩემს მტერს...

გიგამ ისევ გარეთ, ჰაერზე გასვლა დააპირა, მაგრამ კარის კაკუნი შემოესმა და შეჩერდა.

— ეს ვიღა?

— ალბათ ის დრამატურგი იქნება.

— თუ ის არის, ანცი და ვანიც მის თავს! — თქვა გიგამ და კარის გასაღებად გაეშურა.

იაკობმა თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა მხიარული, ხმაშალაი შეძახილი შემოესმა.

— ჩუ!.. — იაკობმა კარისკენ გაიხედა. გაიხედა და უმალ თვალები გაუბრწყინდა, წამოდგა, მასაც ხმაშალა წამოსცდა:

— შემო... შემოდი, კაცო!

კარებში ჩოხიანი ბრგე ახალგაზრდა იდგა, თავი ჩაედუნა, კეთილად იღიმებოდა.

— რა ვიცი, შემომესვლება? — მორცხვად იკითხა ახალგაზრდამ, ნაბიჯი გადმოდგა და დაფუკული ხურჯინი კუთხეში მიაყუდა.

— ცარიელი ხურჯინით, ვუაჲ, მართლაც არ გეკადრება. — გაიცინა გიგამ.



ჩოხიანმა ყველას ჩამოართვა ხელი, მერე იაკობის წინ შეჩერდა და შეკვრით გაიმეორა:

— მართლა გეკითხებით, შემომესვლება?

— ასეა, — დაფიქრებით ალაპარაკდა მანსვეტაშვილი, — სიკეთე გაუბედ-  
ვად აკაჟუნებს, ბოროტება კი არც კითხულობს, ისე აწვება კარს!

— ავშენა ღმერთმა... თუ სხვებიც ასე ფიქრობენ... — ვაჟამ აღარ დაამ-  
თავრა, რედაქტორის კაბინეტის კარს მორიდებით გახედა.

— თონეთელი მამასახლისის ცილისწამებისა არავის გვჯერა. ამის საბუ-  
თად ის სილაც კმარა, რომელიც მან მიიღო... მაგრამ ილია შენზე მინც ვაჯავ-  
რებულა. ხომ იცი მისი ხასიათი.

— მაგიტომაც გეკითხეთ, შემომესვლება თუ არა-მეთქი... ჰოდა, თუ ასეა...

მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ ვაჟა კარისკენ გაბრუნდა. ყველა სახტალ  
დარჩა.

— არა, მოიცა... სად მიხვალ, არც ასეა... — აფუსფუსდა შეწუხებული  
გიგა და როცა ვაჟა კუთხეში მიყუდებულ ხურჯინს დასწვდა, ისიც ქოთქოთითა  
და ძახილით მიეტანა ხურჯინის თვალს.

— მოიცა...

— არა, შენი ჭირიმე, არა...

იაკობ მანსვეტაშვილმა სიჩუმის ნიშნად ხელი ტუჩებთან მიიტანა, მაგრამ  
გვიანლა იყო. უცებ შუა კარი გაიღო და ილიას პირქუში სახე გამოჩნდა. ამო-  
ნაბეჭდები ისევ ხელში ეჭირა.

— სანამ ჩემი სიმართლე არ დამტკიცდება, ვერ დავენახებები, ვერა! —  
გაიძახლა ვაჟა და კარისკენ მიათრედა ხურჯინზე დაბლაუჭებულ ყიფ-  
შიძეს.

— რა ჩარფუხანა გაგიმართავს, ვაჟავ... აქაც თონეთი ხომ არა გგონია!

ვაჟას მკლავები მოსწყვიტა, მაჯა მოუღუნა ამ ხმამ.

„აქაც თონეთი ხომ არა გგონია“...

ილიამ ამით ყველაფერი თქვა. მოკლედ გამოხატა თავისი გულისწყრომა,  
მაგრამ უწყისი კი, არი თუ არა ვაჟა მართლაც დამნაშავე თონეთელ მამასახლის-  
თან... ვაი, რომ ილიას ახლა ასე სჯერა!

ხურჯინი ქშენაავარდნილ გიგას შერჩენოდა ხელში. ის ჯერ ვერ გამორ-  
კვეულიყო... ილიას ვერ ხედავდა და კმაყოფილი ღიმილით დასცქეროდა ჭრე-  
ლანდაქსოვ ნადავლს. ამ ძიძგილსა და დავიდარაბაში ხურჯინს ერთი თვალის  
პირი შეხსნოდა. სწორედ ამ თვალში იჭყიტებოდა ახლა გამარჯვებული გიგა.

— ჰყრია რაზე შიგა?.. — დაცინვით იკითხა ილიამ.

გიგა ილიას ხმამ შეაქართო. ხურჯინი კინაღამ ხელიდან გაუვარდა.

— არაფერი, შენი ჭირიმე, ნახევარი ღლის საგზალიც არ იქნება, — შჳა-  
რედ გაიღიმა ვაჟამ.

— მეც მანდა ვარ, — მწყრალად თქვა ილიამ, — რას მიქვია ნახევარი  
ღლის საგზალი?! ნახევარი ღლის საგზლით მოდიხარ ამ გაუთავებელ გზაზე?..  
როდემღის უნდა დადიოდეს ქართველი კაცი ამ ტრიალ წუთისოფელში ნახევა-  
რი ღლის საგზლით?.. რატომ საუკუნო საგზლისთვის არ უნდა ზრუნავდეს და  
იღვწოდეს?!

კარგახანს ბღღვინავდა და ბობოქრობდა ადელევებული რედაქტორი. სიტყვე-  
ბი მეხის ნაპერწკლებივით სცვიოდა პირიდან. ვაჟა გაოცებული იდგა, შეჰყუ-  
რებდა და სიტყვას ეძებდა. ყიფშიძე ღიმილით დასცქეროდა მანსვეტაშვილის  
უბის წიგნაკს.

— იმ მამასახლისზე ცალკე გაგატარებენ ბერაში, ახლა კი ეგ შენ ვინ ხარო ვარი დღის საგზალი მაჩვენე, ეგეც რამეა, თუ მართლაც კარგია... გახსენი, ამოცალე შენი ხურჯინი!

ვაჟა ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა, სირცხვილით იწვოდა, აღმურთ მონთებოდა სახეზე.

— შევიდეთ, წავიკითხოთ!

— არა, ბატონო... აი, აი, აქ მაქვს... — დაბნევით ბურტყუნებდა ვაჟა და ჩოხის მასრებზე ისვამდა აკანკალებულ ხელს, მაგრამ ილიას არაფერი ესმოდა... ხურჯინს მისწვდა, ხელიდან გამოგლიჯა გიგა ყიფშიძეს. ხურჯინს პირი ქვევით მოექცა, გახსნილი თვალიდან რაღაც გამოვარდა და რახუნით ძირს დაეცა. ყველამ იატაკს დახედა. ვაჟას ფეხებთან ნაცარში გამომცხვარი ხმიადის მოზრდილი ნატეხი ევლო.

ილიამ ვაჟას შეხედა. ვაჟა დაიხარა, ხმიადს დასწვდა, პირთან მიიტანა, მძლავრად შეუბერა, კიდევ შეუბერა, სამჯერ აკოცა... ჯერ ხურჯინისკენ გაიწია, მერე ხელი ჩაიქნია, ერთი ამოიხვნეშა და ხმიადი ფანჯრის რაფაზე დადო.

— ჰოო... — თქვა ილიამ და თვალი ველარ გაუსწორა ვაჟას.

ვაჟამ ჩოხის გულისპირი ვადიხსნა, ხელი ჩაყო და ორად გაეცილი რვეული ამოიღო.

— ეგ რა არი?... — მისწვდა ილია. ხურჯინი უნებურად კუთხეში მიაგდო და რვეული გადაფურცლა, ალაგ-ალაგ ჩახედა, ჩაიკითხა. არა თქვა რა. თავისი ოთახისკენ წავიდა, თან ნაწერს თვალს არ ამორებდა... ვაჟა დაავიწყდა. კართან შედგა, ჩაფიქრდა, მოიხედა.

— აქ იყავ, სანამ არ გამოვალ...

ყველა ჩუმად იჯდა. ჩუმად, მაგრამ მოუსვენრად იჯდა ვაჟაც. რედაქტორის ოთახიდან ლომის ბუხუნი ისმოდა. ილია ხმამაღლა კითხულობდა.

— რაც აინტერესებს, მარტო კითხულობს... ისიც ხმამაღლა. — თქვა გიგამ.

— როდის დაწერე? — იკითხა იაკობმა.

— რაც „ხმელი წიფელი“ დამიხანჯლეს, შურისძიების გუნებაზე დავდექ... ქუჩაში ცხენის ფრუტუნი გაისმა. საღღაც ეტლი მიგრიალებდა.

ვაჟა მოუსვენრად შეტოკდა, თითქოს რაღაც გაახსენდა, ფეხზე წამოდგა, კართან მივიდა და ხურჯინს დასწვდა.

— მოიცა... — წამოიძახა გიგამ და ხურჯინს წედანდელივით მოექიდა.

— ნუ... ნუ, გეთაყვა, — გაიწია ვაჟამ.

— საქმე მაქვს შენთან, ხომ იცი... მერე პატარა ხნით ჩავიდე... იქ... — მრავალმნიშვნელოვნად ევეძრებოდა გიგა.

ვაჟა ცალი თვალით რედაქტორის ოთახისკენ იციჩრებოდა.

— არა, ცხენს მომიშივდა... არა, შენი ჭირიმე, არა...

— ხელათ ჩაიკითხავს...

— არა-მეთქი, არა... სანამ წაიკითხავს, მცხეთას გავცდები. — წამოიძახა ვაჟამ, გაიწია და ატორლიალებული გიგა ყიფშიძე ხურჯინთან ერთად გარეთ გაიტანა.

სანამ გიგა შემობრუნდებოდა, რედაქციის თანამშრომლები გულიანად იცინოდნენ, იცინოდნენ ხმადაბლა, რომ რედაქტორის ყურადღება აღარ მიექცათ.

— ჩაიყვანს...

— არ ჩაჰყვება, დღეს გუნებაზე არ არის...

- წამხლარ გუნებას ხომ იცით, რაც უხდება.
- არა, ილიასაც კი აღარ მოუცადა...
- გიგა ნაწყენი დაბრუნდა.
- ნამდვილი ველურია... მთიული... არც აინტერესებს!

როდის-როდის რედაქტორის კაბინეტში ლომის ბუხუნი მიწყდა.

„შუა კარი გაიღო. დილანდელივით ჯერ თამბაქოს კვამლის ბოლქვები გამოვარდა, მერე ილიას სახე გამოჩნდა. ეს სახე მაშინდელივით კუმტი და მრისხანე აღარ იყო. უცნაურად ბედნიერი და კმაყოფილი ღიმილი თამაშობდა დიდრონ, გონიერ თვალებში.“

— ვაჟა!.. — გაისმა მისი ხმა.

— ვაჟა წავიდა...

ილია ფანჯარასთან მიიჭრა, გადაეყუდა, ქუჩას გახედა.

— ვაჟა!.. ვაჟა!.. რა იქნა? რად გაუშვიტ?.. დააბრუნეთ, დააბრუნეთ, თქვენ გაზრდას!

— ერიჰა!.. ვაჟა ეხლა მცხეთას იქნება გაცილებული...

ილია ფანჯრის რაფას დააცქერდა. რაღაცას ეძებდა თვალით. ახლა სხვა ფანჯრებს გახედა, უხერხულად შეიშმუშნა.

— წაიღო? — უცებ იკითხა და ერთხელ კიდევ მოათვალიერა ოთახი, წიგნის თაროებსაც კი შეაელო თვალი.

— რა? — გაკვირვებით შეეკითხა გიგა.

— ხშიადი... თავისი ნახევარი ღღის საგზალი.

— ჰო, ხშიადი... მართლა, ხშიადი რა იქნა?

თანამშრომლებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. იაკობი თავჩალუნული იჯდა და მაგიდას დასცქეროდა. მერე ფეხზე წამოდგა და დარცხენით თქვა:

— ხშიადი... ხშიადი, ბატონო ილია, ვაჟას აღარც გახსენებია. მე... მე შეეინახე...

„შეუნახავს, თონეთური ხშიადის ნატეხი წმიდა ნაწილივით ჩუმად შეუნახავს ამ შეჩვენებულს“... — გაიფიქრა გიგამ და თავი ველარ დაიჭირა, გულლიად გადიხარხარა.

ილიამ პირქუშად შეხედა გიგა ყიფშიძეს.

— რად გაუშვიტ?..

— ვეხვეწე, ქოსების სარდაფიც კი ვუხსენე, ბატონო ილია, მაგრამ არ მოიცადა, ცხენს მომიშვიდაო...

— ცხენს?.. ცხენსა თუ...

ილია ფიქრს მიეცა.

ფანჯრიდან კავკასიონის ქედი მოჩანდა. მთებს ჩამავალი მზის ვარდისფერი შუქი მისდგომოდა. მკვდართა მზის ყვითელი ბინდი აშუქებდა კავკასიონს.

„ცხენს მომიშვიდაო... თვითონაც შიოდა, ალბათ. შიოდა, უთუოდ შიოდა. ჩვენ კი ვერ გავუგეთ, ნახევარი ღღის საგზალიც დაეუქარგეთ...“

ვაჟა ალბათ უკვე გასცდა მცხეთას. ახლა არაგვის ჭალებში მიაჭენებს ცხენს. მშვიერი ცხენი ჯიუტობს, ფეხს ითრევს, გზისპირებისაკენ, ბალახისკენ მიიწევს.





„რა იყო, სამგლევე?.. განა სხვას შენზე ნაკლებ ენატრება გაშლილი სტრატეგია?.. შენ წუხელ ქერი მაინც ახრამუნე, დილით კი ბალახიც დააყოლე, ფერდი ამოიდგი... მე?.. მე რა, თონეთიდან უზმოდ გამოვიქცე. ქალაქშიც ლუკმა არ გამიტეხია... ნუ, ნუ... ნუ აპყვები გულსა, ამაყი უნდა იყო, სხვამ რად უნდა გაიგოს შენი გაჭირება“.

ალბათ ასე ეჩურჩულება ვაჟა თავის ბედაურს, მის ფაფართან თავი ჩაუქინდრავს და ამხნევეს.

ვინ იცის, წელან, მცხეთაში რომ გამოიჭროლა, ჭრაქით გაშუქებული დუქნებიდან მემთვრალეთა არეული სიმღერა და ღრიანცელი შემოესმა. იქნებ წუთით შეაყენა ცხენი, იყოყმანა, ჯიბისკენ წაღებული ხელი უიმედოდ ჩაიქნია. ისევ მიუშვა აღვირი და ახლა თავის თავს შეუწყრა.

„ქინვალამდე მაინც ითმინე, ვაჟავ... იქ ძმაკაცმა ეგებ ხინკალზეც მივიპატივოს...“

მაგრამ ცხენი არ ითმენს. შორსაა ქინვალი. არავცი ხმაურით მიაგორებს ტალღებს.

არავცი... არავცი... არავცისპირები...

განა შეიძლება, ქართველმა აქ გაიაროს და...

როგორ იქნება არ განისვენოს,  
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს...

ლიღინებს ვაჟა. ალბათ ასე ღიღინებს: „სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს“... ამ სიტყვების ამომღერების მერე მწარე სიცილი აუტყდება.

„იმ დალოცვილს ტიკპორა ექნებოდა ხურჯინის ცალ თვალში, მეორეში... შენ კი, თონეთური ხშიადის ნატეხიც გენატრება... უჰ, რა სირცხვილი გაქამა იმ თონეთურმა ხშიადმა! აჩუ, შე სამგლევე... შენ კი... შენს ხურჯინში თავგებს ჩარფუხანა გაუმართავთ. რატომ არ დაუჯერე, ბიჰო, გიგა ყიფშიძეს? მოგეცადა, შე კაი კაცო, შენი ალუდას, შენი წვრილი სიმღერების ამბავსაც გაიგებდო და იქნებ ქოსებთანაც გადაგეკრა!“

ნეტავ რას იტყვის?.. მოეწონება?.. ჰმ, შენი ნაჯღაბნი... აი, მესმის:

ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,  
გამოიღვიძებს, შუბლს განივრისებს,  
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს,  
არავცი, მაგ შენ ამწვანებულ მთებს,  
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,  
იგი ამისთვის აღარ დაღონდეს...“

შორს არის ქინვალი...

იქნებ ძმაკაციც არ დახვდეს შინ. ცხენს კი შია, ვაჟას დარიგება არ ესმის, ხეხინებს, ლაგამს ახრამუნებს და ბალახისკენ მიიწევს.

აი ვაჟა ცხენიდან ჩამოხტა, ლაგამი წაჰყარა, აღვირი საბლით დაუგრძელა, ბუჩქზე გამოაბა და ჭალაში შეაგდო. ცხენმა მხიარულად დაიფრუტუნა.

აი, ვაჟამ ცარიელი ხურჯინი თავქვეშ ამოიღო, მოწყვეტილი მუხლები გაშალა და ზმორებით ცას შეხედა.

ვარსკვლავები უკვე ჩნდებიან, იბადებიან როგორც ოქროსფერი წიწილები, შიგნიდან ყვითელ ნისკარტებს სცემენ ლაქვარდს, ციმციმით იჭყიტებიან და ეჩვიეებენ.



ამას ყველაფერს ცხადად ხედავს ფიქრებში წასული ილია. ხედავს სკვლავებსაც. ცხენის ფრუტუნი კი არა, ვაჟას სუნთქვაც კი ესმის.

„არ მოეწონება... მშვიერ კაცს როდის რა დაუწერია“.

არა, ეს ილიას ფიქრი არ არის... ასე გამწარებული ვაჟა ფიქრობს... არ არი ვაჟა მართალი, არა.

აი თუ არ დაუწერია, აი თუ არა...

სანამ კი ვცოცხლობ ბედკრული,  
შევყურებ მზეს და მთვარესა,  
შენს სიბეჩავეს დავაცევთ  
ჩემს დაწყულულებულ მკლავებსა...  
თუ გილალატო, დედაო,  
ნუმც დავიმარხო მთაშია,  
ნუ დადვან ვაჟის ფშავლისა  
ხმალი სატირლის თავშია...  
შავეთში გამგზავრებულსა  
ცხენი წამექცეს წყალშია,  
ქვეყნისგან შეჩვენებულმა  
ბინა დავკარგო ცაშია,  
გამიწყდეს ბეწვის ხიდაი,  
ჩავვარდე კუპრის ზღვაშია!

„თუ გილალატო, დედაო...“

ილიამ თავი ასწია, გამოფხიზლდა.

— ჰა, მაშ მცხეთას იქნება გაცილებული? ვითომ ასე სწრაფად მიჰქრის ამ ფშაველი ვაჟას მერანი?... კი... კი, ნამდვილად იქნება გაცილებული. უფრო შორსაც იქნება. შორს წავა...

ილია თითქოს ვაჟას მეტს ვერავის ხედავდა, ისე ლაპარაკობდა.

იქ, სადაც, არაგვის პირას ვაჟა ისევ გულადმა იწვა და ვარსკვლავიან ცას შეჰყურებდა.

— რატომ გიკვირს ჩემი ნათქვამი?... კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან... შორს წავა-მეთქი, შორს!

ყველა გაცოცხლებული შეჰყურებდა ილიას. გრძნობდნენ, რომ ახლა იგი მათ კი არ ელაპარაკებოდა, არამედ საკუთარ თავს უტყუებოდა, ჭადაგად დაცემულსავით ბორგავდა, შფოთავდა და ბოდავდა.

— ნახევარი დღის საგზალი დაუჟარგეთ, მან კი საუკუნო საზრდო მოგვიტანა... დიახ, აი ეს რვეული საუკუნო საგზლად გასწვდება საქართველოს!

ხმამალა ფიქრობდა ილია...

ახლა ვაჟა ალბათ ჟინვალსაც გასცდენოდა და მადაროსაც. გვერდით, ხევში, ფშავის წმინდა არაგვი მიხმალურობდა, ქვევით, დედასაქართველოსკენ მიედინებოდა... ვაჟა კი ზევით, ჩარგლის მაღალი მთებისკენ მიაქროლებდა ცხენს.

ჰმ, მამასახლისი... ყვითელთავა ისარლოვის გამხმარი გული...  
არა, ისინი ვეღარ შეგვაჩერებენ თავისი წკიპურტებით.

აი, როგორის ძალით ამოხეთქა ხალხის სიმღერამ. ამ წუთში მე მწამს საქართველო... მაინც ყოფილა მის ძარღვებში რაღაც არაგვივით ძლიერი, სუფთა და თავისუფლების მაძიებელი.

— არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავდოთ!.. გზა ვაჟას უნდა დაუეთმოთ! — წამოიძახა ილიამ და ფეხზე წამოდგა.

იაკობ მანსვეტაშვილმა აქ კი ვეღარ მოითმინა და პირველად თავის სი-

ცოცხლეში ილიას თანდასწრებით ამოიღო თავისი საიდუმლო უბის წიგნაკრები. მაგიდასთან ფეხაკრეფით მივიდა, ჩამოჯდა, თავი მხრებში ჩარგო და აკანკალდა. ბული ხელით შეუღდა წერას.

გიგა ყიფშიძეს კინალამ სიცილი წასკდა, ცრემლმორეულ თვალებზე ხელი აიფარა.

„ნუთუ ამ გამოთაყვანებულს არ შეუძლია დაიმახსოვროს, კარგად ჩაიპედლოს თავში და მერე სიტყვა-სიტყვით შეიტანოს თავის კარაბადინში?!“

ილია კი ვერაფერს ამჩნევდა. არც მანსვეტაშვილის მორიდებული კალმის წრიბინი ესმოდა, არც გიგა ყიფშიძის ქშენა.

— ხომ ცუდი დილა გაგვითენდა, დაგვცინეს, გაზეთი დაგვისეტყვეს... ხომ ასეთია ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს დროში კაცურად ცხოვრების ერთადერთ წუთსაც კი თავისი მადლი და ფასი აქვს... აი, ყოფილა ასეთი წუთი... ამ ერთი კაცური, ბედნიერი წუთისათვის ვცხოვრობთ ამ გადაღლებულ ქვეყანაზე!

მოხიბლული ილია ისევ კავკასიონს გაჰყურებდა.

მკვდართა მზე უკვე აღარ აშუქებდა ტყვისფრად აღანძულ ჭაღარა ქედებს. ღამდებოდა, მაგრამ საიდანღაც ახალი, უცნაური შუქი მოსდგომოდა საქართველოს მთების ზურგს. მალა იწევდა, ცდილობდა თავზე დასდგომოდა კავკასიონს.

ილია ამ შუქს შეჰხაროდა.





## თამაზ ჭილაძე

### სიზმარი

ქრება და ქრება ეტლის წკრიალი,  
ვერ დავეწევი —

ძლიერ წინ არი...


წინამურამდე თუ ვერ მივუსწრებ —  
ტყვია დაკვესავს ნაპერწკლიანი.

ვერ დაიფარავს ნუთუ ეს ზეცა,  
გადაფოფრილი ქედს არწივივით...  
ყვარლის მთებიდან მომწყდარ წეროებს  
გააქვთ წივილი.  
გააქვთ წივილი.

უცხოს კი არა, მამას და მამას  
სიკვდილის ჩრდილი ეცემა თითქო,  
თითქო მაცლიდნენ გულიდან მთავარს  
სიცოცხლის მომცემ ძალას და სითბოს.

თითქო მაცლიან ზედაზნის ქედებს,  
მტკვარსა და რიონს,  
არავც ნისლიანს...  
და ფრთებს აჭრიან მაისის მტრედებს  
და დაყვირება არ შემოძლია.  
ასე ვათენებ ღამეს წრიალით,  
ო, რა საზარი იყო სიზმარი...  
ქრება და ქრება ეტლის წკრიალი,  
ვერ დავეწევი —

ძლიერ წინ არი...



## გიოგზი ნახუხიგზილი

### შეუპოვარი სმა

#### მომამეღება პირველი

##### სურათი მეორე

სცენა წარმოდგენს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს სხდომების დარბაზის ნაწილს. საღამოა. დარბაზი ჰალეებით არის განათებული. მარცხნივ — ამალღებული ადგილი, სადაც მაგიდას უზის სტატს-სეკრეტარი ფ რ ი შ ი — სახელმწიფო საბჭოს თავმჯღღომარე. მისი მაგიდის გვერდით — კათედრა ორატორებისათვის. კათედრის წინ — სტენოგრაფისტების მაგიდა. შემდეგ იწყება სხდომათა დარბაზის სავარძღღების პირველი რიგი ნახევარწრდ, სადაც მოჩანან ჩინოსანნი დიდებულნი, ორდენებითა და ლენტებით. წინა პღღანზე, სულ მარცხნივ, სხედან ეგრეთ წოდებული აკადემიური ჯგუფის წარმომადგენლები — პროფესორი კ ო ვ ა ლ ე ვ ს კ ი, პროფესორი მ ა ნ უ ი ლ ო ვ ი, პროფესორი ტ ი მ ი რ ი ა ზ ე ე ვ ი, ი ლ ი ა და სხვები შეგ სერთუკებში. სავარძღღების ამ პირველ რიგს უკან იგრძნობა დარბაზის გავრძღღება, საიდანაც მაცურებლისათვის უხილავი წვერები ეხმაცურებთან ორატორთა სიტყვებს. სცენის მარჯვენა კუთხეში — მთავრობის ლოჯა, რომელშიც მოსჩანან მინისტრთა საბჭოს თავმჯღღომარე ს ტ ო ლ ი პ ი ნ ი და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანავი გ უ რ კ ო. კათედრაზე დგას აკადემიური ჯგუფის წვერი, პროფესორი ტ ა ვ ა ნ ც ე ვ ი. ფარდის ახღღისას დარბაზში ძღღიერი ხმაური, აკადემიური ჯგუფის ტაში.

**შეძახილები** — არ არის ეგ მართალი..

— სიკვდილით დასჯამ წელში გასტება რეველუციია..

— სახრჩობელის რომ არ ეშინოდეთ, ცოცხლად შეგვკამდენენ..

**თავმჯღღომარე** — (ზარს აწკარუნებს) ბატონებო, გთხოვთ დაწყნარდეთ!.. მოვუსმინოთ ორატორს...

**ტავანცევი** — დაბოლოს, ბატონებო, სიკვდილით დასჯის დამცველებს მოჰყავთ კიდევ ის საბუთი, რომ ამ უკანასკნელ ხანს რეველუციონერები მთავრობის მოხელეთა მკვლელობისთანვე თვითონვე იკლავენ თავს, რადგან სიკვდილით დასჯის ეშინიანთო... სიმართლე გითხრათ, მე გაოცებული ვარ!.. როგორ შეიძლება ამგვარი არგუმენტებით გამოსვლა საღად მოაზროვნე ადამიანთა საკრებულოს წინაშე?.. (დარბაზში ხმაური, მემარცხენეთა ტაში)

**შეძახილები** — ვითომ და რატომ?..

— ეს ჩვენი შეურაცხყოფა!

**ტავანცევი** — იმიტომ, ბატონებო, რომ იმ ადამიანს, რომელიც თვითვე ისპობს სიცოცხლეს, სიკვდილით დასჯისა არ ეშინიან!.. ეს ხომ ცხადზე უცხადესია! (მემარცხენეთა ტაში, დანარჩენთა აღშფოთება და ხმაური)

**თავმჯღღომარე** — (ზარს აწკარუნებს) ბატონებო!.. ბატონებო, გთხოვთ დაწყნარდეთ...

**ტავანცევი** — არა, ბატონებო!.. ასეთი არგუმენტები მოწმობენ, რომ თქვენ უსა-

\* ნაწყვეტი პიესიდან.



მართლო, ანტისახელმწიფოებრივ ინსტიტუტს იცავთ, და მე მხარს ვუჭერ სახელმწიფო სათათბიროდან შემოსულ კანონპროექტს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და მხურვალედ მოგიწოდებთ ყველას — ერთხმად მივიღოთ იგი, ვინაიდან ჩვენს ერთსულოვნებას ამ საკითხში უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსეთის მრავალტანჯული ხალხის აღშფოთებული სინდისის დასამშვიდებლად... (სასოებით) მე მწამს, რომ ჩვენს რუს ხალხს არ სჭირდება ასეთი დაშინება სახრჩობელებით, რათა მან არ გაანადგუროს რუსეთის სახელმწიფო და მისი კულტურული წესწყობილება... და თუ ჩემს ამ რწმენას გამართლება არ უჭერია, მაშინ მე ვვედრებ შემოქმედს, რაც შეიძლება მალე განმარტოს ამ ტირილისა და გაების საფანეს!.. (აკადემიური ჯგუფის ძლიერა ტაში, დანარჩენთა დრტვინვა და ხმაური. ტაგანცევი კათედრიდან ჩამოდის და ილიას გვერდით ჯდება, რალაცას გადაულაპარაკებენ ერთმანეთს)

**თავმჯდომარე —** (ზარს აწყარუნებს) ბატონებო, სიწყნარე... მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ სტოლიპინს სურს განცხადებით გამოვიდეს საბჭოს წინაშე... (აკადემიური ჯგუფის გარდა მთელი დარბაზი ტაშით ეგებება სტოლიპინს, რომელიც კათედრაზე ადის. დარბაზში სრული მდუმარება და დაძაბული ყურადღება)

**სტოლიპინი —** ბატონებო! მე არ ვაპირებდი გამოსვლას, რადგან სრული იმედი მქონდა, რომ სახელმწიფო საბჭო, როგორც მისი უდიდებულესობის ხელმწიფე-იმპერატორის პოლიტიკის მთავარი დასაყრდენი, ერთსულოვნად უარყოფდა სახელმწიფო სათათბიროდან შემოსულ კანონპროექტს სიკვდილით დასჯისა და საველე სასამართლოების გაუქმების შესახებ, — მაგრამ ას ვეზი, რომელსაც აძლევს აქ კამათს პროფესორი ტაგანცევი, მაძულებს მცირე ხნით მაინც მივიპყრა თქვენი ყურადღება...

**შეძახილება —** ბრძანეთ!...

— გთხოვთ!...

**სტოლიპინი —** ბატონებო, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება შევეკამათოთ ისეთ დახელოვნებულ იურისტს, როგორცაა პროფესორი ტაგანცევი... იგი ლპარაკობდა აქ სამართლის თეორიის თვალსაზრისით და ოსტატურად იცავდა უფლებრივი დოქტრინების მთლიანობას, — მაგრამ, ბატონებო, არის ხოლმე სახელმწიფოს ცხოვრებაში ისეთი საბედისწერო წუთები, როდესაც სახელმწიფოებრივი საჭიროება სამართლის თეორიებზე მალა სდგას და ჩვენ ვალდებული ვართ თვით უფლებრივი დოქტრინების მთლიანობაზე მალა დავაყენოთ ჩვენი იმპერიის მთლიანობა!.. (დარბაზში ტაში)

**შეძახილება —** სწორია!..

— მართალია!..

— ბრავო!..

**სტოლიპინი —** ბატონებო, მართლაც და, განა შეუძლიან მთავრობას გააუქმოს სიკვდილით დასჯა და საველე სასამართლოები, როდესაც რუსეთის ხალხი მოკულია რალაც კოლექტიური სიგიჟით, როცა ამბოხების აღშოა გავრცელებული პოლონეთი და კავკასია, როდესაც თვით რუსეთში მუშათა გაფიცებმა შეაჩერეს მთელი მრეწველობა და გლეხთა ნოძრობამ უკიდურეს წერტილს მიაღწია!.. რევოლუციურ კომიტეტებს იატაკქვეშეთის ბნელ ჯურღმულეებში ყოველდღიურად გამოაქვთ სასიკვდილო განაჩენები მეფის ერთგულ მსახურთა წინააღმდეგ, რის შედეგადაც უკვე დაიღუპნენ დიდი თავადი სერგეი ალექსანდრეს-ძე, შინაგან საქმეთა მინისტრები სიპიაგინი



და პლევე, ფინეთის გუბერნატორი ბობრიკოვი, კავკასიის სამხედრო შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი და მრავალი სხვა... და მე კვლავ გმკითხებით — ასეთ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო ძირფესვიანად შერყეულია, განა შეუძლიან მთავრობას გააუქმოს სიკვდილით დასჯა და საველე სასამართლოები?

**შეძახილები** — არავითარ შემთხვევაში!  
— არა და არა!..

**სტოლინინი** — ბატონებო, ჩემის ღრმა რწმენით, ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში მთავრობას შეუძლიან და იგი ვალდებულიცაა, მიიღოს უკიდურესი, უმკაცრესი ზომები, რათა თავი დაიცვას რღვევისაგან... როდესაც მკვლეელი თავს გვესმის, ჩვენ მას ვკლავთ. ეს თავდაცვის აუცილებელი კანონია... ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება მუდამ!.. (ძლიერი ტაში)

**შეძახილები** — მართალია!  
— სწორია!..  
— ბრავო!..

**სტოლინინი** — დაბოლოს, ბატონებო, რაც შეეხება სიკვდილით დასჯის იმ კანონპროექტს, რომელსაც თქვენ იხილავთ და რომელიც შემოსულია აქ სახელმწიფო სათათბიროდან, უნდა მოგახსენოთ, რომ მისი ავტორები სწორედ იმ რევოლუციური პარტიების წარმომადგენლები ბრძანდებიან, რომლებიც სათათბიროს კათედრიდანაც კი ახერხებენ მოუწოდონ ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ და რომლებიც სცხლიანი ტერორით ცდილობენ დაგვაშინონ და ხელი აგვადებინონ მათთან ბრძოლის ისეთ ქმედით საშუალებაზე, როგორცაა სიკვდილით დასჯა! მაგრამ ჩვენი ძლიერების სრული შეგნებით ჩვენ ვუპასუხებთ მათ: — „ვერ შეგვაშინებთ!“ — ვიდრე ეს სისხლიანი ტერორი არ მოისპობა, სიკვდილით დასჯას ვერ გაეაუქმებთ, ვინაიდან ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს იყო ერთი ადამიანი, რომელმაც უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლში ჩაახრჩო პარიზი და საფრანგეთი, როგორც კი ხელთ იგდო ძალაუფლება... ის ადამიანი გახლდათ რობესპიერი და, ძალაუფლების ხელში ჩაგდებად, მისი პირველი სიტყვა სახალხო წარმომადგენელთა საკრებულოში მიმართული იყო... სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ! ეს კარგად დაიხსომეთ, ბატონებო, და ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ჩვენს სახელმწიფო სათათბიროშიც ახლად მოვლენილი ჩვენი რობესპიერებიც სწორედ ასევე იქცევიან და ასე მოიქცევიან მომავალშიც! — Им нужны великие потрясения, — а нам нужна великая Россия! (კათედრიდან ჩამოდის)

**შეძახილები** — ბრავო!.. ბრავო!..

აკადემიური ჯგუფის გარდა ყველანი ფეხზე დგებიან და ტაშით აცილებენ სტოლინინს, რომელიც ლოკაში ბრუნდება. გურკო მას მოწიწებით და პირმოთნედ ულოცავს.

**თავმჯდომარე** — ბატონებო, სიტყვა ეძლევა სახელმწიფო საბჭოს წევრს თავად ქავჭავაძეს!.. (დარბაზში მტრული დუმილი და მოლოდინი. ილია მძიმედ ადის კათედრაზე, წინ ქაღალდის ფურცელს დაიდებს, დინჯად გადახედავს დარბაზს)

**ილია** — ბატონებო! მეტად ადვილია სიტყვის წარმოთქმა, როცა ეს სიტყვა იწვევს დამსწრეთა ტაშს და მხურვალე თანაგრძნობას... სამაგიეროდ, უღრესად ძნელია ლაპარაკი იქ, სადაც დიდი უმრავლესობა განწყობილია მტრულად ორატორისადმი და გადაწყვეტილებაც უკვე გამოტანილია...  
**გურკო** — (ადგილიდან) თუ ასეა, რაღა გალაპარაკებთ?!



- თავმჯდომარე** — (ზარს აწკარუნებს) გთხოვთ, ხელს ნუ უშლით ორატორს!
- ილია** — იმ ჯგუფმა, რომელმაც დააყენა აქ საკითხი სიკვდილით დასჯის გაუქმებისა, ძალიან კარგად იცის, რომ იგი მეტად მცირერიცხოვანია იმისათვის, რომ რაიმე შთაბეჭდილება მოახდინოს დამსწრეთა უმრავლესობაზე, მაგრამ ჩვენ მაინც გადაწყვეტილი გვაქვს ვთქვათ ის, რაც ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რა ძნელიც არ უნდა იყოს ამ ჭეშმარიტების თქმა და მოსმენა... იმთავითვე ამ გადაწყვეტილებით ვიმყოფებით ამ დარბაზში და დაე ხალხმა, ისტორიამ დაგვდოს მსჯავრი... (დარბაზში ღრტვინვა. თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს) ბატონებო!.. მე სახელმწიფო სთათბიროშიაც დავესწარი ბევრ კრებას და ბევრი სიტყვაც მოვისმინე სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდაც... აქაც საკმაოდ ითქვა, მაგრამ ყოველივე ეს სასწორზე რომ დაიდვას, არა გვგონია ისე თვალსაჩინოდ გადიხაროს სასწორი რომელიმე მხარეს, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე. მართლაცდა, მთავრობა გვეუბნება, რომ იგი თავს იცავს და მხოლოდ მაშინ გააუქმებს სიკვდილით დასჯას, როცა მოქალაქენი დაწყენილებიან, ამ სისხლიან ტერორს შესწყვეტენ და ზრდილობიანად მოქცევიანო... აღფრთოებულნი და ამბოხებულნი კი გაიძახიან: ჩვენ ტერორს შევწყვეტთ მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობა საზარელ სიკვდილით დასჯას და საველე სასამართლოებს გააუქმებსო... (დარბაზში ხმაური)
- თავმჯდომარე** — ბატონებო!.. ბატონებო!.. (ზარს აწკარუნებს)
- ილია** — მე კი ვიტყვი, რომ უფრო სწორი იქნება ვიკითხოთ, — თუ რა იწვევს ბრძოლის ამ შემაზრუნენ ფორმებს ორსაც მხრივ? — და ჩვენ რომ კვალში ჩაუვდგეთ ამ კითხვას, დავინახავთ, რომ როგორც ტერორი, ისე სახრჩობელაც გამოიწვევს იმ ძირითადი მიზეზით, რომ მთავრობას არ სურს დაავდოს ძველი გზა, ხოლო რუსეთის ხალხი, თავის მხრივ, ველარ ურიკდება იმ საძულველ რეჟიმს ძალმომრეობისას, რომელმაც რუსეთის ხალხი გადატაკების კარამდე მიიყვანა და თვით რუსეთის იმპერიის პრესტიჟიც მუკდენისა და ცუსიმას სამარცხვინო უფსკრულში ჩაჩხა... (დარბაზში საშინელი ხმაური. მემარცხენეთა ტაში)
- თავმჯდომარე** — ბატონო ორატორო! გთხოვთ თავი შეიკავოთ ასეთი უადგილო დახასიათებებისაგან...
- სტოლიპინი** — Безобразие!
- გურკო** — (წამოხტება) ბატონო თავმჯდომარე! მე კატეგორიულად მოვიტხოვ — დაიცვათ ჩვენი ღირსება!..
- თავმჯდომარე** — ბატონო გურკო!.. თქვენ მთავრობის წევრი ბრძანდებით, მაგრამ აქ უფლება არა გაქვთ ასეთი მოთხოვნით მომმართოთ!..
- გურკო** — ბოდიში, ბატონო თავმჯდომარე! მე გთხოვთ, ამიერიდან დროზე შეაჩეროთ ხოლმე ორატორი... თქვენ ვალდებული ხართ...
- თავმჯდომარე** — (უფრო მწყრალად) ბატონო გურკო!.. არც ერთ თავმჯდომარეს არ ძალუძს შეაჩეროს სიტყვა, როდესაც იგი სწყდება ორატორის ბაგეს... მე შემძლიან შევაჩერო ორატორი მხოლოდ მაშინ, როდესაც სიტყვა უკვე მოსწყდება მის ბაგეს და მე შევიცნობ, რაზედ ლაპარაკობს ორატორი... (ილიას გაფრთხილებით! თუ კიდევ შეურაცხყოფთ ჩვენს სახელმწიფოებრიობას, იძულებული ვიქნები დაგატოვებინოთ კათედრა...)
- ილია** — კეთილი, ბატონო თავმჯდომარე! (დარბაზს) ბატონებო, ვიმეორებ, მიზეზი ყოველივე ამისა არის ის, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტმა თუმცა-და აღუთქვა ხალხს რეფორმები და თავისუფლებანი, მაგრამ ეს აღთქმული



სიკეთენი სინამდვილეში არაფრით არიან უზრუნველყოფილი მოქალაქეებისათვის. ხსენებული მანიფესტი ცარიელ დაპირებად დარჩა და, ჩვენდა სავალალოდ, მთავრობა უფრო მომზადებული აღმოჩნდა „პოგრომებისათვის“, ვიდრე რეფორმებისათვის... (დარბაზში კვლავ საშინელი ხმაური. აკადემიური ჯგუფის ტაში)

**თავმჯდომარე** — (ზარს აწკარუნებს) ბატონო ორატორო!.. კიდევ გაფრთხილებთ.

**ილია** — მესმის, ბატონო თავმჯდომარე! (დარბაზს) ბატონებო, მთავრობის თავმჯდომარემ თითქმის მხატვრულადაც კი დაგვიხატა სურათი რევოლუციის ცეცხლში გახვეული რუსეთისა და ჩამოგვიტვალა მეფის ის ერთგულნი მსახურნი, რომლებიც სიცოცხლეს გამოასალმეს რევოლუციონერებმა, — მაგრამ მას ერთი სიტყვაც კი არ უბრძანებია იმის შესახებ, თუ რამდენი უდანაშაულო ხალხი იმსხვერპლეს მეფის იმ ერთგულმა მსახურებმა, ან რა ავიყებს ხალხს, რა აღლეებს გლეხებს, რად იფიცებთან მშუგები, რა აჯანყებს და აწუხებს პოლონეთის, ბალტიისპირეთის, კავკასიის ერებს?..

**სტოლიბინი** — (ადგილიდან, დამცინავად) ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვის რა აწუხებს!..

**ილია** — (სტოლიბინს) ძალიან მიხარის, ბატონო, რომ გცოდნიათ!.. მით უკეთესი!.. ჰოდა, ალბათ ისიც კარგად გცოდინებათ, რომ უფლებააყრილ, მშვიერ-ტიტველ ხალხს სახრჩობელებით ვერ დაანაყრებთ... (ძლიერი ხმაური. თავმჯდომარის ზარი)

**შეძახილები** — ეს მთავრობის შეურაცხყოფაა!..

— როგორ უბედავთ!..

**თავმჯდომარე** — ბატონო ორატორო!.. ნუ ეკამათებით მთავრობის პირთ!..

**ილია** — მესმის, ბატონო თავმჯდომარე!.. (დარბაზს) ბატონებო, როგორც ბატონ სტოლიბინის სიტყვიდან სჩანს, იგი ისე უდგება ამ უქანასკნელი დროის ამბებს, თითქოს გულკეთილ მამას ნებიერად გაზრდილი შვილი გაუყინიანდა და უმიზეზოდ მას უპატიურად ხდის... (დარბაზში ხმაური და სიცილი. თავმჯდომარის ზარი) ბატონ სტოლიბინს ჰგონია, ამ უმიზეზოდ გაანჩხლებულ ბავშვს ერთი კარგი გატყევა მოუხდება, რომ იგი ისევ და-შომშინდეს, ტახტზე მიწვევს და კვლავ ტყბილ ძილს მიეცეს... (ხმაური, სიცილი, მემარცხენეთა ტაში)

**ტაგანცევი** — (ადგილიდან) ბრავო, ილია გრიგორიევიჩ!.. ბრავო!.. (თავმჯდომარის ზარი)

**ილია** — ის კი ველარ გამოუგნია ბატონ სტოლიბინს, რომ რუსეთის ხალხის ასეთი გალომება უსაბაზოდ გააშრებული ბაღის შემთხვევითი „ბუნტი“ როდია!.. (ხმაური, ტაში, სიცილი) რუსეთის ცხოვრება ამ ბოლო ხანს ძალიან წინ წავიდა, ბატონებო! გასულმა საუკუნემ მეცნიერული საბუთი დაუდვა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომელიც ჰქადაგებს, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდების კიბეზედაც არ უნდა იდგეს, მანაც ადამიანია და ყველასთან თანასწორი... (ხმაური)

**შეძახილები** — მარქსიზმის ქადაგებას თავი დაანებეთ!..

— მაგ უტოაიებს აქ ვერ გაასაღებთ!..

**ილია** — ბატონებო, ეს მოძღვრება ჩვენშიც ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად იქცა და მიზნად ისახავს ფეხზე წამოაყენოს გამრჯელი, მშრომელი კლასები წარსამატებლად... (ძლიერი ხმაური, ზარი)

**შეძახილები** — ასეთი სიტყვებით სათათბიროში გამოდით!..



— იქ რევოლუციონერები დაგიკრავენ ტაშს...

**თავმჯდომარე** — ბატონო ორატორო! გთხოვთ საგანზე ვლაპარაკოთ!..

**ილია** — პატივცემულო თავმჯდომარევ, მე სწორედ საგანზე ვლაპარაკობ!.. (დარბაზს) ამ მოძღვრების შემწეობით გამრჯელმა კლასებმა თვალი აახილეს, თავიანთი საკიბროროტო საკითხები წინ წამოაყენეს და მათი განკურნება მოითხოვეს... და აი როდესაც მთავრობამ არაფერის გაგება და დათმობა არ ინება, როცა აღთქმული პურის ნაცვლად ქვა ჩაუდო მათ ხელში და თანაც აღარაფერს მოერიდა, რომ თავისი პრივილეგიები და ძალუფლება შეენარჩუნებინა, — ხალხმა იფეთქა და აჯანყდა!.. (ხმაური, ტაში)

**ტაგანცევი** — მშვენიერია, ილია გრიგორიევიჩი!.. Чудесно!..

**გურკო** — (ზიზღით და დაცინვით) აჯანყდა, თორემ ბევრი რამ გაიტანა! ხომ ვასწავლეთ ჭკუა!?!..

**ილია** — ბატონებო, დღეს თუ ვერ გაიტანეს, ხვალ გაიტანენ!.. დღეს თუ თქვენ „ასწავლეთ ჭკუა“, ხვალ ისინი „გასწავლიან“!.. ბატონებო, ჩვენი საუკუნის ვალია, ამ სოციალურ ტკივილებს საბოლოო წამალი დაედოს... (ხმაური, ტაში)

**შედახილები** — აა, თქვენ სოციალისტი ყოფილხართ!..

— აქ სახელმწიფო საბჭოა!.. მაგ პოეტური ფანტაზიებით ფონს ვერ გახვალთ!

**ილია** — ბატონებო, მე სოციალისტი არა ვარ!.. მეც თქვენსავით მენატრება, რომ რევოლუცია დამთავრდეს და ცხოვრება კვლავ კალაპოტში ჩადგეს, მაგრამ, პატივცემულო ბატონებო, — ვიმეორებ, — ახალი დრო დადგა, ცხოვრებამ უკვე ფერი იცვალა, და დროა ჩვენც აღარ ვტრიალებდეთ იმ აზრთა წრეში, რომელიც დღემდე თითქოს კიდევ ვარგოდა... მერწმუნეთ, რომ ვერავითარი სიკვდილით დასჯა და საველე სასამართლოები ვერ შეაჩერებენ ცხოვრების წინსვლას... ბატონებო, მთავრობა მწვრთნელი და თანამოღვაწე უნდა იყოს თავისი ხალხისა, თორემ რა მთავრობაა ის მთავრობა, რომელსაც თავისი ბატონობის შენარჩუნების საშუალებად მხოლოდ მთარახნი და სახრჩობელა-ლა დარჩენია!.. (დარბაზში ხმაური, ტაში)

**შედახილები** — გააჩუმეთ ორატორი!..

— აღარ გვსურს მოსმენა!..

**გურკო** — ჩვენ უკვე პარლამენტარული სახელმწიფო ვართ!..

**ილია** — არა, ბატონო გურკო!.. პარლამენტარიზმის სამკაულებით თქვენ ვერ გააპატარძლებთ ბიუროკრატიული თვითმპყრობელობის კბილებჩაცვივნულ ბებრუხუნას!..

**სტოლიპინი** — (აღშფოთებულად) Позор!..

**გურკო** — ეს ხომ სკანდალია! ვის უბედავთ მაგას!..

**შედახილები** — ძირს!..

— ძირს კათედრიდან!..

**თავმჯდომარე** — (ხარს აწკარუნებს) ბატონო ორატორო!.. უკანასკნელად გაფრთხილებთ! წინააღმდეგ შემთხვევაში...

**ილია** — მესმის, ბატონო თავმჯდომარევ!.. (სათვალეს გაიკეთებს, ქაღალდში ჩაიხედავს)

**გურკო** — ბატონო თავმჯდომარევ! ორატორი დაწერილით აპირებს წაკითხვას.

**თავმჯდომარე** — (ილიას) საბჭოს წესდებით, დაწერილით სიტყვის წარმოთქმა აკრძალულია!

**ილია** — მე არც ვაპირებ წაკითხვას. მე მხოლოდ კონსპექტში ჩაიხედე და

განვარდობ... (სათვალეს მოიხსნის) ამრიგად, ბატონებო, თუ თქვენ გსურთ, რომ აღარ იყოს მეფის ერთგულ მსახურთა კვლა, აღარ იყოს შფოთილნი ამბოხი, მიეცით კრიჭააკრულ ხალხს თავისუფლება, მიეცით გაძვალტყავებულ მუშას ადამიანური შრომისა და ცხოვრების სახსარი, მიეცით გალატაკებულ გლეხობას მიწა, დაბოლოს, მიეცით რუსეთში შემავალ მცირე ერებს ფართო თვითმმართველობა, — და, მერწმუნეთ, აღარც თქვენ დაგჭირდებათ სახრჩობელა!.. (ხმაური, ტაში, დამცინავი სიცილი)

**გურკო** — არავითარი თვითმმართველობა! რუსეთის იმპერია მთლიანი და განუყოფელია!

**ილია** — ბატონებო!.. ჩვენ არც ვაპირებთ ამ მთლიანობის შელახვას... მაგრამ განა თვით რუსმა ხალხმა არ აღიმადლა თავისი ძლიერი ხმა მცირე ერების სამართლიან მოთხოვნათა დასაცავად?!.. და ჩვენც, დიდი რუსი ხალხის რჩეულ წარმომადგენლებთან ერთად, კვლავაც ვივლით უკეთესი მომავლისაკენ და მივალწვეთ კიდევ მიზანს!.. (ხმაური, ტაში)

**გურკო** — (სარკასტულად) იქნებ ისიც გნებავთ, რომ თქვენი დაგლეჯილი ეროვნული დროშაც მოგართვათ?.. (დარბაზში ხარხარი და აკადემიური ჯგუფის წევრთა აღშფოთება)

**თავმჯდომარე** — (ზარს აწკარუნებს, გურკოს) გთხოვთ, ნუ ეკამათებით ორატორს.

**ილია** — (ძალიან ეწყინა, მაგრამ თავი შეიკავა) ბატონებო!.. ბატონმა გურკომ კვლავ რეპლიკა მადირსა!.. ეს დიდი მოწყალებაა ჩემთვის ვატერ-კლოზეტებით მოვაჭრე გაიძვერა ლიდვალის გულითადი მეგობრისაგან!.. (დარბაზში სიცილი, ხმაური, ტაში)

**გურკო** — (აღშფოთებული) ეს ჩემი შეურაცხყოფაა!.. ბატონო თავმჯდომარე!..

**თავმჯდომარე** — (ზარს აწკარუნებს) ბატონო ორატორო!..

**ილია** — (თავმჯდომარეს) მე არაფერი მითქვამს ისეთი, რაც არ ყოფილიყოს გამოქვეყნებული პრესაში!.. (კვლავ სიცილი, ტაში) რაც შეეხება ჩვენი ეროვნული დროშის ასე მჩვარში გახვევას, მე უნდა მოვავლო ბატონ გურკოს, რომ ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელითა და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად გადაუცია... გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად გამოსულა საომარ ველზე და მისი წინამძღოლობით ქართველობას არა ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად... ბატონ გურკოსთანა აფიორების „დეემირები“ კი დღეს უპატიურად ხდიან იმ პატარა ერს, რომელიც შეჭვარებია დიდ რუსეთს თავისი პატიოსნებისა და ღირსების დასაცავად... (ხმაური, ტაში, სიცილი)

**თავმჯდომარე** — ბატონო ორატორო!.. გთხოვთ საგანს დაუბრუნდეთ!..

**ილია** — (არ უსმენს) დიახ, ბატონებო!.. ასეთ რეპლიკებსა და ხარხარში ჩვენ ქედმაღლურ დაცინვასა და სიძულვილს ვგრძნობთ, მაგრამ ნუ დაგვიწყდებთ, რომ დაცინვა და სიძულვილი საპასუხო დაცინვასა და სიძულვილს შობს, ხოლო პატივისცემა და სიყვარული — საპასუხო პატივისცემასა და სიყვარულს! (დარბაზში ხმაური, ტაში)

**შეძახილები** — სწორია!..

— მართალია!..

— ნუ გვემუქრებით!.. (თავმჯდომარე ზარს აწკარუნებს)

**ილია** — მხოლოდ სიყვარული მმართველობასა და ხალხს შორის, მხოლოდ ძმუ-



რი თანხმობა ერებს შორის სათავეა იმისა, რაც შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, — ვინაიდან მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, მხოლოდ სიყვარულით გამთბარ ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების სრული განწირვა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ... სადაც ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუტურია... ერთი ლაზათიანი ქარის შემობერვა, და მისი გარდატეხაც ერთია!.. (ძლიერი ხმაური, ტაში)

შეძახილები — ეს მოწოდებაა შეიარაღებული აჯანყებისაქენ!..

— ამ უზენაეს კედლებში ჩვენ ვერ მოვითმენთ ამას!..

გურკო — (გაწიწმამტებით) მაშ თქვენი სიტყვით, რუს ხალხს ჩვენ ვძულვართ, პა?..

ილია — (დამცინავი ღიმილით) ღმერთმა დაგიფაროთ, ბატონო გურკო! მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ვისაც ვინ უყვარს, იგი მას არც უჯანყდება და არც ყუმბარებს ესერი!.. (საშინელი ხმაური, ტაში)

თავმჯდომარე — (მკაცრად) ბატონო ორატორო!.. მეტის მოთმენა შეუძლებელია! კეთილ ინებეთ, დასტოვეთ კათედრა...

ტაგანცევი — (წამოხტება) ეს კანონიერი არ არის!.. ორატორმა მხოლოდ რეპლიკაზე უპასუხა... მას არაფერი უთქვამს ისეთი..

გურკო — (წამოვარდება) ძირს... ეს გაუგონარი კანდიერებაა!..

შეძახილები — ძირს!..

— აღარ გვსურს მოსმენა!..

— განაგრძეთ, ილია გრიგორიევიჩი!..

— განაგრძეთ...

ხმაური და ზარის წკარუნი ძლიერდება. ილია კათედრაზე დგას და დამცინავად იღივება. სინათლე ქრება და მცირე მუსიკალური პაუზის შემდეგ ისევ აინთება. სხდომათა დარბაზი უკვე ცარიელია. მოხუცი, მოოქროვილივითი მსახურები ლანდებივით უხმოლ დადიან დარბაზში და ქალებს აჭრობენ. სტოლიპინი, საბჭოს თავმჯდომარე და გურკო გასასვლელისაკენ მიდიან.

სტოლიპინი — (თავმჯდომარეს) ახ, მონ ამი, მართლაც და მეტად სამწუხაროა, რომ ამ ქართველმა თავადმა ასე კანდიერად გამოილაშქრა, მაგრამ ასაღლებელი მაინც არაფერია... პირიქით, დღეს მან ძალიან გამოაცოცხლა და, წარმოდგინეთ, გაამხიარულა კიდევ ჩვენი საბჭო...

თავმჯდომარე — რას ბრძანებთ, ძვირფასო პიოტრ არკადიჩი!.. როგორ არ ვილევო, როცა მთელი სახელმწიფო საბჭო აღმფრთვებულია...

სტოლიპინი — (მცდელი ღიმილით) რით, მონ ამი?

თავმჯდომარე — როგორ თუ რით, პიოტრ არკადიჩი? ჩვენ, რუსეთის ბრწყინვალე თავადაზნაურობამ, ასეთი დიდი პატივი დავდეთ, იმპერიის უმაღლეს ორგანოში ავირჩიეთ, და მან კი... თავს ლაფი დავგასხა... მთელი რუსეთის თავადაზნაურობა შეგვარცხვინა...

სტოლიპინი — (ღიმილით) ნუ დავაეწიწმამტებთ, მონ ამი, რომ მან თავისი თავიც შეარცხვინა, და, რაც მთავარია, გამოამყლანა კიდევ...

თავმჯდომარე — პოდა, ესლა ჩვენ ყველანი ძალზე ვნანობთ!.. ახ, როგორ მოვტყუვდიით!.. როგორ, როგორ მოგვივიდა ასეთი შეცდომა...

სტოლიპინი — (კვლავ ცბიერი ჩაღივებით) დამშვიდდით, მონ ამი! სამწუხაროდ, პოლიტიკაში ხშირად ხდება ასეთი შეცდომა... კაცს ენდობი, შენი თანამოაზრე და ერთგული გგონია, და უცებ... პირველი ის ჩაცემს მახვილს...





მოიგონეთ თუნდაც ბრუტოსი და იულიოს კეისარი.. (გურკოს) ვლადიმერ იოსიფოვიჩი!.. მაშ თქვენ ამბობთ, რომ პოლიციის დეპარტამენტში ვად ქავჭავაძის შესახებ მეტად საგულისხმო მასალები მოგეპოვება?

**გურკო** — დიახ, პიოტრ არკადიჩ!.. მე თავიდანვე დაინტერესდი მისი პიროვნებით... 1884 წლიდან იგი პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება... აჰ, პეტერბურგის უნივერსიტეტში უსწავლია... ჩერნიშევსკის თანამოაზრე და მისი წრის წევრი ყოფილა... სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ...

**სტოლიპინი** — ოჰო!..

**გურკო** — შემდეგ თბილისში დაბრუნებულა და ბატონყმობის გაუქმებისათვის უბრძოლია...

**სტოლიპინი** — Ну, это — не грех! ბატონყმობა თვით ხელმწიფე-იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ გააუქმა...

**გურკო** — შემდეგ საკუთარი ჟურნალი და გაზეთი დაუარსებია, რითაც უდიდეს გავლენას ახდენდა თურმე ტუზემცებზე... სხვათა შორის, ეტყობა, დიდი ჭკუის კაცი კია...

**სტოლიპინი** — დიახ, ეტყობა!.. ეტყობა!.. თქვენ რას იტყვით, მონ ამი?..

**თავმჯდომარე** — (ნერვიულად) ძვირფასო პიოტრ არკადიჩ!.. რაში ვაქნევ მის ჭკუას, თუ კი იგი ჩვენს წინააღმდეგაა მომართული!.. (სტოლიპინი და გურკო იცინიან)

**გურკო** — ჰოდა, ძვირფასო პიოტრ არკადიჩ, როგორც საიდუმლო მასალებიდან ირკვევა, ეს თავადი ქავჭავაძე მთავარი ხელმძღვანელი ყოფილა იმ მიმართულებისა, რომლის მიზანიცაა ქართველთა შორის ეროვნული მოძრაობის გაღვივება...

**სტოლიპინი** — აჰა!.. ესე იგი ქართველ სეპარატისტთა მოთავე?.. აა, კიდეც იმიტომ ლაპარაკობდა ასე ცხარედ თვითიმართელობის შესახებ!

**გურკო** — დიახ, პიოტრ არკადიჩ! მასთან იმართება თურმე საიდუმლო კრებები, სადაც/არჩევენ პოლიტიკურ საკითხებს...

**სტოლიპინი** — Словом, он — центр?! ასე რომ რუსეთში პოლიტიკური გართულებისა და კრიზისის შემთხვევაში მას შეუძლიან სათავეში ჩაუდგეს ქართველთა სეპარატისტულ მოძრაობას? ხომ?

**გურკო** — სავსებით! როგორც მასალებიდან ჩანს, მაგაზედ უკეთესად ამას სხვა ვერავინ გააკეთებს. ამ მხრივ იგი მეტად საშიშია! ქართველთა უგვირგვინო მეფეს ეძახიან თურმე.

**სტოლიპინი** — ახ, ასეცაა საქმე?.. ჰმ!.. ეგ — მთავარია!..

**გურკო** — დიახ, პიოტრ არკადიჩ! ამას გარდა, იგი რევოლუციის გამჩაღებელიც ყოფილა... იგი გლეხებს აქეზებს ტერორისტულ აქტებზე...

**სტოლიპინი** — Ну?.. არის ამის საბუთები?

**გურკო** — რამდენიც გნებავთ!

**სტოლიპინი** — სახელდობრ?

**გურკო** — მისივე მოაზრობები, ლექსები, პოემები, პიოტრ არკადიჩ!.. მისი პოემა „კაკო ყაჩაღი“ და მოთხრობა „გლახის ნაამბობი“ პირდაპირი მოწოდებაა მემამულეთა მკვლელობისაკენ...

**სტოლიპინი** — (ღიმილით) საინტერესოა!

**გურკო** — მისი პოემა „განდგილი“ ქრისტიანული რელიგიის არსის სრული უარყოფაა, ხოლო ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ როდესაც მთელი ევროპა წყევლა-კრულვას უთვლიდა პარიზის კომუნას, თავადმა ქავჭავა-

ქემ მას ლექსი უძღვნა, რომელშიც დიდად სწუხს პარიზის კომუნის მარცხებას...

**სტოლიპინი** — პარადოქსალურია!.. თავადი და... პარიზის კომუნის დაცვა?.. პარადოქსალურია...

**გურკო** — წარმოიდგინეთ, ჯიბის საათიც კი ისე ჰქონია მოწყობილი, რომ ყოველ თორმეტ საათზე მარსელიეზას უკრავს...

**სტოლიპინი** — (იციინის) Ну, это даже просто забавно!.. (თავმჯდომარეს) ხედავთ, მონ ამი, რა ენერგიული მოხუცი ყოფილა!..

**თავმჯდომარე** — (ცხარედ) ძვირფასო პიოტრ არკადიჩ, ეს თავადი ჰავჯავაძე აშკარად ჩვენი მტერია და დიდი შეცდომა მოგვივიდა, რომ იგი სახელმწიფო საბჭოში შემოვუშვიით... ამის მოთმენა უკვე ყოვლად შეუძლებელია!

**სტოლიპინი** — (ცბიერი ღიმილით) არაფერია, მონ ამი!.. (პაპიროსს უკიდებს) უბედურება მაშინ არის, როცა შეცდომა შეუცნობელი რჩება, ხოლო როდესაც შეცდომა შეცნობილია — მისი გამოსწორება მუდამ შეიძლება... მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამ მყვირალა მეორე სათათბიროსაც უნდა ბოლო მოეღოს, და რაც შეიძლება მალე! მთელი ეს სისაძაგლე იქიდან მოდის... გავსწიოთ, მონ ამი!.. (ხელს გაუყრის მკლავში და მიდის) ჰო, მართლა, ვლადიმირ იოსიფოვიჩ! ხვალ თქვენ კიდევ მომაგონეთ ამ „უგვირგვინო მეფის“ შესახებ...

**გურკო** — მესმის, პიოტრ არკადიჩ!.. მისი აქაური „მოღვაწეობის“ შესახებაც მოგახსენებთ... საინტერესო ფაქტებია...

**სტოლიპინი** — კეთილი!.. (თავმჯდომარეს) თქვენ კი, მონ ამი, მის ამ სკანდალურ სიტყვას არც სტენოგრაფიულ ანგარიშში დაბეჭდავთ და არც პრესაში გაუშვებთ, ხომ?

**თავმჯდომარე** — რა თქმა უნდა, პიოტრ არკადიჩ!.. არავითარ შემთხვევაში!.. (გადიან)

• ფ ა რ ლ ა



## შედეგად

### რაც გამახსენდა

ცოტა ხნით უნდა შევეყვითო ქრონოლოგიური დინება ჩემი „რაც გამახსენდა“-სი, რადგან ამ ნაწარმოების წერის დროს მომისწრო დიდმა თარიღმა — დიდებულ ილიას დაბადებიდან 120 წლისთავა და გარდაცვალებიდან 50 წელმა.

მართალია, ამგვარ დიდ ხალხზე თავის დროზე ცალკეულად შექნებოდა ჩემი ან მოგონება, ან შეხედულება გამოთქმული, მაგრამ ამჟამად:  
იყოს ესრეთ!

#### ილია

ეს დიდი ლამაზი იყო.

ლამაზი, დანთებული ჩვენი სულის საუკეთესო ეთერისაგან.

უმშვენიერეს ჩვენს გრძნობათაგან აციმციმებული.

და ჩააქრეს იგი ტლანქად, შეცურად.

მაგრამ ჩააქრეს მხოლოდ ხილული ნათელი.

უხილავი კი მუდამ ჭამს ჩვენს გრძნობას და გონებას უცხო შუქად ჩამდინარებს.

#### ნამცეცები

სიღარიბე მჭირს ფრიადი ილიას გახსენებისას.

ნაკლებ შევხედრივარ, ნაკლებ მინახავს.

მაგრამ ბუმბერაზის ცხოვრებისა ნამცეცებიც კარგია და საილიაოდ კალმის აღებას ეს მახედიენებს.

ბავშვობიდან ვიცნობ მის სახელს. მარტო ნაწერებით კი არა.

ჩვენს ოჯახში დიდ აკაკისთან ერთად დიდებულ ილიას კულტი იყო გამეფებული.

მამაქემი პირადი მეგობარი იყო ილიასა და ხშირად გვიამბობდა მის ნათქვამს, მის ნამოქმედარს.

აკი მამამ თავის „საამდროო გამოცანებში“ (ზმაკიდურებში) ასეთი აღტაცებული სტრიქონები უძღვნა მას:

იმას ვერა ჰგავს ვერავინ გრძნობის მცოცხლები მწერალი:  
ლოშია, ოდეს ვანრისხდეს, მუდამ ძმობისა მღერალი.  
იტყვის მართალს და გზიანსა, უპყრია მართლის მწვერვალი,  
არის ზნე-ქველი, მხნე-მსრბოლი, მედგარი, მოუფერალი.

შახსოვს, როგორი აღფრთოვანებით ვკითხულობდი 1888 წ. გაზეთ „ივერია“-ში ფელეტონებად ჩამომწერივებულ „ოთარაანთ ქვრივს“, და მამა როგორ ქება-დიდებას ასხამდა ამ საუცხოო ნაწარმოებს.

და სულ ასე. ილიას მოწინავე, ილიას პოლემიკური წერილები, ვანსაკუთრებით „აი ისტორია“ და „ქვათა ლაღად“ იყო ჩვენს ოჯახში აღტაცებისა და ქება-დიდების საგანი.

\* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 2, 3, 4.





აქედან ჩამენერგა სიყვარული და მოწიწება ამ რჩეულ კაცისადმი.

და აი, ილია პირველად ვნახე... სამეგრელოში...

თბილისიდან კომისია იყო ჩამოსული მინგრელსკის ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად.

ცნობილია, რომ თავისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, აღსაყვან ძეგლის მანუსკრიპტებით, მინგრელსკიმ შესწირა მაშინდელ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარედაც იყო ილია და რომლის კომისიასაც მეთაურობდა იგი ინტენსივად.

ბანძაში ვიყავით სტუმრად ნათესავეებში. გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ფართო ეზოში ცხენი შემოაჭენა ერთმა წერწეტა მეგრელმა და მამას გადასცა. „ქანჭანიძე“ მოდიან შენთანო.

ჩვენ ვერ გავიგეთ ვინ იყო ეს „ქანჭანიძე“, მაგრამ მამას სცოდნოდა, რომ ილია უნდა ჩამოსულიყო, დიდად გაიხარა და ჩვენც გეხარა ეს ამბავი.

მართლაც ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოვიდა ასე 20 — 25 ცხენოსანი, რომელთა შორის, სხეებზე ცოტა წინ, იონა მენუნარგის თანხლებით, გამოჩნდა კარგ ბედაურზე მჯდომი პირბუდალი და თვლებმციანარე ადამიანი.

მამა რომ მიეგება, ვიცანით, ეს ილია იყო.

გავიგე აქ ყოფილხარ, ნიკო, და გულმა არ მომითმინა არ მენახეო, დაახლოებით ასეთი იყო ილიას პირველი სიტყვები.

და გაბაღდა საუბარი, რამდენადაც მახსოვს, ჩასაბარებელ ბიბლიოთეკაზე, საერთოდ ძველ მწერლობაზე და განსაკუთრებით ერთ ძველ შესამჩნევ წიგნზე „ნებროთიანზე“, რომელსაც მამა დიდად აქებდა; ბავშვობისას ჰქონდა თურმე წანაკითხი და მოელოდა, რომ მინგრელსკის ბიბლიოთეკაში, აღმოჩნდებოდა.

ზოგს ეხლანდელს აქეღვარს ზღაბრად მიაჩნია „ნებროთიანის“ არსებობა, შეიძლება იმითმთავი, რომ დღეს აქამომდე არ აღმოჩენილა, ზოგი მას „ადამის წიგნსაც“ უწოდებს, მაგრამ მამა ამბობდა, რომ ეს იყო რაღაც შესანიშნავი კრებული, მგონი უფრო აპოკრიფული ხასიათისა და ზოგჯერ იკონუნდა კიდევ იქიდან სხვადასხვა მხატვრულ ნათქვამსა და შაირს.

მამას თვით ჰქონია ეს წიგნი, მაგრამ როდესაც მისი ბიბლიოთეკა ცეცხლს უმსხვერპლია, „ნებროთიანიც“ იქ დაღუპულა.

შემდეგში ისტორიკოსმა თედო ყორღანიამ მამას სიტყვით აღწერა ეს წიგნი თავის „ქრონიკებში“, მაგრამ თვით ხელნაწერი, როგორც ვთქვი, დღემდე მაინც დაკარგულია, თუმცა უკუვაჯდით ეს „სიტყვის მოტანილი“ ამბავი.

ამ წიგნის გარდა, მახსოვს, საუბარი გადავიდა თანამედროვე საკითხებზე: ბანკი, თეატრი. გაზეთი, ქართული ენა; უმთავრესად კი თვით სამეგრელო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი.

და აი აქ იყო, რომ პირველ დღიდან ილიას შესამჩნევი ფრაზა: სამეგრელოში ვარ და საქართველოს გზედავო.



მეორეჯერ ვნახე ილია უკვე თბილისში, მის სახლში, მაშინდელ ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, საცა „ივერიას“ რედაქციაც იყო მოთავსებული.

რაღაც დღესასწაული იყო. მამა უქეფოდ იყო და მე გამგზავნა თავის ნაგიერ მისალოცად. უნდა გენახათ ჩემი გახარებაც და ჩემი შეწუხებაც.

შეწუხება იმითომ, რომ, ვამოტეხილვარ, ქაბუკობისას მეტსმეტა მორცხვი და უკანდახეული ვიყავი. ამა ილიასთან როგორ უნდა მომება თავი სიტყვებისათვის!

შველ დიდ დარბაზში. რასაკვირველია, ევროპულად, მაგრამ სადად იყო მორთული, არაფერი გადაშეშული, არაფერი ბრჭყვიალა. გარდა იმ მძივებისა, თათთან რომ იყო სალუქ ფარდასავით ჩამოკიდებული და დარბაზს ორად ჰყოფდა.

ძალზე ცხელია და მეც ორმაგ ოფლში ვიწურებოდი: ცალკე სიციხისა და ცალკე მოკრძალებისაგან, თან დიდი უხედურება:

ცვირსახოცი დამვიწყებოდა.

ამან ის სითამამეც კი წამართვა, რაც გზაში მოვიმარაგე, მაგრამ საქმეს რას უშველიდა. დარბაზში ილიას მეუღლე დამხვდა და ერთი უშახნის წარმოსადგვი კაცი; როგორც შემდეგში გამოირკვა, კონსტანტინე ჩიკვაიძე იყო, მგონი, უნივერსიტეტით ილიას ნამახზავარი.





ანდა თავის სიზარმაცეზე, სამსახურში გვიან მოდიხო, რომ ამტყუნებდნენ:

— ზოგი კაცი შეიძლება გვიანაც მოვიდეს და მხოლოდ ერთი საათი დაჰყოს სამსახურში, სამაგიეროდ იმდენი შეიძლება გააკეთოს, რასაც მეორე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ვერ გააკეთებს, რაგინდ ადრეც მოდიოდეს სამსახურში და სულ შიგაც ტრიალებდესო.

დაახლოებით ასე.

ახლა ილიამ მომხიბლა საერთოდ მთელი თავისი ნათქვამებით ამ კრებაზე, თავისი შეუვალი ლოკიით და გამანადგურებელი ჰუმორით.

და ასე მერყეობდა ჩემი სიმატია ამ ორ კაცს შუა, და განა მარტო ჩემი, გამოუცდელის, ახლადშედრეპული ჭაბუკისა, არამედ ბერად ჩემზე გამოცდილებისა და განაცდებისაც. თახ — დიდად სწყინდათ, რომ ილიასა და მაჩაბლის შორის ესეთი დევა ატყდა და თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა.

დანაღვლიანებულებში ერთა მამაჩემიც და მისი ნაღვლიანობა მის შვილებს, მე და ჩემს დასაც, გვასველიანებდა.



კიდევ შეხვდები დიდ ილიას ქუთაისში. გაბრიელ ეპისკოპოსს მარხავდნენ.

მე უკვე 22 წლის ახალგაზრდა გიყავ და სხვა ბევრთა შორის მეც მინდობილი მქონდა მოწესრიგედ ცე უფილოყავ, და უნდა გენახათ, როგორ ვამაყობდი, რომ მკლავზე საამისო ნიშანი მქონდა და სადაც გავივლოდი, ხალხი ჩემს განკარგულებას ემორჩილებოდა.

ჰე, რა ხარ, ახალგაზრდობავ! რა პატარა რამ გართობს და თავბრუს ვახვევს!

ექლესიაში ვართ, გელათში. უკვე მოთავდა სიტყვები სასულიერო პირებისა: რუსი ექსარხო-სისა, ეპისკოპოსებისა და სხვ. ხალხში გაისმა: „ილია, ილია სად არის?“ მამამაც მანიშნა, წადი. მოძებნეო; ხალხი გაირღვა და ილია მოძებნე ეზოში, ვთხოვე, წამოზრანებულსა, ვიცოდით, რომ სიტყვა უნდა ეთქვა; ჯგუფში საუბრობდა ხალისიანად და მე რომ მივადექი ბოქაულივით, უეცრად ეს კაცი შეიცვალა, სახე კულტი გაუხდა, თითქოს წარბებიც შემოუქურხუნანდა, მაგრამ სიტყვამომოზრუნებლივ მორჩილად წამოწყვა.

ახლა რომ მოვდივარ, როგორ ვამაყობი იციო, ვინ მომყავს?

გაიწით, მოგვეცალენით!

რასაკვირველია, ამას ხმამალა არ ვამბობ, მაგრამ ან განა საჭიროა გაფრთხილება? უზირ-მაც კი იცის, ვინ მოდის — ახლა ირგვლივ ისმის: „ილია ჭაჭაჭაქაქი!“ თუ არც გაუგონია, მაინც გრძნობს, რომ ვიღაც დიდი კაცია, რადგან ისეთი მოკრძალებით და სიყვარულით არის ნახსენები. აი შევედით ტაძარში. გზა გავუჭერ და მიკაყენე ამაიხიხან, მეც გვერდით ამოვუდექე.

განა ახლა წავალ სადმე? ასე ახლოს და ისიც ვისთან?

ვინა სთქვა, ილია ტემპერამენტია არ არისო?

ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგაბუგი. მკერდი ადის და ჩადის. ეს რა არის? შეკრთა? რა სათქმელია!

ეს ის არის, რომ შინაგან მოზღვაგებული სათქმელი ბოპოქრობს და ეძებს თავის მხატვრულ გამოსავალსა.

დაიწყით, გარეგან თითქო დამშვიდდა. მაგრამ მკერდი მაინც ადის და ჩადის. ისე ახლოს ვდგავარ, რომ თვალნათლავ ვხედავ, მესმის მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან აღმომხდარი ხმები.


რა ბედნიერი ვარ ამ წუთას!

და დაუვიწყარია ჩემთვის ეს წუთი. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ბუმბერაზის გულისძგერა მომისმენია ესე ახლოს და თითქოს შეგვირიღვარ მის ლაბორატორიაში, სადაც ითხზებოდა ჩემი თანდასწრებით ილიას ნაჭედი სიტყვები.

მან დაახლოებით ასე დაიწყო: „დიდბუნებოვანი კაცი იმითაც არის შესამჩნევი, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა მოუარო, ლამაზი სანახავია“.

მეც ამით გავაფთავებ, მხოლოდ ამჟამად მისი სიტყვები დეე თვით მასვე მიუდგეს.

(გაგრძელება იქნება)





## დავით კასრაძე

### ილია ჭავჭავაძე ჩემს ხსოვნაში

ილია ჭავჭავაძე პირველად მსახიობ ღიზა ჩერქეზიშვილთან გაიცინა. ღიზა ჩვენბური იყო, ლიახვის ხეობელი, სოფ. კოშკიდან, და გვენათესავებოდა კოდეც. თბილისში მისი ოჯახი განთქმული იყო პურმარლით. კვირაუქმე დღეს მის ოჯახში თავს იყრიდნენ ცნობილი მსახიობნი ვალერიან გუ-ნია, კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე. ნატო გაბუნია, რომელსაც ვასო „ფაშფაშას“ ეძახდა, და სხვები. მწერლებიდან უფრო ისინი მოდიოდნენ, ვინც ღიზას მეუღლეს ნიკო ხიზანიშვილს გულით უყვარდა. ამ შემთხვევაში უბირატესობა ჰქონდათ ილიას და „ივერიის“ თანამშრომელთ: გიგა ყოფიძეს, არტურ ლაჩხაძეს, არტემ ახანზაროვს, ზოგჯერ ანტონ ფურცელაძესაც შემოუღია კარი. ათასში ერთხელ სოფორმ მგალობლიშვილსაც.

ღიზას ოჯახში არაერთი ბედნიერი შემთხვევა მქონია უფრო ახლოს გავცნობიდი ჩვენს სა-ზოგადო მოღვაწეებს და კალმის ოსტატებს. მაგრამ ყველაზე დიდ ყურადღებას ბუნებრივად ილია იპყრობდა.

კიბი გამოჩენა ხსენებულ ოჯახში პირდაპირ ზვიმით აღინიშნებოდა ხოლმე. ღიზას ბავშვები, ვახუშტი და შალიკო, ციყვებივით მუხლებზე ახტებოდნენ, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ. საოცარია, გო-როზაღ და მიჟუარებელ კაცად ცნობილი, მუდამ სერიოზული ილია ასე საოცრად უყადრებდა თავს ბავშვებს!..

პირადად მე იმ რწმენისა ვიყავი, თითქოს ილიას წიგნების მეტი არაფერი აინტერესებდა ცხოვრებაში. უშვილოდ გადაკვებული აი ამ ბავშვებთან იჩენდა მამობრივ გრძნობებს, აი აჟ, ამ ოჯახში ჩამოდიოდა იგი მწვერვალებიდან, თვითონაც ბავშვი ხდებოდა. რა მომხიბვლელი იყო ილია ამ დროს, როგორ ნაპერწყმებს აფრქვევდა ჯილა თვალებიდან. ვახუშტისა და შალიკოს კამ-პანიაში გართობილს ხშირად ავიწყდებოდა სხვა სტუმრები. როდესაც მასპინძელი ან დიასახლისი აწყვეტინებდნენ ბავშვებთან თამაშს, უცბად იღრუბლებოდა და მის თვალეში სინარლის მუქი იისფერი შარავანდედი სწრაფად ჰქრებოდა. ერთხელ მასპინძელმა ნიკო ხიზანიშვილმა ასეთნა-რად დაურღვია იდილიური გართობა საყვარელ ბავშვებთან:

— კოტე ჭადრაკში გაწვევთ, ხელი ოცდახუთი მანეთი, მოდის? — შევეითხა იგი და კოტე ყიფიანზე მიუთითა.

კოტე ჭადრაკის დაფას მისჯდომოდა, თითქოს ვარჯიშობსო, სვლებს აკეთებდა თეთრების მხრივ და პასუხს თვითონვე აძლევდა შავებით.

ილია თამაშში ჩაება. ყიფიანმა თეთრებით სვლა გააკეთა. პირველი ხუთიოდე სვლა არაფერი, მაგრამ თანდათან ილია მძიმედ ირჯებოდა, დიდ დროს ანდომებდა სვლების მოფიქრებას. ოცდა-მეშვიდე სვლაში ყიფიანმა დააშამათა. ილიამ ოცდახუთი მანეთი გადაიხადა და ახლა თეთრებით სწრაფად პირველი სვლა გააკეთა, ნერვიულობა ეტყობოდა. მეორე ხელიც წააგო, რაც დიდად ითა-კილა, და მესამედაც უნდა დაეწყოთ თამაში, მაგრამ დიასახლისმა დაფიდან ფიგურები აიტაცა. ილიამ დასთმო. გამოილი სუფრა უკვე უცდიდა.

სუფრის თავში, როგორც წესი, უცვლელ თამადად ვალერიან გუნია დასვეს. სადილმა ოხუნჯო-ბაში ჩაიარა. ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია ერთმანეთს გაეშაირნენ და სტუმრებს ხოცადნენ სიცილით. მასპინძელიც ოხუნჯობის გუნებაზე დადგა, თუმცა ტლანქად წოჟვდა: „შემწვარი ბატკა-ნი მთლიანად თვითონ დაიდგა და თითქმის ნახევარზე მეტი გაათავა. მას ის ახარებდა, რომ ილია შადიან ჭამას თავისი ღამაში თვალების აუფუქნებით შეპხაროდა.“



თამადამ ოხუნჯოზის ასპარეზზე საფალაენოდ ახლა სოფრომ მგალოზლიშვილი გამიწვევს. მე შეგონა, სოფროში ჰადიდან ნახშირის ვერ გამოიღებდა. სინამდვილეში კი ის ჩინებული კომიკი გამოდგა. ფილა შეუსეს და ისიც მოჰყვა ტეტორ კილოზე სადღეგრძელოს. ადგილ-ადგილ უცნურ სიტყვებსაც ურედა, მაგრამ ისე მოხდენილად და თავის ადგილას, რომ ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელები. საწყალი კენიები, რა დღე არ აყარა ამ სადღეგრძელოთი, ისე მიამიტად, ისე უეშაყოდ. თითქოს საიმისოს არაფერს ამბობსო. არც ერთი ნაცნობი თუ უცნობი კენიან არ დაუტოვებია გაუქნეწლაკვი.

— აგრე, აგრე, სოფრომ, — ამხნევებდა ილია, — კიდევ სტქვი, კიდევ, ნუ გეშინიან, — დავიმსახურეთ მავნარი ქება-დიდება, დავიმსახურეთ!..

თან იციონდა, იციონდა.

ილიას სმენა არ ჰქონდა და არც მინახავს ამღერებული. მაგრამ სუფრაზე მოლხენა უყვარდა და სიმღერებსაც დიდი სიამოვნებით ისმენდა. ნამეტნავად უყვარდა ნატო გაბუნიას სიმღერა დიარაზე. აი, ახლაც ლიზას მოატანინა დიარა და თავისი ხელით გადასცა ნატოს. ნატო არ დაჰზარებია, გასწორდა, დაირა მომარჯვა. მცირე პაუზა და, დიარა თითქოს შესტყორცნა, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო, დაირას ფიფუნურები შეუქვრივალა და იშვიათი სიტყვითი დაიმღერა:

ორთავ თვალის სინათლე,  
რაზე მოგიწყენია.

ნატოს აღმოსავლური სიმღერების ფუნოშენს ეძახდნენ. მე ბედნიერება მქონდა მისი ხმა მომესმინა ჯერ კიდევ 1895 წელს, რაფიელ ერისთავის იუბილეზე. მაშინაც დიარაზე მღეროდა, მაგრამ არა „ორთავ თვალის სინათლეს“, არამედ „აღმართ-აღმართ მივედიოდი მე ნელა“. დიდი იყო მაშინ საზოგადოების აღფრთოვანება. მართალია, ამ დღეს ლიზას ნაღიშზე იმდენი ხალხი არ დასწრებია, მაგრამ ნატოს მეერ მოხდენილი ეფექტი ისე დიდი იყო, რომ ილიას სიხარულის ცრემლები წამოუტბორდა. თანაც ასტმამ თავი გაახსენა.

— ბატონო ილია, ბატონო ილია! — გაისმა ნატოს ხმა, დაირა იქით მიავდო და პატარა ბავშვით მიუალერსა, გულზე მიიხუტა. არტურ ლაისტმა გუნია გასარჯა და ფანჯრების დახურვაში მიიშველია, ილია არ გავეცივდესო. ილიამ შუბლზე ხელი გადაისცა და წყნარად დაამშვიდა ყველანი:

— ნუ სწუხდებით, ბატონებო, არაფერია, გამივლის, საზოგადოდ კი რაც არ უნდა მოხდეს, არაფერია დასანანი. ლერმონტოვიც ასე ამბობდა:

И жизнь, как посмотришь с холодным вниманием вокруг,  
Такая пустая и глупая шутка.

მე გამაიცა ილიას ასეთმა გულგატეხილობამ. — ნუთუ ოთარანთ ქვრივის ავტორის მართლა სულელურ ოხუნჯობად მიანდა ჩვენი ცხოვრება?!

რეკოლეციის დამარცხების შემდეგ რეაქცია უმსგავს შურისძიებაზე გადავიდა. სულ სახრჩობელები და სახრჩობელები. რუსეთის საუკეთესო მოაზროვნენი ხიშტებით იღვენებოდნენ. ბურთი და მოედანი ოხრანკას დარჩა. რუსეთში დარჩენის უფლება მოიპოვეს მხოლოდ მეფის მეხოტბებმა და მისტიკურად განწყობილმა მოაზროვნებმა, რომლებიც ლენინი და ანდრეევის ისტერიული ამონაყოფებით პირდაპირ ზარსა სცემდნენ ყველას:

— აუ, მშენიერო პროზერპინა, სად ხარ, ხმა გაგვეცი!

რა თქმა უნდა. „მშენიერ პროზერპინაში“ იგულისხმებოდა 17 ოქტომბრის მანიფესტით გადმოგებული კონსტიტუცია, რომელიც დაბადებისთანავე რეაქციამ კუპრინი ჩქმებით უწყალოდ გასთელა.

— Патронов не жалеть! — ასე აქეზებდა ოხრანკას გონებადბნელებული და სისხლით გაუმაძღარი ტრეპოვი. ასევე ირჯებოდა მეცი სტოლიპინი, გამოჩურჩუტებული გორევიკინიც, ებრაელთა დარბევის უსტაბაში დურნოვო, გარუსებული გერმანელი ხავერდოვანი გრაფი ვიტე, აუარება გრადონაჩლინიკები, ჟანდარმები, პოლიცემისტერები, მიტროპოლიტები — დედოფალ ალიასას (ალექსანდრას) მეთაურობით და ლით-მაწანწალა რასპუტინის ლოცვა-კურთხევით.

პეტერბურგის სასახლის სიღამაღე საქართველოსაც გადმოსწვდა. რეაქციონერებს უნდოდათ ნაცადი პოლიტიკით („დაჰყავ და იბატონე“) შუღლი და არე-დარევა გამოეწვიათ ჩვენსა და მოძულ მეზობელ სომხებსა და აზერბაიჯანელთა შორის. ამ ცდამ უნაყოფოდ ჩაუარათ. რადგანაც ეს ვერ მოხერხდა, ინდივიდუალურ ტერორს წინართეს. 1907 წლის ახალწლის დღე მოგვილოცეს პირველი მსხვერპლით — დიზა ჩერქეზიშვილის მეუღლის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და



მწერლის ნიკო ხიზანიშვილის საიდუმლო მოკვლით. ახალწლის მესამე და მეოთხე დღეს ქაშუჭის ნაწილში ეკლესიაში მოასვენეს ნიკოს ცხედარი. თოვდა. პირველ საათზე სამგლოვიარო პანაშვილზე დასასწრებლად მობრძანდა ილია. იგი მეტისმეტად უღონოდ გამოიყურებოდა, წამალუწუმ აქირით-ნებდა. ხუთოდე წუთით ფიქრითრეული დაპყრებდა საყვარელი მეგობრის ნეშტს. შემდეგ ჭირისუფლებს მიუსამძიმრა და სწრაფად ეზოში გაედა, სადაც შემოხვებენ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები გიორგი ყაზბეგის მეთაურობით. ნიკოს მოკვლის მიზეზს შეევიხსნენ.

— აბა როგორ ვთქვა, მკვლელი არაა შეპყრობილი, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, ეს სულ ერთია, ვინაიდან ჩვენ ყველაზე საშინელ ხანაში შევდგით ფეხი. რეაქციამ აღვირი წაისხა.. ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადაც აღარა ღირს. უარესი ამბების მოლოდინში უნდა ვიყოთ, იქნება შეგვეწროთ ბევრად საშინელ უბედურებას, ვიდრე დიმიტრი ყიფიანის თავზე დამტყდარი სტაქროპოლის ტრაგედია იყო.

ილიას ეტლი მოჰგვარეს. ყაზბეგმა ხელი შეაშველა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.

„ნუთუ?! ოჰ. ნუთუ?! — გავივლე გულში. — ილია გულთამხილველია, ნეტაც რა საშინელება განსჭვრიტა ისეთი, რაც სტაქროპოლის ტრაგედიაზე უარესი იქნება? ვინ იცის, აქ თავის თავსაც გულისხმობდა?“

მაგრამ გული დავიარხინე. ილია 1906 წელს სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი იყო, ვინ რას გაუბედავდა? ხან რა ვუთხარ ჩემს თავს, ხან რა. გამახსენდა ისიც, რომ სახელმწიფო საბჭოში მან სასტრუქად გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამ დიდებული სიტყვის შესავალი ზეპირად მახსოვს, თუმცა ხელთ არა მაქვს სტენოგრაფიული ანგარიში. აი ესეც:

„Смертная казнь, убийство стало настолько обычным явлением, что ощущения к жестокостям притупились, нравы населения огрубели!..“ და სხვ.

ლიბერალურმა გაზთმა „რუსკოე სლოვო“ ქება-დიდება შეასხა ილიას სიტყვას და თან დასძინა: „დღემდის ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, ახლა ისიც უნდა დავიკვიროთ, რომ მორალური მზეც იქიდან ამოდის!..“

რად გამახსენდა ეს ამბავი?

განა იმავე სახელმწიფო საბჭოში არ ისმენდნენ მის მქუხარე სიტყვას სისხლით გაუმძადარი იგივე პობელონოსცეები, იგივე გორემიკინები, დურნოვოები, ტრეპოვები, რომელთაც აამოქმედეს კამარულია და საიდუმლო ბრძანებებით დატვირთეს ოხრანკა? უეჭველია, მაშინ გადაწყდა ილიას ბედი და, მართლაც, ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობის შვიდი თვის შემდეგ ილიაც გამოასალმეს წუთისოფელს, აღარ დაცალეს თავისი ავადმყოფობით დაეღია სული, რის შიშიც მას აჩრდილივით სულ თან დასდევდა.

ილიას მკვლელობის დღეს მე თბილისში ვიყავი. 1907 წლის 30 აგვისტოს უცერად თბილისის მოწმენდილ ცაზე გრგვინვასავით გაისმა ხმა, ილია საგურამოს მახლობლად მოჰკლეს, წიწვამურშიო. ეს ამბავი ვაზუთ „ისრის“ რედაქციამ მიიღო ნაგვიანვედ და იმავე წუთს მთელს თბილისს ელვის სისწრაფით მოედო. სწრაფად რედაქციაში გავჩნდი. აუარება ხალხი მისწყდომოდა. პირველ რიგში წაეაწყდი მიხეილ ჯავახიშვილს, — მაშინ ჯერ კიდევ აღამაშვილის ფსევდონიმით იცნობდნენ ყველგან. იქვე, მის გვერდით, ცოფებდა ჰყრიდა ია ეკალაძე. ზოგს ლაპარაკის უნარი დაჰკარგოდა, როგორც, მაგალითად, სამსონ ფირცხალავას, რომელსაც საზოგადოება იცნობდა „სიტყვა“-ს ფსევდონიმით. სდუმდნენ ლახიშვილი, გიგო რციხლაძე. „ახლა რაღა ექნათ?“ აი ეს იყო ყველას საკითხი. ამ დროს იროდიონ ედღოშვილმა შემოჰყო თავი. ისიც იმავე ცეცხლით იწოდა, რითაც ყველა იქ მყოფი.

იმავე დღეს დაიბნა ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც საქართველოს გლოვის ზარს მეტად მარჯვედ დაუწყო რეკვა. ეს იყო სანდრო შანშიაშვილი, რომელსაც ბედმა ამ მიმე მომენტში არგუნა გამოსვლა და ისიც მოზარეს როლში.

აი მისი გლოვაც:

მზეო, დაბნეული, ნულარ გვინათებ,  
ვარსკვლავო, მოსწყედი ცისა კამარას,  
უგუნურებმა უწყალო ხელით  
მოუკლეს შვილი ობოლ ქვეყანას.  
სამშობლო კუთხვე, შენც აქვითონდი,  
უბედურება ამცენ მთა-ბარსა,  
დაე, გლოვის ხმამ სიმი შესწყვიტოს  
სასიხარულოდ მომართულ ქნარსა.  
მამულიშვილნო, განა არ გვისმით?  
მიხუტეს გულის ძგერა ყურედება!  
იგლოვეთ ყველამ... ჰყარეთ ცრემლები.  
მოჰკლეს მგოსანი, ჩვენი დიდება!





სანდროს ეს ლექსი „ისარშივე“ მხოთავსეს პირველ სექტემბერს. დიდი იყო ლექსითა და მისი შთაბეჭდილებით. ვაზუთს იტაცებდნენ, ერთმანეთს უკითხავდნენ, იტრეზნებოდნენ. ალიარებდნენ, თუ რა ძნელია დიდი ადამიანის დატირება ასე ანაზღვეულად, როდესაც დიდი და გამოცდილი მგოსნები სდუმდნენ. მაგრამ ახლად გამოსულ ქაბუჯ პოეტს არც ხელი აბოროტობდა და არც სალამურისათვის მოუშორებია ხელი, მწყობრად, ჩინებულად გამოსთქვამდა მთელი ერის თავზე დატეხილ უხედურებას.

31 აგვისტოდან მოყოლებული ილიას დასაფლავების დღემდე არ შეწყვეტილა საქართველოს ბობოქრობა.

დამკრძალავი კომისიის გადაწყვეტილებით ილიას გადამოსვენება საგურამოდან ნ სექტემბერს უნდა მომხდარიყო. ცხადია, ამ დღისათვის საქართველოს საუკეთესო შვილები საგურამოში გაჩნდებოდნენ. ასედაც მოხდა: მთელი ფშავ-ხევსურეთი დაძრულიყო, თითქმის საომრად გამოწყობილი იყვნენ. დეპუტაცია დეპუტაციას მოსდევდა სხვადასხვა კუთხრიდან. თბილისი ხომ დაცარიელდა. საგურამოელი ქალები შავებში იყვნენ გამოწყობილნი, როგორც ნამდვილი ჭირისოფლები. დაიძრნენ. საგურამოდან წელი სვლით მოედინება პროცესია. ნახევარი საათის შემდეგ ყველანი ჩერდებიან იმ ადგილას, სადაც მოკლული იქნა ილია. გლახებმა წყარაფად აღმოაჩინეს შავად ჩამხმარი ნაისხლარი ადგილი. ი. ევდოშვილის წინადადებით ეს ადგილი თვითი კენჭებით იქნა შემოფარგული მომავალი მობლისკისათვის. შემდეგ უჩვეულო გრძნობამორევით წარმოთქვა ძლიერი სიტყვა. მის შვილთვაზე — თუ რა უნდა ეწოდოს მკვლელს, თუ არა იუდაო, მთელმა პროცესიამ გრილით უპასუხა:

— იუდა! იუდა! იუდა!..

მე მეგონა, მცხეთაში მოთავდებოდა მგლოვიარე საქართველოს ვაჟმა. თბილისის შესავალ კარში უფრო დიდი ამბები დავგვხვდა. მშვენიერი დარი გამოვიდა. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ და გვირგვინებს ეზიდებოდნენ ილიას ცხედრის შესახედრად. ოღონდ ქუჩაზე, ჯვრიდან დაწყებული ზევით გავაკეხამდე, ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. პროცესიას მოზარე ცხენოსნები გამოეყვნენ და თბილისის ზღეში უპატაკეს მოზღვავებულ ხალხს საქმის ვითარება. კუბოს მკვლელებით მივდევთ. თბილისელებს უცხო სანაჩაობა გადაეშალათ თვალწინ. საგურამოელი გლეხები ქალით კაცამდე პროცესიას მოსდევდნენ. ასევე მიმზიდველი იყვნენ თანეთიდან ჩამოსული ცხენოსნები.

თბილისის კართან ჩერდება პროცესია და აქვე სამღვდლელოება იხდის პარაკლისს. ვინ იცის, რამდენი სიტყვა წარმოითქვა, მაგრამ ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება ერთი ორატორის მიერ მოხდენილი ეფექტი. ის იყო ფართო მხარბეჭიანი ვაკეკი — მწერლობაში ელფუთერიძის სახელწოდებით ცნობილი ილია ზურაბიშვილი. მისი სიტყვა მეტისმეტად მგრძნობიარე იყო და პოეტური. ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორ აქეთიინდა ის ზღვა ხალხი, როდესაც ორატორმა ილიას შესჩივლა: „ახლა რა ეუთხრათ შენს მიოდუდუნე. ბედის მომხიარე აღაზანს, რა ხმა მივაწყვილით შენს მშობელს — შენს ყვარლის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატორი ვაზი ობოლი? სდუმარ? მამ მართალია?! თუ ავტა, იგლოვეთ, იგლოვეთ მდუმარედ. შენ, აღაზანი, ზვირთი ზვირთზე აავტო, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს. თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწყვერვალები — ეგ იქნება ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქევი მწუსარე ცრემლი, ხოლო შენ, ლაბაჯ, მორთე გულსაკლავი ბავილი“...

ორატორის სიტყვებმა მეც დაშანჯალეს, ლაბაზე ნაკლებ როდი ბლაოდა ჩემი გული. მე მიწოდდა უფრო მკაცრი სიტყვები მომესმინა, შმაგი, ფრთაშესხმული, როგორც ველურის ხელით მოქნეული ხანჯალი, მოწინააღმდეგეს გულში ტარადის რომ ჩაესმის.

დეპუტაცია დეპუტაციას მოსდევდა ნაირ-ნაირი გვირგვინებით, რომელთა შორის ცხრა გვირგვინი სულ გვირგვინია იყო. ძვირფასი ცხედრის ბაღდაზინით მიახვეწებდნენ. რამდენიმე გუნდი ვალობდა პროცესიას სხვადასხვა ადგილას. მთელ ზაზაზე, ჯვრიდან დაწყებული სიონის ტაძრამდე, მაღაზიები დაექეტათ, ფანჯრებიდან შავი დროშები გადმოეკიდათ. პროცესიას პირველ გინაზიასთან მოსწავლეები შეხვდნენ სამგლოვიარო მარშით. წერა-კითხვის საზოგადოების სადგომი ქუჩის მხრიდან ძაძით იყო შემოსილი. ერევნის მოედნიდან სიონამდე სომხებმაც მხარი დაფიქირეს გლოვაში, ყველამ შავი დროშები გამოეკიდა; განსაკუთრებით ამაღლელები იყო ღია ფანჯრებიდან ილიას პატივსაცემად სომხ მანდილოსანთა ხელით გადმოფენილი შავი დროშები. სიონის ქუჩაზე ყველებით შემკული თალი ერთი ტროტუარიდან მეორეზე გადაკიდულიყო, მის ქვეშ მიმავალი პროცესია ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქმის დაისს ზღაპრული ღრუბლების ფლოტისა გამოუშვია და მის ზვირთებზე მოაცურებს ძვირფასი ცხედრის კუბოსო.

9 სექტემბერი უკანამდელი გამოთხოვების დღე იყო. ამ დღისათვის გამოცხადდნენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი: კახეთიდან, ქართლიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, სანჯილოდან, გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, სვანეთ-ლენჩხუმიდან, აჭარიდან, ჯავახეთიდან. პანაშვილის შემდეგ მგოსნის გვამი გამოსაყენეს ნიკო ცხევიძემ, ანტონ ფურცელაძემ,

საქართველო  
საქართველო

არტურ ლაისტმა, ქალაქის თავმა და კიდევ სხვებმა. პროცესიას წინ მიუძღოდნენ შავი დროშების  
ამთ მისდევდნენ ამქრები თავთავიანთი დროშებით, შემდეგ მოსავენებდნენ კუბოს, რომელსაც უკან  
მოსდევდა ას ოთხმოცდახუთი დეპუტაცია საზოგადო დაწესებულებათა, დაბა-ქალაქებისა, რედაქციე-  
ბისა, სასწავლებლებისა... სად ჩამოითვლება! ერევნის მოედანზე პროცესიას შეუერთდნენ სომხებისა  
და მაკმადიანების უმაღლესი სასულიერო პირნი, ამ დღისათვის საგანგებოდ ჩამოსული სამხრეთ ოსე-  
თის წარმომადგენლები, ბაქოელი სტუმრები, ვაჭრები, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი... აქ უნდო-  
დათ, რომ პოლიცია გამოეყვანათ წესრიგის დასაცავად, მაგრამ ვალერიან გუნია, როგორც წესრი-  
გის დაცვის მთავარმა ხელმძღვანელმა, ცივად გააბრუნა, თქვენს დახმარებას არ ვსაუბრობთ,  
ყველაფერი რიგზე იქნებაო. და მართლაც, მიუხედავად აურაცხელი ხალხისა, წესრიგი სანაქებოდ  
იყო დაცული და არსად დარღვეულა.

აი, მივადექით ძაბით შე-  
მოსილ წერა-კითხვის საზო-  
გადოებას. უცბათ გაისმა:

— აკაკი!.. აკაკი!..

აკაკის სიტყვები „ისარში“  
წაკითხული გვექონდა, ხოლო  
არ ვიცოდით, იმავე სიტყვას  
გაიმეორებდა, თუ გამოსა-  
თხოვარი სხვა რამ იქნებოდა.  
ცნობისმოყვარეობა მხარ-  
წობდა.

ავერ, მხრებში შესდგო-  
მიანი ნიკო ცხვედაძე და ვა-  
ლერიან გუნია, როგორც  
ავადმყოფს, და ისე აპყავთ  
სამგლოვიარო ტრიბუნაზე.

„ოლიმპიელი!“ — აი რა  
შეგვეძლოთ გეტქვათ.


აკაკი ბევრჯერ მენახა სა-  
ჯაროდ გამოსული, კულდი-  
სებშიც, სცენაზეც, როგორც  
დრამატურგი, მიმოგზაურია  
კიდევ მასთან ერთად ქუ-  
თაისიდან თბილისამდე, მაგ-  
რამ სულ სხვა იყო იმ დიდი  
განცდის წუთებში, როგორც  
ერის მთავარი რწმუნებული.  
მისი ბაირახტარი აპ, რატომ  
მხატვარი არ ვიყავი, რომ ეს  
ნომენტი უკვდავმყოფ ფა-  
რთო ტილოზე გადატანით, —  
აკაკი სამგლოვიარო ტრი-  
ბუნაზე, ილიას დამტირე-  
ბელი.

აკაკის ზეგსურმა სილია-  
დემ ხელად პიპნოზით შე-  
იპყრო მთელი საზოგადოე-  
ბა. მოვშვილდეთ სმენა. თვა-  
ლები ორბიტიდან გვეცივა.

აი, ამოიღო ხმა და ელექტროდენმა ყველას თავზე გადაირბინა. დღესაც, ამ მიმე მომენტში, რო-  
გორც მთელი ათეული წლების სარბიელზე, იგი ვაკაკურად იცავს საქართველოს სიწმინდეს, მის  
ღირსებას, მის პატეს, სახეს, მის მარადულ მეობას, მისი სახელის შარაენადღეს. მოკლე იყო მისი  
სიტყვა, როგორც გულთამხილავისა:

— ნუ მიწამლავ მოხუცს გრძობას! — ასეთი თილისმური სიტყვით დაიწყო მან და ამ ფრა-  
ზით შეამკო ყველა აზნაღის შავი არშია.

უეჭველია, მისი დღლილი გულის სიღრმეში საშინელი ჯანდი იღვა, მაგრამ ჩვენთვის, შეი-



ქველი ილიას საფლავზე

ლებისათვის, ეს არ გაუმჯავანებია, რომ სასოწარკვეთილებას არ მიეცემოდით. მას თითქოს მისტურად ემირა თავი, იუპიტერის მშვენიებით, რომ გავემხნევიანით. სუმრობა ხომ არ იყო, თითქმის მთელი ჩვენი ინტელიგენცია, პოეტები და მოღვაწენი სულ იმას გაიძახოდნენ, საქართველო ილუბება, საქართველოს სახელი სულ მალე ამოიშლება ხსენებიდან, ყველა ქართველმა პასუხი უნდა ვეგოთ ილიას მკვლელობაზე, ჩვენც სისხლში გვაქვს ამოთხვრილი ზელებით. ეს კი, ეს, ილიას თანამეუღლე, როგორც საქართველოს რწმუნებული, სულ სხვაფერე მდერის.

დაამთვრა აკაკიმ სიტყვა და აქეთინდა. ყველანი აცრემლდნენ. მე კი ცრემლის ნაცვლად დიდი სიმსუბუქე ვიგრძენი. მშფოთვარე სულმა შეება იგრძნო. იმედის მიხელეებულმა ვარსკვლავებმა კვლავ ციმციმი დაიწყეს, ნაზი სიყვარულით თითქოს მეჩურჩულეობდნენ, რომ ყველაფერი არ წამხდარა, ჩემი მშფოთარე ერიც დაცხრება და კვლავ გამოიღებს კვირტებს მარადიულ სიცოცხლის სამკაულად.

ისევე ნიკო ცხენდაძემ და ვალერიან გუნიამ ნელ-ნელა ჩამოიყვანეს აკაკი სამგლოვიარო ტრიბუნდიდან. რა ნეტარებით შეეყურებდი თმადათოვლილ იუპიტერს, ასეთი უბრალოებით ასეთი მაღალი გრძნობების თილისმა რომ გაშალა და გვანუგეშა.

განცალკეებით, და როგორც მუდამ, ორიგინალურად, მთელი მთის მშვენიებით წამოვდგა ვაკა და ლექსი წარმოთქვა.

სომხებმაც, როგორც ისტორიულად ძმად შეფიცულმა მეზობლებმა, მთელი გულით დაიტრინეს ილია, როგორც მშობლიური მამა და წინამძღვარი სიკეთის ბაღნარში შესასვლელად. მათ წარმოთქვეს შესანიშნავი სიტყვა:

...სამინელია, რომ მამულში ითრგუნებოდეს  
მამულისავე გვირგვინი და მისი დიდება!  
ოჰ, მიწავე, მიწავე, როგორ ითმენ ამ ბოროტებას,  
რად ანანავებ მაგ მკერდზედა ძალმომრეობას?  
რად არ იშუფლებს შენი გული — ცეცხლად გზნებული,  
და არ დაბუგავს, არ შემუსრავს ხალხთ ვერაგობას?  
დაე, იგლოვე მწარე მოთქმით, კაცკასიის მთავ,  
კრულვა უძღვენი, ვინც წაგართვა ერთგული შვილი!  
ცაო, იქექე, დაიგრვენი, დაიგრაიდე,  
ქართველთა გლოვას შეუერთდე სენი ტირილი!

ბოლოს არ შემიძლია არ აღვადგინო ილიას დასაფლავების უკანასკნელი სურათი. სამარის თაგთან წამოვდგა თმბეშვეერცხლილი მანდილოსანი — სახიერება ქართველი დედისა. ეს იყო ნინო ნაკაშიძე. ის არ სტიროდა, არც გაშლილი ჟესტიკულაციით სარგებლობდა. იღვა, როგორც მწუხარების ქანდაკება. საქართველოს გულისძგერას კარგა ხანს დუმილით გადმოსცემდა. ბოლოს ამეტყველდა. მეც და ვგონებ ჭირისუფალინც მგლოვიარე საქართველოსთან ერთად აღარ ვწონიდი მის ნაზ სიტყვას, მის დედობრივ მოწოდებებს. არა, მის სიტყვებს ისე ვიღებდით, როგორც დათრთვილული ლარნაკიდან მომფრინავ ქრიზანტემების თეთრ ფოთლებს. სიტყვის დასასრულს მან ნაზი ტურქული ამოავლო ილიას გრძნულ პოეზიის კამკამა წყაროში, აავსო და ტკბილი ჩუხჩუხით ჩვენდა შესასმენად გადმოვდარა:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს;  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი.  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს.  
აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
დანიშნულება და საღმრთო ვალი.  
აღზარდე შვილი, მიეცე ძალა სულს,  
საზრდოდ ხმარობდეს ქრისტესა მცნებას,  
შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას!..

თვალი რომ მიმოვავლე, ჩვენი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე მთელის გრძნობით მიშტერებოდა მას. მაშინ ხომ არ დებდა იღვა — ილიას საფლავის ძველად ისევე ქართველის დედისათვის მიემართნა?





## გიორგი დონიძე

## ნაუბარები, ჩანაწერები ჩემი არქივიდან

(მასალები ილია ჭავჭავაძის შესახებ)

ფოტორობ, ჩვენი თაობის წმინდა მოვალეობაა შევავროვოთ და დავიცვათ რაგინდ მცირე მნიშვნელობის მასალები იყოს ჩვენი დიდი მწერლების, კერძოდ ილია ჭავჭავაძის შესახებ.

ამ აზრით ვაქვეყნებ ზოგ „ნახორხმალ“-„ნასუფრალ“ ნამსცეებს ილიას ცხოვრების დიდი სუფრიდან.

მასალებს ვაგრძობდი ილიას შემსწრეთა თუ მონათესავეთა შორის 1922-50 წლებში, როცა ვაწყობდით საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს (1931 წ.), ილია ჭავჭავაძის რესპუბლიკურ გამოფენას (1937 წ.), ყვარლის ილიასეულ მუზეუმს (1937 წ.) და საგურამოს მუზეუმს (1950 წ.).

1

1907 წლის აგვისტოს მიწურულში დედაჩემმა თბილისში ჩამომიყვანა სასულიერო სასწავლებელში მისაბარებლად. მახსოვს, იმავე საღამოთი დედა და ძალო წავიდნენ სიონში, სადაც ესენა ილია — პანაშვიდზე. როცა დაბრუნდნენ, ძიას შეკითხვაზე დედამ უპასუხა: ნატყვიარ შუბლზე მუხის ფოთოლი აფარიათ.

ეს ცნობა მე არსად შემგვიდრია.

2

მამიდაჩემი მამო (მარიამ ელიავა) თადეოზ გურამიშვილის ნათლული იყო, ამიტომ იგი ხშირად დაიარებოდა ილია ჭავჭავაძესთან, მით უმეტეს, რომ ილიას სახლი თითქმის ჩვენს მეზობლად იყო (საბჭოს ქ. № 54).

ჩემი და-ძმანიც ყოფილან ილიასას. ოღლა უხილოდ და უსაჩუქროდ არ გამოუშვებდა. მამიდაჩემს ილიას თხზულებანი ჰქონდა ოღლას ნაჩუქარი.

მე კი ბედმა არ მარგუნა უწლოვანობისა გამო.

3

პატარაბუნელი შაქრო ბილანიშვილი იყო ილიას მუდმივი თანამშრომელი „ივერიამი“ — ჩემი მუსიკი, სტილისტი, კარგი მექართულე, ცნობილი ფოლკლორისტი (იხ. მისი ფოლკლორული მასალები, შეგროვილი პატარაბუნელში, გამოქვეყნებული „ძველ საქართველოში“, ტ. 1, გვ. 63 — 114; 1913 — 1914 წ. გამოცემა).

შაქრო ბილანიშვილმა მიაშბო:

ლუარსაბ თათქარისის ეზოს, კერძოდ, ჭიშკრის აღწერისას, ილიას მხედველობაში ჰქონდა სპირიდონ ჯაბაღარის სახლ-კარი საგარეჯოშიო.

შაქრო ბილანიშვილი იყო შეილიშვილი ცნობილი სახალხო გმირის სოლომონ ბუტულაშვილისა:

„სოლომონ ბუტულაშვილი  
კარგად ინახავდა ცხენსა“ და სხვ.



სოლომონის ერთ-ერთი ქალი მანანა იყო ცოლი საგარეჯოს დამბევის სპირიდონ ჯაბადრისა. რომლის შვილები იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და რევოლუციონერები ნიკო და ივანე ჯაბადრები. ორივენი სწავლობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე.

ილია ნიკო ჯაბადრის მოწაფეობის ამხანაგი იყო. ჯაბადრიანთ ოჯახი დიდად შეძლებულა ყოფილა. ნიკო ჯაბადარი მოწაფეობაშიც და სტუდენტობაშიც ილიას ხელს უმართავდა ნივთიერად, რადგან ადრე დაობლებული ილია უსახსრობას განიცდიდა (შემდეგში, ნ. ჯაბადრის ადრე სიკვდილის გამო, მისი მეუღლე ელენე ილიას ოჯახმა შეიფარა და მასზე ახლობელი ილიას ოჯახთან თითქმის არავინ იყო ბოლო ხანებში).

მოწაფეობა-სტუდენტობაში, როგორც შაქრო ბილანიშვილმა მიაზო 1926 წელს, ცივის მთაზე ფენით გადმოსული ილია ჭეჭეჭაძე ზაფხულობით ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე საგარეჯოში ჯაბადრიანთ ოჯახს. ნიკოს ილია პატარმეულშიც გადმოუყვანია თავის ბიძასთან, გიგო ბილანიშვილთან. ყოფილა „უტულაანთ კოშკზედაც“, ძალიან მოსწონებია გიგოს ოჯახი და შემდეგში, ილიასთან დაახლოებულმა მათე იანქოშვილმა რომ გიგოს ქალი დარო ითხოვა ცოლად, ილიას ეთქვა: კარგა მასუქან ოჯახისათვის მიჯიგნიაო (გიგოს შეილიშვილის ელისო იანქოშვილის ცნობა).

საკურთხეობა, რომ ილიამ შაქრო გულისაშვილს „ივერიაში“ დაუბეჭდა მოთხრობა, რომელშიც მოყვინებულია გლეხების შემავიწროებელი „ჩასუქებული აზნაური გიგო“ (ეს ის გიგო ბილანიშვილია, რომელიც ბიძაჩემმა, ხალხსანმა მწერალმა შაქრო გულისაშვილმა აღწერა მოთხრობებში „ორიოდე სურათი მოთხრობიდან“, „ივერია“, 1879 წ., № 3, გვ. 70 — 85; „მასტიანთ პაპა“, ჟურნ. „იმედი“, № 2, გვ. 3 — 83, 1881 წ.).

4

კარგად მახსოვს ნიკო ნიკოლაძის ნათქვამი 1917 წელს მწერალთა ყრილობის კულუარებში: „ილიას მწერლობაზე ხელი ჰქონდა ადრეული! დუშეთში ცხოვრობდა. თითქმის ექვსჯერ მომიხდა დუშეთში ასვლა „დროუკით“, რომ ჩამომეყვანა და სათავეში ჩასდგომოდა ქართულ მწერლობას“. ნიკოლაძე ილიას მხოლოდ „ილიკოს“ ეძახდა და პირველად ვერ მივხვდი, ვისზე ამბობდა: „საწყალი ილიკო!“

5

ერთი ამბავი დააწიეს ახალგაზრდა ილია ჭეჭეჭაძეს „მერცხალი ჭყვიის“ გამო. ილიამ ბოლიშიც კი მოიხიდა ბარბარე ჯორჯაძის წინაშე. საქმე კი სულ ერთ ასოში იყო! „ჭყვიის“ ნაცვლად რომ დაეწერა „ჭლივის“, სრულიად კანონიერი იქნებოდა!

6

ბიძაჩემს ნინოწმინდელ ალექსი გულისაშვილს, რომელიც თანამშრომლობდა გაზ. „დროებასა“ და „ივერიაში“. ერთხელ რაღაც საქმე ჰქონდა ილიასთან და ილიამ პასუხი მოსწერა. ეს წერილი საოჯახო სურათების ალბომში იყო სათუთად ჩადებული. შემდეგ მე ჩამოვიტანე და ლიტერატურულ მუზეუმს გადავიცე.

7

ვაჟა-ფშაველას „ქოსების“ სარდაფში სიარული უყვარდა. იქ ეგულებოდა „მირონის“ და „მტკრიანის“ ღვინო. მაგრამ ქოსების სარდაფის წინ სწორედ ილიას სახლი იყო გამოჭიმული. ფეხაქრეთით მიუახლოვდებოდა ხოლმე ვაჟა ამ სარდაფს. თითქმის კედელს აეკვრებოდა.

— ფრთხილად, ილიამ ფანჯრიდან არ დაგეინახოსო! — შიო მღვიმელმა ვაჟას ეს გაჭირებდა ლომილით მიაზო (1925 წ.).

1937 წელს, ჩვენს თხოვნაზე, დაეწერა ილიაზე რამე მოგონება, ანასტასია რევაზ ერისთავის ასულმა შემდეგი მოგვწერა: „მე, როგორც სოფლად მცხოვრები, არა ვხედულობდი ილია ჭავჭავაძეს, რომ შემქმლის რაიმე ნივთს მის შესახებ, მხოლოდ მამაჩემის რევაზ შალვასძე ერისთავისაგან კი შესმოდა ყოველთვის მისი ქება, როგორც ნიჭიერის და ჩვენი სამშობლოსათვის ფრიად სასარგებლო კაცისა, რის გამოც ბანკის არჩევნების დროს მამაჩემმა მოიწვია ილია გიორში, შეყარა თავადანაპურბა, რომ არჩევნების დროს ამოერჩიათ ილია.“

„1894 წელს მამაჩემმა მოიწვია ილია თავის ქალის ქორწილში ს. კარალეთში. ილიამ გორაკიდან გადაიხედა და სიამოვნებით უყურებდა გლეხკაცების ნადიმს.“

„ილია ხშირად დაიარებოდა ბაბაღე ბარათოვისას. ყოველ ორშაბათს იყო მიწვეული ლობიოზე და თევზზე, საღამოთი თამაშობდნენ ქალაღს.“

„ბაბაღე ბარათოვისა ხშირად ამბობდა ილიას ლექსს, რომელიც, მისის თქმით, ილიამ სიყმაწვილეში დაუწერა მაცაშვილის ქალს სოფიოს, ბძლოს ჭავჭავაძის მეუღლეს: „გახსოვს, ტურფაგ, ჩვენს დიდ ბაღში“...“

თამარ მამუკას ასულმა ჭავჭავაძემ დაგვიწერა:

„ილია ყრმობიდანვე მახსოვს, რადგან ოჯახურად ვიყავით დაახლოებული. მამაჩემი მამსუკა ჭავჭავაძე ილიას დიდად მეგობრობდა და ამიტომაც ილიას ხშირად ვხვდებოდით ყვარელში, თბილისში და საგურამოში. მე ოლღას ნათლული ვიყავი.“

„ჩემი უფროსი დაი მაიკო ძალიან უყვარდა და იგიც თეობით რჩებოდა ილიას ოჯახში. ილია ხელს უწყობდა მის განვითარებას, ხშირად ელაპარაკებოდა როგორც დიდას და ნებას აძლევდა მის კაბინეთში შესულიყო და მასთან მუდარიყო, რაც სასტიკად იყო აკრძალული ოლღას მიერ.“

„ჩემი შშობლები ხშირად დადიოდნენ „ილიაობას“ საგურამოში და ჩვენ, ბავშვებიც, მიყვავდით. ეს მგზავრობა ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სტუმარი მყავდა, ჩვენ, ბავშვებს, დიდად თავს გვევლებოდა, მეც მესაყვარლებოდა, როგორც ცოლის ნათლულს. მახსოვს, ერთხელ, ილიაობას (20 მკათათვე), საშინელი სიცხე იდგა, ილიას გახამებული პერანგი ეცვა პალატუხით, სერთუკში იყო. კინაღამ გული მისდიოდა სიცხით. უფრო იმ ფიქრით, რომ მთელი დღე ასე უნდა ყოფილიყო სტუმრების გამოისობით. მაშინ დედაჩემმა სიურპარზი გაუკეთა. იქვე, ოჯახშივე, იშოვა ლურჯი სატინი და რამდენიმე საათში გამოუჭრა და შეუკერა გრალი, ფართო სამუშაო ხალათი, რაც ილიამ დიდი გახარებით ჩაიცვა და სთქვა: „ნათლიდედ, როგორ მასიამოვნე შენი საჩუქრით. რომ იცოდეს!“. შემდეგში ეს გახდა მისი საყვარელი სამუშაო ხალათი.“

„საგურამოში ამ დღეს დიდადი ხალხი იყრიდა თავს. განსაკუთრებით ბლომად იყო გლეხობა თითონ საგურამოდან და ასლომასლო სოფლებიდან. მთავარი სუფრა დიდ კაკლის ქვეშ იშლებოდა. გლეხობის სუფრას ილია ჩამოუვლიდა, სადღეგრძელოს დაუღვედა, ელაპარაკებოდა. იყო დიდი მზიარულობა, სიმღერები, სადღეგრძელოები. ილია დიდი პურადი იყო.“

„დაბადების დღეობას, 27 ოქტომბერს, ყოველთვის იხდიდა და ამ დღისთვის მამაჩემი და ილიას ერთი მეგობარი გიორგი ლექსებით ულოცავდნენ. ამ ლექსებს დედაჩემი თხზავდა, რაც ილიას ძალიან ართობდა და აცინებდა.“

„ჩემს ქალაღებში აღმოჩნდა ერთი ამ ლექსთაგანის შავი, რომელიც დაწერილია 1903 წლის 27 ოქტომბერს.“

ჩემს არქივში აღმოჩნდა ნ. ზუმბულიძე-ზირაქიშვილის პატარა მოგონება, დაწერილი 1936 წლის 18 სექტემბერს:

„მამაჩემი, დავით ზუმბულიძე, ხშირად იგონებდა ორ მწერალს. რომლებიც პირადად სცნობია. ისინი იყვნენ: ალექსანდრე ყაზბეგი და ილია ჭავჭავაძე.“

„რაკი ალექსანდრე ყაზბეგი ყაზბეგში ცხოვრობდა, მამას ხშირად უვლია მის სახლშიც და კარგა სცნობია მისი დედაც. ყაზბეგს ასე იგონებდა ხოლმე: ხშირად გათენებამდე სწერდა ვიწროვით. მეორე დღეს მომცემდა დაწერილს გადასათურებლად. თითონ გაურკვეველი ხელი ჰქონდა.“





პირველ ხანებში გვერდით მეჯდა და მეშველებოდა, სანამ ხელს შევეჩვეოდი. ჩემი წირის დროს ის ბურთის არტყამდა კედელს და მით ერთობოდა. ფულს მაძლევდა ჯიბიდან დაუთვლელად.

„ყაზბეგიდან მამას ხშირად უღვია ღუშეთში და ჰყვარებია სსსამართლოში დასწრება. იმ ხანებში ილია ჭავჭავაძე ყოფილა მოსამართლედ. იგონებდა ორ ებიზოდს: ერთ ღელას ეჩივლა შვილისათვის — ცუდად მეპყრობა და არ მიზნავსო. გამოკითხვის შემდეგ ილიამ შვილს უთხრა: სულ თუ არაფერი, დედამ ცხრა თვე მუცლით გატარა და ის უნდა გადაიხადოყო. მოატანინა წყლით სავსე კოცა და მუცელზე მოაბმევინა. ესე იყავ ცხრა თვე და შემდეგ ნუ შეინახავ დედასო! ზაფხული იყო. ცხელოდა. სიცხისა და სირცხვილისაგან ოფელში გაწურული კაცი იდგა შერცხვენილი. ბოლოს დედას შეებრალა და თვალტრემლიანმა სთხოვა ილიას: ცოდეა, ტვირთი მოაშორეთო. ილიამ შერცხვინა ვატი, ჩამოართვა პირობა, რომ დღეის შემდეგ დედას არ აწყენინებდა, გაანათვისუფლა და უთხრა: არა გრცხვინან? დედას შენ შეებრალე და შენ კი ეგ მოხუცი არ გეპრალე და ამწარებო!

„ერთი კაცი უჩიოდა მეორეს: ფული ვასესხე და არ მაძლევსო. მოწამე არავინ ჰყავდა და მოპასუხე უარს ამბობდა: არა მმართებს რაო! ილია შეეკითხა: სად ასესხე ფულიო? — მუხის ქვეშ გიჯექით და იქ მივეციო. „მამ წადი, იმ მუხის ტოტები მომიტანი, ისინი იტყვიან შენს სიმართლეს!“ — უთხრა ილიამ.

„მიუხედავად იმისა, რომ ის მუხა თურმე შორს იყო, კაცი სიხარულით გაიქცა ტოტების მოსატანად. მოპასუხე კი იქვე დასვა და ალოდინა. საქმეებს არჩევდა ილია და დროგამოშვებით კითხულობდა ტოტებზე გაგზავნილ კაცს: მოვიდა თუ არაო. ბოლოს მოპასუხეს შეეკითხა: როგორ გგონია, მალე მოვა ის კაციო?

„ — რასა ბრძანებ, ბატონო, ჯერ მისულიც არ იქნებოა!  
„დაგვიანებით მოვიდა ოფელში გაწურული მომჩივანი ბლომა ტოტებით მხარზე. დაყარა ტოტები და მოახსენა ილიას: აი, შენი ჭირივე, ტოტები მოვიტანეო!

„ილიამ უპასუხა: აღარ არის საჭირო ეგ ტოტები! ვიდრე მოიტანდი, იქიდანვე მითხრეს შენი სიმართლეო, — მოპასუხეს უთხრა: — თუ ეს კაცი მართალი არ არის, შენ რა იცი, ის მუხა შორს არი თუ ახლოო, და გადაუწყვიტა სამართალი.

„ასე მდაბოდ და წუნობრივის ზეგავლენით ასამართლებდა ილია ჭავჭავაძე ხალხს. ამას რომ გვიამბობდა მამა, დასძენდა ხოლმე: — უბრალო კაცი იყო ცხოვრებული, სხვა მოხელეებს არა ჰგვანდაო“.

1937 წელს საგურამოს ილიასეული მამულის აგრონომს კოტე ბერიკაშვილს ვთხოვე დაეწერა მოგონება, რომელსაც ახლა ვაქვეყნებთ:

„თბილისის სასულიერო სემინარია დავამთავრე, მაგრამ მღვდლობა არ მივიჭირა: ნიადაგ წირვა-ლოცვის მოსმენა, წელიწადში სამჯერ ზიარება, ყოველ გაკეთილზე ლოცვები, სულ სამღვთო წიგნების შესახებ ჩიჩინი, საერო ლიტერატურის კრძალვა, ბინებზე დამდამობით ჩხრეკა, რუსი მოხელე ბერმოხაზვების საშინელი უზნეო მაგალითები — ყოველივე ამის ცქერა ექვსი წლის განმავლობაში მამორებდა ამ წოდებას.

„იმ დროს (1894 წ.) ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილს უკვე დაარსებული ჰქონდა წინამძღვრიანთ კარში საქართველოში ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ილია წინამძღვრიშვილის სახელი ქებით გაისმოდა: რაც მამულები ჰქონდა, სასწავლებელს შეწირაო, რასაც შოთლობს (ნოტარიუსად იყო თბილისში), თავის თავზე სულ მცირეს ხარჯავს, დანარჩენს თავის სასწავლებელს ახმარსო, ამბობდნენ. იმასაც ლაპარაკობდნენ, რომ ილია სასწავლებლისთვის მასწავლებელს ეძებს, მაგრამ ვიდრე ვისმეს შეარჩევს, ქვეყანას შეძრავს ცნობების შესაკრებადო.

„გაგონილი მქონდა, რომ ილია წინამძღვრიშვილი ძლიერ ადრე დგება და ვიდრე ჩაის მიირთმევს, თბილისის რომელიმე კუთხეს შემოუვლის და დაათვალიერებსო (ქალაქის ხმოსანი იყო).

„ერთ პარასკევს დილა ადრინად, თხოვნით ხელში, მისი ბინის კარებს ავეტუტე.

„გამოვიდა შავებით მოსილი (ცოლი გარდაცვლილი ჰყავდა), მაღალი, წარმოსადეგი შეჭაღარავებული ბრგე კაცი.

„ — რა გნებავთ, ყმაწვილო? — შეჩერდა.

„მე თხოვნა გაუწყოდე. წაიკითხა და შემომხედა.

„ — გოგებაშვილი გიცნობთ? — შემეკითხა. უარით ვუპასუხე.

„ — ახლა რას აკეთებთ?

„ — სადღურზე მიედივარ, დატვირთული ვაგონებიდან ცვლარის ქვა უნდა მივიღო არქიტექტორ ანდეროლეტისათვის, — ვუპასუხე.

— თქვენ ანდროლეტითან მუშაობთ? მეც სადგურისაკენ მივდივარ, — მითხრა და დამატებდა. გზაში მესაუბრებოდა. ჩემს პასუხებს ძლიერ უკვირდებოდა. ბოლოს მითხრა ხის მისაღებად მეორე დღით ადრე მივსულიყავ.

შაბათ დილას თავის კაბინეტში მიმიღო. მესაუბრა მასწავლებლის მოვალეობის შესახებ. განცვიფრებაში მოვიდი, როცა ვნახე, რა უსაზღვროდ უყვარდა სასწავლებელი და რა იმედებს ამყარებდა მასზე. მთელი მისი არსება სასწავლებლის ფიქრით იყო ავსილი (მუდმივ მზრუნველად იყო დამტკიცებული). იმდენიანად მომამაყრო მეტყველი თვალები და მითხრა: ხვალ კვირა არის. დილა ადრინადად ბარგი-ბარხანით მოდი და წაგიყვან ჩემს სასწავლებელში. გახარებული გამოვემშვიდობე.

„ანდროლეტიმ მითხრა: გუშინ საღამოს ილია წინამძღვრიშვილი იყო ჩემთან და დაწვრილებით გამომიტხა თქვენი მუშაობის შესახებო.“

„კვირა დილას ეტლი სასწავლებლისაკენ მიგვაქანებდა. თურმე ყოველ კვირას ეწვეოდა ხოლმე სასწავლებელს. თუ ილია ჭავჭავაძე საგურამოში ეგულვებოდა, უნახავად თბილისში არ დაბრუნდებოდა, ერთიმეორის დიდი მეგობრები იყვნენ და სასწავლებლის მოამაგენი.“

„მოახლოვდა ოცი ივლისი — ილია ჭავჭავაძის დღეობა.“

„სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს სახელისონი განყოფილებაც ჰქონდა, სადაც მოსწავლეებს ასწავლიდნენ სასოფლო იარაღების, ხელსაწყოების და სხვა საგნების კეთებას. მოსწავლეებს ამ დღისათვის ილიასთვის მისართმევედ მზად ჰქონდათ თავიანთი ხელით გაკეთებული დასაკეცი ჯოხ-სკამი, ხის კალმისტარი, ხის სამელნე, ხის საპაპიროსუ.“

„ოც ივლისს-დღის ათი საათიდან მასწავლებლები და მოსწავლეები ხალისით და სიმღერებით მწყობრად გავუდევით გზას საგურამოსკენ. ილია წინამძღვრიშვილიც იქ გვეგულვებოდა და იმასაც წაუვლეთ კონტად გაკეთებული დასაკეცი ჯოხ-სკამი. ილიას კარმიდამო სავსე იყო სტუმრებით. ხალხი კიდევ მოდიოდა. გლეხობა ძლიერ ბევრი იყო. ინტელიგენცია არ ეტეოდა სახლის წინ მდგარ დიდ კაკლის ქვეშ. გლეხობა კარმიდამოში იყო მოფენილი. ჩვენ ზემო ჭიშკრიდან ჩავედით სიმღერით. ილია ბირმცინარე შეგვხვდა იქვე, წყაროსთან, კაკლის ქვეშ. მაღლობით მიიღო მოსწავლეებისგან საჩუქრები. ილია წინამძღვრიშვილმაც მირთმეული დასაკეცი სკამ-ჯოხი ილიას მისთავაზა. მეც კი გავხუდებ ორიოდ სიტყვა ილიას მისალოცო, მაგრამ უშინო და „ბურსაკული“ გამოვიდა. ილიამ მოსწავლეები თავისი წიგნებით დაასაჩუქრა.“

„კარგი სანახავი იყო ილია — გლეხების მეგობარი: სადილად ჩამწყირვებულ აუარებელ გლეხობას გავუღ-გამოუვლიდა, მერთივეს ღვინოს დაუჭამნიკებდა, შივა და შივ რიგებში ჩაჯდებოდა ხოლმე ცოტა ხნობით და სადღევარქალოს თვითონაც იტყოდა და გლეხებსაც მოუსმენდა ღიმილით. სადილის დროს გაუგონებ ბევრი კარგი სიტყვა, სიმღერა, მუსიკა (ყარანგოზიშვილის თარის დაკრა), ვუსურეთ ჭიდაობას და დიდად ნასიამოვნები შებინძურებისას ისევ სასწავლებელში ვიყავით.“

„ყირიშვილი საიმპერატორო ნიკიტის ბალთან არსებულ მეღვინეობის უმაღლეს კურსებზე ვსწავლობდი. კურსებს გარდა ბალთან იყო მებალეობის და მევენახეობის სასწავლებელი. ორივე დაწესებულებას ეტანებოდა ჩვენი ახალგაზრდობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ქართველობა განირჩეოდა შრომით, მეცადინეობით, და კარგი სახელი ჰქონდა.“

„1896 წელს მეღვინეობის ლექტორი (შემდეგ ცნობილი პროფესორი და მწერალი) მ. ა. ხოვრენკო და მე მიწათმოქმედების დეპარტამენტმა მოგვაგვლინა საქართველოში მევენახეობის და მეღვინეობის გასაცნობად.“

„ჩვენ მოვიარეთ კახეთი, თბილისში გავეცანით ღვინის სარდაფებს და გავემართეთ საგურამოსაკენ ილია ჭავჭავაძის ვენახების დასათვალიერებლად.“

„ილიამ მიგვიღო სამუშაო კაბინეთის წინ პატარა აივანზე. მ. ხოვრენკომ მაგრად ჩამოართვა ხელი ილიას და ხუმრობის ყაიდაზე უთხრა: „Приехали в вашу дикую страну“. უალაგო სიტყვა გამოვიდა. ილიამ არაფერი დაიმჩნია.“

„აივანზე ილიასთან იყო პოეტტი ველიჩკო, რომელიც გავაცანო. ველიჩკო გარეგნულად წარმოსადგეი კაცი იყო. ეტყობოდა, ილიას მოკრძალებით ელაპარაკებოდა. მაგიდაზე წიგნი ჰქონდათ გაშლილი.“



„სასიამოვნო, წყნარი ამინდი იყო და ცა სავსებით გადაწმენილი. არაგვის მთელი ხეობა კავკასიონის ქედის მწვერვლები მიყნაოთ, მუხრანის თვალუწყველი ველი აივნიდან ხელახალი ლოვით სჩანდა. იმავე აივნიდან დაფურცბლით ერთიანად ილიას და სტაროსელსკის ვენახებს, ხეხილის ბაღებს და თლილი ქვით მოქანდაკებულ უზარმაზარ მარანს.

„— გინახავთ სადმე ბუნების ასეთი სიდიადე? ყირიმში — ლივადია, ალუპკა, ორენანდა, გურუზუფი, იალტა ლამაზი სანახავებია, მაგრამ ბუნების ასეთ მომჯადოებელ სურათს მთელს რუსეთში ვერსად ნახავ, — მიმართა ველიჩკომ ხოვრენკოს.

„— გასაკვირვებელი სიმშენიერება! ვენახებიც ძლიერ კარგი სანახავია კანეთში. აი თავადის ვენახიც კარგია, ეტყობა, — უპასუხა ხოვრენკომ. — თავადო, თქვენის ნებართვით, დავათვალიერებთ... — მიმართა ილიას.

„— ერთად დავათვალიეროთ, მეც თქვენთან წამოვალ, — წამოდგა ილია.

„ველიჩკო დარჩა აივანზე. ხოვრენკომ იგრძნო, რომ დიდაცთან იყო და უკვე მოკრძალებით ელაპარაკებოდა. ხოვრენკოს ძლიერ უყვარდა ქართველობა.

„ბალი და ვენახი კარმიდამოდან გადალობილი იყო. ბალის თავში საქათმეები იყო მოწყობილი. ხეხილის ბალის ქვეშით იწყებოდა ვენახები. ყურძენი მწიფობაში შედიოდა. ვაზს უხვად ესხა. იმ დროს იქ ვენახებს იმერლები ამუშავებდნენ. საგურამოს გლეხებმა ვენახების მოვლა არ იცოდნენ.

„ჩვენ ილიას შეწუხებას მოვერიოდეთ და ვენახის თავში გაგჩერდით. დავუძვირდით ვაზის გასხვლის წესს.

„— თავადო, თქვენი ვაზიც კახურად არის გასხლული, — მიმართა ხოვრენკომ.

„— კახური ვაზები გვაქვს გაშენებული მეც და ჩემს მეზობელსაც (სტაროსელსკის). ეს კუთხე ძლიერ წააგავს კახეთს, თითქოს პატარა კახეთია აქაურობა. გაშენებული გვაქვს საფერავის და რქაწითელის ვაზები: აქაური ღვინო კახურზე დაბლა არ დგას თვისებით, — ბრძანა ილიამ.

„გამოგბრუნდით სახლისაკენ.



ილიას სახლი სტარაპოში

„სახლის პირველი სართულის ოთახებში ილიას ელაგა მიწის დასამუშავებელი ახალი სისტემის გუთნები, ფარცხი და, სხვათა შორის, წიწილების გამოსაჩეციც (ინკუბატორი).

„— მიწა გლეხობა შეეაჩეიო ახალი წესით მუშაობას, — ბრძანა ილიამ, როცა იარაღებს გვაცნობდა. ვიგრძენით, რომ ილიას სოფლის მეურნეობა ძლიერ აინტერესებდა.

„სახლის გარშემო ბლომად იყო დარგული ბზა, რომელიც სიმალლით შუა აივნის მოაჯირს წვდებოდა; დასავლეთის მხარეზე კობტა პატარა შადრევანი ვარდნარში იყო გახვეული, იასამნის და „ოქროს წვიმის“ მაღალი სქელი ბუჩქები, რომელთა შორის ჯგუფებად (სამ-სამი, ოთხ-ოთხი) იყო ჩარგული ბზები, შემდეგ გაფანტული და ერთიმეორეში არეული კაკლის, ჭადრის, ცაცხვის, აკაკის ხეები მოხდენილი მოყვანილობის ლამაზ კარმიდამოს ძლიერ ამშვენებდნენ.



„დიდ კაკლის ქვეშ, სახლის წინ, აღმოსავლეთით, სადაც მთიდან გამოყვანილი წყაროს წყალი ილიას კარნახით აშენებულ არმინან პატარა, მომალე აუზში გადმოჩანჩქარებდა, გრძელი ქვის მაგიდაზე უკვე სუფრა გაეშალათ. აუზის არმინანებში კარაქი იყო შეღებული და წყალში კიტრები ეწყო.“

„ილიამ გავაცნო კენინა ოღლა თადეოზის ასული. ჩვენ მოწიწებით ხელზე ვეამბორინით. არასოდეს დამავიწყდება მისი სათნოებით საცხე, მშვიდი სახე — თითქოს განსაიერებული გულ-კეთილობა დაღინახე.“

„კენინამ შემოგვთავაზა დავმსხდარიყავით. ჩვენს გარდა სტუმარი მხოლოდ ველიჩკო იყო.“

„მე განვცვიფრდი, როცა ოღლა თადეოზის ასული სამხარეთლოში შევიდა და თვითონ გამოიტანა კერძი ჩვენს მოსართმევად, თუმცა ილიას ოჯახს მოსამსახურე არ აკლდა. მე გავიწურე მორიდებით, შემდეგ გავიგე, რომ როცა ილიას სტუმრები ცოტა ჰყავდა ან როცა მარტო იყო, ოღლა თადეოზის ასულს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა თავისი ხელით მოერთმია კერძები.“

„გაგებედ და ვკითხე ილიას:“

— თქვენი აზრი ძვირფასი იქნება, ბატონო, როგორი და სადაური ღვინო უფრო მოგწონთ?

„— მე კახურად დაყენებული ღვინო მომწონს! ივანე ბაგრატიონის მუხრანული ღვინო ვერ შეედრება ნამდვილ კახურ ღვინოს, — მიბრძანა.“

„მე გულუბრყვალის კი მეგონა ილია დაასახელებდა ქაფურანგეთის, იტალიის, ესპანეთის ან პორტუგალიის რომელიმე განთქმულ ღვინოს.“

„— ქართველი მოსწავლეები კარგად სწავლობენ ყირიშში? — მკითხა ილიამ. მან იცოდა ილია წინამძღვარიშვილისაგან, რომ ნიკიტის სასწავლებელში ქართველი მოსწავლეები ბლომად იყვნენ.“

„მე დაფუსხეულ დამდენიმე გვარი და მოვასხენე, ჩვენ იქ მუშაობით კარგი სახელი ვვაქვს დამასხურებული-თქო.“

„— ეცადენით, საქართველოს ძლიერ ენაჭიროება მცოდნე ახალგაზრდობა, — მიბრძანა.“

„ნაბურთარიღენი ფეხით გავუდექით გზას ავჭალის სადგურამდე.“

„შემდეგ გავიგე: ილია წინამძღვარიშვილს ეკითხა ილიასათვის, ყირიშელი სტუმრები ფეხით რათ გაისტუმრო? ილიას არ ეპასუხნა. მე კი ვიგრძენი: მიზეზი ხორენკოს უხეში ხუმრობა იყო.“

13

ილიას მუზეუმს რომ ვაწყობდით ჰაგურამოში (1950 — 1952 წ.წ.), ერთხელ დასვენებისას მოხუცი გულენის ქალი მომიჯდა წყაროსთან, შეუმჩნეველად.

— აქური ვარ, საგურამოელი! გვიგე, კარგ საქმეს აკეთებთ, მოველი ჩემი თვლით ენახო. ილიას პურიმცხოველი ვიყავი. ღმერთმა გადავიხადოს სიკეთე, მაგრამ ერთი ეს გვითხარი, რა მოსწმენდს ჩვენს სარცხვილს, საგურამოელებისას? პურს რომ ამოყვრიდი თონიდან, მეტყობდა: ჯერ შენ იხამოვინე ცხელი პურითათო. ის პური ეხლაც მიწვამს ხელის გულს სირცხვილით — ის პურს გვაძლევდა, ჩვენ ტყვია...“

დიდხანს სდუმდა გლეხი მანდილოსანი. ბოლოს სიმუშე დაარღვია:

— კარგა მახსოვს. ილია რო მოპკლეს, ჩვენი სოფლის თავკაცები იხამოდნენ, წიწამურში ჩვენი სირცხვილის ზოძი უნდა ჩავდებათ! იმ ზომზე გეკითხებით. — ჩავეიღებამ? სულ ის ზოძი მელანდება ხოლმე თვალეშში. ახლა ამას რომ გახანით, (მუზეუმს ჰგულისხმობდა), ის სირცხვილის ზოძი ჩამოგვესნეება? აახ! ნეტავ!

14

## საგურამოელი გლეხების მოგონებანი

მართა გზირიშვილი

„ჩემი მამათილი თადეოზ (თაზია) გზირიშვილი ცოტა შერეკილი და ამავე დროს ძლიერ მოხუცი იყო. ერთხელ ილიაობას თაზიამ აიღო ჯამით ღვინო, ძლიერ კარგი სიტყვა უთხრა ილიას და სახალხოდ დალოცა იგი. როცა დალია, გაავსო ჯამი და გადასცა გლეხებს, ვინც იმის სუფრაზე იხსდნენ. რადგანაც თაზია დორბლიანი იყო, ამიტომ არავინ ჩამოართვა. მაშინ მივიდა ილია, აკოცა საქორზე და თვითონ გამოსცალა ჯამი. მთელ იმოტელა ხალხს შერცხვა, მაგრამ რალას იზამდნენ.“

„ჩემი შვილი იყო დაქერილი ღუშეთის ციხეში სოფლის საბალახოების გამო. არავინა მყვანდა ქომავი და პატრონი, მივიდი ილიასთან. ილიამ ყური კარგად დამიგდო, მერე იმ ცხონებულმა“



მითხრა: შენ ნურაფერს დარღობ, იმას ვერსადაც ვერ წაიყვანენ. აი ახლა მივწერ ღუმეძმის წიგნს და იქნება პატივი მცენ და გამოუშვანო.

„გზაზე გავიგეთ, რომ ილია მოკლესო; ბევრი ვიტყვი, მაგრამ მე რაღას ვუშველიდი. წყუ-ლიც იყოს მისი მკვლელი“.

### სონა ლაბაური

„ილია რო დაეასაფლავეთ, მესამე დღეს მთელი საგურამოს კაცები დაგვიბარეს, ვერაზე რო დიდი სული იყო, და საითთოდ დაგვეითხეს. ყველაფერი მაშინ ვუბამეთ ილიას კარგ კაცობაზე და ყველაფერი მაშინ ჩაწერეს.“

„ილია როცა ამოვიდოდა, იშვითად გაიცინებდა, სულ წიგნებს ჩასჩინებდა ან დადიოდა ჩაფქვრებული. როცა კალი გვექონდა, მაშინ კი მთელი საღამო მუშეთან ლაპარაკობდა ხოლმე.“

„ერთ ზაფხულს ურმებით ვეზიდებოდი საკალოო აყალო მიწას. დილაადრიან მოვიტანეთ მიწა რამდენიმე ურმეში. ურმეში რომ დავეცალეთ, პური გვშოიდა და მე გადავედი ბაღჩაში და კიტრები ვადმოვიტანე. ჩავსხედით და დავეწყეთ ჭამა. ამ დროს გამოჩნდა ილია, უჯბი მიაკაუნა ღობის მარგოლზე. მივიხედე. თითო მანონმა მივსულიყავი.“

„რასა სტამო, მკითხა ილიამ. პურსა და კიტრსა-მეთქი, ვუბასუხე. ბიჭო, განა შეიძლება დილაადრიან ნამიანი კიტრის ჭამა, ხო ავად გახდით, განა ამ სახლში საქმელი გამოილიაო. მე ვუთხარი — მოურავი ყურადღებას არ გვაქცევს-მეთქი.“

„დაუძახა მოსე მოურავს და უთხრა: რატომ ყურადღებას არ აქცევ ამ ხალხს, ამ კიტრით ხომ ავად გახდნენო, ხომ გვაქვს ყველიო? მე დაეასწარი მოურავს: ბატონო, ოთხი გულა სავსეა და მესუთუ ნაკლულადაა-მეთქი. ილიამ უბრძანა — ყოველდღე მიეცით ყველას სამყოფი ყველიო; იმ დღიდან დილით ადრიან გვეძლეოდა ყველი.“

„მე როცა დაქორწინდი, ილიას ვთხოვე ღვინო მოეყიდა ჩემთვის.“

„ილიამ გამომართვა წიგნაკი, ჩახედა და მითხრა — შენ აღარაფერი გერგება უამაგირიდანო. მე ვუთხარი: მაშ აქ რაღათა ვარ-მეთქი. მაშინ უთხრა მოურავს: მიეცი ერთი ვედრო არაყი და ოცი ვედრო ღვინოო. ეს ყველაფერი ილიას ბრძანებით მიანგარიშეს ერთ მესამედად და ნელ-ნელა გადავიხადე.“

„ილიას ჰქონდა აბრეშუმის ზაირალი. როცა სახლში იყო, მაშინ ავაფრთალებდით, თუ არა და ჩამოვილებდით.“

„საგურამოში ჩამოვიდოდა თუ არა ილია, მაშინვე დაიხურავდა წითელ ქუდს, ფუნჯიანს, ფუნჯი ყურზე სცემდა ხოლმე. სხვა ქუდს არ იხურავდა, თუ სხვაგან არ წავივლოდა.“

„ილიამ გაჯავრება იშვითად იცოდა, და თუ გაჯავრდებოდა, არასოდეს არ იტყოდა ფინთ ქართულს. იტყოდა ხოლმე: აი შე ოხეროო! თუ ძლიერ გაუჯავრდებოდა ვისმეს, მაშინ ეტყოდა: ბიჭო, შე ოხერო, ბატი ხო ბატია, იმასაც ტყუა აქვს და შენ კი არა გაქვსო, და გაანებებდა თავს. ძალიან ეჯავრებოდა მატყუარა, ქურდი და ცუდლული ადამიანი“.

### სანდრო თარაშვილი

„ილია როცა მოკლეს, მაშინ მასთან ერთად მოკლეს მისი ლაქია იაკოფა. ეს იაკოფა გვარად იყო ბითარაშვილი. ოსი იყო, ჩემი მამიდაშვილი, საგურამოს მცხოვრები.“

„როცა ილია თავის ცოლით და იაკოფა ქალაქიდან დაბრუნდნენ, მკვლელები წიწამურს აქედან დაუხდნენ. იაკოფას ეთქვა: რა გინდათ, ბიჭებოო, მერე ამოელო სმიტისონი და ერთი ესროლნა. ილიას დაეყვირა: აბა, იაკოფ, შენ იციო. იაკოფა იყო 23 წლისა და ძლიან მარჯვეუც იყო. როცა იაკოფას ესროლნა, მაშინ იაკოფასთვის ცენტრალა დაეხალნათ. საფანტით ნიკაბი და მთელი გულ-მკერდი დაჩითული ჰქონდა. ერთი ტყვია შიგ ყანყარატოში ჰქონდა მოხვედრილი. ილიას ბერდენკის ტყვია მოხვედროდა მარცხენა სუკში და მარჯვენა ძუძუში გამოსულიყო. ალბათ მკლავი ამ დროს შეიქნია, რადგანაც ძუძუდან გამოსულ ტყვიას მარჯვენა მაჯის ძარღვები გადაეკურა. გარდა ამისა, ილიას ჩამტვრეული ჰქონდა მარჯვენა წარბის თავი. როცა ექიმები სტრიდნენ, მე ვაბრუნებდი ორივე მიცვალეზულს.“

„ილიას, როცა ურმით მოასვენეს, გახდელი ჰქონდა ტუფლები, იაკოფასაც წაღები. დანარჩენი ყველაფერი ზედა ჰქონდათ. ილია ტანზე ძალიან მსუქნად იყო. ექიმებმა გაჭრეს ზალაში, სადაც ხალხს იღებდა ხოლმე ილია“.



ქელი, რომელშიაც მოჭკლეს ილიას

### იბგორა სამხალაშილი

„ილიას ჰყვანდა ერთი მეეტლე როსტიაშილი. ილიამ მითხრა ერთნელ ილიაობას (ილიას ძალიან უყვარდა ქართული ქილაობა), თუ დაეჭიდები როსტიაშილს და წააქცევ, ერთ საკენ შეშა

მოგცემო. დაეჭიდე. წააქციე. რამდენიმე დღის მერე მივედი და ილიამ უბრძანა: ერთი საკენი შეშა უფასოდ გამოუწერეთო. მივიღე“.

### სოსიკა გზირიშილის ლექსი

ცოლოა შენი სიკვდილი,  
ილია ჭაგჭაგაძეო,  
ქვევრები ღვინით სავსე გაქვს,  
ზევიდან ჭაჭა აძეო.

15

1936 წლის სექტემბერში მოხუცმა გიორგი ბერძენიშვილმა მომწერა:

„გოგლა ლეონიძე!

„გწერ ამა წერილს ილიას შესახებ:

„მე ვსწავლობდი თბილისის სახელოსნო ოთხკლასიან სასწავლებელში, სადაც მთელს საგნებს — როგორც იყო მათემატიკა, გეომეტრია, ფიზიკა, ტექნოლოგია, ისტორია, გეოგრაფია და სხვ., გავდიოდით ქართულად. მასწავლებლებად გვყავდა ვასო რცხილაძე და ზაქარია კანდელაკი, რომლებიც ძლიერ თანაუგრძნობდნენ ნეტარხსენებულ ილიას. მის ნაწარმოებებს გავდიოდით როგორც გაკვეთილს — ზეპირად ბოემებს, მოთხრობებისას კი შინაარსს. ხანგამოშვებით ილია მოდიოდა ხოლმე ჩვენს სკოლაში ქართული ენის გამოცდაზე დასასწრებლად. მახსოვს, 1892 წ. ჩვენს კლასშიც იყვნენ თვით ილია და „დედა-ენის“ სულის ჩამდგმელი იაკობ გოგებაშვილი, რომლებიც კმაყოფილები გაბრუნდნენ. ილია გაზ. „ივერიის“ ორ ეგზემპლარს უსასყიდლოდ უგზავნიდა ჩვენს სასწავლებელს.





„სამშობოდ დათხოვნის დროს მამას წავუყუთხე „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „მედიკოსი“ და „თავდადებული“ და მთელი პოემაზე და ლექსები, რამაც ძლიერ მიიზიდა და მოიწადინა, ამას დამწერი მაჩვენეო. 1893 წ. ჩამოვიდა მამა თბილისში ჩემთან და მითხრა, „გლახის ნაამბობის“ და „კაკოს“ დამწერი უნდა პირადად მაჩვენოო. ამ დროს ილია „ბანაკოვიადით“ იყო გართული. დიდი იერიში მიიტანა ქართლმა ილიაზე, უნდოდათ მისი გაშვება, რის გამოც გორის მაზრას თავდად-ანაურობა სულ ჩამოლაგდა თბილისში. მახსოვს, თვით გორის მაზრის თავადადანაურთა წინამძღო-ლი კ. თუშანიშვილი მოვიდა ჩვენს სოფელში, ჩვენებურს აზნაურებს ფული დაუბრუნა, იღონდ ჩა-მოიდა და შავი კენჭი მიეცით ჭებჭებავესო. მიზეზად იმას ასახელებდა, ერთივე ილია სათავად-ანაურთო ბანკიდან კახელებს მეტ ფულს აძლევს და ქართლებს ნაკლებს და სხვ. მატარებელმა რომ ვერ დაიტია თავადები და აზნაურები, ტვივით ჩამოიყვანეს. ამ დროს ვილას ეცალა მამაჩე-მისთვის და ისიც ილიას უნახავი დაბრუნდა შინ. 1894 წ. კიდევ ჩამოვიდა და მამამ კი ღირსი ვახან ენახა ილია „ივერიის“ რედაქციაში. ილიამ სიამოვნებით მიიღო მამა და გამოჰკითხა მი-ზეზი ნახვისა. მე ვუამბე მამაჩემის გულის წაღილი. პირღმილით შეეკითხა, რომელი უფრო მოგ-წონს ჩემი თხზულებიდან? მამამ დაუსახელა „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“ და სხვ. მე რე კი უამბო ერთი ამბავი, რომელსაც ილია გულმოდგინედ უსმენდა.

„აი რა უამბო მამამ:

„ექვსი წლით ადრე ბატონყმობის გადაგარდნამდე (1858 წ.) ჩვენმა ბატონმა ამილახვარმა მკათათვეში მოურავი გამოუჯანვანა მამაჩემს, რათა მიერთშია მისთვის ერთი საპალნე ხორბალი, რაზედაც მამაჩემმა უარი უთხრა. მეორე დღეს ამალით მობრძანდა და ჯამუშის წყალობით იპოვ-ნეს ორმო, საიდანაც ბური ამოიღეს და სულ წაიღეს, მამა კი გაატიტვლებინა და ურმის თვალზე მიაკვრევინა. უსასტაკისი სასჯელი ვერ გადაიტანა მამამ და მოკვდა. დედაჩემმა მოიწადინა ჩემი ცოლის შერთვა და ვიახელით ბატონს ს. კვარხიითი ნებართვის ასაღებად (ნებართვის ასაღებად უნდოდა 25 მანეთი ოქროთი, ეგრეთ წოდებული „საჩქემე“). ბატონი ფულზე დაგეყვებულა, მხო-ლოდ პირველ დამეს პატარაილი ჩემთან უნდა მოიყვანოთო. ამაზე მე უარი ვუთხარი. ბატონი დამეუქრა: აბა წაიღე, ცოლი შერთე, და მე ვაჩვენებ იმ მღვდელს, რომელიც ჯვარს დაგვწერსო. ამ საზიზღარმა და წყველმა ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ ჩაგაძაღდა. ამის გამო 5 წელიწადი სას-ჯელი მომხანდევინეს ციხიბრში. თქვენი გაბრო და კაკო ჩემი ღვიძლი ძმები არიანო.

„დაგებრუნდი ციხიბრიდან და ჯვარი დაეწერე სწორედ იმ დღეს, როცა გორში გამოაცხადეს ბატონყმობის გადაგარდნა— 1864 წლის 8 ენკენისთვესო.

„ილიას მამაჩემის ნახვა იმდენადვე ეამა, რამდენადაც მამას ვახვარდა მისი ნახვა. ილიამ ფული ამოიღო და მისცა მამაჩემს: საღამოზე ქართული თეატრია, შენი ვაჟი და შენ წაიდიოთ. იდგებოდა „სამშობლო“ დ. ერისთავისა. მე კიდევ დამარიგა და მიბრძანა წაესულიყვე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მალაზიაში შიო მღვიმელთან და მთელი მისი თხზულებები უსასყიდლოდ მიმიღო.

საღამოთი მამა წავიყვანე თეატრში. ძლიერ მოეწონა სვიმონ ლეონიძე, ქეთევანს კი თავმეუ-კაველად ავიგებდა.

მამა დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა სოფელში როგორც ილიას ნახვით, ისე ქართულ თეატრ-ში დასწრებით“.

„ივერიის“ რედაქციის წევრის და ახლო თანამშრომლის, ცნობილი მთარგმნელის ივანე ახალ-შენიშვილის (1870 — 1906 წ.წ.) მეუღლემ, მთარგმნელმა ანეტა ხახუტაშვილ-ახალშენიშვილისან (გარდ. 1956 წ.) ჩემი თხოვნით შემდეგი მოგონება დამიწერა ილიაზე:

„ილია ჭაჭვაჭაქის ტრადიციული შეკრება ჰქონდა შემოღებული: ყოველ შაბათობით „ივერიის“ სარდალაციო კოლეჯია, სტამბის უფროსი მუშები და იმ დღეს რედაქციაში შემოსული პირები ილიასთან სადილობდნენ.

„ასევე ილიას სახლში მუდამ იმართებოდა ახალწლის და აღდგომის შეხვედრები. ეს არ ხდებოდა ქეივისა და დროს გატარების მიზნით. ილია, საქართველოს კულტურული ცხოვრების სულის ჩამდგმელი, იწვევდა ახალგაზრდა მწერლებს, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეებს, მცოდნე ადამიანებს, რომლებიც ახალგაზრდა ავტორებს, მომხსენებლებს შეფასებას აძლევდნენ.

„აი ერთი მაგალითი:

„1901 წ. ვანო ახალშენიშვილი თავის მეუღლეს სოფელში სწერს: „აი ჩემო კეთილო ანეტა! ეს კია ილიასგან დაგებრუნდი, ღამის 4 საათია, ბედნიერი იმით, რომ ვიდრე მე მივიდოდი, ილიას დამსწრეთათვის ყურადღება ჩემს წარდგენილ მოთხრობა „იოდა, ქრისტე აღდგა!“-სთვის მიექცია და კითხვა დაეწყით: აბა მე მომწონს და თქვენ რას იტყვიოთ. გრჯობო ყოფიმიძე კითხულობდა,

სხვანი კი — იაკ. გოგებაშვილი, ნ. ლომოური, ა. ყიფშიძე, გ. რციხაძე, ს. მგალობლიშვილი, ზანიშვილი და სხვანი უსმენდნენ. გათავდა და ყველამ მოიწონა. ილიამ სთქვა, რომ ვიტყვი: ავტორის პატრესადებლად, ერთობ ხელოვნურად და აზროვანად აქვს რუდას სულიერი მოძრაობა დაბატული. და ამას ამბობს ჩვენი პირველი კაცი, რომლის აზრიც ყურადღების ღირსია მთელის ერისთვის. მეტს კმაყოფილებას, ჩემო ძვირფასო, შენს გარდა სხვა ვერავინ ვერ მომანიჭებს, შენც გამამხნევე, რომ ჩემმა გონებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს!"

„დაიხ, ასე იყო. ყველა ახლად დამწყები, ახალგაზრდა მწერალი აქ იღებდა შეუვასებას, ინათლებოდა და აღფრთოვანებული მწერლობას ეწყობოდა, აქ იჭედებოდა მათი მომავალი სამუშაო გეზი საქართველოს საკეთილდღეოდ. ამ გონებრივ მუშაობას მოსდევდა ილიას უხვი გამასპინძლება — ვახშამი.“

„ნადიმის დროს ილია დამწერეთ ულოცავს: „ქრისტე აღდგა!“ და უმარტავს — აღდგენა ახალის ცხოვრების ნიშანია. ახალის ძალის მომასწავებელია. მოდი ეს აღდგენა, განახლება, ახალი ძალა ჩვენს საქართველოს ვუსტეროთო!“

„ვაშას“ ძახილი, მხიარული მრავალკამიერი! შემდეგ სადღერძელოები, დარბაისლური ტკბილი ღლინი, ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ასე გათენებამდის.

„გაჭა-ფშაველამ პირველად რომ მოიტანა თავისი ლექსები, ილიამ გამოართვა. აქ იყვნენ: ნ. ბიწინაშვილი და სხვ. ილიამ წაიკითხა და სთქვა: ესლა ჩვენ, ძველებმა, ხმალი ძირს უნდა დავდოთ, რადგან ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები გვეზრდებიანო.“

„ილიას დღეობა! ამ დღეებს ი. ჭავჭავაძესთან საჯურამოში საქართველოს ყველა კუთხიდან მოსალაცავად ნოდოიდა ხალხი. იყო მეჯლისი და დროს გატარებდა. გლესკაცობისთვის სულრა ეზოში იყო გაშლილი, ილია თავს დასტრიავებდა და უმასპინძლებოდა.“

„ილიას უზომოდ უყვარდა საქართველო!“

„აი, რა უამბნია რედაქციაში თავისი მეგობრებისთვის: ერთი წლით ბადენ-ბადენში ვიყავი წასული გულის სამკურნალოდ. არა უშავს რა, იქ ცხოვრება კარგად ყოფილა მოწყობილი, მაგრამ ხანდახან გულს რაღაც კაეშანი მიღრღნიდა, ვერ ვისვენებდი! მერწმუნებით თუ არა? სრული 15 წელიწადი მე ეკლესიაში ფეხი არ შემიდგია. უცხოეთიდან რომ წამოვედი და ჩემი სამშობლოს კაცკასიონის მთები დავინახე, ჩემმა უნებურად პირჯვარი გადავიწერე! მაშინ მივხვდი, თუ რა ძლიერია სამშობლოს საყვარული! უთუოდ ჩემი კაეშნის მიზეზიც სამშობლოს მოშორება იყო!“

„ილიამ უცხოეთიდან თავის მეგობრებს საჩუქრები ჩამოუტანა, ვანისაც (ახალშენიშვილს) ხედა წილად პორტსიგარი, საფერფლე და ასანთის კოლოფის ჩასადები.“

### წიწამურა — ლომისი

წიწამურაში, ილიას მკვლევლობის ადგილას, ლომისის ნიშია. ძველად სალოცავი ყოფილა. ეს პატარა სამლოცველო სულ ამას წინათ ისევ იყო. წიწამურას ლომისში დღესაც დადიან აქაური მცხოვრებლები სალოცავად.

საყურადღებოა, რომ თვით ჯვარის ტაძარს აქაურები ლომისის ნიშს უწოდებენ. ასეთი თქმულება ყოფილა: ლომისა წამოსულა ჯვარიდან წიწამურაში და სადაც ესლა პატარა სამლოცველო ნიშია, იქ დასვენებულა, შემდეგ მღეთში წასულა, იქიდან კი „ლომისში“. (1936 წ.).

### ირემი წიწამურაში

როგორც საჯურამოლებს უამბნიათ ჩემთვის, ზედ წლისთავზე ილიას მკვლევლობისა ზედაზნის ტყეში მონადირისგან დაჭრილი ირემი „ბარად ჩამოვარდნილა“ და წიწამურაში, ზედ ილიას მოკვლის ადგილას, ჩაჩოქილს დაუღებია სული.



## მიხილ ჯაჰახიშვილი

### რამდენიმე შეხვედრა

მამაჩემი თვითონაც მიწის მუშა იყო და სურდა მისი შვილიც მიწას არ მოსწყვეტოდა. მე არაფერი მკითხა რა და 1893 წელს წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მიმავარა. მანამდის ეხლანდელ ლორის რაიონში ხუთი წელიწადი დავყავი რუსულ სკოლებში და დედა-ენა საყველბუროდლა მახსოვდა, წინამძღვარიანთ კარის სკოლაში კი ყველა სავანს ქართულად ასწავლიდნენ. ზოგი სავანი იქაურ კურსდამთავრებულებზე უფრო უკეთაც ვიცოდი (რუსული, გეოგრაფია და სხვ.), მაგრამ ვინაიდან ქართული და სპეციალური სავანები არ მესწავლა, ამიტომ მესამე კლასში მიმიღეს და სავანებოდ ქართული ენის მასწავლებელი დ. დავითაშვილი მომიჩინეს. ერთი წლის შემდეგ ჩემ ტოლებს დავეწიე, მაგრამ ენა საბოლოოდ ვერ გავიტეხე, ქართულ მახვილს თავისი ალაგი ვერ ვუშოვე.

14 წლის ყმაწვილმა უკვე ვიცოდი ვინაზა და რაზა იმ საუკუნის კლასიკოსებისა. ისიც ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ მწერლად, მოღვაწედ და ქართველთა მოურნედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა იმ ერთ წელიწადში ზუბირად მასწავლეს მისი რამდენიმე ლექსი და ჩვენი სკოლის გახსნის გამო ნათქვამი სიტყვაც, რომელიც ქართული ორატორული ოსტატობაი ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია.

სკოლისთვის ტრადიციად იყო გადაქცეული: სკოლის უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუცილებელიც უნდა დასწრებოდნენ. იმ დღეს დილით გაღობაში ერთხელ კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვიოთ და საგურამოსკენ გავწიეთ. ილია ჭავჭავაძესთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი ეხლა წინ მიღვეს. სურათზე სულ 32 მოწაფე დავთვალე.

წინ მასწავლებელი თედო მეგრელიშვილი მიგვიძღვის. მას მომღერალთა გუნდი მისდევს. ხუთიოდე კილომეტრი გეპარეთ და, ილიას სახლს რომ მივუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლექსი დავძახეთ:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,  
დღე გათენდა დიდებისა,  
თოფ-იარაღი აისბი,  
დრო მოდის გამარჯვებისა! <sup>1</sup>

წინ ილია გამოგვეგება. გარსშემოვეხვიეთ და სიმღერა დავასრულეთ. ილიას გაოცებული შეგეტქროდი. მეკონა, ახოვანი ჩოხოსანი ან ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუტანის კაცი იღვა — სრული, პირსავსე, ჭალარაშერეული, 57 წლისა. ილია გვიღიმიოდა, გვიალერსებდა, ვინაზობას გვეკითხებოდა. მერმე წინ გავვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკითხვა დიდხანს გაგრძელდა. რიგი ჩემზე მოვიდა. იმ სკოლაში მობრძალეთელი

\* მ. ჯაჰახიშვილის ეს ნაკლებად ცნობილი წერილი დაბეჭდილი იყო სალიტერატურო გაზეთში 1936 წელს.

<sup>1</sup> ილიას დღეობაში ზედიზედ ოთხჯერ ვიყავი. 1896 და 1897 წელს ჩვენს გუნდს სანდრო კავსაძე ხელმძღვანელობდა. მე პირველ ხმას ვამბობდი, ის კი — მოძახილს.



ჩემს მეტი ვერ არავინ ყოფილიყო. ილიას გაუკვირდა და გაეხარდა. მასწავლებელმა მეტი შეიღობა გამეცა, შემარცხვინა: ილიას ჩემი ნაკლი ჩასჩურჩულა.

— აბა ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე. — მითხრა ილიამ.

მეტი გზა არ იყო. წინდაწინვე გაეწითლდი და დაეწყე:

მორბის არბგვი არავეინი,  
თან მოსძახრან მთანი ტყინი

მახვილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე. ილიამ გაიცინა. არც სხვები ჩამორჩენილან. მე მეწყინა და მაშინვე გაეჩუმდი. ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყინარა. მეონი მეგრული შეიღობა უთხრა ჩემზე: ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, სამაგიეროდ მწერლობას ისე ზეჯითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებას, რომ მწერალი უნდა გამოვიდეს.

— მართლა? აბა შენ იცი, — მითხრა ილიამ, — ვინმე არ შეგვარცხვინო.

მეგრული შეიღობის უნამ უყვილა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც არ გამივილია.

ილიას უხერხო სახლმა გამაიცა. ბორჩალოელი დიდი თავადების სახლები მქონდა ნახული და მეგონა, ილიას სახლი ყველას უნდა სჯობდეს-მეთქი. ის სახლი აღარ არსებობს. რამდენიმე წლის შემდეგ ილიამ ჩემ თვალწინ ახალი სამსართულიანი სახლი აიშენა. სამაგიეროდ მშვენიერი იყო მისი ბაღი, ზვარი, აუზი, ყვავილნარი, ეზო, წყარო, ვეება ქვის შავიღები, თავკარავიანი კაკალი, მუხებისა და ცაცხვების რიგი, რომელნიც იმ კარმიდამოს ეხლაც ამშვენებენ. ყველაზე მეტად მარანმა გამაეკვირვა. მისი მსგავსი ქართული სტილის სამოქალაქო ძველი შენობა აქამდის არ მინახავს. საკვირველია, რომ სიმძველეთა დამცველ კომიტეტს ის შენობა არ აუთრცხავს და არც მხატვარს ვადმოუტანია ტილოზე.

აღარ მახსოვს, ილიას დღეობაში ვინ რომელ წელს ენახე. ის კი მახსოვს, რომ პირველად იქ დავინახე პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, გიგა ყოფშიძე, დავით მიქელაძე, დამა უორდროში, არტურ ლახტი, გრიგოლ აბაშიძე, კიტა აბაშიძე, ვალერიან გუნია, რადიელ ერისთავი, გრ. ვოლსკი, ზდანოვიჩი, ნატო გაბუნია და ბევრი სხვა მოღვაწე და მწერალი. ვიღაც სტუმარი ჩამოგვევინა და მათს ვინაობას გვისახელებდა. მე ჩემი თავი ოლიმპზე მეგონა. მხოლოდ ვაჟა და აკაკი აუღვინენ.

ხალხი თანდათან მატულობს. გლეხები გუნდ-გუნდად მოდიან რიხიანი გუგუნით. მებაღურებს არავეიდან ორაგული მოაქვთ. მებაღეთა ჯგუფმა ნობათად ილიას უამრავი ხილი მოართვა. მონადირის მშველი ჩაოთუტანია. ორმა მეცხვარემ ბატკნები მორეკეს. ჩრდილში ორპირად შეტად გრძელი სუფრა იშლება. მე არა მეჯროდა, რომ ამოღენა ხალხის დაპურება ერთ რიგზე მოხერხებულიყო, მაგრამ თადარიგი სწორედ დაუქუჩიათ, ყველაფერი უანგარიშაით. კაკლის ქვეშ ინტელიგენცია და ილიას ნათესავები დაეტყვენენ. სუფრის ბოლოს მოწაფენი დაეხსენადი, იმავე მწკრივში და ქვემოთ შირს საძაღამდის ლურჯ სუფრებს გლებობა შემოუსხდა. საკმელსასმელი თავსაყრელია.

თამადად კოლა ერისთავია. სვამს და სხვასაც ასმევს, თან ენამეცერობს, დროგამოშვებით ილიას ლექსებს ამბობს და სხვებსაც ათქმევენებს. ილიას მეუღლის ოლღას სადღევრძელოს რომ გამოაცხადებდა, უძეველად „განდევლის“ ნაწყვეტსაც იტყოდა ხოლმე. ილია მასპინძლობს: სუფრას სწორად ჩააყვება, ყველას დახედავს, ალხენს და თვითონაც ილხენს. განთქმული მომღერალი ყარალაშვილი თარს უქრავს და მღერის. ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა: „გუშინ შეიღვი გურჯანდლი“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „მურმანო“, „თამარის დროშა გაშალეს“, „წაიყვანეს ჩამარ ქალი“, „აღსდევ, გმირთგმირო“, „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ და მრავალნაირი „მრავალკაიერი“. ვულგარულ „შენი ჭირიმეს“ და რატაილის კილოებს ილიას ხალხური სიმღერა ერჩივდა. ეს ჩვენც ვიცოდით და თითქმის მხოლოდ ლაღო აღნაშვილი რეპერტუარს ვიყენებდით. ილია ბანს ვეუბნებოდა. სასიმღერო სენა არ უქარგოდა და ამიტომ მისი ხმა დისონანსად ისმოდა ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვუბედავდით. სამაგიეროდ ერთმა ხნიერმა გლეხმა შეუბუბა და გააჩუმა: „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ“ ილიას გაეკვივით უყვარდა. ეს სიმღერა ჩვენს გუნდს შემდეგ გლეხებმა დაიწყეს. ილია მაშინვე იქ გაჩნდა, ორ გლეხს მხრებზე მოეცვია და ბანი მიაყოლა. მეც იქ გავემნიდი და ერთი მოკლე დიალოგ კარგად გავიგონე.

— ილია, გაჩუმდი, — უთხრა იმ გლეხმა.

— ვერ გაჩუმდები, — მიუგო ილიამ. — ეგ სიმღერა ძლიერ ნიყვარს და ნეტ უნდა ვიმღერო.

— ილია, გაჩუმდი, თორემ ჩვენ გაგჩუმდებით.



— ნუ იზამ, ისევ მე გავჩუბდები, — უთხრა ილიამ და ის სიმღერა ხანგამოშვებით ოთხჯერ ათქმევინა.

ღვინო თავისას იქმს. სუფრა ირევა. სიმღერა რამდენიმე ალაგას ისმის, აქა-იქ ლეკური და დავლური გაჩნდა. ილია ოდნავ შეზარბოდა. მხოლოდ და-ძმა უორდრობი, ლასტი და ებიკოპოსი ალექსანდრე გადარჩნენ. მოწაფენიც ფხიზლები ვართ. გლებები ფხიზლადაც რომ ყოფილიყვნენ, ერთ საათსაც ვერ მოითმენდნენ, რომ ჭიდაობა არ გაემართათ. ილიას ჭიდაობაც ძლიერ უყვარდა, მაგრამ იგი უჩხუბრად იშვიათად თავებოდა. წრეში ხელჯოხოსნებს შეიყვანდა, თვითონაც დადიოდა და გლებებს ეხვეწებოდა: ჩხუბი არ გაბედოთ, დღეობა არ ჩამიშვაროთ.

არ ჩაუმწარეს. იმ ხანებში ახლომახლო ყველაზე უფრო განთქმული მოჭიდავე იმერეთიდან გადმოსახლებული მებაღე ვინმე „ქორია“ იყო. მისი გვარი არაკინ იყო. ერთ დროს ის ილიას მებაღედ იყო. ქორია ორ-სამ მოჭიდავეს წააქცევდა და ილიას აამებდა ხოლმე.

— ისევ მასახლე, — უთხრა ილიამ მას შემდეგ, როცა ქორიამ ერთი სახელოვანი მოჭიდავეს წააქცია. — ხვალ მოდი და ერთი საჩოხე წაიღე.

გლებური და ჩვენ შეზინებისას ვიშლებოდით. ილიას ზოგი ნათესავ-მეგობარიც მიდიოდა, ხოლო დანარჩენი მეორე-მესამე დღემდის რჩებოდნენ. მანსვეტაშვილი წერს, ილიას ნი ხელი ლოგინი ჰქონდა. შემცდარია მისივე აზრი, თითქოს იმ დღეობაში საქართველოს ყველა კუთხიდან იმოდენა ხალხი საქეფოდ იყრიებოდა. ერთი-ორი დღის საველზე საქეფოდ ვინ მივიდოდა! საველამო ხატი ხომ არ იყო, რომ მანძილს არ დაზარებოდნენ. ილიაობა ეროვნული დღეობა იყო და იმოდენა ხალხი ამიტომ იყრიდა იქ თავს. მოწაფეებსაც ამგვარად გვექონდა შესენილი.



1901 წელს ყირიმის სკოლას თავი დაეანებე და ტფილისს დაებრუნდი. ილია წინამძღვარი-შვილს უნდოდა ის სკოლა დამსრულებინა და თავის სკოლაში მასწავლებლად მიეწვიე.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების 100 წლის თავის შესრულების გამო თავდაზნაურობას დიდებულნი გამოიფინა გაემართა და მეც იმის სანახავად მივედი. იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. მეფის დესპანს — ვილაც დიდ მთავარს — აქაური მთავარმმართველი და დიდრონ მონღელთა ამაღა დასდევდა. უცებ ორ ილიას — ჭაგჭაგაძესა და წინამძღვარიშვილს — წააწყდა. ეს ის წინამძღვარიშვილია, რომელიც 50-იან წლებში შვიარაღებულ მცველად დასდევდა ჭაგჭაგაძეს, როცა მას ზოგი ქარაფშუტა თავადი თუ აზნაური მოკვლას ემუქრებოდა. ორივენი თითქო შეფიცული მეგობრები იყვნენ და უერთმანეთოდ დიდხანს ვერა სძლებდნენ. წინამძღვარი-შვილიც შესანიშნავი მოლავე იყო. მივილი სიცოცხლე თავის სკოლას შესწირა და ქართულ პანთონში ასჯერ უფრო უკეთესი ალაგი დაიმსახურა, ვიდრე მას მიაკუთვნეს.

ორივენი სუფრას უსდებდნენ და საგრილებელ რამე სასმელს სვამდნენ. მე ვცადე ილია წინამძღვარიშვილისათვის თავი მომერიდებინა, მაგრამ იმან დამინახა, დამიძახა და დამსვა. და მისალმების შემდეგ მკითხა, ამ დროს აქ რა გინდაო. როცა გაიგო, რომ სწავლას თავი მივანებე, ძლიერ გაწყრა და საყვედურით აშავსო.

— ეხლა რას აპირებ, რით ვინდა იცხოვრო?

— შინდა მხატვრობა შევისწავლო.

წინამძღვარიშვილი უარესად გამიწყრა, კიდევ დამცინა. ილიამ მიცნო, გამიხსენა:

— ეს ის ყმაწვილი ხომ არ არის, მწერალი რომ უნდა გამოსულიყო? — ჰკითხა მან წინამძღვარიშვილს.

— ის არის, მაგრამ მწერალი კი არა... — და ჩემს გაწბილებას დასასრული აღარ უშანდა. ბოლოს მკითხა, მამაშენი ნაწყენი არ არისო?

— დედ-მამა დამეხოცა. — ვუპასუხე მე.

წინამძღვარიშვილი უცებ მოღბა. კილო გამოიცვალა, მანსუტემა, მომეალერსა. მე ჩემი დედისა და ლის მოკვლის ამბავი ვუამბე. ორივენი გაოცდნენ, ნუგეშის ცემას უმატეს.



ორი წლის შემდეგ მე მართლა შევუდექი მწერლობას, ხოლო 1904 წ. „ივერიის“ ფაქტორი რედაქტორი გავხდი. ოფიციალური რედაქტორი გ. ყიფშიძე ბანში მუშაობდა და თავის ვაჟებს უკვე დაბეჭდილ კთხოვლობდა. იმვე წლის დამლევს ვაზეთს ფ. გოგიანიშვილი ჩაუღვდა სათავეში. იმ ორ წელიწადში ჭაგჭაგაძეს რამდენჯერმე შევხვდი, მაგრამ ამას სხვა დროისთვის გადავდებ.

1906 წლის გაზაფხულზე ავადმყოფი ილია წინამძღვრიშვილის სანახავად მივედი. მალე ქაეჭვაძეც შემოვიდა, ავადმყოფი მოიკითხა და საუბარი გააბა. შავბნელი აზრებით იყო შეპყრობილი. ჯერ „ივერიის“ ბედი გაიხსენა. ეს გაზეთი მისი ნაშვილვეი იყო. იგი რამდენიმე ათეულ წელიწადს ზიდა. მერმე თავის ერთგულ ა. სარაჯიშვილს გადასცა, მან ილიას გზით მავალ ყიფშიძეს ჩააბარა, ამან კი — ამ ახალგაზრდას გადაულოცაო — სთქვა ილიამ ჩემზე. — და შემდეგ გოგინაიშვილსაო.

\* \*

ილია ქაეჭვაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საოცარი ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწყებდა. თავი რკინის ძეგლსავით ეჭირა. მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვეტინებდა, და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლიერი ჰქონდა, ლოგიკის ძალა — უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური, ლაპარაკის მანერა — ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი. მკვეთრი, გამგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული. მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური. მოპირდაპირის სუსტ ალაგს ფოლადის მარწუხივით დასწედებოდა და ჰგლეჯდა, ათრევდა და მანამდის სთელავდა, სანამ საბოლოოდ არ მოსპობდა. ეს მანერა პოლემიკისა ილიას წერილებსაც აშკარად ეტყობა. მტრებსაც ნაწვნივი ჰქონდათ და ძლიერ ეშინოდათ. შებმას იშვიათად უბედავდნენ. არა თუ ილიას ტოლი, მისი ტიპის ორატორიც აღარ მომხსენია.





## რეჟან ასათიანი

### დილა „ცისკარში“

მეხუთე მაიკოლი

„ცისკარის“ რედაქცია. რედაქტორი ი. ვ. კერესელიძე ფეხმორთხმული ზის ტახტზე, წერს.

კერესელიძე — (წერს და თან კითხულობს) „არჩილ კახაბერებრ, ბალასანკინა რტოებრ, ყარანფილ ვარდებრ, იაკოსტ ყაყაჩოებრ, რტო კიპაროსებრ, ია შამპასოსანებრ“... (ხელახლა კითხულობს ბუტბუტით) არა, არადერი გამოდის... ამდენი „ებრ, ებრ“, რაღაც ყურისათვის სახამუშოა. ეხ, შე ოხერო ჩემო თავო, რა ძალა გადვას, ლექსების წერით რომ იკლავ თავს... მახლას, ივანე კერესელიძე, ნიჭი უნდა, ნიჭი ლექსების წერას... არა, მამა გიცხონდა, რომელი რუსთაველი შენა ხარ, რომ ხელში ბატის ფრთა ავიღია და შაირობ... ნათქვამია: რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ დახვე მარამშეხსაო. არ გირჩევნია შენთვის ეგდო? დემრთს შენთვის რედაქტორობა უღირსებია და, თუ უნო გაქვს, ივარგე... თუმიცა, კაცმა რომ თქვას, მეც რედაქტორი მქვიან და... რის რედაქტორი, რა რედაქტორი... მე ვინა მკითხამს რამეს... ნამდვილი რედაქტორები ჩემი ჟურნალ „ცისკარისა“ ვანა არ ვიცი, ვინცა ბრძანდებიან? — ორბელიანები, ერისთავები, ბარათაშვილები, ჯორჯაძეები... აბა მე ვინა მკითხამს... რასაც მიბრძანებენ, ის უნდა დავბეჭდო... იმ პეტერბურგელ სტუდენტ ჭავჭავაძის განმაქიქებელი სტატიის დაბეჭდვისათვის, ცოტა გაწყდა, არ დამახჩვეს... არა, ჩვენს შორის დარჩეს და, სტატია კი კარგა ლაზათიანი იყო... არა, წვეტიანი კბილები კი ჰქონია იმ მამაცხონებულს... როგორა სწერდა ჩვენი „ცისკარის“ პოეტებზე? — თუ ცისკარი უვარგისია, კიდე თქვენგან, ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითაო! — ხა-ხა-ხა! არა, მამა არ წამიწყდეს, კარგადაა ნათქვამი: „ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითა!“ ხა-ხა-ხა! ეხ, მახლას! მე კი ვიცი და იმ ჭავჭავაძის გულისათვის ლამის თავზე კაკალი დამამტვრიონ! ესლაც, სადაც არიან მობრძანდებიან, შეიქნება ერთი დარბაისლური მასლაათი მალალ ფარდებში! ეხ, რა უნდა ვქნა, ძალა აღმართსა ხნავს, ერთი სევდა მანც გავიქარავ ცოტა ხანს (ჩამოიღებს კედლიდან თარს, დაუკრავს და დაამღერებს):

\* ნაწყვეტი პიესიდან „წიწამურის გზა“.



ამა სოფლისა ცხოვრება  
ვერცხლით არ მოიპოვება,  
მდიდარიც ბევრი ნახულა  
ობრად რჩენოლეს ქონება...

**გოგიელა** — (შემოვარდება დაფეთებული) ბატონო, ბატონო!

**კერესელიძე** — რა გაყვირებს, ტუტუცო, რა მოხდა?

**გოგიელა** — მობრძანდნენ, მობრძანდნენ.

**კერესელიძე** — ვინა, ბიჭო, ვინ არიან?

**გოგიელა** — კნენა და თავადები მობრძანდნენ, ბატონო.

**კერესელიძე** — (ადგება, გაეგებება კარებში, ცოტა ხნის შემდეგ შემოდის, ებატიყება) კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გთხოვთ.

შემოდინ ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ე, გ ი ო რ გ ი ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ს ა რ-  
ღ ი ო ნ ა ლ ე ქ ს ი-მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, ე ქ ვ თ ი მ ე წ ე რ ე თ ე ლ ი, რ ე ვ ა ზ ე რ ი ს თ ა ვ ი.

**კერესელიძე** — დაბრძანდით, ბატონებო.

**ჯორჯაძე** — ქაჯან, ესლა როგორ იქნება, როდემდის გინდა ჩვენი თავი ალან-  
ძღვინო სტუდენტებსა?

**კერესელიძე** — თქვენს ლანძღვას ვინ გაბედავს, კნენა ბარბარე, რად ბრძანებთ  
მაგას?

**ბარათაშვილი** — როგორ თუ რად? თქვენ ხელს უწყობთ, რომ აბუჩად აიგღონ  
ჩვენი ენა, ჩვენი ძველნი ავქსონნი მწერალნი და მათთან ერთად ჩვენც,  
დამაშვრალნი დიდებისა და სახელისათვის სიტყვიერებისა ჩვენისა...

**მესხიშვილი** — განა მოსათმენია უზრდელობითა და უტიფრობით შეზავებულის  
სტატიების კითხვა ჩვენს დარბაისლურ ჟურნალში?

**წერეთელი** — იმე, მოსათმენი რავაა, ჩემო ბატონო! ჭეშმარიტად არ გეკადრე-  
ბათ, უფალო ივანე, ამისთანა სისუსტე, რომ ამ ცხვირმოუხოცელ ყმა-  
წვილებს ადგაღს უთმობთ თქვენს ჟურნალში. ამას კიდევ არაფერი  
უჭირდა, რომ ჩვენი პატიოსანი მანდილოსნების ლანძღვა-თრევისთვის  
არ მიეყოთ ხელი! (ათითებს ბარბარეზე).

**კერესელიძე** — რაც იყო, იყო, ბატონებო. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ  
სტუდენტი ჭავჭავაძე ნიჭიერი და გონებაგახსნილი ყმაწვილია, ამასთან  
ახალგაზრდაა; თუ ზედმეტი დასწერა, თავისი ჭაბუკური გატაცებით  
მოუფიდა. რა ვუყოთ, ახალგაზრდობამ გადაჭარბება იცის!

**ჯორჯაძე** — არა, ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო! ქა-  
ჯან, გამომდგარა და ლექსებს გვიწუნებს! აფსუს! ერთი მის ლექსებსაც  
გადავხედოთ, თვითონ რეებსა სწერს... „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ  
მერცხალიც ჭყვივისო“... სასაცილოა ჭეშმარიტად და სამწუხაროც, რომ  
ასე შეიცვალოს ჩუენი სამშობლო ენა, თქუენი რისხვა მქონდეს, თუ თა-  
ვის დღეში გამეგონოს მერცხალი ჭყვივისო... ღორზედ კი გამიგონია,  
უთქომთ, ღორი ჭყვივისო...

**ყველანი** — ხა-ხა-ხა!

**ჯორჯაძე** — იქნება ოდესმე ბულბულზედაც თქვას ჭყვივისო...

**ყველანი** — ხა-ხა-ხა!

**ჯორჯაძე** — არა, რატომ? თუ კი მერცხალი დაიჭყვივლებს, რატო ბულბული  
კი არ უნდა ჭყიოდეს?

**ბარათაშვილი** — ეგ რაა, მაგაზე უკეთესი არ არის, მაგ ლექსშივე რომ ნატ-



რობს? — მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდებიო. არა, ერთეულს შემიღებდა, რომ ეხლა გაზაფხულია და მთელი საქართველო მწვანე ხავერდივითა ბიბინებს.

**წერეთელი** — ბატონო, ნამდვილად გაზაფხულზე დაიწყო იმ ყმაწვილმა მაგ ლექსის წერა და ზამთარში გაათავა, — თოვლი რომ დადვა, მაშინ! აბა სხვანაირად რავე იტყოდა: მამულო, როსლა აყვავდებიო!

**ყველანი** — ხა-ხა-ხა!..

**გოგიელა** — (შემოვარდება) ბატონო, თქვენთან არიან.

**კერესელიძე** — სთხოვე.

კარები იღება, შემოდის ილია. თვალს მოაფლებს, დაბლა თავს დაუქრავს დამხდურთ.

**კერესელიძე** — (უხერხულ მდგომარეობაშია) მობრძანდით, მობრძანდით, გაიცანით: ილია ჭავჭავაძე... კენიანა ბარბარე ჯორჯაძისა, თავადი გიორგი ბარათაშვილი, თავადი რევაზ ერისთავი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი... ექვთიმე წერეთელი...

**ილია** — უკაცრავად, მგონი ხელი შევიშალეთ...

ხმას არავინ სცემს, ყველანი თვალს არიდებენ, დროგამოშვებით უკმაყოფილოდ შეხედავენ მოსულს. ილია მხრებს აიჩეჩს და კერესელიძეს მიმართავს.

მე მოვედი, რომ გავიგო, ბექდავით თუ არა ჩემს საპასუხო წერილს?

**კერესელიძე** — ჯერჯერობით... დიახ... არა... ჰო... ვნახოთ...

**ერისთავი** — რა უნდა ნახოთ... თუ გინდა, რომ ხელისმომწერლები სულ შემოგეცალონ და ჟურნალი დაიხუროს, მაშინ კი... ბატონი ბრძანდები... ბექდავით ლანძღვა-გინება ჩვენის ენისა და მწიგნობრობისა... დამცირება ჩვენის... ჩვენის...

**ილია** — კრიტიკას თქვენ ლანძღვა-გინებას უწოდებთ, სჩანს არ გცოდნიათ მისი მნიშვნელობა; კრიტიკა არის განხილვა, გარკვევა, გარჩევა და შეფასებაც ლიტერატურული ნაწარმოებისა. ჩემი სტატიაც ასეთი ხასიათის იყო. თქვენ კი ლანძღვად მიგიღიათ.

**ჯორჯაძე** — თქვენ, როგორც შეგვიტყვია, გაზრდილი ბრძანდებით უნივერსიტეტში, სადაც ასწავლიან მრავალ საგნებსა, მაგრამ აი საკვირველი! უპირველესი საგანი არ შეგიძენიათ...

**ილია** — მაინც რა საგანს გულისხმობთ?

**ჯორჯაძე** — თეორეტიკას, ანუ ხელოვნებითის სიტყვიერების სწავლას, რომელიც გვიჩვენებს, რომელი ასო რა რიგ ვიხმაროთ სიტყვაში.

**ილია** — უნდა მოგახსენოთ, რომ ანბანის განსაზღვრა ხელოვნების თეორიის საგანს არ ეკუთვნის. იქნებ ასოების ხმარების ცოდნა საჭირო იყოს მწერლისათვის, როგორც მელანი და კალამი, ანუ მათემატიკოსისათვის ნუმერაცია. ვისაც წერა უნდა, ანბანი უსათუოდ უნდა იცოდეს, მაგრამ მარტო ანბანის ცოდნა არ შეიქმს მწერალსა, ამას ძალიან ცხადად ამტკიცებენ თქვენი ლექსები და ჩემს წინააღმდეგ დაწერილი სტატია.

**ჯორჯაძე** — რა ვქნათ, ჩვენი ლექსები არ მოგწონთ, თქვენ დაგვიწერეთ უკეთესი: მერცხალი ჭყვივისო, რომ სწერთ, ისეთები.

**მესხიშვილი** — ბატონო სტუდენტო, იმაზე რას იტყვი, რომ ჩვენი ანბანისათვის ექვსი ასო წაგირთმევიათ, ჩვენი სიტყვიერების დაღარიბება გან-





გიზრახავთ? განა ასოები: ვიე, ჰოე, ხარი, ფარი, უბრჯგუ, იოტა... ვე ენი ჩვენს სიტყვიერებას არ სჭირდება? წაიკითხეთ ძველი წიგნები, ძველთა პიტიკოსთა ნაწერები, ანტონ კათალიკოსის იამბიკონი — განა ყველგან არ არის ეს ასოები ნახმარი?! თქვენ კი მოუფიქრებლად გადაგიყრიათ ეგ ასოები, რათა, რისთვის? რა დაგვიშავათ?

**ილია** — კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ, კაცნი, ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა. ბრძანებთ, რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ ეგ ასოებიო, მე კი მოგახსენებთ, რომ ეგ უსაფუძვლო ბრძანებაა, როგორც უსაფუძვლოა თქვენი რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა უნდა ისწავლოთო ხელოვნებისათვის...

**ჯორჯაძე** — ქა, რას ჩააცვიდა ამ თეორეტიკას!

**ილია** — ზემოხსენებულ ასოებს თავისი შესატყვისები აქვს თანამედროვე ქართულ ანბანში. იქნება უწინდელ ქართულში მართლაც იყო განსხვავება მათ შორის, მაგრამ დღევანდელ ენაში ამ განსხვავებას ვერ ვხედავთ. და თუ ხედავს ვინმე, ის ახბანთ თეორეტიკით კი ნუ ცდილობს დამტკიცებას...

**ჯორჯაძე** — კიდევ თეორეტიკა... ქა! ეს რა აბეზარი ყოფილა!

**ილია** — ...არამედ ყურადღება უნდა მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, გვიჩვენოს და მაშინ დავეთანხმებით. ენას კანონსა თვით ხალხის ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა..

**ჯორჯაძე** — ოხ!

**წერეთელი** — იმე, ბოშო, რავე დეიჯინე ეს თეორეტიკა და თეორეტიკა, მეტი ვერაფერი ნახე სასაცინო?

**მესხიშვილი** — საბოლოოდ მაინც რას გვიბრძანებთ, ჩემო ბატონო, მაშ გადავადოთ ეგ ასოები, ეგრეა, განა?

**ილია** — დიახ, სწორედ ეგრეა. ეგ ასოები ტყუილად არიან ჩვენს ანბანში, ტყუილად აგრძელებენ ანბანსა, აძნელებენ მართლწერასა და სხვას არაფერს არ შეგვიძინებენ. ეგ ასოები არ ისმის ეხლანდელ ენაში, ამიტომ უნდა გადაიგდოს ხმარებიდან. შემსუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა? ეს მოაშორებდა ჩვენს ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა და მწერალსაც გაუადვილებდა წერასა...

**მესხიშვილი** — თავი დავანებოთ მაგ ასოებსა... თქვენი ნებაა, თუ არ მოგწონთ, შეგიძლიათ არ იხმაროთ. მაგრამ ნუთუ თქვენისთანა განათლებულ და განვითარებულს ქართველს გეკადრებათ მშობლიური ენის ასეთი შეურაცყოფა? თქვენის სტატიიდან ყველას შეუძლიან დაინახოს, თუ რაოდენ უწყალოდ ამახინჯებთ და ამდაბლებთ ქართულ სიტყვიერებას და ამასაც სადა? ქართული სიტყვიერების ჟურნალში!

**ილია** — მაინც რა მიიჩნიეთ ენის დამდაბლებად, რით შეურაცყავ მშობელი ენა, იქნებ ინებოთ და ბრძანოთ?

**მესხიშვილი** — თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ წერა არის სამგვარი: მალაღლი, საშუალო და დაბალი. ამ სამში, როგორც თქვენის ნაწერისაგან ვიგებთ, თქვენი კალამი მდაბალს ენას მიეთვისა. ნუთუ დასაშვებია მა-



ღალ აზრების გამოხატვა უხამსი, უგვანო, გლეხური ენითა... შეუფერებლობა თქვენის გამოთქმისა დიდად აუშნობებს ჩვენს ენასა და ჰქევიან სასმენელსა...

**ჯორჯაძე** — ქაჯან, ერთი ჰკითხეთ მაგ ყმაწვილსა, ვის იამება ჰკვიან კაცთან ლაპარაკი, თუ მას ამოსდის ნიერისა და არყის სუნი? იქნებ თქვენ შეასმინოთ, რომ სიტყვიერება უნდა შეიცავდეს პატიოსნურსა და დარბაისლურს ენასა და არა უშვერებას და უკადრისს გამოთქმებს.

**ილია** — უკადრისი სიტყვები ქვეყანაზე არ არიან, მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებით. უვარგისი სიტყვაც არ არსებობს: თუ ხალხი ხმარობს, მამასადამე, ვარგისიანია. რაც შეეხება სამგვარ წერას — მაღალს, საშუალოს და მდაბალს — დროა უკუვადლოთ ასეთი დაყოფა. ჩვენი ლიტერატურის ენა ხალხის ენას უნდა მისდევდეს, ცოცხალ ენით უნდა სულდგმულობდეს. თქვენთვის დავვითმია, ბატონებო, ანტონ კათალიკოზის იამბიკოების ენა, მაგ ენით ეხლა მხოლოდ მკვდრები უბნობენ ან კიდევ მკვდრებში ჩასათვალნი მბლაჯენლნი... ნუ გეშინიანთ, არ დავასახელებ ვის ვგულისხმობ...

**წერეთელი** — ღმერთო კი მომკალი ახლავე! ეს რა მესმის? ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ უნდა შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოზის მაღალ-ნიკიერს სიტყვაობას სწუნობდეს და რას, სახელდობრ: მის წყობილ-სიტყვაობას, მის აკროსტიხულებას და მის იამბიკოებას. აწ რა გასაკვირველია (ათითებს ილიაზე), ვისაც ვოლტერის მოძღვრების თანახმად მარხვა და მეუღაბნოება არ მოსწონს, იმას არც ანტონის ქმნულება მოეწონება!..

**ილია** — რამდენიც არ უნდა ილაპარაკოთ, სულ ერთია, თქვენი საქმე განწირულია. ჩვენი ენა, ჩვენი მწერლობა ხალხის შექმნილია, ხალხსავე უნდა ემსახუროს, მისთვის გასაგები უნდა იყოს; ხალხის ენამ ხალხის ცხოვრება და ჭირ-ვარამი უნდა ასახოს, მის სატკივარს უნდა დასდოს მაღამო. თქვენი მაღალი და დარბაისლური ენა ღმერთმა თქვენვე მოგახმაროთ. ჩვენ კი ხალხის ენას მივუბრუნდებით, მისი ენით ვასაზრდოებთ ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს სიტყვიერებას... მამა-პაპათაგან ძვირფას საუნჯედ დავგრჩენია მამული და ენა. თუ ამათაც არ ვუბატრონეთ, რა კაცები ვაქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმოებთ ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას.

**ერისთავი** — თქვენ იცით... სწერეთ ბაზრული ენით, მენახშირეების და გუთნისდღეების ენით. ვნახავთ, რა მარგალიტებსაც დააფრქვევთ მაგ ლამაზი წყობილ-სიტყვაობით. მხოლოდ ჩვენს ჟურნალში, ნურას უკაცრავად, მაგ ენით წერის ნებას ვერ მოგცემთ...

**კერესელიძე** — არა, ჟურნალში კი განაგრძეთ თანამშრომლობა, მხოლოდ ცოტა ენა უნდა გამოისწოროთ, უნდა ისწავლოთ...

**ჯორჯაძე** (კერესელიძეს) — კარგი, კარგი! სულ თქვენი ბრალია ეს ორომტრიული. გაჩუმიდით მაინც!..

**მესხიშვილი** — აღარც თქვენი კრიტიკები გვჭირდება, თქვენთვის მოიხმარეთ.

**ბარათაშვილი** — შეემზადეთ პეტერბურღში, როგორათაც დონკიხოტი, მარცხენა ხელში ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები გეპყრათ, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარაღებული გამოილაშ-

ქრეთ საქართველოზედ, რათა ძალდაძალ აგელოთ დაფნის გვირგვინი  
მაგრამ ვერ მოგართვეს!.. დიახ!..

**ჯორჯაძე** — სწორედ ამაზე იტყვიან, როგორც მოხველ სვინაო, ისე წახველ ში-  
ნაო!

**ყველანი** — (იციინიან) ხა-ხა-ხა!

**ილია** — უგუნურება დასცინის საკუთარ თავს! ეგრე იყოს, ბატონებო! დარჩით  
თქვენს ცისკარში, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჯოჯოხეთის კარში!  
ეგ ცისკარი საქართველოს ვერ გაუნათებს! იცქირეთ წარსულისაკენ,  
დასცინეთ ყოველივე ახალს, ნათელს, გონიერს, ცოცხალს! ჩვენ, ახალ-  
გაზრდა თაობა, გავკვალავთ ახალ გზებს მომავლისაკენ. ჩვენი საქმე სა-  
ქართველოს ხალხის ცხოვრება იქნება, მისი გამჯობინება — ჩვენი პირ-  
ველი და უკანასკნელი სურვილი! მომავალი დააფასებს ჩვენს საქმეს და  
თავდადებას სამშობლოსათვის. ჩვენ ვიცხოვრებთ, ვიმრომებთ და ვი-  
ბრძობლებთ ჩვენი ქვეყნის ამ ნათელი, დიადი და ბედნიერი მომავლი-  
სათვის!

ქულს იღებს და მიდის. ყველანი სახტად დარჩენილი გასცქერიან მიმავალს.

**კერესელიძე** — (უნუგეშოდ თავს გააქნევს) რას სჩადით, რას სჩადით! რად გა-  
მიტყიეთ ეს ახალგაზრდა კაცი! ეხლა წავა, ბატონებო, თავის ყურნალს  
დააარსებს, ხელისმომწერლებს მიიზიდავს, მე კი ყურნალი უნდა დავხუ-  
რო! მე ვიკითხო, თქვენ რა გენაღვლებათ!





## იხილეთ ჯაჯანაშვილი

### შეიარაღებული მშვიდობიანობა

ილია ჭავჭავაძის გამახვილებული ინტერესი საერთაშორისო მოვლენებისადმი უზრალო ცნობისმოყვარეობის ან ჟურნალისტის პროფესიონალური ვალდებულებების შეგნებით არ შეიძლება აიხსნას. ილია ჭავჭავაძე მთელი ჭვეყნის სხვადასხვა ხასიათის მოვლენებსა, დიპლომატიურ პაექრობაში ან მილიტარისტულ სახელმწიფოთა შეჯახებაში ყოველთვის ეძებდა თესლს ამ მოძრაობისას, რომელსაც პატარა, დაჩაგრული, იმპერიალისტური სახელმწიფოების კლანკებში მოქცეული ერები ეროვნულ განთავისუფლების ფართო გზაზე უნდა გამოეყვანა; ამით ქარაველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას დიდ საერთო-საკაცობრიო იდეალებს უკავშირებდა და თავის მკითხველებს აგრძნობინებდა, რომ ბრძოლა თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის განკერძოებულ ინტერესს კი არ წარმოადგენს, არამედ რეალიზაციას ამ უდიდესი მისწრაფებებისას, რომლებიც ყოველი დაჩაგრული, დამონებული და კოლონიალურ ტანჯვაში მყოფი პატარა ერების ცხოვრებას ახასიათებს.

ილია ჭავჭავაძე დიღს საისტორიო-საეკონომიო ნარკვევას წერს ირლანდიის შესახებ (1886 წ.) და ამ ნარკვევში აღუარებელ ფაქტიურ მასალას აგროვებს ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახებ; ამ შესანიშნავ ნარკვევებში იგი დიდი ერუდიციით ააშკარავებს ირლანდიის დამონების ნამდვილ სურათს, ინგლისის ლორდების თავაშვებულ თარეშს ირლანდიაში და იმ საშინელ ექსპლოატაციას, რომელსაც ირლანდიის ხალხი რამდენიმე ათეული ინგლისელი მემამულე ლორდისაგან განიცდის.

„გახიზნულმა ირლანდიელმა ცხადად დაუმტკიცა ჭვეყანას, — წერს ილია ჭავჭავაძე, — რომ თავისის უბედურების მიზეზი თვითონ ერის ბუნება და თვისება კი არ არის, როგორც ამტკიცებენ დღესაც. ზოგიერთი მომხრენი მემამულეები-

სა, არამედ იგი არისტოკრატიული წესი მიწათმფლობელობისა, რომელიც ინგლისმა შეიტანა ირლანდიაში და რომელმაც გლეხობას ხელიდან გამოაყალბა მამული და ცარიელზედ დასვა“.

პატარა იმპერიალისტური პორტუგალია და დიდი იმპერიალისტური ვეშაბი ინგლისი ერთმანეთს შეეხეთქნენ პორტუგალიის ერთი პატარა კოლონიის გამო, რომლის ჩაყლაპვაც ინგლისმა მოისურვა. ილია ჭავჭავაძე წერს შესანიშნავ წერილს „ევროპის დიდი და პატარა ონაერები“. თვით დიდი პრინციპული აზრის შემცველი სათაურიც კი ნათლად მოწმობს, რომ ილია ჭავჭავაძეს მკაფიოდ, სრულის სიხედადით აქვს შეგნებული იმპერიალისტური ჭვეყნების კინკლაობის ნამდვილი ბუნება. ზემოხსენებულ წერილში ილია ჭავჭავაძე თითქოს პორტუგალიას იცავს, როგორც უფრო სუსტსა და აბუჩად აგდებულ სახელმწიფოს, მაგრამ მინაც არ ავიწყდება, რომ პატარა პორტუგალია და დიდი ინგლისი ერთნაირი „ონაერები“ არიან, ე. ი. მჩაგვრელები და ექსპლოატატორები.

„ერთდ მუჟა ჭვეყანა და ერთი მუჟა ხალხა, და რა სათვალავსა და ანგარიშში მოსატანია ევროპისთვის, საცა მარტო დიდ მუშტსა და გრძელ მკლავსა აქვს ხმა და პატვი, — წერს ილია ჭავჭავაძე, — აბა ეს ღონიერი და ძლიერი ინგლისი ერთის მხრით და ეს უღონო პორტუგალია — მეორეს მხრით! ნეტავ ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირისპირედ უღონო და პატარა პორტუგალია უდგა. საცა ერთის მხრით პირდაღებულ ვეშაბია და მეორეს მხრით — მოკუხული კრავი, იქ, ეხლანდელ დროში „სამართალს დაეკითხება-და ვინმე?“

ილია ჭავჭავაძემ ძალიან კარგად იცის, რომ დიდი ვეშაბი და პატარა კრავი ერთნაირი ბუნების მტაცებლები არიან და ერთნაირად სტყუიან მესამის, დამონებული კოლონიის წინაშე, რომლის ტყავის გასაყოფადაც იბრძვიან ევროპის დიდი და პატარა ონაერები.

\* ნაწყვეტი წერილიდან.

„თვით ის დავიდარაბა კი, — წერს ილია ჭავჭავაძე, — რომელმაც ეს ამბავი გამოიწვია პორტუგალიაში, მაგდენი არაფერია, არც პორტუგალიის და არც ინგლისის სასახელოდ. ერთი კაცმა ჰკითხოს ერთსაცა და მეორესაც, ნეტავ ვის ტაბლაზე ჩხუბობენ? იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს, და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას... სამართალიო, — იმხანის პორტუგალია. ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩაღას გამოაგლებდა და პორტუგალიასაც, საიდანაც მოსულხარ, იქით წადიო. თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესწინიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი?“ — გულის ტკივილით დასძენს ილია ჭავჭავაძე.

ევროპის უდიდეს უბედურებადაც ილია ჭავჭავაძეს მილიტარიზმი მიაჩნია. ევროპის სახელმწიფოთა თვდაუქერელ შეიარაღებას იგი ღრმა სიძულვილით ხედებოდა და ყოველთვის აშკარა, მტრული გრძნობებით ეკამათებოდა იმ სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც თავისი ღრვის შეიარაღებული ევროპის მესვეურებად მიაჩნდა.

„უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი...  
მა ერის ქონებისა ილუბება დღე-ყოფელს...“  
ილია ჭავჭავაძე, — და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალ ქონებას ყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელიც საც შეთოფ-იარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან. ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისა და ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალე განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტისმეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ“.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, ვინც იყო ბისმარკი და რა გამაფრებულ რეაქციას ამეფებდა ეს „რკინის კანცლერად“ წოდებული სახელმწიფო მოღვაწე არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში; ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რომ ბისმარკი თავისი რეაქციონერ-იუნკრული პოლიტიკით მაჯლაჯუნასავით უნდა დასწოლოდა იმდროინდელ ევროპას; ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რომ იმდროინდელი გერმანია მილიტარიზმის საბუღარი იყო და ამიტომ საფრანგეთ-გერმანიის ჭიშკობის დროს მისი სიმპატიები საფრანგეთისაკენ იხრებოდა.





ილიას მეუღლე ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა

ილია  
ჭავჭავაძის  
პირადი  
წერილები

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის საარქივო ფონდში, მწერლის თხზულებათა ავტოგრაფებისა და ხელნაწერების გარდა, დაცულია მრავალრიცხოვანი კერძო მიმოწერა ნათესავ-მეგობრებთან, ქართველ, რუს და უცხო ქვეყნების საზოგადო მოღვაწეებთან და სხვებთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია XIX

საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურული და საზოგადოებრივი საკითხების შესწავლისათვის.

მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის პირად ფონდში შემონახულია ილიას მეტად საყურადღებო მიწერ-მოწერა გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლის ნ. ვ. ულგუნოვის შესახებ, წერილები თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმესთან, გერმანელ მწერალ არტურ ლაიტთან, ინგლისელ მოღვაწე ქალთან მარჯორი უორდრობთან, პროფ. შუხართან, პროფ. მორფილთან და სხვებთან. ყველა ეს მიმოწერა საგულისხმო მასალას იძლევა საქართველოს მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა ისტორიული მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის შესახებ რუს და დასავლეთ ევროპის ხალხთა პროგრესულ წარმომადგენლებთან.

ერთად თვამოყრილ ამ მიმოწერაში თვალნათლივ მოჩანს, თუ როგორ დაკავშირებული აქვს ილიას საზოგადოებრივი და სალიტერატურო ასპარეზზე სამოღვაწეო იდეალები თავის პირად ინტიმურ ცხოვრებასთან, როგორი ურთიერთობა აქვს მას თავის თანამებრძოლებთან, თანამშრომლებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, ხალხთან, განსაკუთრებით მშრომელ გლეხობასთან, ოფიციალურ სახელმწიფო და სამოქალაქო მოხელეებთან და სხვა.

ქართველი მკითხველისათვის საყურადღებოა დიდი მწერლის პირადი ბარათები და წერილები მეუღლის — ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილისადმი. ლიტერატურულ ფონდში აღრიცხული და დაცულია 255 წერილი, სხვადასხვა ზომის საფოსტო ქაღალდზე ნაწერი ავტოგრაფები ქართუ-



ლად და რუსულად. საზოგადოებისათვის დღემდე ცნობილია ამ წერილების მხოლოდ მცირე ნაწილი. ჩვენი კერძო მკითხველებს ვაწვდით შვიდ წერილს<sup>1</sup>, რომლებიც ასახავენ დღემდე ილიას მონაწიველ მოსამართლედ მუშაობის უკანასკნელ პერიოდს — 1873 წლის იანვრიდან მაისამდე.

I

15 იანვარი [1873 წ.]<sup>2</sup>

სალამოს შვიდი საათი [დღემდე].

ჩემო კარგო ილიაო! რაც შენ ვახვედი, ასეთს გუნებავდა ვარ, რომ მოწყენილობის გამო ძალსაგითა დიდიდამ საღამომდე ვღრინავ. რაკი სუდიდამ გამოვალ მე, შენი ბურთითი რგვალი ქმარი<sup>3</sup>, დავგორავ ჩვენს დიდ ზალაში უაზროდ, უსაგნოდ და ყოვალ სულელურად. მარტობა ძნელი ყოფილა. შენ კიდევ რა გიჭირს? შენ დასთანა, სიძესთან და დისწულებთანა ხარ. მე ვარ საცოდავად ამ უკაცურ კაცებ შორის. ეს არის კარგი, რომ ჩემს დამპალებელს ყოვლისფრის ატანის შემტება მოუტია ჩემთვის. შენ იყავ, ჩემო კუკლუსეი, კარგად და შენის სიყვითი, — შორის ვიქნები, თუ ახლო, — მეც კარგად ვიქნები. ნეტავ ეხლა მეც თქვენთან ვიყო!..

დღეს კარბეკას<sup>4</sup> მოველი, ჩემთან ჩამოხტება. ვერაფერი სტუმარ-მასპინძლთა გვექნება, მაგრამ ამასაც ავიტან და უკანასკნელ უსიამოვნობას ჩემის სამსახურის უკანასკნელის დღეებისას ამით გადავიხდი<sup>5</sup>. აბა წარმოიდგინე შენი გაბღერული ქმარი და კარბეკა ერთს ოთახში მარტოდ-მარტონი. თუ ამ წარმოდგენაზედ ჩემის სიბრალულით ცრემლი არ მოგვივა, გაცივნი მაინცა. სულ ერთი იქნება: ამ ბედნიერსა და ცუდლუტობით საგესს ქვეყანაში ცრემლი და სიცილი დამძანი არიან. ახ, ნეტავ ეხლა თქვენთან მამყოფა და კატოსთან მაჩხუბა!..

ჩემს საყუთარს დახედ უფრო დას ეკატერინეს, ანუ კატოს (ჯერ ხომ არ დაბერებულა, რომ ეკატერინედ ვიხსენიებ) ჩემი ძმური და მართლად გულითადი სიყვარული და პატვისცემა მოახსენე. ჩემმაგიერ კატოს უთხარი: მეცა ვწუხარ-თქო, რომ ამისთანა უგუნური, წინდაუხედავი და ქვეყნის მლანდველი ძმა გყვეარ-თქო, მაგრამ ღვთის განგებას ვინ წაუტვა-თქო. მაგრამ მაინცა და მაინცა კატოსაგან მე ლოცვა-კურთხევას მოველი და არა განკიცხვასა. ახ, ნეტავი მანდ ვიყო, მე ვგრძნობ, რომ კატოს გაეჯავრებდი.

მე რას შენ მოვედი და გლახის ნაამბობი<sup>6</sup> თითქმის შევასრულე. მგონია, ურიგო არ გამოვა. დანარჩენსა ვწერ: ეს კია, რომ კარბეკას მოსვლა ვერაფრად მოუხდება ჩემს გლახის ნაამბობსა. კატოს უთხარი, რომ ამ ჩემს ნაამბობში არავისა ვლანდამ-თქო.

ნეტავი შენ, რომ შენს ახლო ნათესავეებში ხარ და მე კი ესე განმარტოებული, თქვენგან შორსა ვგდივარ ამ უბედურს დღემთშია!..

გულში ჩვენი მოურავი მომძანდა და ანგარიშები მომიტანა. გამოვიდა, რომ ოთხმოცდახუთი თუმნის პური მოგვსალა, მაგრამ დახლო სამთუმანსახევიარი მამიტანა, რომელიც უკანვე სახარჯოდ წაიღო. ღვინო სულ ოცი თუმნისა მოგვსალა. ჩემი ფოდრაჩიკი სახლების აწენების თავ-დარიგს შეჰსდგომია<sup>7</sup>. კატოს უთხარი, როცა სახლებს გაეკეთებ-თქო, დაგპატიებ-თქო, ხოლო შალიკოვის<sup>8</sup> დაბატიება არ შემოძლიან, იმიტომ, რომ ჩემს პატარა ოთახებში მავისი დიდი ცხვირი ვერ გაიმართება. ნეტავი მეც ეხლა თქვენთან ვიყო!.. ეხლა, მგონია, ბენდ-ბუნ-დად განათებულს ოთახში ჩაიზედ ყველანი ერთობ შეკრებილი ხართ; გარს გახვევია ყმაწვილები. ყმაწვილების ცელქობა, ეღავი-ქღუფი, სიცილი, მხიარულება გართობთ. კატო, ვითარცა ბედნიერი დედა, თავს ჩვეულებრივის დიმილით დაძხარის თავის შვილებსა, შენ ჩემზედ ფიქრობ. ბოლოს სენო<sup>9</sup> რაღაცა დააწავა, კატო გაუჯავრდა. სენო ცხვირითმოშვებს და გაბუნტება, ცუდლუტი თამრო ყურებს აცქვეტს, გულისხმიერი და დინჯი ნინო ჩაფიქრდება, ლიზო ყურს არაფერს ათხოვებს, რუსია ბოლოსა ჰსცემს და კოლა ტანზედ უდარდლად დაგორავს, ვივსა კი მსძინავს. ცხადდა მაქვს წარმოდგენილი ეს კეთილ-გაწყობილის და ბედნიერის ოჯახის სურათი და მეც გულით და სულით მაგ სურათში ურევივარ უხილავად.

ბოლოს გაიღო კარი და შამოძანდა ბოქაული შალიკოვი. კარებიდამეც კრეპით მოდის იგი ბროლიავა თმა უკან გადავარცხნო, უღვაშებ გაბზეკილი, გაქმიული და დავვილ-დაწმენილი. აი მოვიდა, ხელი ჩამოგართოთ და სიამოვნების ნიშნად ძილები კიდევ დააკრივა. მერე მოჰყვა, ბატონო, ყმებობას და ოხუნჯობას და რით გაათავა — ეგ თქვენ უფრო უნდა იცოდეთ.

წიგნის წერას ამით ჩათავებ, რომ კიდევ თქვენს ერთობ ნახვას ვნატრულობ. დიმიტრი და მიკოცნი, კატო და ყმაწვილები; შალიკოვს ისიც ცყოფა, რომ წიგნში იმის სახელს ვახსენებ, მოკითხვა შეტი იქნება.

შენი მარადის ერთგული

ილია შავჭავჭავაძე.

II

ჩემი კარგო ოლიკო! რაც შენ წასულხარ, ორის წიგნის მეტი მე შენგან არ მიმიღია, არ ვიცო რას მივაწერო მე ძალიან ცუდს გუნებაზედა ვარ, თუმცა სიმრთელით არა მიჭირს რა. ნიკომ ჰავჭავაძემ<sup>10</sup> ასე გამიპირა საქმე, რომ უსათუოდ სამსახურს თავი უნდა დავანებო და ძალიან მალეცა. ასეთს მდგომარობაში ვარ, რომ არ ვიცი რა გქნა. ნეტავი შენ მაინც აქ იყო ამ გაპირებაში, დღვეწყო რამე ჩვენი უიმედო მომავლისათვის. ძალიან შევეცი, რომ შენ მანდ გაეცნებოდი. ჩვენი ბანკის საქმე<sup>11</sup>, ამბობენ, ცდილობენ, რომ წაახდინონ. საქმე ესეა ისე მოწყეყო, რომ მე ბანკის საქმეს აღარ უნდა მოვეუცადო და არც შეიძლება მალე დავახსირო თავი სამსახურსა და მოვშორდე სუდის ნაწილის სიდაამულესა და სიმყარულესა. იქნება ამ თვის ბოლოს ასტავკა მიეცე და შენს წამოსაყვანად წამოვიდე. ქვეყანა დიდია, იქნება უსამსახუროდაც თავი როგორმე დავიჩინოთ. შენ ყოჩალი მყევებარ, ჩემთან ყველაფერს მოითმენ. სხვა დარღვი არაფერისა მაქვს. მარტო ეს მაწუხებს, რომ ცხოვრების სასხარი ჩვენი, სამსახურიდამ რომ გამოვალ, ყინულზედ იქნება დამწერილი და ამ უღლაჯობაში მე სულელმა კახეთში სახლების აშენება დავიწყე. რა დროს სახლები იყო?

ბა წარმოიდგინე ჩემი ყოფა ამგვარ გარემოებაში და უშენობაში. ასეთი ვარ, რომ დანა მკრა, სისხლი არ გამამივია. ამ მარტობაში ხომ სრულად მომიწყულა გული. ვაბირობ ქალაქში ორის დღით ჩაპარვის თავის გასართობლად. ახ, ნეტავი შენ ესეა ჩემთან იყო, ან მე შენთან! რაღაც გენუგეშება ხოლმე, როცა შენ მე გვერდით მყევებარ.

მე არსად არ დავდივარ, ისე მომძულდა ეს ღვთისაგან დალოცვილი უზედური დღეშეთი და მისი უკაცურნი-კაცნი. ამას წინად, ღმერთმა უშეელოს, ვინო თულაშვილი გადმოვიდა ჩემთან ერთის დამით და ცოტად გამამხიარულა. ქალაქში წავიდა ჯგერის დასაწყერად. ბევრი მეგვეწა და მეპატრეცა, მაგრამ არ გავყვე სპორწილოდ. ძალიან ჰსწუხდა, რომ შენ არ იქნები იმის ქორწილში, თუმცა დიდს ქორწილს კი არ აპირებს. ნეტავი კაი ქალი გამოვადგეს, თითონ ძალიან კაი ბიჭია. ცოდაო, რომ ჩვენი ხალხი მაგას ვერ იცნობს ისე, როგორც მე ვიცნობ.

კატოს უთხარი, რა არის, რომ ერთი სტრიქონი მაღირსოს, მაგის დიდ-კაცობას მაგით რა დააკლდება. სეკრეტარი ხომ ჰყავს უფალი შალიკოვი, უბძანოს და ერთი *Всочайшее благоволение* მომწეროს, მაგით მაინც ვინუგეშო ამ უნუგეშო დღეშეთში.

შენი ჰირიმე, ოლიკო, დიმიტრის მამაგონე ჩვენი ბერძნის<sup>12</sup> საქმე. ამ საწყალს ლოდინში სული დაეღია და ხომ პატარა იყო, უფრო დაპატარავდა.

თუ მანდ მალე წამოსვლა მომიხდა, ჩემს მობძანებას წინადვე ვაცნობებ მის ბრწყინვალე-ბას შალიკოვს, რომ წესიერად დამიხვდეს მანდაურის ბეგებით და ხანებით. დიდს ხალაის ვუმზადებ შალიკოვსა: ის სერთუკი ხომ ვახსოვს, იმას ჩემის ხელით ვადირსებ ხალათად და ამასთანა-ც ხალხში ხელს ჩამოვართმევ. ეგ მაგისათვის დიდი ნუგეში იქნება, რომ მე მაგას ხალხში ხელის ჩამორთმევა ვადირსო. შალიკოვს უთხარი, რომ ქვეყნის გასაკვირვებელად მაგისმა ვენახმა იანვარში ყურძენი დაისხა და ესეა გაჩაღებული რთველი თურმე აქვს. ნეტავი მაგას. მაგისთანა ბედის პატარონი რასა გდია მანდა და არ მოდის თავის მამულის საპატრონოდ, როგორც ესეა მე ვაპირებ.

შენი და ჩემი საკუთარი და კატო სიყვარულით მომიკითხე, აგრეთვე დიმიტრი; პატარები სულ ერთიანად დამიკოცნენ. წარმომიდგენია, რა რივი ღვადი-ღვადევი უნდა ჰქონდით, როცა ერთად შეიკრებინათ თქვენს ოთახში და კატოც კაი გუნებაზედ იქნება. მენატრება მანდ ყოფნა თქვენთან ერთად, მაგრამ ნატრია ნატვარადა მჩრბება. მე არა მიშავს რა, თქვენ ერთობ იყავით მშვედლობით და მხიარულებით; მეც დღესა თუ ხვალ ყოველ ჯაგერს გადავიყრი, — როგორც ჩემი ხასიათი იცი — და ისეც გავმხიარულდები. ჩვენი გლეხი იტყვის ხოლმე: „ქირაში გატეხა არ უნდა, თუ კაცი გონიერია, წვა და ყველგან დარჩება, ქვეყანა ღონიერია“.

შენი ილია ჰავჭავაძე.

8 თებერვალი [1873 წ.].

P. S. მამატივე მოკლე წიგნი: დღეს ბევრი გწერე და ძალიან დაღალული ვარ. იყავ მშვიდობით ჩემდა სასიხარულოდ.

III

საყვარელო ოლიკო! შენი ტყუილგამა მომივიდა და ძალიან შემაწუხა. რაზედ ვაგებოქნიო გული? განა ეგრე უნდა შეუშინდე ხოლმე ქვეყნის უსიამოვნობას! ან სამავისო რა მოხდა? დიდი რამ ნუ გგონია, რომ სულმოკლემ ნიკომ შურისძიება დამიწყო. მითამ რას მჩაქმნ? შენ ძალიან კარგად უნდა იცოდე, რომ ცხოვრების ჩემის ვითარება არა კაცულდ არა მაქვს მე დამოკი-



დებული და ნამეტნავად მაგისტანა კაცზედ, როგორც ნიკო თავისთავი გამოიჩინა. ჩემი ტყვეობის მიმდინარეობა რომ მაგისტანა კაცის ხელთ იყოს, მაშინ მეც სანახევრედ გადასავლები ვიქნები. შენ ნურაფერი ფიქრი ნუ გაქვს; ძალი იყეფებს და ქარავანი კი თავის გზაზედ წავა.

ეხლაბან ქალაქში ვიყავი, ბანკის თაბაზედ დავებარებინეთ, მაგრამ არსად თავი არ გამოიმჩინია. ერთხელ რევზ ანდრონიკაშვილთან<sup>13</sup> ვიყავი და ერთხელაც ლოზა მუხრანსკისას<sup>14</sup>. ლიზასთან გიორგი შარვაშიძე<sup>15</sup> ვნახე და მთხოვა, რომ იმის მაგიერ მოკითხვა მოეწერო და მოეწერე კიდევ. გარდა ამისა ვნახე ფლავიციის ცოლიცა. სახლებს გასყიდვისა დიდი იმედი მომცა. ნეტავი, შენის სიტყვებით, მალე ვაიყიდოს. ვიცი, ეს შენის სურვილის წინააღმდეგია, მაგრამ სხვა გზა არ არი. მეც სახლებს პრივატი დღესა თუ ხვალე ვაპყიდის, იმიტომ — რომ მაგის პაჩინკას მთელი ჩვენი ქონება არ ეყოფა და სარგებლის შეტანას კიდევ. აბა იფიქრე: 1866 წელს მეც სახლებს გადაკეთება 3,500 მან. დავგიჯდა. მერე ორმოცი თუმანი პოლიბინს რომ კუნხები გავუყუეთ; 300 მან. მაშინ დავგიჯდა, როცა ის ვილაც ლენერალი იღვა და გავიდა ქვევით ეტაში, ოცი თუმანი ვაშლიანის ვასკისის შემდეგ და თვარამეტი თუმანი პოლიბინის ხელში, ასლა ყოველწლივ ხუთმეტი თუმანი გოროდოვის უბრაველინის მიაქვს. სულ 5,630 მან. ხარჯია, შემოსავალი ამ შეიღს წელიწადში 7,000 მან. იმას აღარა ვთქვლი, რომ ამ შეიღის წლის განმავლობაში ქვევითი ეტაჟა თითქმის წელიწადნახევარი ისე უქმად ეგდო. აბა რა სახეიროა ამისთანა სახლის ქონება. ქსლა რი 16,000 მავკეცენ, ხუთასი თუმანი ჩვენ დავგერჩება. ხუთასი თუმანი წელიწადში ბანკის პროცენტს შემოიტანს 350 მან., შეიღს წელიწადში ეგ პროცენტი 2,450 მან. იქმს.

ჩემი ქუთაისში წასვლა აღარ მოხერხდა. არავინ არ იცის როდის მომიხდება რუსეთში წასვლა<sup>16</sup>. ჩვენი ბანკის პროცენტი უღვია გლავნი უბრაველინიაში ბარანოვსკის და ლევაჟს. ნეტავა სანავისო კილი მაინცა ჰქონდეს. ესეა ჩვენი საქმე და ვითარება, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ აქ ყოველდღეობა აპრილამდე გათავდება. რაკი ასე დავგიანდა საქმე და მაინდამაც წყლის გზა გაიხსნება, მე მაინდ წამოვალ და ვნახებ ჩემს კუკულუშასა.

შენა მწერ, რომ აქ ბევრი სტუდენტები არიანო და შენ გიცნობენო. არა მეგონია, რომ მანდ მართლა მიცნობდეს ვინმე, იმიტომ — რომ მე უნივერსიტეტში თითქმის არავის არ ვიცნობდი ზოგიერთის მეტს და ის ზოგიერთები ბაქოს არ წამოვიდოდნენ სამსახურისათვის. მაგრამ ვინ იცის? იქნება მართლა ჩემი ნაცნობი იყოს ვინმე. ყველაფერი შეჰსძლებია დროსა და დროთა ბრუნვასა.

ძალიან ვნანობ, რომ ჩემი საქმე, უფულობისა გამო, ისე მოდის, რომ ეხლა ვერ გამოვედი სამსახურიდამ. ყაზბეგმა<sup>17</sup> ფული არ მომცა. პალტარაკის<sup>18</sup> ჩემი ფული [მართებს] და დამპირდა, რომ რაცა მმართველსო თავის სარგებლით მალე გამოგზავნიო. ზურაბ სიმონიხს რომ ჩვენი ორმოცი თუმანი მართებს, უნდა გამეყიდნა, მუშტარი ვერ ვიშოვე. ეს ფულები რომ მომეკრიფა, ჩემი საქმე ლაზათიანად მოიწყობოდა.

ოლიკო! მეკითვებ ძალიან მოგატყუევა. ვლადიკავკასიიდან სრულიად წასულა და არაფერი მაქონდა ჩვენი საქმისა. მანდალრს ნოტარიუსს მხოლოდ კანონიერი დოკუმენტისტი შეიღდინის და ჩემს სახელზედ დააწერინა. Скажи нотариусу, чтоб он составил полную доверенность с правом передоверия о том, чтоб управлять твоими именьями, продавать и закладывать их, начинать по твоим делам иски, тяжбы и отвечать по всем искам на тебя предъявленным, мალე გამოგზავნე ეს დოკუმენტისტი, მოზღოვის საქმისათვის ძალიან საჭიროა და თუ სახლებზე ვაიყიდო, იმისათვისაც საჭირო იქნება.

დიმიტრი, კატო თავის შეილებით და სოსიკო მომიკითხე. ერთი ჩვენი გრეკის<sup>12</sup> ამბავი მამწერე, ძღუევენ ადგილს თუ არა.

საკუთნოდ შენი ერთგული ილია ჭავჭავაძე.

23 თებერვალი [1873 წ.].

დღეშეთი.

[თავზე მინაწერი]

სოსიკოს სახელზედ ფული გამოგზავნე ოქდახუთი მანეთი. გაჯავრდები ცოტაა, მაგრამ რა ვენა?

#### IV

ჩემო საყვარელო ოლიკო! რა რიგად მოუთმენლად მოველოდი ამ კვირბა შენს წიგნსა, მაგრამ არ მომივიდა. არ ვაცი რას მივაწერო. რატომ არა მწერ?

აქ დღეშეთში ასეთი ცარიელობაა, რომ არცეი ვიცი რა მოგწერო და რით შეგატყუო შენ. ჩვენი ბანკის საქმე ჯერ კიდევ დამშობი. მეც ამის გამო ორ წყალშუა ვარ დარჩენილი, არ ვიცი საით და როგორ წავიდე. თუმცა შენის მიზეზით ძალიან შეშინებულია სამსახურიდამ გამოსვლა, მაგრამ მაინცა და მაინც უნდა გამოვიდე. აბრილში ვაბირობ ქალაქის მიცემას, თუ უცვარბა რამ





მიზეზმა არ დამაბრკოლა კიდევ. ერთი ფიქრი მაწუხებს: ვი თუ ამ ვინაზრობის, ცხოვრების, ღირსების ღირსებაზე ჩვეულებრივად და შენ, ანუ მე ვგ ვერ ავიტანოთ. ეს ფიქრი რომ არა მწყალადეს, დღეს-ვე ამ ოხერს სასახურს თავს დავანებებდი. აი რა არის კაცის უხეირობა და ის აღწდა, რომელიც ჩვენ მიგვიღია: თავით თვისით ცხოვრება გვაშინებს და გვაბოძობს. ცუდადა ვართ გაზღილინი და გავგეშდით. ნაყარეკეობით პურის შოვნის შიშითა უმცირებია და უღუნებია. ამა ეხლა მე და შენ ანგლიური გაზღილობა გეჭონოდა, რა რიგად უშინრად დავიწყობდი ბრძოლას ბედთანა და რა ძლიერობისილობით ბოლოს გავატანდი!.. და რადგანაც მე და შენ ანგლიელები არა ვართ და გვეყოფნით უხეირო ხალხს, რომელსაც ქართველობას ეძახიან, ამისათვის ხვალისთვის დღისა შიშითა გვაქვს და ფიქრითა და არც ჩვენს თავზედა გვაქვს დანდობა და იმედი. კაცი, რომელიც თავის თავს არ ენდობა და თავის თავის იმედი არა აქვს, ის კაცი კაცი აღარ არის. ნუ თუ მე და შენ მართლა ამისთანანი ვართ? ღმერთმა ნუ ქნას.

ამ წიგნის წერამი შენი წიგნიც მომივიდა დოვერენოსკით და მიამა ძალიან. მწერ გრეკის საქმე დიმიტრის დავიწყებიაო. მოაგონე, რომ в бытность свою в Тифлисе он пожелал, чтобы грек Дмитрий Георгиевич Томаков подал ему докладную записку. Докладная записка грека послана Дмитрию Семеновичу в Баку, — и я удивляюсь, почему до сих пор Дмитрию не получена. შენი ჭირივე, მოაგონე, თორემ ლამის მაგ გრეკის საქმემ და ცოდვამ დაძლიოს. ფული მიგვიღია, თუმცა ცოტაობაზედ არას იწერებ, მაგრამ კი დიპლომატიურად კიდევ ითხოვ. ამ კვირია კიდევ მაგდენს გამოგვავაზნი.

გლახის ნაამბობი ჯერ არ დაბეჭდილა და იმითმ ვერ გავაზნი. ბეჭდავენ კი და როცა დაიბეჭდება, შენა და კატოს თითო ეგზემპლარს გამოგვავაზნი. თუმცა ჩემი ნაჯღაბი კატოსათვის დიდი არაფერი იქნება, მაგრამ იმოდენა მინაც შეეძლება, რომ სასხოვრად შეექმნეს კატოსა.

ბაბო მუხრანსკის წიგნი მოგსულია, რომელშიაც ჩემზედ სამღერავე მოუწერია. მართალია, ქალაქში რო ვიყავ, იმათი ნახვისათვის ვერ მოვიცალე. მივივარს რად მოგვინებინარ დიდ-მუხრან-ბატონებს, ანუ ჩემი მათთან მიუსვლელობა რად შეუმჩნევიათ. მახლას, ქვეყანა ასრე მქმნელიაო, ნათქვამია. უპატარ-კაცოდ დიდ-კაცებს ცხოვრება თუ არ შექმსდებიან?! ყველას ღმერთმა მშვიდობა მიჰსცეს და მე და შენაც კარგად ვიყენეთ ჩვენის ნათესავებითა.

დიდის იმედით ვიყავ, რომ ამ მარტში 200,000 მოვიგებდით. ახ, ნეტავი მომეგო და მაშინ ნახებოდა რა დიდის ყოფით ეწვევოდა კატოს პატარა და ბურთივით რვაგალი ლიბერალი სიძე. ეს არის ჭირი რა დიდს გრამიც ვერ მოვიგეთ და სხიარული კიდევ იმაშია, რომ ჩვენი ბილეთები ტირაქში არ გამოვიდა. ესეც ნუგეშია. არა უშავს რა, თუ წელს არ მოვიგეთ, კულავე კი 200,000 მანეთი ჯიბეშია.

ღმერთის ამბავიც ეს არის: ზუბალანი მისში<sup>19</sup> სამზღვარგარეთ მიდიან, კოსტა თუმანოვი ძალიან ავად იყო ასე, რომ დღედაც მოუვიდა, მაგრამ ეხლა კარგად არის. მამაშენმა პური და ღვინო გამოგიგზავნა და მეტად მაღლიერი დავრჩი. არა გრცხვინია, ოლიკო, რომ ჩვენს ვახილას არა კითხულობ, ასეთი ბრძენი ძალდია, რომ პლატონ იგნატის იოსელიანს<sup>20</sup> ეხლავე ჰსჯობია ფილოსოფიაში. ბევრი რაღაც შტუტკები ისწავლა. ჩემი შემაქცევარი და დროს გამაბატარებელი გაზილა არი. სანატრელია ის ქვეყანა, სადაც კაცის შექცევა ძალზედ არის დამყარებული. უხ, რა ყრუ რამ არის ეხლა ჩემთვის ის დარბაისელი ღმერთი. კატო, დიმიტრი შვილებითურთ დამიკოცე. ძალიან მინდა თქვენი ნახვა.

სამუდამოდ შენი ილია ჭავჭავაძე.

16 მარტი. [1873 წ.].

V

ჩემო კარგო ოლიკო! დაიბრუნებამებრ გწერ ყოველ დღეშია წიგნსა. შენი წიგნები თავ-თავის დროზედ არ მომდის. არ ვიცი რას მივაწერო ამისთანა ფოშტის უთავ-ბოლობა. გუშინ და დღეს შენი წიგნის მოსვლის ვედა იყო, მაგრამ არ მომივიდა.

სოსიკოს ტელეგრაფმა მოვეწერე ჩვენის ბერძნის საქმეზედ, პასუხის ფულიც მივეცი, მაგრამ მაგ წყევლმა პასუხი არ მომწერა და ამის ჯუშო ბერძნისაგან დღედაღამ მოსვენება არა მაქვს. ამას წინედ დიმიტრი სემინიჩი რო ქალაქს იყო, ვსთხოვე, რომ ბერძნის ადგილი რამ მიჰსცეს და იმან პასუხად მითხრა, რომ დაკლანდია ზაპისკა მამცესო. საწყალმა ბერძენმა ქრისტისშობის თვეში ბაქოში გამოუგზავნა ზაპისკა და აქამდინ ვერ შევიტყუეთ სად დავიკარგა ის ზაპისკა. ერთი სოსიკოს უთხარ შეიტყოს რამე ამ საწყალის ბერძნის საქმისა და ტელეგრაფით მაცნობოს.

ჩვენი ბანკის საქმისა ვერა შევიტყე რა გარდა იმისა, რომ გლახნი უპრავლენიეს ჩვენი პროცენტი დაუბრუნებიათ. რაღასაც ცუდულტობენ დიდნი და პატარანი და მე ვერ გამოვივა როდის უნდა დაბოლოვდეს ჩვენი საქმე. Неопределенное положение, в котором я нахожусь, просто давит и гнетет меня. Вдобавок ты не со мною, — и это больше увеличивает нестерпимую скуку, которую я испытываю со дня разлуки с тобой. დიდი სულელობა მოგვევიდა, რომ შენ

ბაქოს წახვედი. ღმერთმა ქმნას, რომ ეგ უკანასკნელი სულელობა იყოს. ხანდისხან ფიქველი მივიხლომე, რომ შენ დავიბარო, მაგრამ ჭარბმოებანი მამბრკოლებედ და ის, რომ მეცხრედივენი მინდა ბაქოს მოსვლა, დიმიტრის და კატოს ნახვა. ამ უქმებებში მე ქალაქში ჩავალ და მაშინ კი, მგონია, გადაწყვეტილად ერის საგანზედ დავდგები, ან წამოვალ მანდ და ან დავიბარებ, თორემ ესე შორი-შორ ჩვენი ყოფნა თავს არ მოიღის და მოსაწყენია.

ახალი ამბავი აქ არა არის რა ამის მეტი, რომ ქალაქში მუხრანისანი ძალიან თურმე ცდილობენ, რომ ველიკი კნეინის დიდი საჩუქარი გაუკეთონ. ქალაქის არისტოკრატები (?) დღე და ღამე სულ ამ საქმისათვის ფაციფუტობენ და ერთი ყოფა აქვსთ. ქეთო, ქაიხოსრო მუხრანსკის ქალი, თურმე ძალიან თაოსნობს და დიდს მეცადინეობაში არის. ქიზიუში დიდი შიმშილია, ამის გამო ქიზიუელთა საშველად ირავლი გრუზინსკის<sup>21</sup> დიდი კონცერტი გაუშარათავს, ასი თუმანი მოვგროვებია. კონცერტში ზაქარაის ცოლს კაკოს უმღერნია. არ ვიცი კარგად იყო, თუ ცუდად კაკო, მაგრამ მე ძალიან მომიწონა, რომ კაკო მაგისტანა კარგს საქმეში გაერთია და არისტოკრატულად არ ითავალა ღარიბთათვის გარჯა. ეხლანდელს ქონდრის-კატობაში და ზნეობით დავარდნილს ღროში მაგისტანა საქმე კაი დედა-კატობად ჩაითვლება. ეხლა ქალაქში რო ჩავალ, კაკოს უსათუოდ ვნახავ და დიდს ქებას ვეტყვი, იქნება წახალისდეს საკულოდ.

გლახის ნამამბობი იბეჭდება და ჯერ კი არ დაბეჭდილა. ისიც ბანკის ხაქმედ გახდა: აღბრა თავდება. ეგერ ორ-წყალ შუა რო ვარ დარჩენილი, გული არაფერზედ მიმდის, კალამი ხელში ვერ ამიღია, რომ დავსწერო რამე. თავი გამოყრუებული მაქვს ასე, რომ ერთი ზეირიანი და რიგინი აზრი არ მომიდის. ნეტავი ან შენ იყო აქ და ან მე ვიყო მანდ თქვენთან.

დიმიტრი, კაკო თავის შვილებით დამიყოცნე და კნეინა ოლგასაც ჩემმაგვიერ ბევრი აკოცე.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე.

23 მარტი. [1873 წ.].

სოსიკოს სახელზედ ორს თუმანს გიგზავნი დღესვე.

## VI

ჩემო საყვარელო ოლიკო! მიხარებია შენთვის: ჩვენი ბანკის პროექტი აქ მიიღეს და 14-ს მარტს პეტერბურგში გავზავნეს დისამტიკებლად. ეხლა კი, მგონი, იმედია, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგინი მოუხდეს. დღეს მე ატსტავკას ვაძლევ და იმედი მაქვს, რომ აპრილში გნახათ.

შენი წიგნი გუშინ ამიმივიდა და ძალიანა ვწუხვარ, რომ საწყაღის ბერძნის საქმე დიმიტრის დავიწყებას მიუტია. ასეთის საცოდაობაში არის საწყალი, რომ სიტყვით არ ითქმის. ამ სულელმა ცოლი შეირთო იმ იმედით, რომ მანდ ადგილს მიიღებდა და ცხოვრებდა. მაგრამ ავიდ მოუვიდა თავისი თათბირი და დანაპირები. სულითა და გულითა ვიტანჯები, ამას რომ ვუყუარებ: ლუქმა პური არა აქვს.

ხვალზევით ქალაქს მივდივარ. იქ შეგიტყობ, როდის მომეცენ ატსტავკას და რა დღესსი მომეცემა სიკეთე თქვენის ნახვისა. იქილამ, ესე იგი, ქალაქილამ დეგუშით გაცნობებ როდისაც ქალაქილამ გამოვალ. არ ვიცი ბოლოს რა იქნება, ეხლა კი მეტად მზიარულადა ვარ, რომ მომეცა სამსახურად[აქ] გამოვსვლის ღონისძიება. მდიდრად, თუ ღარიბულად, მაგრამ კი თავისუფლად ვიცხოვრებთ.

იწერები, საფენი იაფიაო. ჩვენ არა გვგონია საფენი დაგვეირდეს, საწყალს მამილას ბევრი დარჩა. ერთი ძალიან კარგა ხალიჩა მოგვირდება კაზინეთის ტახტისათვის. არ იქნება ურიგო, რომ მაგისტანა ხალიჩა ეხლავე შეიგულო სადმე.

იქნება მანდ კაზინეთის მოსართავად სპარსული რამ მატერია ფარდებისათვისა და მეხელი-სათვის იშოვო. ძალიან კარგი იქნება.

რაც მეხელი და ავეჯი გვაქვს, სულ საფურამოში ვგზავნი და ბატარა ბიქსაც დიმიტრას ვგზავნი კახეთს ჩემს მოსვლამდის. მე აქედამ რომ წამოვალ, კახეთზედ გამოვივლი, რომ შინ ჯერ-ჯერობით დარჩებება და დაწყობილება განვაწყესო.

აქ რაც ვაღებთ გვეჩონდა, სულ ერთიანად გავისტუმრე. რაც შენ წახვედი, ორმოცდაათი თუმნის ეკონომია მქონდა ჩემის ჯამაგირილამ და ამით ყველა ვალეზი მოვიშორე, შენც ოთხთუმან ნახევარი გამოგვგზავნე, შინაც ფოდრაჩიკს ფული მივე, ცხრამეტი თუმანი სახლების ქირა მივე და სხვ. და სხვანი მრავალნი. ეხლა ოც თუმანამდე თავისუფალი ფული მაქვს. ყაზბეგს და პოლტარაკის გროში არ მოუციით ჩემთვის, რა კუტრებს გადავყვიდე!..



ქალაქიდან ახალი ამბავი არა ვიცი რა. რაც მოგწერა, ყველაფერს მოგიტან. ნეტავი რამდენ ხანს მოგიტან. ახლა ვიხსენებ რა მოვეუბნო სახუჭად. ამას იქით წიგნი ქალაქში საგინოვის<sup>22</sup> სახელზედ მოიწერე.

კატოს ბევრს ვაყოლებ, აგრეთვე მის კარგს შეილებს. დიმიტრი და ყველანი მამიკითხე.

შენი ილია ჭავჭავაძე.

31 მარტი. [1873 წ.]

VII

ჩემო საყვარელო ოლიკო! შენმა ჩივილმა და მოწყენილობამ ძალიან შემაწუხა. ყოველ წიგნში მას იწერები, რომ გოგო არა გყავს, ბიჭი არა გყავს და სხვანი და სხვანი. მიკვირს ესე ყველაფერი. შენს დის სახლში რომ უხეზსავითა ხარ — საკვირველია!

მე ასტავაკა არ გამაჰსვლია და არ ვიცი როდის გამოვივა. უასტავაკოდ ჩემი აქედამ წამოსვლა შეუძლებელია. თუ ამ მაისის ოცამდინ ატსტავაკა არ მომივიდა, უნდა ავად-მყოფობის ქაღალდი მივცე. აღრე რომ მოვხდინო ეგა, ოცს თუმანს ფულს დავკარგავ და ოცის თუმანს დაკარგვა — ეხლა ჩვენთვის მილოანის დაკარგვაა. მანდ რომ მოვალ, მიინდამ უსათუოდ რუსეთს მომიხედება წასვლა ორისა, ანუ სამის თვითა. თუმცა ეს ამბავი შენ შეგაწუხებს, მაგრამ შენ უნდა მოითხოვო ისე, როგორც მე ვითმეგ შენს მოშორებასა. ვანა მე კი კარგს ყოფავი ვარ უშენოდა, რომ ეგრე ჩივი? შენ შენს დასთან მაინცა ხარ და მე კი მაგასაცა ვარ მოკლებული და ვგდივარ აქ დღეშეთში უცხო ხალხში და უცხო სახლში მარტოდ-მარტო. ხვალ დილით ზუბალაანი სამხლვარ-გარედ მიდიან და მე ამათ სახლებში ვრჩები, ვიდრე ატსტავაკა გამოვივა და მომეცემა იმით შეძლება გამოვფრინდე შენგად და ერთი ლაზთიანად ჩაგებუტო. მაგას მექაღდი, რომ შენის გულისთვის რა-მე უნდა, იმას ავიტანო და ეხლა ოთხის თვის მოშორებაც ვერ მოგიტომენია ვეცაქცურად. მოშორება მეცა ვგრძნობ, რომ ძნელია, მაგრამ როცა ეგ მოშორება საჭირო და აუცილებელია, მაშინ ვეცაქცობა უნდა იხმაროს კაცმა, რომ ეგ მოშორება აიტანოს. შენ კი სულ ჩივი და ჰსწუხ და ამით მეც მიმატებ მუუხარებასა. ვანა ეგრე უნდა? დამაცა ერთი მანდ, ღვთის მადლით, მა-ღი მივიდე, მაშინ ნახებ შენს ამბავს. სულ ყველაფერს ერთად გადაგახდევინებ.

შენი წიგნები, რაც მაკლდა, სულ ერთად ეხლახან მამივიდა ქალაქის ფოშტამდისაგან. შუერ, რომ „შენი წიგნები არ მომდისო“; მიკვირს, რატომ არ მოგდის. რაც მე შენ დაგპირდი, რომ ყოველ ფოშტაში მოგწერ მეოქი, მას აქედ ყოველ ფოშტაში ვიგზავნი წიგნსა. მარტო აღდგომებში ქალაქში რომ ვიყავე, ერთი ფოშტა ამდა. საკვირველია რატომ არ მოგდის წიგნები ჩემი და უფრო ის მიკვირს, რო აღდგომა დღეს მილოანის დეპეშა გამოვიგზავნეთ და თქვენ არ მივილიათ. დიმიტრის დიდი, უდიდესი პალოლა მოახსენე ბერძნის განწესებისათვის. არ ვიცი როგორ გადაუხადო ეგ მადლობა. ღმერთმა მაგის კაი კაცობისა და ბედნიერების მეტი არა გამაგონოს რა.

წახელის ზუბალანთ წვეულება ჰქონდათ და მაშინ მოუვიდა ზუბალავს დიმიტრის დეპეშა ბერძნის განწესების თაობაზედ. დავიბარეთ ბერძენი და ვახარეთ. ვერ წარმოიდგენ რა რიგად იამა საწყალს გრეკსა დიდისხნის სურვილის აღსრულება; ვერ წარმოიდგენ რა რიგად დალოცეს ყველამ დიმიტრი მაგ სამადლო საქმისათვისა. ღმერთმა დიმიტრის მშვიდობა, დღეგრძელობა და ბედნიერება მიჰსცეს და ღირსიც არის.

საწყალი გრეკი სიხარულისაგან სრულად გაშრა და არ იცოდა რა ექნა და ბოლოს მოვიდა ჩემთან. მე მეგონა ჩემი კოცნა უნდა-მეთქი და მეც კოცნისათვის მოვემზადე. მომეხვია საწყალი და ისე აირია, რომ ბიჭის მავიერად მუცელზედ მაყოცა. სიცილით დავიხოცენით. მართალია ჩემი მუცელი, როგორც მოგხსენება, პატვისსაქემად გაბერილია, მაგრამ მაინც და მაინც კოცნისათვის დანიშნული არ არის. საკვირველი რამ არის აღმანი! რა ცოტა ჰსდომებია კაცს, რომ სრულად ბედნიერად იცნოს თავისთავა.

გაზეთებში წაიკითხავდი, რომ ჩიქოანი სენატმა გაამართლა და სრულად მოშალა ქალაქის პალატის გადაწყვეტილება. ეს ამბავი ყველას იამა და ვიცი შენც გაიამება.

გუშინწინ გათავდა თავად-აზნაურობის კენჭისყრა. ამოირჩიეს ისეც ის მარშლები, ვინც იყვნენ სილნლის მარშლის გარდა; იმის მავიერად დანიშნეს ზაქარია ანდრონიკაშვილი. ჩემზედ დი-ყარეს ხმა, რომ მე ვითომც გუბერნიის მარშლობა მინდა. ამის გამო მე არ ჩაველი ქალაქსა და კენჭის ყრავი არ დავესწარა. არა, რა ეცხეთი სულელი მე მიზოვეს, რომ გუბერნიის მარშლობა ვინ-ღამო. როცა მე და შენ გაემგლიდრდებით, მაგაზედ მაშინ ვფიქრობთ; იმ დრომდე კი შორს ჩვენგან.

შენ მაინც არ მომწერე რა წამოუღო ყმაწვილებს. კატო, დიმიტრი, ყმაწვილები დამიკოცნე, სოსიკო და აგრონოვიჩი მომიკითხე.

იყავ მშვიდობით და ნუ ხარ მოწყენილი.

შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე



საქართველოს  
ისტორიის  
ინსტიტუტი

P. S.: ჩემის დისწულის სენოს წიგნი მომივიდა იმის კარტოჩკით. ძალიან კარგად სწავლობს იმის ოსტატები იწერებთან, რომ სენო კლასში პირველია, მაგრამ კი ცელქობსო. მეც წიგნი მივწერე და ხუთი მანეთი გავუგზავნე.

11-ს მაისი [1873 წ.]

დუშეთი.

კომენტარები და შენიშვნები

1. ილიას შვიდივე წერილი მეუღლე ოლღასადმი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (იხ. ილიას ფონდი № 102).

2. წერილები უთარიღია, აწერია მხოლოდ თვე და რიცხვი, წელი კი არ არის ნაჩვენები. შვიდივე წერილი დაწერილია 1873 წლის 15 იანვრიდან 11 მაისამდე და გაგზავნილია დუშეთიდან ქ. ბაქოში. იმ დროს ილიას მეუღლე ოლღა სტუმრად იმყოფებოდა თავის დასთან — ეკატერინე (კატო) სტაროსელსისთან, რომლის მეუღლე, დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი (1832 — 1884) იმ დროს ბაქოს გუბერნატორად იყო.

3. ილიას „გამოცანების“ საბასუსხო 1872 წლის იანვარში გრ. ორბელიანმა დაწერა ლექსი — „ბასუხი შვილთა“. ამ ლექსის ვარიანტში ილიასადმი მიმართულ სიტყვებს — „ის ლიბერალი, ბურთივით რგვალი“, ილია ხშირად იმეორებდა ხოლმე კერძო წერილებში თავის თავზე. 1873 წლის 4 მაისს გაგზავნილ წერილშიც ილია ოლღას სწერდა: „კატოს უთხარ, რომ ჩემთვის ტყუილად დაურქმევია ტიკჭორობა; მე კლასიკური სახელი მაქვს, გ. ორბელიანისაგან მოცემული: „ის ლიბერალი, ბურთივით რგვალი“. სხვა სახელს არა ვკისრულობ“.

4. კ ა რ ვ ე ა — სახელმწიფო მოხელე, რომელიც სამსახურგებრავი საქმიანობის მხრივ ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე სარეგიონოდ დუშეთში ილიას მოსამართლეობის პერიოდში.

5. ილიას ამ დროს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სახელმწიფო სამსახურისათვის თავის დანებება, თხოვნა უკვე გაგზავნილი ჰქონდა და ელოდებოდა განთავისუფლებას.

6. ილიამ „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი (დასაწყისი ხუთი თავი) დაბეჭდა ჟურ. „საქართველოს მოამბეში“ 1863 წელს (იხ. № 1). მეორე ნაწილის წერა ილიამ 1872 წლის ბოლოს დაიწყო დუშეთში და როგორც ამ წერილიდან (და სხვა წერილიდანაც) ჩანს, 1873 წლის იანვრის ბოლოს დაუმთავრებია. მთლიანად დაბეჭდა 1873 წლის „კრებულში“ (იხ. № 1 — 3).

7. იგულისხმება თბილისში, ამჟამად ნინოშვილის ქუჩაზე საკუთარი ბინის აშენების თადარიგი. ილიასეულ ამ სახლში, რომელშიაც ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი მწერალი, ამჟამად ეწეობა ილიას სახლმუზეუმში.

8. შ ა ლ ი კ ო ვ ი უნდა იყოს იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი, კახელი მეცამეტე, დიმიტრი სტაროსელსკის (ილიას ქვისლის) სიძე. ილია ხუმრობით ხშირად იხსენიებს ხოლმე შალიკოს ოლღასადმი მიწერილ წერილებში.

9. სენო, თამრო, ნინო, ლიზო, კოლა, გივი — ეკატერინე და დიმიტრი სტაროსელსკის შვილები.

10. ნიკო დიმიტრის ძე ვ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, სასამართლო პალატის თავმჯდომარე, რომელიც სამსახურგებრავი ურთიერთობის დროს ილიას მტრობდა.

11. იმ დროს დაწყებული იყო მზადება სათავადაზნაურო ბანკის დასაარსებლად, რომლის ინიციატორთაგანი ილია იყო.

12. ილია სხვა წერილებშიც იხსენიებს ამ ბერძენს, რომლის სამსახურში მოწყობას თხოვდა თავის ქვისლს — დიმიტრი სტაროსელსკის. ქვასლმა თხოვნა შეუსრულა და ბერძენი სამსახურში გააშწესა.

13. რ ე ვ ა ზ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი — თავადაზნაურობის მარშალი; „მამათა და შვილთა“ ბრძოლის პერიოდში ილიამ 1871 წ. 7 დეკემბერს დაწერილი პამფლეტის — „გამოცანების“ პირველ გამოცანაში, რომელშიაც რევაზ ანდრონიკაშვილს გულისხმობდა, შემდეგნაირად დაახასიათა:

ულვაშ-სრული, მელოტია,  
უთაური თავიანი,  
ხელთა მლოკი, ქონდრის კაცო,  
დიდგულა და ბოხ-ხმიანი.  
თუმბა ტანად პატარაა,  
სხვაფრივ კი კარგა დიდი,  
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა  
ამას ფეხებზედ ჰკიდია.



14. ლიზა მუხრანსკისა — ილიას მეუღლის, ოლღას ნათესავი.
15. გიორგი შარვაშიძე — პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე; აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე. მის შესახებ იხ. აკად. ს. ჯანაშვიას შრომა: გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, 1946.
16. იგულისხმება სათავადანაწარმო ბანკის დაარსებასთან დაკავშირებით შემუშავებულ წესდების დასამტკიცებლად ილიას მივლინება რუსეთში — პეტერბურგსა და მოსკოვში.
17. გიორგი ყაზბეგი, გენერალი, ილიას შემდეგ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების თავმჯდომარე.
18. ივანე პოლტარაკი, გიმნაზიიდან ილიას უახლოესი მეგობარი, რომელსაც ილია წინამძღვარი შეიღობა ერთად ილიამ მიუძღვნა „აჩრდილი“.
19. ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილი, რომელიც ილიას დეშეთში მუშაობის დროს დეშეთის მზარის უფროსად მსახურობდა და ოჯახითაც იქ ცხოვრობდა. ილიას ამ ოჯახთან მეგობრული განწყობილება ჰქონდა და ხშირად მათთან ატარებდა დროს.
20. პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი (1809 — 1875) — ცნობილი ისტორიკოსი, ძველი თაობის წარმომადგენელი. „თაობათა“ ბრძოლის პერიოდში ილიამ მას მიუძღვნა „გამოცანების“ მეოთხე გამოცანა, სადაც შემდეგნაირად არის დახასიათებული:

ცხვირდიდა და თვალდიდრონა,  
 მსუნავი და ტრაბახია,  
 ერთი უშნოდ აწოწვილა,  
 ერთი რაღაც ახმახია;  
 სეხნია ჰყავს სახელ-დიდი,  
 თითონ კი მარტო გრძელია,  
 ძველის მცოდნეა, მაგრამა  
 ყბედი და ჰკვაზედ თხელია;  
 ენაბრტყელია, გულმრუდე,  
 ადვილად მოსასყიდა,  
 ამ ყლაპიასაც ქვეყანა,  
 ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

21. ირაკლი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი (გრუზინსკი) (1827 — 1882) — მეფე ერეკლეს შვილიშვილი.
22. ალექსანდრე დამიტრის ძე საგინაშვილი, გენერალ-ლეიტენანტი, ილიას დის — ელისაბედის (ლიზოს) მეუღლე.

ზალვა გოჯალიოვილი.



## ილიას ოქროს საათი

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ძვირფას ფონდებში 1956 წლის 30 ივნისიდან ინახება ილია ჭავჭავაძის ოქროს საათი.

ეს საათი უენო, მაგრამ მრავლისმეტყველი მოწამეა წიწამურის ტრაგედიისა.

მკვლევებმა მხეცური სიკვდილი არ აკმარეს ილიას — მათ გაძარცვეს ისიც და მისი მუდღეოლდაც.

თავდამსხმელებმა გაიტაცეს:

1. ყვითელი ტყავის პატარა საკვოიაგი,
2. ასეთივე ფერის ჩემოდანი,
3. პორტფელი,
4. პატარა საკი.

ჩემოდანში იყო ტანსაცმელი, თეთრეული სხვადასხვა, აგრეთვე სასადილოსი, თითო ღუჭინი ჩაისა და სუფრის კოვზები, ერთი ღუჭინი დანა-ჩანჯალი.

პატარა საკში ეწყო ილიას წერილები და წერილმანი ნივთები. წერილებში იყო ერთი წერილი ილიასი, საგურამოდან მოწერილი, რომელშიაც ის წერდა თავის მუდღეს, მოურავი ჯაში მატყუარა და არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდა და ახალ მოურავს ვიწოვნი თუ არა, დაბრუნდებო.

ამ ნივთების გარდა თავდამსხმელებმა გაიტაცეს:

1. ილიას ოქროს საათი,
2. მისივე ოქროს პენსე,
3. ილიას რუხი პიჯაკი, რომელიც მოკლულს გახადეს,
4. ოღლა ჭავჭავაძის ოქროს ქინძისთავი გულისა, რომელშიც მოთავსებული იყო ილიას 3 ფოტოსურათი, სხვადასხვა ასაკში გადაღებული,
5. საფულე ვერცხლის, რუსული ინიციალებით „И. Ч.“, რომელშიც ეწყო ფული და თამასუქები.


ამ ნივთებიდან მუზეუმში დაბრუნებულია მხოლოდ ოქროს საათი.

წიწამურის ტრაგედიის შემდეგ თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ილიას საათი კერძო პირთა ხელში იყო.

ილიას ოქროს საათი საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა შეიძინა ქ. ქუთაისში მცხოვრებ ელისაბედ იაკინთეს ასულ აბულაძისაგან. ილიას საათის შესახებ ელისაბედმა მუზეუმს შემდეგი აცნობა: საათი უყიდა მის ბაბუს, თავის დროზე ქუთაისში ცნობილ ოქრომჭედელს ზაქარია მირიანოვს. როდის იყიდა ან ვისგან, ამის შესახებ ელისაბედმა არაფერი იცის. ზაქარიას ჰყავდა ერთადერთი ქალი ეკატერინე, რომელიც იაკინთე აბულაძეს მიათხოვა. ზაქარია მირიანოვის ეს საათი თავისი სიკვდილის წინ (1918 წ.) გადაუცია თავისი გათხოვილი ქალის ეკატერინესთვის.

1955 წელს ეკატერინე მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ოპერაციის გასაკეთებლად საავადმყოფოში გადაყვანამდე ეკატერინეს მოუხშია თავისი ქალი ელისაბედი, გადაუცია მისთვის ლომბარდის გირანოზის ფურცელი და უთქვამს: ეს არის ქვითარი ილია ჭავჭავაძის ოქროს საათისა, რომელიც მაშაჩემმა დამიტოვა. აქამდე არ ვამბობდი და ახლა გიბარებ, რომ ეს ძვირფასი ნივთია და მისი ადგილი მიკუთვნეო.





ლითონისა. საათის სამი ხუფიდან ერთი ფარავს ციფერბლაცს, ორი კი მექანიზმს. ციფერბლაცის სახურავის გარეთა სიბრტყეზე მოთავსებულია წრე, რომელშიაც ამოჭრილია ინიციალები „ი. ჭ.“ (ეს ასოები ერთმანეთშია ჩამჯდარი). ამ წრის დიამეტრია 1,4 სმ. ამავე სახურავის შიგნითა სიბრტყეზე ამოჭრილია ფირმის ნიშანი.

ეკატერინე ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ელისაბედი, დედის დასაფლავების შემდეგ, საათი დაიხსნა ლომბარდიდან. ელისაბედი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. დედის ცნობამ საათის შესახებ ძლიერ დაინტერესა. ლომბარდიდან გამოტანილი საათი გულდასმით გასინჯა: საათის ხუფზე აღმოჩნდა ინიციალები „ი. ჭ.“. ამ აღმოჩენამ ელისაბედი უფრო მეტად დაარწმუნა, რომ საათი ილიასეულია და შოიტანა ლიტერატურულ მუზეუმში შესანახად და დასაცავად, როგორც დიდი ილიას მოსაგონარი წმიდა ნიეთი.

საათი შეეცარიული ფორმისაა, მექანიზმი ანკერისა აქვს, მაგრამ მოძებლებული კონსტრუქციისა.

საათი მრგვალია. მისი დიამეტრია 5 სმ, სიმაღლე — 2 სმ. აქვს სამი ხუფი, ოქროს რკალზე მიმაგრებული. ამ რკალში მოთავსებულია საათის მექანიზმი. საათის მოსამართი მოწყობილობის ძირითადი ნაწილიც ოქროსია, მოსამართი ფოლაქი თავისი ღერძით შავი ლითონისაა, ძეწვევის გამოსამშვლი ყური ფერადი



სიმონ ჩიქოვანი

ილია ჭავჭავაძის ღირიკული ღექსები

ცნობილმა ქართველმა საბჭოთა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა ერთ წერილში ილია ჭავჭავაძეს ქართული ლექსის როდენი უწოდა. ალბათ, ვალერიანმა ფიქრობდა, რომ „განდევლის“ ავტორის სტრუქტურები ბრწყინვალე მოქანდაკის მიერ მარმარიდან გამოთლილ სახეებს ჰგავდა. მართლაც, ილია ჭავჭავაძე ტკბილი მელოდიური ბუნების პოეტი არ იყო. მისი შთაგონება უფრო პლასტიკურ პოეტურ სახეებში ვლინდებოდა, იგი უფრო ღრმა ფიქრით აღბეჭდილი დარბაისელი ინტონაციის და მკაფიო რიტმული ცვალებადობის ოსტატი იყო; „აჩრდილის“ ავტორის არ ახასიათებდა ე. წ. ამღერება, მელოდის ინტონაციით ლექსის თქმა, ლექსის მელოდიურობა, რაც აკაკი წერეთელმა თავის დროზე ქართულ პოეზიაში უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა, ილია ჭავჭავაძის შინაგან ბუნებას არ ეგუებოდა, „აჩრდილის“ ავტორს ფიქრის ხელშესახებად გამოქერწვა უფრო უყვარდა, ვიდრე სულიერი ზრახვების ამღერება, მისი პოეტური ბუნებისათვის დამახასიათებელი ლირიკული განსჯანი და სინამდვილის დრამატული აღქმა. ამ თვისებასთან შეფარდებით შემუშავდა გამოკვეთილი ფორმა მისი ლექსისა და რიტმის თვისებური დარბაისლური მდინარება. პოეტის შთაგონება ზიარებული იყო პოეზიაში ე. წ. ფორმის მონუმენტურობის განცდას და ეს თვისება უმარავლეს შემთხვევაში გამოვლენილია პოეტის ქმნილებათა საუკეთესო ნიმუშებში. მონუმენტურობის ეს გრძნობა, ე. ი. სულის შინაგანი სიდიადის ჩვენება ლირიკული ფორმის ლექსში, პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძემ „გოგჩის ტბაში“ და „კეკელიაში“ შეძლო. შემდეგ განწდა ქართულ პოეზიაში ამ თვისების მაქარებელი კიდევ უფრო ბრწყინვალე შედეგრი, გრიგოლ ორბელიანის ლექსი „სალამო გამოსალმებისა“. ამ ლექსებში ბუნების პლასტიკური აღწერა და პოეტური ფიქრის შერწყმა ქმნიდა ე. წ. მონუმენტური ხასიათის ლირიკულ

სურათებს, რაც მაშინ ქართულ სალირიკო პოეზიაში ახალი თვისების შემოტანას ნიშნავდა. ეს თვისება ქართულ სალირიკო პოეზიაში ადრე თითქმის არ შეიძინევა, ბესიკიასა და საიათნოვის შემოქმედებაში ასეთი მიდრეკილება არ გამოვლენებულა. მაინც ეს ლირიკული სულის სიდიადის გრძნობა პირველად ქართული ბუნების წიაღში აღმოცენდა, ლირიკული ფიქრების მონუმენტურობა ეროვნულ ნიადაგზე, ქართულ მიწა-წყალზე წარმოიშვა. მაგრამ თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის და გრიგოლ ორბელიანის ხსენებულ ლექსებში მომხიბლავი ბუნების პლასტიკური აღწერა ხელს უწყობდა ლირიკული ლექსების მონუმენტურობის შთაბეჭდილების შექმნას, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ისე მიაღწია ლირიკულ პოეზიაში ამ თვისებას, რომ თითქმის ბუნების პლასტიკური სურათების აღწერა გამოთიშა. დიდი შინაგანი ექსპრესიის მაჩვენებელი ლირიკული სახე გამოქერწა მხოლოდ სულის დაღაღინით და განსაკუთრებული ინტონაციის დახმარებით. თუ „გოგჩის ტბაში“ ან „სალამო გამოსალმებისაში“ პეიზაჟთან ლირიკული მონოლოგის შერწყმა ქმნიდა თავისებურ დიდ პოეტურ საწყაროს, ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლირიკაში მონუმენტურობას მკვეთრი პოეტური აზრის ელვებით და „დამაფიქრელი“ ინტონაციის მეშვეობით მიაღწია. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლექსებში — „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „გვოვე ტაძარი“, „ჩემი ლოცვა“ და „სულო ბოროტო“ საკუთარი სულის ზრახვები ლირიკული მონოლოგით გამოთქვა და ამალღებული უშუალო ინტონაციით, მკვირე მოცულობის ნაწარმოებში დიდი მონუმენტურობის შთაბეჭდილება შექმნა, თავისი ლექსები ხელთუქმნილი ძეგლებივით აღმართა მკითხველის წინაშე, ლირიკული აზრის და გრძნობის კლასიკურ მთლიანობას მიაღწია. ლექსები „გოგჩის ტბა“, „სალამო გამოსალმებისა“, „მერანი“, „გვოვე ტაძარი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „სულო ბო-



როტო“ და „ჩემი ლოცვა“ თითქო არა მარტო სიტყვიერი ხელოვნებით გამოთქმული სულის „დადაფიქვრალი“ სიმღერებია, არამედ ისინი უბაღლო არქიტექტურულ ნაგებობათა შთაბეჭდილობასაც ტოვებენ და, როგორც ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები, აღმართულან თაობათა წარმოდგენაში.

ხსენებული პოეტური თვისება შეინარჩუნა ილია ჭავჭავაძემ როგორც ლირიკაში, ისე პოეტურ ეპოსში, თვით ლირიკული მონოლოგებით ასხმული „აჩრდილიც“ პოეტმა წარმოგვიდგინა, როგორც სულიერი სიდიადის მონუმენტური ნაგებობა. ეს მაღალი პოეტური თვისება შეინარჩუნა ილიამ სრულიად სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებებში, თავის ლირიკულ სურათებში და პოეტურ ესკიზებში. ასეთია მისი „გუთნის დედა“, „ბაზალეთის ტბა“, „ქართვლის დედა“ და წმინდა ლირიკული შედევრები — „ყვარლის მთებს“, „ჩემო კალამო“ და „მწუხარება“ და სხვ. მონუმენტურობის ეს განცდა გამოვლინდა უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილი მყინვარის პოეტურ სურათებშიც. ილიას მიერ „მგზავრის წერილებში“ დანახული მყინვარი, რომელსაც „ერთადღერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაწათოდა“, პოეზიაში გადასულა და უცნაური პოეტური ხილვის საგანი გახდა. იგი ახალი ფერებით ამტკველებულა, „აჩრდილსა“ და „განდეგელში“ მას თითქო ბაბლიური გამომეტყველება მიუღია და მისი გარეგნული სიდიადე პოეტის სულში საშუალოდ აღბეჭდილად:

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,  
ციხა და ქვეყნის შუა დაკიდულ,  
იგივე ზვიადი, იგივე მყინვარი,  
იგივე დიდებულ და დაღმტეხულ...  
მისი ყინულით ნაკვეთი თავი  
მოართო მზისა ოქროს სხეულებით...

„აჩრდილსა“ და „განდეგელში“ აღწერილი მყინვარები ამაღლებულია, იგი ზვიადია და გოტიკური ხუროთმოძღვრების ძეგლით აღმართულია. როცა მყინვარისადმი მიძღვნილ ილიას სტრიქონებს ვკითხულობთ, უნებლიეთ, შორეული ნათესავივით გვაგონდება შელის მიერ შექმნილი პოეტური შედევრები „მონბლანი“ და „ლრუმელი“. ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი მყინვარის სურათები უფრო რეალისტურია და ხელშესახები, მისი პოეტური სუნთქვა მყინვარისადმი მიძღვნილ ლექსებში ლაღია და თითქო ამ მწვერვალის სიდიადის შესატყვისია.

არტურ ლასტი იგონებს, ილიას განსაკუთრებით უყვარდა ბუნება. პოეტს უთქვამს: „რამდენს სიამოვნებას აძლევს ადამიანს ბუნების ცხოვრება და მისი სურათის მშვენიერება. ჩვენს წინაპრებს ამისი განცდა არ ჰქონიათ და მათ ბუნებასთან საუბარი არ შეეძლოთ“. ბუნება

პოეტის სულში სიყრმიდანვე შეტრიალულა, პირველად ილია ჭავჭავაძის ბუნებით მონიბლულა და იგი აუმღერებია. ილიაზე ადრე ეს ბუნება აამღერეს ალ ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანმა, ალ. პუშკინმა და მ. ლერმონტოვმა. ილიაზე ყველაზე მეტი გავლენა მოუხდენია პირველ ხანებში გრ. ორბელიანს და მისი ბრწყინვალე სტრიქონები:

წყალნი, მითი დაქანებულნი, აღმასებრ  
უფსკრულს სცივიან,  
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს  
ეუბნებიაან...

ილია ჭავჭავაძის შთაგონებას თანამგზავრივით გაჰყოლია მთელი შეგნებული ცხოვრების გზაზე. „განდეგელის“ ავტორი თითქო ცდილობდა შეეჯიბრებოდა ამ შესანიშნავ სტრიქონებს და მყინვარების სურათოვნების გადმოცემით დაემარცხებია ისინი:

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა  
ორბნი, არწივი ეერ შეხვებიაან,  
ანდა:  
აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,  
ციხა და ქვეყნის შუა დაკიდულ... და სხვა.

ამ სტრიქონებში ილია ჭავჭავაძის სულიერი აღმადგენა თითქო შეგნებულად ევაქტებოდა გრიგოლ ორბელიანის პოეტურ გაქანებას. „ყვარლის მთებშიც“ ასეთივე პლასტიკური ხატით გაიცილებულია ბუნების სიდიადე და ნაჩვენებია ამ ბუნების დინამიკური სახეები. ამასთანავე პოეტი ყოველთვის, გრ. ორბელიანისაგან განსხვავებით, ცდილობდა ბუნების სურათებისათვის სოციალური შინაარსი მიეცა და ბუნების სურათში ახალი ხალხური სიცოცხლე შეეტანა. როგორც „აჩრდილის“ გარჩევის დროს დავინახეთ, ბუნებასა და ადამიანს შორის შინაგანი ნათესაობაა მონახული. პოეტური ხატვის მანერით ილია ჭავჭავაძის ბუნება ბარათაშვილის ბუნებას უფრო უახლოვდება. ბარათაშვილმა „ჩინარში“ აღნიშნა, რომ:

...არს ენა რამ საიდუმლო  
უასაკოთ და უსულოთ შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა  
არს მინშენელობა მათი საუბრის.

ბარათაშვილმა თვითონვე სცადა ეს ენა გაეგო და თავისი პირადი განცდანი ბუნების ცხოვრებას დაუახლოვა. მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის უფრო ხშირად ობიექტური საწყარო და, მასაღამე, კერძოდ, ბუნებაც საჭირო იყო თავისი შინაგანი ბიოგრაფიული დრამის გადმოსაცემად:



მასოვს იგი დრო, საამო დრო, როს  
 ნადღვლიანი,  
 კლდეც ბუნდოვანო, შენს ბილიად  
 მიმოვიდოდი  
 და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს,  
 შემოვეტრფოდი,  
 რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი.

ილიას ბუნებას კი უფრო საზოგადოებრივი შოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, — მისი ბუნება ისტორიული და სოციალური ხასიათის მატარებელია. მტკვრის მიდამოში მას ავონდებოდა, თითქო ჩვენი ხალხის წარსული აქ დამარხულა:

მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,  
 იმ დროს გადაეც ეს ჩემი კვნესა.

„ელეგიაში“ პოეტს ხედავდა ბუნების ძილის მშვენიერებას. ბუნებისა, რომელიც მის სამშობლოს ძილს ეალერსებოდა და ამ სურათიდან გამოწვეული შთაბეჭდილება სამშობლოს ბედის უკუდამართობას ავონებდა. აყვავებული მთები და ამწვანებული მდელი პოეტს მამულის აყვავებაზე ფიქრს აღუძრავდა. როგორც ირკვევა, ილიას ნიკოლოზ ბარათაშვილივით შეეძლო საუბარი ბუნებასთან. მას ესმოდა უსასიეთ და უსულოთ ენა, მაგრამ მისი ბუნება უფრო სოციალური შინაარსით არის გააზრებული. მისი პოეტური პეიზაჟი საზოგადოებრივი ზრახვებით არის გაყვანილი.

შეიძლება ვიფიქროთ, ილიას მიერ გამოხატული ზეპროთომოდერული ხასიათის სიმადლისკენ ღრუბლას თვით პოეტის მიერ შერჩეული მასალაც ხელს უწყობდა... მაინც ნამდვილი მონუმენტურობის გრძობა ილია ჭავჭავაძემ ყველაზე ძლიერად გამოავლინა ლირიკული ფორმის ლექსში „გუთნის-დედა“. ამ ლექსში, პოეტის ფიქრით, ჩადღვლებულ საძირკველზე თითქო არც შეიძლებოდა ასეთი კლასიკური ფორმის ნაგებობა ამენტულოცო. მაგრამ პოეტმა შეძლო ამ ნაწარმოებში, სადაც არაფერი არ არის გარეგნულად აღწერილი, ლირიკული აღსარების მეშვეობით საოცარი სკულპტურული სახე გამოქვეყნა. პოეტმა გვიჩვენა მშრომელი ადამიანის სახე, რომელიც მიწიდან წამოიწია, მიწას გამოყო, ამეტყველდა და გუთნას გაჰყვა. პოეტმა გუთნის-დედას თავისი სულის დედააზრი შეუნახა და მეტყველი ზრახვებით იგი თითქო ხელ-შესახებით ვახადა. არის შეხედულება, თითქო „გუთნის-დედაში“ ილია ჭავჭავაძემ საკუთარი პოეტური სულისკვლევა გამოხატა და არა მიწის მღვთის სულის აღსარება. შეიძლება ეს ნაწილობრივ მართალი იყოს, თვითეულ დიდ მხატვროულ ნაწარმოებს რამდენიმე პირი გააჩნია და მისი წაოოდენვა რამდენიმე განზომილებაში შეიძლება „გუთნის-დედა“ შეიძლება სინამდვი-

ლის რამდენიმე სახის ანარეკლი იყოს, მაგრამ ამ ნაწარმოებში უპირველეს ყოვლისა მისი გუთნის-დედა იგულისხმება. „გუთნის-დედას“ პირველი თუ მეორე შექმნილი ვარიანტი პოეტმა „აჩრდილშია“ ჩასახული. ამ პოემაში ნათქვამია:

შრომისა შვილო, მძიმე უღელი  
 ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს უღლად

და შენი ოფლი მიწაზე სხვის გამოსაყვებად იღვრებაო. ამ სტრიქონებით ავტორი ნამდვილი გუთნის-დედის ქირ-ვარამზე გვესაუბრება... ამ ქირ-ვარამის უფრო დიდი მხატვრობის დისახულება უკვე „გუთნის-დედაშია“ მოცემული. პოეტმა გუთნის-დედა ასე ამეტყველა:

ერთ ბედქვემა ვართ, ლაბავ, მე და შენ,  
 წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ,  
 ბელტი ბელტზედა გადავაწვინოთ  
 და შრომის ოფლი მიწას ვაწვინოთ.

მშრომელთა ოფლით მიწა დაღობილია და იმით გამოზრდილია შრომის ნაყოფი. ხსენებული აზრი „აჩრდილშიც“ არის ნათქვამი. ამგვარად, „გუთნის-დედის“ აღსარებისა და „აჩრდილიდან“ მოყვანილი ადგილების ერთმანეთთან შეჯერება ამ ორი სახის ერთგვარობას გვიდასტურებს. „აჩრდილში“ აღწერილი გუთნის-დედის მძიმე უღელმა გამოაწვია ქვემოთ მოყვანილი სიტყვებით:

და ჩემი ქირის, ჩემი წუხილის,  
 ჩემი კაცობის გულის დუღილის  
 სიტყვანი გულში მეხადებთან,  
 მაგრამ გულშივე უხმოვ კვლებთან.

გუთნის-დედა სიტყვას გულშივე იკლავდა... იმ სიტყვას, რომელსაც გუთანივით ბალახი ძირფესვიანად უნდა ამოეზარა. გუთნის-დედის სიტყვა ავტორმა გუთნას შეადარა და ამ სიტყვის მთქმელის სახე სახალხო, უეღოთსი მერმისისთვის მებრძოლ პოეტის სახეს დაამგვანა... ან, უკეთ, მათ შორის იგივეობის ნიშანი ითვება. ამიტომ ამბობდა იგი: „რად მინდა ხმალო, თუნდ იყოს მკრეღო, თუ სიმართლისთვის დამინდგენდა“. ამ ლექსში გამოკვეთილი სახე, რასაკვირველია, მხოლოდ გუთნის-დედა არ არის, იგი მომავლისათვის მებრძოლის ხალხური სახეა. გუთნის-დედის სიტყვები შეიძლება ავტორის მონოლოგი იყოს და შეიძლება მეტრუნებით ავტორმა, გუთნის-დედის მაგიერ, ვებოხრას აღსარება. გუთნის-დედის მხატვრული განზოგადების მეშვეობით ხსენებულ ნაწარმოებში ავტორის აღსარებაც ეტევა და გუთნის-დედის გულის დუღილიც. მთავარი ამ ნაწარმოებში მისი სულის ძლიერებაა, რომელიც გამოწვეულია მიწასთან შე-



ქედებული პიროვნების ბუნებით, მიწაზე დაღლილი ოფლის ოსშივარით და გუთნის ბოლოში გატანის შეუნელებელი სურვილით. ამ შინაგან ხალხურ თვისებებშია ნაწარმოების მხატვრული სიძლიერე და მისი შინაგანი სამყაროს მონუმენტურობა. ამ ნაწარმოებში პოეტის მსოფლმხედველობითი არე ხალხური, ხალხურ სიბრძნეს ზიარებულმა პოეტმა ასე გამაძვირწა თავისი სულის თვისებური ორეული — გუთნისდედა, მისი ლირიკული მონოლოგის მეშვეობით შექმნა დიდი სულიერი ექსპრესიის შემცველი სტუპატურული სახე.

„ქართვის დედა“ იდურე მიზანდასახულობით თითქმის „გუთნის-დედას“ გაგრძელებაა, ისიც თითქმის იმეორებს „აჩრდილის“ მერვე და მეცხრე თავში აღწერილ ქართველი ხალხის ცხოვრების ვითარებას. „ქართვის დედაში“ ნათქვამია:

დღის ნანასთან ქვითინი მითისა  
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...  
გაქპრა ის დროცა... დიდმა ნაღველმა,  
კაროების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,  
სრულად მოგვიკლა სიცოცხლის ძალა,  
თვით შენი შვილიც ჩრდილად შეცვალა,  
მიოხარ, — სადაა მამა-პაპური  
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური... და სხვ.

„აჩრდილშიც“ მოხუცი იძახის:

სად არის გმირი?... მის მოედანი  
ჯაგით ავსილა, ვერანად ქმნილა,  
გმირის დამბადი დიდი საგანი  
ჩვენი სპობილა და წაწყმედილა.  
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას...  
დაგვიწყებიათ, რომ ქვეყნად ცასა  
ღვთად მოუცია მარტო მამული...

ერთი სიტყვით, ქართვის დედაც აჩრდილის განშტობება და იმავე სამყაროს ახალი დასაბუთება. ამ ლექსში ეროვნული გრძნობა და სოციალური ბოროტების გამოქმუნვა ორგანულადაა შერწყმული. პოეტი ეუბნება ქართველის დედას: შენს შვილს

შთაგონებდე კაცთა სიყვარულს,  
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —  
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს...  
დედაც, ისმინე ქართვის ვედრება,  
ისე აღზარდე შენ შენი შვილი,  
რომ წინ წარუძღვის ჭეშმარიტება.

ამ ლექსს, როგორც ცნობილია, წამძღვარებულნი აქვს სიტყვები: „აწყაო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. „ქართვის დედაში“ ილია ჭავჭავაძემ წმინდა პატრიოტული გრძნობის საფუძველზე სოციალური თავისუფ-

ლება იქადაგა და ქართველ დედას სთხოვა, რომელი სიმღერა, რადგან, როგორც ნათქვამია, დღის სიმღერა გმირის აღზრდას ხელს უწყობს. დღის წმინდა მოვლულობა გმირული ხასიათის სიმღერა უთხრას თავის პირმშოს და წინ წარუძღვაროს ჭეშმარიტება. რელისტური პოეტური ხატვის მეშვეობით ჩამოაქანდაკა პოეტმა „გუთნის-დედა“, „ბაზალეთის ტბა“ და „ქართვის დედა“. განსაკუთრებით „გუთნის-დედაში“ და „ქართვის დედაში“ ილიამ მთავარი ყურადღება მიაქცია იმდროინდელ სინამდვილეში ჩასახული მომავლის ფეხებს და მათ განაყოფიერებას შეიძლება თავისი ძალ-ღონე. პოეტმა დახატა ნამდვილი ხალხური სახეები და საკუთარი ლირიკული მონოლოგის ადგილის გადანაცვლებით (ილიას სათქმელ მონოლოგს ლექსში თვითონ „გუთნის-დედა“ გვეუბნება) იგი ერთგვარად გაითქვიფა ამ სახეების სულიერ ზრახვებში. ილია ჭავჭავაძემ ხსენებულ ლექსებში პოეტური ეპოსის აღწერითი თვისებების და თქმის ლირიკული მანერის შერწყმა შეძლო და ლირიკული ლექსის ფორმაში ეპიკური სახეები შექმნა. ეს სახეები აღმართა ილია ჭავჭავაძემ, როგორც ეროვნული, ხალხური სახეები და ისინი ხალხის სულის თანამგზავრები გახადა. ასე უკავშირდება ილია ჭავჭავაძის ეს სამი ლირიკული მონოლოგი შექმნილი ესკიზი პოემა „აჩრდილში“ გამოხატულ სულიერ სამყაროს.

„აჩრდილთან“ დაკავშირებული არც ერთი ლექსის თარიღი ჩვენს წერტილში არ არის აღნიშნული. აქ მოხსენებული ლექსებიდან ზოგი „აჩრდილზე“ აღრეა დაწერილი, მაგრამ ეს მოვლენა სრულიად არ ცვლის ჩვენს შეხედულებას ამ საკითხზე. ჩვენი მიზანი იყო დაგვედგინა, რამდენად არის ილიას სხვა პოემები და ლექსები შერწყმული „აჩრდილს“ პოეტურ სამყაროსთან, დაგვედგინა, საერთოდ, რამდენად მთლიანად და ერთიანი ილიას ლირიკული და ეპიკური სამყარო. მისი ეროვნული სულის მატარებელი ლექსები და სოციალური ბოროტების მამხილებელი ლირიკული დაღადისი ერთობა განუყოფელი, — როგორც მყინვარი და თერგი ერთ პოეტურ სულზე ამოტივტივებული სახეებია, ისე პოეტის სოციალური და ეროვნული გრძნობა ქართველს დღის ძუძუთი არის საზრდოებულა. ეს ორი თემატური რაკია ისე დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ისინი ერთ თემატურ სამყაროდ წარმოგვიდგება. მათი განხილვა ერთმანეთისაგან გამოთიშულად თითქმის შეუძლებელია.

„აჩრდილში“ მოვლენილია მოხუცმა მიმართა ქართველობას და ჰკითხა: „ქართველნო, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვის გტირი?“ „იგი აღარ გყავთ, გმირის დამბადი დიდი საგანი ჩვენი სპობილა და წაწყმედილა“. მაგრამ ვარდასულ გმირებს უძეგრობს უძეგრობს... მოხუცმა იცის, რომ იმ „მღერით“ დაიბადება გმირი



და მოხუცის გულსიპასუსს თვითონ პოეტი გვეუბნება ორი ლირიკული ესკიზით: ერთია „ბაზალეთის ტბა“ და მეორე — „ქართვის დედა“. „ბაზალეთის ტბა“ ხალხური თქმულების მიხედვით შეუქმნია პოეტს; ეს თქმულება რაფიელ ერისთავამ გვაუწყა ოთხსტრიქონიან ლექსში. ილიას „ბაზალეთის ტბაში“ დიდი ხალხური პოეტური სამყაროა შექმნილი, — ტბა ხალხის ცრემლებით შემდგარა, რათა მომავალი სახალხო გპირის აკვანი დაფაროს. აკვანში ჩვილი ჩაუწვევინა თამარ დედოფალს და ამ აკვანს ზღვის ასულები იაფნანს უმღერიან. ეს ყრბა, რომლის სახელიც კერ არ ითქმის, ხალხის მომავალი გმირია, მას ხალხის ცრემლებით შემდგარი ტბა გადაჭარებია და იგი ბოროტი თვალისაგან დაცულია. ამ ლექსით პოეტმა მითიური სურათი შექმნა ქართულ პოეზიაში და „ბაზალეთის ტბა“ ლეგენდასავით გადადიოდა თაობიდან თაობაში. მართალია, წმინდა ვერსიფიკატორული თვალსაზრისით „ბაზალეთის ტბა“ ილიას სხვა ლექსებზე უფრო სუსტადაა აწყობილი, მაგრამ მისი შინაგანი პოეტური ელვარება მომხიბვლელია და მიმზიდველი. იგი, როგორც ანტიკური თქმულება, უცნობია და მარად მოელვარე. „ქართვის დედა“ „ბაზალეთის ტბის“ შესავალი თუ გაგრძელება.

ილია ჭავჭავაძის ლექსებიდან გამოიყოფა და განსხვავდება თავისი ბუნებით ორი ლექსი: „ყვარლის მთებს“ და „ალაზანს“. ამ ლექსებში პოეტის პირადი ბიოგრაფია თითქო არ არის მიჩნეული, ეს ორი ლექსი უშუალოდ სიყრმის მოგონებების საფუძველზე აშენებული დიდი პოეტური სუნთქვის მარეგებელი ლირიკული ფიქრებია. თუ პირველ ლექსში სიყრმის მოგონება და მშობლიური კუთხის ბუნების აღწერა ქართულ ეროვნულ გრძნობას უკავშირდება, „ალაზანს“ უფრო ინტიმური, პირადული გრძნობების იერი გადაჰკრავს.

წამერთ ყველა და წარვიდა ბედიც მლიმარი,  
წაიგია, ვითა მამინდელი ზვირთი მდინარი,  
შენც გამოცვლილხარ, ალაზანო, მუხაც  
გამხმარა,  
შეც უღრმო-ღრის გამერია თმაში ჭლარა —

პოეტი ასეთი ლირიკული მონოლოგით მიმართავს ალაზანს, რომელიც თურმე „მშობლიური მთის ცრემლით შემდგარა“ და სიყრმის მოგონებებთან ერთად პოეტის სულში აღბეჭდილია. ამ ლექსში უნახესი სატრფიალო გრძნობა და ფაქიზი სიყვარული მშობლიური კუთხისა შერწყმულია საერთოდ ცხოვრების რაობაზე „დამაფიქრელ“ გრძნობასთან. იგი პირადი წყლულებით შეფერილია და ფაქიზი სულის ტკივილით დამშვენებულია.

თუ ილია ჭავჭავაძის მიერ დახატულ „მყინვა-

რის“ პოეტურ პეიზაჟებში გამეფებულია გვარი ფერჭურთი აღწერა, უფრო უშუალოდ რიკულ აღსარებაში, როგორცაა „ელეგია“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „მტკერის პირას“, „დაე, თუნდ მოგვედ“, „ჩემო კალამო“, „ლოცვა“ („მამაო ჩვენი“), „ოპ, სად არიან, სიზაბუევე, სიტკბონი შენის“, „მწუხარება“ და სხვ., პოეტის სულის უშუალო აღსარებებია, ეს აღსარებანი უმთავრესად პატრიოტული გრძნობის რკალშია მოქცეული. ზემოხსენებული ლექსები წარმოადგენენ პოეტის ყველაზე საყვარელ საგანზე ელეგიაზე ნაფიქრალს და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის დაღადის. თუ ზემომოყვანილი სოციალური უკუღმართობის ამსახველ ლექსებში ჩვენი პოეტი შორეულად ენათესავება ნეკრასოვის პოეტურ ზრახვებს, ლექსებში „ელეგია“ და „მწუხარება“ უფრო გოეთესებური ბუნებია და ბუნებაში ჩამწვედნი ხილვებით იჭერება გამპოლავი პატრიოტული გრძნობა. „ელეგია“ უსათოდ ენათესავება გოეთეს „ღამის მუხრის სიმღერას“ და „მწუხარება“ — გოეთეს „ღამის ფიქრებს“. მაგრამ ამ გოეთეს ლექსები ბუნების საიდუმლობით შთაგონებული სამყაროს რაობაზე ლირიკული უხმო დაღადისია, ილიას „ელეგიაში“ ბუნების დაიდი სიწყნარის გადმოცემა შენივთებულია სამშობლოს სიყვარულთან.

არტურ ლაისტო იგონებს, ილია ჭავჭავაძე გოეთეს ყველაზე მალა აყენებდაო, იგი გოეთეს ბაირონს ამჯობინებდა და იტყობო: „თქვენი ოლიმპიელი რამდენი აზროა და გრძნობათა ძალა სინან შიგო“. მართალია, ილია ჭავჭავაძეს „მგავრისა წერალებში“ ბაირონის დაბო მშოთავრე თერგი ხილავდა, მაგრამ იგი თავისი პოეტური ბუნებით და, მე ვიტყობი, ანალიტური პოეტური აზროვნებით სრულიად არ ენათესავება ბაირონის პოეტურ სტიქიას. „აჩრდილის“ ავტორი შინაგანი ბუნებით ნაწილობრივ მინიც იმ ბიბლიურ მოხუცს მიაგავს, რომელიც პოეტის შთაგონებას მყინვარზე მოვევლინა.

ილია ჭავჭავაძეს შეგნებული ჰქონდა და კარგად ესმოდა თავისი პოეტური ბუნება, ზემოხსენებული პოეტური თვისება, მას მიანდა არა მარტო საკუთარი, არამედ მთელი ეროვნული ქართული პოეზიის ერთი მთავარი მიმდინარეობის დამახასიათებელ თვისებად.

ილია ჭავჭავაძემ თავისი თავი ქართულ პოეზიაში ე. წ. ევროპულ ხაზს მიაკუთვნა. სიტყვა „ევროპეიზმი“ ილიას ტერმინია და იგი პოეტმა დაეკანონა, როგორც განსაკუთრებული პოეტური მიმდინარეობის აღმნიშვნელი ცნება. ეს მიმდინარეობა ქართულ პოეზიაში მას ასე ჰქონდა წარმოდგენილი: დაეთი ვერამიშვილი — პირველი შემომტანი ევროპეიზმისა „ქართულ ლექსის გამოთქმაში“, შემდეგ — ალ. ჭავჭავაძე, რომელიც ნაწილობრივ ცდილობდა დაემკვიდრებინა ევრო-





პული გზა ქართულ პოეზიაში, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი — „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეისშია“ ქართულ პოეტურ აზროვნებაში. „ევროპეისში“ ილიასთვის იყო არა უბრალოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ მიმდინარეობათა გავლენის ან მითთან სიახლოვის მიმწმენველი ტერმინი. „ევროპეისში“ შეიძლება წმინდა ნაციონალურ საფუძველზე ყოფილიყო აღმოცენებული, ე. ი. დასავლეთული პოეტების მეშვეობით ქართულ პოეზიაში აღმოსავლური პოეზიის გავლენა სრულიად მოისპო და ქართულ მწერლობას ეროვნულად ხალხური სული დაუბრუნდა. ზემოხსენებული პოეტების შემოქმედება ეროვნულ-ქართულიც იყო და ევროპულიც. ილია ჭავჭავაძის „ევროპეისში“ ეროვნულ სამწერლო კულტურაში იგივე პოეტური უნივერსალობის ცნებაა და სხვა არაფერი. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძემ წერილში „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა გაამახვილა ყურადღება შოთა რუსთაველის პოემის ფილოსოფიურ და ზოგად-პოეტურ თვისებებზე. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ დღადაზრი სამყაროს ფილოსოფიური აღქმა იყო და მისმა ავტორმა უნივერსალური თვისების მატარებელი ხასიათები გამოკვთა. მაშასადამე, ის შინაარსი, რომელიც ჩადებული ილიას მიერ გამოყენებულ ტერმინში — „ევროპეისში“ თავის პირველსაწყისის პოულობს „ვეფხისტყაოსანში“.

იგივე არტურ ლისტე გამოგვეცხვს, რომ ილიას ირანული პოეზია არ უყვარდა. „განდევილის“ ავტორი ფიქრობდა, რომ ირანულმა პოეზიამ ცუდი გავლენა მოახდინა ქართული მწერლობის განვითარებაზე. ილიაც უფრო იმიტომ იცავდა ქართულ პოეზიაში იმ გზას, რომელიც, მისი აზრით, უფრო ევროპულ პოეტურ კულტურას უკავშირდებოდა. როდესაც ევროპულ თვითსებათა მატარებელი პოეტები — დავით გურამიშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი თითქმის თავის პოეტურ ჩანჯს მიმართავდნენ ევროპის პოეტური კულტურისაკენ, ამით ისინი თავისთავად ამყარებდნენ ორგანულ კავშირს შოთა რუსთაველის პოეზიასთან და ქართული ეროვნული პოეზიის ნიადაგს უზრუნველბდნენ.

მართლაც, დავით გურამიშვილის პოეტური სამყარო სრულიად თავისუფალია ირანული პოეზიის გავლენისაგან. დავით გურამიშვილმა უკრაინული, პოლონური და რუსული პოეზიის გავლენით შექმნა ახალი პოეტური ფორმები და შეინარჩუნა ლექსში პოეტური თქმისა და პოეტური სულის ნამდვილი ქართული ხასიათი. დავით გურამიშვილმა აღნიშნა შოთა რუსთაველის პოეტური გზის სიდიადე და თავი რუსთაველის მოწაფედ გამოაცხადა. რუსთაველის პოეზია მან შეადარა იგავის ზესს, რომლისაგან სიბრძნის ნაყოფის მოწყვეტა შეუძლებელია. ხოლო ირანული პოეტური კულტურის გავლენის მატარებელი

ლი პოეტები რუსთაველით არ იყვნენ გაცილებით ბუღნი. არჩილის მოწმობით, თეიმურაზი ჩახრუხაძეს რუსთაველზე უფრო მაღლა აყენებდა. თვით თეიმურაზი „მაჯამაში“ აღნიშნავდა, რომ მისი ლექსი სჯობდა რუსთაველის ლექსს და „მაინც რუსთაველს აქვებენ, მე იმან გამაგულიოსაო“. ჩახრუხაძეს ილია არ თვლიდა დიდ პოეტად. დავით გურამიშვილი და ილია ჭავჭავაძე რუსთაველის შეფასებაში ერთნირი პოზიციებზე იდგნენ.

ამ სტრიქონების ავტორის მიერ ადრე ვერცაღ იყო განხილული ბარათაშვილის პოეზიის უშუალო კავშირი რუსთაველის პოეტურ სამყაროსთან.

ამრიგად, როდესაც ქართული ლექსი თავის სუფუღებშია ირანული პოეზიის გავლენისაგან, საქართველოში იქმნებოდა მაღალი, ღრმა, შინაარსიანი, სისხლოვანი სავსე პოეტური კულტურა და ეს კულტურა თავისთავად პოეზიისათვის სათავეს რუსთაველის პოეტურ აზროვნებაში და ქართულ ხალხურ შემოქმედებაში. თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის უნივერსალური შინაარსი თუ სულიერი ევროპეისში აღმოცენებულია ქართულ ნიადაგზე.

ილია ჭავჭავაძე რუსთაველის პოეტურ ტრადიციებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გაკაფული გზით უახლოვდებოდა. როგორც ადრე გვქონდა აღნიშნული, ბარათაშვილისადმი სიყვარული „აჩრდილის“ ავტორის შთაგონებას შეუწელებლად თანსდევდა.

ენს იცის, თანა რაოდენი წარიდვ ფიქრნი,  
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ  
საუკუნოდ, —

წუხდა პოეტი და სჯეროდა, რომ ბარათაშვილითან ერთად ავრძელებდა ქართული პოეტური აზრის მაღალ კულტურას. ილიას ლირიკული ლექსები: „მტკერის პირას“, „ჩემი ლოცვა“, „ჩემო მკვლელო“, „გვი მას“, „რო, საღ არიან, სიკვამლეუკი, სიტკონი შენის“ ერთგვარად ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიით არის შთაგონებული.

ამ ეროვნული ევროპული მიმართულების დამკვიდრებისას საჭირო იყო არა მარტო შინაგანი პოეტური აზროვნების გადახალისება, არამედ თვით ლექსისწყობაში აღმოსავლური ფორმებისგან განთავისუფლება.

ილია ჭავჭავაძემ ქართული პოეზიიდან განდევნა მუსამბაზებნი, ლათაიები, მუსტახადები, ბაიათები და სხვა აღმოსავლური ეპოსის მატარებელი ლექსის გარეგნული ფორმები. „აჩრდილის“ ავტორმა ლექსთწყობაში იგივე გზა გაავითარა, რაც ალ. ჭავჭავაძემ „გოგჩის ტბაში“ და ნიკოლოზ ბარათაშვილმა „შემოღამება მთაწმინდაში“, „მერაზში“ გამოიმუშავეს, და იგი ადრინდელი ქართული პოეზიის ტრადიციებს შეუწყუა. აღექსანდრე ჭავჭავაძემ ორი ტესანიშნავი ლექ-

სით — „გოგჩის ტბა“ და „კავკასია“ ჯვარედინად გაერთმული თოთხმეტმარცვლიანი ლექსის ახალი სახე დაამკვიდრა. ძნელი გასარკვევია, საიდან დაიბადა ქართული ლექსთწყობის ამნაირი ზომა. ჯერ კიდევ დავით გურამიშვილმა დაწერა თოთხმეტმარცვლიანი ამდგომებული, აქართველი ქორეული, მუსხლიანი კატრენებით ვართომული ლექსი „ზუზუკა“, თითქო შეკვეცილი შიორი შეუთანხმა ჩახრუხალუს და ლექსის ახალი ზომა წარმოგვიდგინა. ალექსანდრე ჭავჭავაძემ თითქო ეს გურამული წყობა და ბესიკური თოთხმეტმარცვლიანი ლექსი დაშალა და ისევ ახალი, სხვა მუსხლიანი თოთხმეტმარცვლიანი ლექსი ააშენა, რომელიც ფრანგული სილაბური ლექსის თვისებებს შორეულად დაუნათესავდა. მაგრამ თოთხმეტმარცვლიანი და ათმარცვლიანი წყობა ქართული ლექსისა იამბიკურიდან, ჩახრუხალულიდან და ფისტკატიურიდან არის წარმოშობილი, ისინი ქართული ლექსის გარეგნული ფორმის უძველესი ზომებია. მართალია, მათი ანარეკლი ქართულ ხალხურ პოეზიაში არ გვხვდება, ან იშვიათად გვხვდება (რასაკვირველია, თოთხმეტმარცვლიანი სრულიად არ გვხვდება), მაგრამ ილია ჭავჭავაძემ ლექსთწყობის დარგში სწორედ ეს ათმარცვლიანი და თოთხმეტმარცვლიანი ზომა აირჩია. ათმარცვლიანი ლექსითაა დაწერილი მისი პოემები „განდგეილი“, „აკოე ყაჩაღი“, „აჩრდილის“ ნაწყვეტების უმრავლესობა, „ელეგია“, „გუთნის-დედა“, „ქართლის დედა“ და სხვა მრავალი. ხოლო „მას აქეთ, რაკი შენდამი ეცან მე სიყვარული“, „მწუხარება“, „ალაზანს“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „ყვარლის მთებს“ დაწერილია თოთხმეტმარცვლიანი ლექსით, მაგრამ მუხლების შეცვლით და რითმების თავისებური განლაგებით განახლდა ქართული ლექსის რიტმი და სრულიად თავისებური ხმების ინტონაცია გამეფდა ხსენებულ ლექსებში. ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძემ ქართულ კლასიკურ ლექსში დიდი სიახლე შეიტანა და აღმოსავლური კილოსაგან საცებით გაათვისებულა იგი. ილია ჭავჭავაძემ პოეტურ სიმწიფეში შესვლის დროს დიდი შვიი სამუშაო ჩატარა ქართული ლექსის გადახალისებისათვის და ამ დარგშიც ნოვატორის სახელი დაიმკვიდრა.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძეს ძლიერ

უყვარდა ქართული ხალხური შემოქმედება. მისი სიყრმიდანვე ხალხური ლექსების, ზღაპრების და ლეგენდების დიდი შორეული იყო. თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის დროს იგი დიდად ხელს უწყობდა ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობის შეკრებისა და მისი დრამალური სწავლის საქმეს. საერთოდ, როგორც ვთქვით, მწერლობის ხალხურობის აუცილებლობა ილიას მიერ იქნა დასაბუთებული, მაგრამ ილია არასდროს არ სარგებლობდა ე. წ. ფოლკლორის პოეტური ფორმით, ვაქსებური ხალხური რითმებით სარგებლობდა არ უყვარდა. იგი აღნიშნავდა: პატარა ლირიკული ლექსი უსათუოდ უნდა იმდერებოდესო. პოეტმა კიდევ დაწერა რამდენიმე სასიმღერო ლირიკული ლექსი, მაგრამ ილიას სასიმღერო ლექსი ფორმით და შინაარსით ზოგად ქართულია და მათი გარეგნული ფორმები ევროპული იერის მატარებელია. სასიმღერო ლექსებშიც ილიამ შეინარჩუნა მაღალი კეთილშობილი სულიერი აღმადგენა. მისი ლექსები „გახსოვს, ტურფავ“ და „სატრფოვ, წმირად ლაღი ფიქრი“ შესრულებულია პაინესებური პოეტური სიფაქიზით. ილია პოეტური ფორმის საკითხში ლექსის ევროპული ფორმით დამუშავების მომხრე იყო და ქართული ლექსის კლასიკური ფორმების დამცველი. მაგრამ ლექსის შინაგან ფორმაში ილიაც წმირად სარგებლობდა ხალხური თქმებით, ანდაზებით, აფორიზმებით და პოეტურ ენას ხალხისათვის მისაწვდომად ამუშავებდა. ამით იგი ქმნიდა სალიტერატურო ენის ხალხურ კოლორიტს.

ილია ჭავჭავაძე არ ცდილობდა ლექსის გარეგნული გამდაბიურება მოეხდინა. „აჩრდილის“ ავტორმა ხალხურობა უფრო პოეზიის შინაგან სამყაროში დაამკვიდრა, სალიტერატურო ენა გაუმწინდა, გაახალსა და ეს გაახალსებული სალიტერატურო ენა მაღალ პოეტურ ხარისხში აიყვანა. მისი მუშევრებით და მისი სარდლობით ჩვენმა პოეტებმა ქართული ენის ხალხური ყაშირი გატეხეს, ასწიეს ახალი ფენები ენისა მთელ საქართველოში, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში საქართველოს მაღალ განსაზღვრულ წრეში ჩაეკეტლ სამწერლო მეტყველებას კარი გაუღეს და ახალი დიდი ენობრივი ფენები მწერლობაში შემოიტანეს, მისი პოეტური ორგანიზება მოახდინეს.

## სოლომონ ტაიშვილი

### მთი მოგზაურობის ისტორიიდან

თანამედროვეთა ცნობების მიხედვით ილიას მოგზაურობა არ უყვარდა. მაგრამ ვინც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გასაცნობია, ის დაგვემოწმება, რომ ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ თუ არის მართალი. ილია ზედმეტად იყო ლატვირთული საზოგადო საქმეებით, რაც მის ბოჭყადავად, ადგილზე ამარტრებდა და თავისუფალ დროსა და მოცალეობას არ აძლევდა. მიუხედავად ამისა, აუცილებელ შემთხვევაში იგი მაინც ახერტრებდა მოგზაურობას.

ასეთ აუცილებელ შემთხვევად მიიჩნია ილიამ სამეგრელოში მოგზაურობა 1885 წელს. ეს ის დრო იყო, როცა ცარიზმისაგან გათამამებული შვარტზმელი აგენტები და მათ მიერ მოსყიდული ადგილობრივი პოლიტიკანები ისე შორს წაიღიდნენ, რომ ენერგიულად დააყენეს სამეგრელო-სამურზაყანოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის საკითხი. ადგილობრივი მოსახლეობა წინაღუდგა ამ განზარტხვად, დრტვიანვდა და ქომაგს ეძებდა. მოწინავე ქართული პრესა, რამდენადაც შესაძლებელი იყო იმდროინდელი ცენზურის პირობებში, იბრძოდა, პრობაგანდას ეწეოდა, სიმართლეს ლაღაღებდა, მაგრამ თვითმპყრობელობა თავის ხაზს ანეთარტრებდა; ერის მესაღლაყენი ძაღმოცემული ფერტხულს უღლიდნენ, „ახალი დამწერლობით“ ახალ სახელმძღვანელოს ადგენდნენ ამ მხარის სკოლებისათვის, რასაც ზოგიერთი ექსცესივად მოჰყვა შვარტზმელთა წინააღმდეგ. საუბრო იყო საქმეში აეტორიტეტის ჩარევა და ტაქტიკური მოქმედება, მაგრამ ამისათვის ერთგვარი საბაბი უნდა გამოჩენილიყო. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა ეს საბაბიც მალე აღმოაჩინა.

იმხანად ბეტერბურტში ცხოვრობდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის შემყვიდრე ნიკოლოზი. იგი, უგანათლებულეს თავად მინგრელსკად წოდებული და იმპერატორის ამალის გენერალი, მთავრობის წრეებში დიდი აეტორიტეტით სარტგებლობდა. ამისთან დი-

დად განათლებული პიროვნება იყო — ბარიზში აღზრდილი, ენების მცოდნე. თუმც თავისი ოჯახური მღგომარეობით გადაგვარების გზას ადგა, მაგრამ პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი-შვილი, ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის შვილი და ყრმობაში იფანე კერესელძის შვიგირდი გულით მაინც ქართველი იყო და ქართველ მოღვაწეებთან არ წყვეტდა მჭიდრო შეგობრულ ურთიერთობას.

სწორედ ნიკო დადიან-მინგრელსკის სთხოვა ქართველმა ინტელიგენციამ, საყუთარი აზრი გაიკითხვით ამ წყეულ საკითხზე. მასთან მეგობრული მიმოწერა იკისრა მისმა მახლობელმა ნათესავმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ვასილ მაჩაბელმა — იფანე მაჩაბლის ძმამ და ილია ჭავჭავაძის უახლოესმა მეგობარმა. ამ მიმოწერის პირველი შედეგი ის იყო, რომ ნიკო დადიანმა მამის ახალდაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრტელებელ საზოგადოებას“ გადასცა თავისი მამის დავითის ბიბლიოთეკა, რომელიც იმხანად მთელ საქართველოში ყველაზე, უმდიდრესი საცავი ყოფილა როგორც უნიკალური ხელნაწერი ფონდებისა, ისე ქართული წიგნის კოლექციისა. 1885 წლის 28 თებერვალს ნიკოს წერილი შეუტყობინებია ვ. მაჩაბლისათვის, კარგა ხანია გადაწყვეტილი მოქონდა მთელი ბიბლიოთეკა გადაემცა წერა-კითხვის გამავრტელებელი საზოგადოებისათვის და შემდეგ სთხოვს: წერა-კითხვის გამავრტელებელი საზოგადოების მიერ ამორჩეულმა პირებმა და „დროების“ რედაქციამ მიმართონ ადგილზე ჩემს სანდო პირს კ. დ. ნიყარაძეს, რომელსაც უყვე მივეცი განკარგულება ბიბლიოთეკის ფონდების მათთვის გადაცემის შესახებ; ბოლოს დასტენს: თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით „საზოგადოება“ მოუტრანს რაიმე სარტგებლობას ჩვენს სამშობლოს, მით შეგვრაცხ თავს ბედნიერად.

ეს იმდენად დიდი საბაბი იყო, რომ ილია დაუყოვნებლივ შეუდგა განზარტული მოგზაურობის





თადარიგს ძვირფასი სივანძურის ადგილზე ჩასაბარებლად. ამისათვის ილიამ შექმნა კომისია, რომელიც შედიოდადენე: თეთონი ილია, როგორც თავმჯდომარე და ხელმძღვანელი, ვასილ მაჩაბელი, დავით ერისთავი, გიგა ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი, სიმონ ლომოვრიძე და იონა მუუნარავი. კომისია უწინარეს ყოვლისა გაემართა გორის სასახლისაკენ, სადაც დატული იყო ხელნაწერთა უნივერსალური ფონდები, რომლებიც ადრე დატული ყოფილა ზუგდიდის სასახლეში. მ. ბროსესა და პლ. იოსელიანის ცნობით მთავარ დადიანს აქ მშვენიერი მუზეუმი ჰქონია. 1854 წ., თურქების შემოსევის გამო, დღოფასა და ვრ. დადიანს ეს განი უშოშარ ადგილას — გორის სასახლეში გადატანიათ და შემდეგშიაც ხელნაწერების ძირითადი ფონდი აქ დაუტოვებით. დასახლებული კომისია ამ სასახლეს ეწვია. ფონდების აღწერა-ჩაბარებას დიდი დრო არ დასჭირებია, რადგან მთელი ბიბლიოთეკის აღწერილობა-კატალოგი წინასწარ შეუდგენია ჩვენს სასიქადულო პოეტს ავაკი წერეთელს („დროება“, 1885 წ., № 60).

გორის სასახლეში დატული ფონდის ჩაბარების შემდეგ კომისიის სამა წევრმა — გიგა ყიფშიძემ, სამსონ ყიფიანმა და სიმონ ლომოვრიძემ ეს ძვირფასი ტვირთი ცხენებს აკიდეს და ქუთაისის გზით თბილისისაკენ გაემგზავრენ, კომისიის დანარჩენი წევრები კი მექი ფაღვას მიუწვევია ბანძაში. იონა მუუნარავი თავის მოგონებებში წერს: ილია ისე გამხიარულდა ბანძას მექი ფაღვასას და ჩემთან ცაიში, რომ სულ „ფარინა-ფარინა“ იმღერა და ფერხულით გული ჯერავო. ილია ჰვაკვაჰაის ბანძას ყოფნა და ნიკო და მექი ფაღვავებთან გამართული დიდი ნადიში აღწერილი აქვს ჩვენს სახელოვან მწერალს, ამ ამბების თვითმხილველს შალვა დადიანს და ამაზე აქ აღარ შეგჩერდებით (იხ. მისი მოგონებები — „ჩემი მარა“, გვ. 8).

მექი ფაღვა საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და იურისტი იყო ქუთაისში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მას ს. ბანძაში კარგა გაპართული სახლ-კარი ჰქონდა, სადაც ხშირად იწვევდა ზოლმე ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ცხადია, ილია ჰვაკვაჰაის სტუმრობას თავს არ აარიდებდა. პირიქით, ის საგანგებოდ ჩავიდა ქუთაისიდან ბანძაში და ილია და მისი თანხლები პირები წინასწარ მიიწვია. ამ წვეულებაზე თავი კაცი იყო ნიკოლოზ ტარბილის ძე დადიანი — ცნობილი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და ილიას დიდი მეგობარი, რომელიც პირველი შეგხდა ფაღვას ეზოში ცხენით შემოსული ილიას, ცხენიდან ჩამოიყვანა და გადაიხვია.

ბანძაში ნადიმის დამთავრების შემდეგ ილია და მისი მხლებლები, რომლებსაც შეუერთდნენ ნ. და მ. ფაღვავები და ნ. დადიანი, ზუგდიდისაკენ

გაემართნენ. მათ გაიარეს ნოქალაქეჭორის არქეოპოლისი, ქუჯვის ან გოჯას ციხე, ლი სენაკი, სადაც ზუგდიდიდან ი. მუუნარავის გამოგზავნილმა კაცებმა მათ ცხენები შეაგებეს. მთელმა ამაღამ გაიარა ახალ-სენაკი, ხეთა-ცაიში და ზუგდიდს ესტუმრა. აქ მათ დაათვალიერეს ეკატერინესა და მისი ვაჟის ნიკო დადიან-მინგრელსკის სასახლები, სადაც ინახებოდა ნახეკედი და ხელნაწერი წიგნების საკმაოდ მდიდარი და ძვირფასი ბიბლიოთეკა. ამ ფონდების ნაწილი წერა-კითხვის საზოგადოების კომისიამ ჩაიბარა და თბილისში გასაგზავნად გამოაღწია. ეს იყო ქართულ ხელნაწერთა უნივერსალური ძეგლების ის საგანძური, რომლიდან ყვარა საფუძველი ჩაეყარა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმსა და ბიბლიოთეკას. იგ. მაჩაბელმა თავის ვაზეთ „დროებაში“ ამ ფაქტს უძღვნა მეთაური წერილი სათაურით: „მართალი და მეფური შეწირულება“, ხოლო 1886 წ. ისტორიკოსმა დიმი. ბაქრაძემ ვაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე მოათავსა მისი სრული აღწერილობა; ამჟამად ეს ძვირფასი კოლექცია ამღიდრებს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების S ფონდებს.

ზუგდიდის სასახლეში მყოფი კომისიის წევრები, აგრეთვე ადგილობრივი ინტელიგენცია და სხვა საპატრო პირები (30 კაცამდე), იონა მუუნარავის მიუწვევია ზუგდიდის სამხრეთ დასავლეთით 10 ქ. ე. წ. ზუგდიდ-სენაკის გზატკეცილზე მდებარე სოფ. ცაიში. იონას მამა, აზნაური მიხეილ პეპეს ძე მუუნარავი იმხანად ცაიშის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იყო, საკმაო შეძლების მქონე. მას სიამოვნებით მიუღია სასახლეში შვილის სახელოვანი მეგობრები, განსაკუთრებით ილია ჰვაკვაჰაე, რომლის ვაზეთ „ივერიის“ შემდეგ თვითონ მიხეილიც თანამშრომლობდა მ. ცაიშელის ფსევდონიმით.

ამ სტუმრობის შესახებ საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დატულია დირსასახლგარი ნადიმის დამსწრეთა მოგონებანი. მოგონებათაგან აღსანიშნავია ი. მუუნარავის კარის მეზობლის ზურაბ ჭირიას მოგონება. „არ მახსოვს თუ რომელ წელს მოხდა ეს ამბავი, — იფანძვს იგი, — ისე კი ნამდვილად 35 წლის მეტისა თუ არა, ნაკლებისა არ ვიქნებოდი, როცა იონა ესტუმრა მამამის თავისი მეგობრებით. მათ შორის იყო ილია ჰვაკვაჰაე, ერისთე (დავით ერისთავის „სამშობლოს“ ავტორის გეარს ასე გამოთქვამს — ს. ც.), მაჩაბერი (ალბათ, მაჩაბელი. — ს. ც.), ფაღვავები, ბატონიშვილი (ალბათ ნიკო დადიანი, რადგან სამეგრელოში დადიანს ყველგან ასე გამოთქვამენ. — ს. ც.) და სხვა დიდი კაცები. სულ 20 — 30 კაცი იქნებოდა სტუმარ-მასპინძლიანად. მე, როგორც კარის მეზობელი და მასთან როგორც მიხეილისაგან მიწონებული ახალ-



გაზრდა, ამ სტუმრების მოსამსახურედ ვიყავი დაყენებული. ჩემთან ერთად იყვნენ იონას ძიძიშვილები საბაია, ანტონია და გუჯა ქირიები. გაზაფხულის თვე იყო, მგონი აპრილის პირველი რიცხვები.

იონას აღერ ეცნობებინა მამისათვის, ამა და ამ დღეს მოვიღივარ და ესა და ეს კაცები მომყავს სტუმრადო. მიხეილმაც დაგვატრიალა. მეუღლემ მაშინ მკვდარი ჰყავდა. ქალებიც გათხოვილი იყვნენ. მარტო, ზებოვით ცხოვრობდა იმ ეპიტკირის თითრ სახლში, რომელიც ახლაც დგას მათს ეზოში... ლხინი რომ გამართა, ერთი დღეა ხარი დაჰკლა, რამდენიმე ცხვარი; გოჭებს, ინდაურებსა და ქათმებს ხომ არავინ თვლიდა. ორი მზარეული მუშაობდა, ორივე ზუგდიდიდან მოყვანილი. მათ ენმარებოდნენ მეზობლის ქალები და სხვა სავაჭეო საქმეები ჩვენზე იყო მონდობილი. ამ დღისათვის მიხეილმა მოიპატიოვა ახლომახლო სოფლებიდან წარჩინებული და საბატო პირები: აფაქიძეები (ბეჟან, დათა, მიხეილი), ანაბაძე, მუხიძე და სხვ. მომღერლები სპეციალურად შეაგროვა სოფლის ახალგაზრდობიდან, ზოგიც ზუგდიდიდან და ზოგიც ხეთიდან მოიწვია. ყველანი სუფთად და ლამაზად ჩაცმულნი იყვნენ, რასაკვირველია, ჩოხთა, ზმალ-ხანჯალითა, დამბახებითა და სხვა შესაფერი მოწყობილობით. ყველა ამას მიხეილის ძმა გიგო ხელმძღვანელობდა. მომღერლებში თავი კაცი ვიღაც ჩიქვანი იყო — ზორბა, მსმელი, მოლაპარაკე და ლამაზი სახისა. მთელი სოფლისა და ახლომახლო მცხოვრები ლამაზი ქალები აქ მოაყვანია მიხეილმა. ზოგი მეჩინებურე იყო, ზოგი მოცეკვავე, ზოგიც კარგი მომღერალი.

სტუმრებს ჯულს (მდინარეა. — ს. ც.) ვაღმა მივიტყევი. ეზოში რომ შემოვიდნენ სტუმრები, მათი ცხენები ჩვენ ჩავიბარეთ, რომ მათთვის წესიერად მოგვევლო, გვეძოვებინა, დამეც „აგვარაში“ (პირტუყვთა ერთგვარი ბანაი. — ს. ც.), შეგვენახა და ქურდობისაგან დაგვეცვა, რაც მაშინ ძლიერ გახშირებული იყო.

სტუმრები კიბესთან შეხვედრილ მიხეილს მიესალმნენ, ზოგმა გულზე აკოცა, ზოგმა ხელზე და შუბლზე. ილიამ გულზე აკოცა... შავი, რუსული ტანსამოსი ეყვა... მიხეილს დიდხანს ესაუბრა. საუბრებზე დგინო არ დაღია. როცა წაიოიშალნენ, ეკლესიის დათვალიერება მოისურვა. მიხეილაც გაუვა. ერთი მღვდელი, გვარად კუკავა, წინასწარ გაგზავნა და ორი დღეკანიც, გახარია და მაქსიმარიც დაადგინა, რომ ტაძარი გაეღოთ და წაესაღებ დახვედროდნენ... როგორც ამბობდნენ, ილიას ძლიერ მოსწონებია ტაძრის მოვლილობა, სისუფთავე, მასში დასვენებული ხატები და ძველი ნივთები. მოგინთ ტაძარში დაკრძალული მთავრის ბავშვების (ეკატერინე ჰაუკავაძის შვილები. — ს. ც.) საფლავთა წარწერები ყველა წაუკითხავს, დაუთვალიერებია ტაძარი როგორც შვინიდან, ისე გარედან; განსაკუთრებით მოს-

წონებია ეზო, მასში მდგარი ორი დიდი ციციშვილი და კაკლის ხე თავისი საჯიბითო მოვლილობით სადაც ყოველი წლის 8 სექტემბერს იმართებოდა სოფლის დღეობა.

სტუმრები რომ დაბრუნდნენ, სუფრა გაწყობილი იყო და სადილობაც დაიწყო. თამარბა ჰებუ ეორდანიას დედისრა, რომელიც გვარიანი მოქართულე იყო; მომღერალი და მოქეიფე ხომ იყო და იყო. ლხინი დიდხანს გაგრძელდა, თითქმის შემოათენდა. ილიამაც რამდენიმე ყანწი მიირთვა ოჯალეშისა, ძლიერ გამხიარულდა. ყველაზე მეტს ერისთე, დიდი ზორბა, ლამაზი კაცი, სათვალეიანი, ოხუნჯობდა, მისი ლაპარაკი ყოველთვის დიდ სიცოცხლეს იწვევდა, უმთავრესად რუსულად ლაპარაკობდა; მერუსული ეს არა, ქართული ძლივს მეყურებოდა, ამავე დროს სუფრასთანაც არ ვიჯექი, როგორც მოსამსახურეს, ხშირი შესვლა-გამოსვლა მიწვევდა და მაშინ თუ მოგვრავდი რასმე ყურსა და თვალს. სიმღერა გაჩაღდა, რასაც ცეკვა მოჰყვა. ცეკვაში ილიაც ჩაერთა. ფერხული მოითხოვა. თვითონაც ცეკვავდა და ყველანი ჩაგვბა. წრე ისე გაიზარდა, რომ დარბაზში არ ეტეოდა. თამარბა მოითხოვა, ვინაიდან ფერხულს დიდი დარბაზი უნდა, უმჯობესია ხევისათვის გადავვლოთ და რაკი ეზო ფართოა, აი იქ გავმართოთ ფერხული; მაგრამ ილია არავის უყურებდა. მას ძლიერ მოეწონა მეგრული ფერხული და თუმცა თვითონ ვერ მიღერა, ფეხი მაინც ააყოლა, რამაც უჩვეულო მიხარულება, სიცოცხლე და ქუდების ქერში სროლა გამოიწვია.

ილია განსაკუთრებული გულსყურით უსმენდა ჩონჯურსა და სიმღერებს. არ მახსოვს თუ რომელი სიმღერა იყო, რამდენიმეჯერ გამეორებინა მეჩინებურე ქალს და თვითონაც კი ააყოლა ხმა.

შეზარბოშებულმა ილიამ ერთი კახური სიმღერაც წამოიწყო. ამ სიმღერიდან მხოლოდ ერთი სიტყვა დამახსოვდა დღემდე. ეს არის „ფარიონა-ფარიონა“, რითაც სიმღერის ყოველი ბოლო თავდებოდა. ილიას ხმა ააყოლეს ერისთემ, მანჩაბერმა, ფალევამ, ბატონიშვილმა, იონამ და სხვებმაც. შესანიშნავი სიმღერა იყო. ეს სიმღერა შემდეგ ორდევ გადასხვაფერდა ჩვენში, „ფარიონა-ფარიონას“ ემაობდით; იგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ დაიფიყებია ჩვენს კუთხეს. ილიას სტუმრობის მოსაგონარად მას ყოველ შეკრებილობაზე და სუფრაზე ვმღეროდი...

მეორე დღეს, დილით, მეორე ძილისა და დასვენების შემდეგ, სუფრა ეზოში გაიშალა. მიხეილმა თხოვა სტუმრებს კიდევ ერთი დღე დარჩენილიყვნენ, მაგრამ ილიამ უარი თქვა, წასვლა უნდა მოეხდინებინათ; ცხენების შეკაზმვა მოითხოვა, რაც უმაღლეს იყო შესრულებული. მასპინძლებმა თხოვეს სტუმრებს, დასწრებოდნენ ჯიბითს. რაც ტაძრის მოედანზე გაიმართა. ილია სიამოვნებით დათანხმდა და მოედნისკენ გასწიეს, სადაც



უამრავი ხალხი იყო მოგროვილი. საბატიო ადგილას მდგარმა ილიამ დიდხანს უტყვირა ჯიბითს, რომელშიც გაიმარჯვეს დ. აფაქიამ, ხეთელმა, კობახიამ და ჩიქვანმა.

ილია ყველას საითათოდ დაგვემშვიდობა, ზოგს ხელი ჩამოეკაროთა, ზოგსაც პაეროვანი კონცა გვიძღვნა. მეშვირე პეტრე მეუნარგამ მეგრულად მიუღქმსა. ლექსში გამოთქმული იყო დიდი მადლობა, რომ სტუმრობის ღირსი ვაგვხადა, მაშვერელო ვაბედნიერა, ვახანა და აგრძობინა სამეო ჩვენს კუთხეს, რომ მართო არა ვართ, არამედ საქართველოს საუკეთესო შვილები ჩვენზე ზრუნევენ. ამავე ლექსში ისიც იყო ნათქვამი, რომ ილიამ რუსთაველი მუგს შეადარა და მისი ვეფხისტყაოსნის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი, იონა — მთვარეს, რისთვისაც უღრმესი მადლობა მოახსენა, ვულზე ეამბორა ძვირფას სტუმარს, შემდეგ უზანგი დეუკირა და ცხენზე შესვა.

ილიამ ერთი მაგარად მოიქცა მათრახი და ცხენი კარგა მანძილზე გააჯიროთა, მანჩაბერმა კი ეზოდან ჯუმამდე მიჰქენა თავისი ცხენი. ჯუმს გაღმა ყველანი შეიყარნენ, ნაწილი ცხენოსნებისა ზუგდიდისაკენ გაემართნენ, ნაწილიც სენაკისკენ...

სტუმრების წასვლის შემდეგ ლხინი ჩვენ განვარკთ, მიხეილი თავს ვვადა, სიმარჯვეს, ზრდილობას და გულკეთილობას გვიქებდა, თანაც გვიხსნიდა თუ ვინ იყენენ იონას სტუმრებზე განსაკუთრებით ილია ჭკუქავაძეს აქებდა, რომელსაც მეორე დილას, ეზოში გაშლილ სუფრაზე უთქვამს: **ს ა მ გ რ ე ლ ო შ ი მ ო კ ე დ ი და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ვ ნ ა ხ ე ო .**

მიხეილი ალტაცებული იყო ამ სიტყვებით და ამბობდა: ჭკუქავაძე დიდი ბრძენი და ჭკვიანი კაცი ილია, იცის თუ სად რის თქმაა საჭირო. ეს სიტყვები ახლა ჩვენი კუთხისათვის მალა-მოაო.

ღიმიტის მატახერია ზემომოყვანილ ნამაობს დაურთავს: მე სწორედ იქ ვიჯექი და „გახსოვს ტურფას“ ვმღეროდი, როცა ილიამ ეგ მარგალიტი სიტყვები თქვაო; ერისთავმა ვაშა-ვაშა მიაძახა და სიმღერა და ჩინგური ტაშისცემამ დაფარაო. ილიამ ავრეთვე ისიც თქვა: ძალიან მომეწონა ამ მხარის მოსახლეობა, ეზოების განლაგება, სისუფთავე, სახლები, მცხოვრებთა ზრდილობა და მეტადრე სიმღერებით.

იონას ძიძიშვილები გუჯა, ლევან და მარკოზია ქირიები აღნიშნავენ: ჩვენ ერთი კვირით ადრე ვიყავით ვაფრახილველი მიხეილისგან, იონას ქართლან (თბილისიდან. — ს. ც.) საპატრიკეპო ამხანაგები მოყავს და რაც შეიძლება პატრიე უნდა ვცეთო. ოჯალუმის ღვინო ჩვენ მოგიტანეთ ჭკადუაშიდან, სალომე დადხემ (დაიანის ასული-მიურატისა. — ს. ც.) გამოუგზავნა... ამ სტუმრობის შემდეგ დეკანოზის ოთახში სულ მუდამ ეკიდა ილია ჭკუქავაძის და რაფერისთავის სურათებით (რაფელი ერისთავი ჯერ

კიდევ ადრე, 60-იან წლებში, მახრის უფროსად იყო ზუგდიდში და ხალხის დიდი სურვილით დაიშახურა. — ს. ც.)

ილია კოსტას ძე მეუნარგის მამის გადმოცემით უამინდო: ილიას არ მოსწონებია, რომ ციწის ისტორიული ტაძარი ყავრით იყო გადახურული და უთქვამს: არ სჯობდა კრამიტით გადაგხურათო?! მიხეილმა ამის შემდეგ მართლა მალე ჩამოაყრევინა ეს დაძველებული ყავარი და ცისფერი ციწით გადახურა. მისივე გადმოცემით, ილია ძლიერ დაინტერესებულა პეპუა მეუნარგის (იონას პაპა, მოქანდაკე. — ს. ც.) მიერ გაქვდილი ხატებით და უთხოვია მათი დათვალიერება; როცა ტაძარში შეიყვანეს, ყველა ხატი დაათვალიერა და წარწერებიც წაიკითხა. ილიას დიდად მოსწონებია აგრეთვე ციწის სურბებზე შეფენილი კეთილშობილი დაფნის ტყეები და იონასთავის უთხოვია, ამის სანერგეები ჩამომიტანე თბილისშიო. დავით ერისთავს ამაზე უხუმრია, ილია სადაც არ უნდა მივიდეს, ყველგან მეურნეობა უნდა წამოიწყოსო. ილიას უპასუხნია: თქვენ არ იცით, რა ძვირფასი და სასარგებლოა კეთილშობილი დაფნაო. ილიას როცა ხელი ჩამოურთმევია მამაჩემისთვის, — გადმოგვეცემს იგივე მიზნობები, — და მკერდზე გჯვარი შეუნიშნავს, უკითხავს, სად მიიღეთო. როცა მოუხსენებია, 1878 წ. თურქებთან ომშიო, ილიას მხარზე ხელი დაუთათუნებია მათთვის და უთქვამს: ყოჩაღ, აღუ უნდაო...

ლალი (ვლადიმერ) დეტუს ძე მეუნარგია ყველა ამ ცნობას ადასტურებს და თავის მხრით დასძენს: ილია რომ ციწიში მოიყვანა იონამ, მე მაშინ 10 — 11 წლისა ვიყავი, ყველაფერი მახსოვს; ილია თავისი მზღვლებით ესტუმრა ჩვენს სკოლას, რომელიც მაშინ სამხედრო ყაზარებში იყო მოთავსებული; მოსწავლეებს მოგვესალმა, მაგრამ რაჯი ჩვენი მასწავლებელი თოდა ამორტია (ენობლი შვარაზმელი და პროვოკატორი. — ს. ც.) ბინიდან არ გამოვიდა და არ შეეგება, ისიც მალე გაბრუნდა და სენაკისაკენ მიმავალ გზას გაუღდგენო.

ციწიდან წამოვიღო სტუმრებს ღამე დაბა ახალ-სენაკში გასუფთავი, თემიურაზ კაკაბაძის სასტუმროში; იონას უბის წიგნაკში აქვს ჩაწერილი, რომ სასტუმროს მეპატრონე კაკაბაძე აღფრთოვანებით შეხედა ილიას ამგვარ სტუმრებს. არც ღამის გასათევი და არც ვაშა-ვაშა-სულუმისა არაფერი აუღია (რესტორანიც იქვე ჰქონია). ილია ჭკუქავაძე მესტუმროს და ქირა გადავხადვევინო, მაშინ ან რა მეგრული (კაკაბაძეები მეგრელებიც არიან, სამურზაყანოში მოსახლეებს კაკაბაძიძისა ეძახიან. — ს. ც.) ვყოფილვარ, ან სად ვავახილო თვალიო, — უთქვამს, — ილია ჭკუქავაძე უბრალო ვინმე არ ვეცინითო, მეფის ტოლი კაცია, მისი სტუმრობა დიდად სასახლოაო. მთელ თავის სიცოცხლეში ის ჰქონდა სატრიაზოდ თურმე, იონამ ილია ჭკუქავაძე მე მომიყვა-





ნა, იცოდა, რომ მე ვეყავი იმის სტუმრობის ღირსიო. ამის გამო ის დიდად მადლიერი იყო თურმე იონასის და მუდამ მისი პატივისმცემელიც. მეორე დღით ამგვარი მასპინძლობით მეტად ნასიამოვნები საპატიო სტუმრები ფთის მატარებლით თბილისს გამოგზავნულან.

ილიას ამ მოგზაურობამ ხალხი აღაფრთოვანა და გაამხნევა, ხოლო მტრის ბანაკი ძალზე დააფრთხო. შავრაზმელები ამოძრადნენ, დაიწყეს სიიღმლო და კონფიდენციალური მიწერ-მოწერა. ერთ-ერთ ასეთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ძველი სენაკის ქართულ სკოლაში თითქმის ყოველდღიურად იკრიბებიან დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია, ნიკო ტარიელის ძე დადიანი და სხვ. და აწყობენ გემას, თუ როგორ ააჯანყონ ხალხი 1885 წ. 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგო; ასე რომ, დამბეზღებულს თუ დაუჯერებდა კაცი, თურმე ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი ყოველდღე სენაკში დადიოდნენ; ან კიდევ აკაკი წერეთელი და იონა მეუნარგია მოკვლას ემუქრებოდნენ „ახალი იდეისათვის წამებულ“ თ. აშორტიას, რომელიც შეეღას თხოვდა მთავრობას. დამბეზღებულები მთავრობას აცნობებენ აგრეთვე ილიას ამ მოგზაურობის მიზანსა და ამოცანებს, აგრეთვე ასახელებენ ადგილობრივ ინტელიგენციას, რომელიც ასე თავგამოდებით იდგა ილია ჭავჭავაძის პოზიციაზე და გააფრთხებით იბრძოდა ცარიზმის აგენტურის ხრიკების წინააღმდეგ (იხ. ცენტრარქივის მასალების ფ. 107, საქ. 1723).

ილიას ეს მოგზაურობა და მისგან თქმული სიტყვა ჭრილობაზე მალაშის დადება იყო. ამას მოჰყვა მეორე სასიხარულო ამბავიც: იმავე 1885 წ. 17 აპრილს ნიკო დადიანი (მინგრელსკი) ვასილ მაჩაბელს სწერდა, მივიღე შენი გამოგზავნილი წერილები და დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ ყველაფერი რიგზე ჩატარებულაო. მაგრამ ძლიერ წყენას გამოთქვამდა რუსიფიკატორ მოხელეთა თავგასული საქციელის გამო და იმავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავდა: „მე წაიფითხე ის სტატიები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეგრულ ენასა და ქართულ ენას შორის მსგავსება არ არისო... მე ამას ვიტყვი: ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც ამას ამტკიცებენ, სრულიად დაბნეულნი არიან. ჯერ ჩვენი ენა ისწავ-

ლონ და მერე სწერონ... ჩვენდა საბედნიერად ჩვენს ხალხს აქვს თავისი საკუთარი სწორი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავენებს ჩვენს წინსვლას. ხალხს მაშინ ვაიცი-ნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს, ან იმ ხალხის ენაზე ლაპარაკობს. ამას გარდა ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე სამეგრელოს, იმერეთს და გურიას ვუყურებ როგორც საქართველოს ბრძოლიერებს. ჩვენს შორის განსხვავება არ არის და არც უნდა იყოს; ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოგვედები. ის-ღა გვაკლია ახლა, რომ ვინმე გადამთიელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ენაზე, ან ქართული გვასწავლოს. ეგების ამასაც მოვესწროთ“.

იმპერატორისაგან დიდი ნდობით აღჭურვილი პირის ამგვარი აზრის საჯაროდ გამოვლენებამ (ეს წერილები შემდეგ ვახეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა) და ილიას დროულად მოგზაურობამ ამ მხარეში მესაფლავებთაგან დანიშნულ კოცონს ცივი წყალი გადაასხა. ამიერიდან ხალხმა სულთათნა უმღერა ცარიზმის დამქაშთა შეგზნელ ზრახვებსა და უკუღმართ გვეგებს. მართო დიდი ილიას ზეთი სიტყვა — სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეთ... რად ღირდა! ეს სიტყვები ელვის სისწრაფით მოედგა მთელ მხარეს და ისეთი სიმზნევე და აღმაფრენა გამოიწვია, რომ ბოლოა მოხელეების ვერც ერთი, თუნდაც „კონფიდენციალური“, მოხსენება ვერ დააცხრობდა მისგან გამოწვეულ აზვითებას. აქი კიდევაც საშუალოდ ჩაიფულა ცარიზმის უღღერ დამქაშთა და ერის მესაფლავეთა ეს უკუღმართი სურვილი და ცდა.

ასეთი იყო ჯანი და სიმტკიცე, გაელენა და სიძლიერე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მებრძოლისა და სახელოვანი მწერლისა, რომლის დერიტა იყო მართალი აზრი და ნების სიმტკიცე ერის სამსახურში. ამიტომ ამბობდა ვაჟ-ჟმაველი:

სამირკვლად აზრი ჩაავდე,  
ზედ დასდგი გრძობის ტაძარი,  
მან გააბრწყინა სხელებით  
ჩვენი საშობლოს მთა-ბარი!



## ნიკოლოზ კანდელიძე

### ილია ჭავჭავაძე, რომიც მჭვრეტეა

ი. ჭავჭავაძის სიტყვაჯამული შემოქმედების მდიდარ საგანძურს ამშვენებს და თავისებურ იერს აძლევს შესანიშნავი ორატორული მემკვიდრეობა, რომელიც თავისი ღრმა იდეური შინაარსითა და მაღალმატრული ფორმით ქართული მჭვრეტეელების კლასიკურ ფონდს განეკუთვნება. ეს საკმაოდ ვრცელი და მეტად ორიგინალური ორატორული შემოქმედება საგანგებო შესწავლის ღირსია.

აქ კვლევა-ძიებას, დადგენასა და ნათელი ფასის მოითხოვს ცოცხალი სიტყვის მრავალი ნიშნობილი მხარე. მთ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მჭვრეტეელების იდეური არსი, ლექსიკური საუნჯე, გრამატიკული ფორმა, მხატვრული ისტატობა, შესრულების ტექნიკა და ა. შ. ამ მხარეების მიზანცნობიერი გაერთიანების ხელოვნება და მისგან მიღებული შედეგი განსაზღვრავს ყოველ ორატორულ ქმნილებას.

ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენ ქვემოთ ი. ჭავჭავაძის მჭვრეტეელებს.

• •

ილია ჭავჭავაძეს ხალხი მიანდა ენის უმოთაგრეს და თვდაირველ შემოქმედად. „ხალხია ენის კანონის დამდები“, — წერს იგი. ხალხი ქმნის ენის ზეპირ სახეობას. ამით აიხსნება ილიას დიდი ყურადღება ზეპირი მეტყველებისადმი. ვინც ხალხს აღიარებს ენის წარმოქმნელად, მისთვის ზეპირი მეტყველება უნდა წარმოადგენდეს უპირველესი ყურადღების საგანს. „ჯერ ხალხს მოაშლეინეთ ეგრეთ ულოლიკო ლაპარაკი და მერე მე“, — ირონიულად შენიშნავს ილია თავისი მოწინააღმდეგის საპასუხოდ. ამრიგად, ზუნებრივად უნდა გვეჩვენოს დიდი მწერლის დაუცხრომელი ზრუნვა, რასაც ის იჩენდა მეტყველების ზეპირი სახეობის მიმართ.

ასე, მაგალითად: მუდმივი ქართული დრამა-

ტული დასის შექმნასთან დაკავშირებით 1879 წელს ილია წერდა: „ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის სააშური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვიწყდა ყოველივე, რაც ენის შენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენი ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენი ენით აღარ თბება“<sup>1</sup>.

ზეპირი მეტყველების უმაღლეს მჭვრეტელს წარმოადგენს მჭვრეტეელება. ზეპირად გამოთქმული აზრის უმჯობესი გამოხატველი არის მჭვერი სიტყვა, რომელიც თავისი ბუნებით ხელოვნებამდე მაღლდება. ცოცხალი სიტყვის ძალა ცნობილია თავისი ექსპრესიული ზეგავლენით და ზემოქმედების ღრმა კვალით.

მჭვრეტეელების ასეთი ძალა, ცხადია, თავიდანვე ცნობილი იყო ილიასათვის. ამიტომ ივეურებოდა ის ქართულ ცოცხალ ლაპარაკს, იცავდა მას ყოველგვარი სახის მტრული ხელყოფისაგან და ახდენდა მის ფართო პოპულარიზაციას.

აი, რას წერს ილია აკაკი წერეთლის მიერ 1882 წელს ქალაქ თელავში წარმოთქმული სიტყვის შესახებ: „ამაზეღ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზე. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა და ცუდია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასკრას, როგორც მოქმელს განუზრახავს, — და აზრმა და გრძნობამ იმ გზით

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა (ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, პ. ინგოროყვისა და ალ. იბაშელის რედ., ტფილისი, 1927 წ., გვ. 45 — 46).



მილიონის დანიშნულ ადგილამდე, როგორც მოქმედი სურვებია<sup>1</sup>.

ილია თავიანთი მნიშვნელობით ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა ცოცხალ სიტყვასა და სიტყვა-კაზმულ შუერლობას. აქ მისთვის მხოლოდ გარეგნული სხვაობა იყო.

„როცა აღამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოვლთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მოქმელი და მწერალი ჰყავს“<sup>2</sup>, — ამბობს ილია ნ. ბარათაშვილის ნემსზე გადმოსწავნილ წარმოთქმულ სიტყვაში. აქ თანაბარ დონეზეა დაყენებული მწერალი და მოქმელი — წერითი და ზეპირი მეტყველების ფორმები.

ასეთი რწმენით მოაზროვნე და მოქმედ მწერალს ზეპირი მეტყველების დიდი უნარი და ბუნებრივი ნიჭიც ჰქონდა, რასაც ერთვოდა მისი დაუცხრომელი ენერჯია, შრომისმოყვარეობა, და ყოველივე ეს აპირობებდა ი. ჰევავაძის ორატორულ შემოქმედებას.



ი. ჰევავაძე, როგორც მკვერამეტყველი, სამა მიმართულებით გამოირჩეოდა: მხატვრული კითხვის ოსტატობით, პექრობა-კამათის უნარიანობა და სახობტო-სახეიმო სიტყვის ხელოვნებით. განსაკუთრებული ძალა ილიამ პექრობა-კამათისა და სახობტო-სახეიმო სიტყვების სფეროში გამოიჩინა. მათ შორის უკანასკნელი წარმოადგენს ჩვენი კვლევა-ძიების ძირითად საგანს.

ვიდრე მას შეეხებოდა, უნდა აღვნიშნოთ ილიას თვალსაჩინო დამსახურება მხატვრული კითხვის ასპარეზზე. ეს დამსახურება იმიტოვ არის საყურადღებო, რომ შეეხება იმეამად ჩვენში სრულიად ახალ საქმეს — იტყუვაკაზმული მწერლობის ზეპირ პოპულარიზაციას, რასაც უაღრესად დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის.

ილიას კერძო წერილებში, მწერლის თანამედროვეთა მემუარებსა და სხვა დოკუმენტებში დაკულია მრავალი ცნობა, რომელთა მეშვეობით ნათელი ეფინება ქართული მხატვრული კითხვის ამ საყურადღებო პერიოდს. ეს ცნობები ეხება ჩვენი ზეპირი სიტყვის მესვეურებს, მათი ხელოვნების ხერხებს, საჯარო გამოსვლის ოსტატობასა და სამეტყველო მასალის შინაარსს. ამ გზით საქმით სისრულით წარმოიდგინება ქართული გამომეტყველებითი კითხვის სარბიელი, რომლის უმთავრესი წარმოადგენელი ი. ჰევავაძეა.

„მეფე ღირის“<sup>3</sup> თარგმანთან დავავსირებთ 1874 წელს ილია ასე სწერდა თავის მეუღლეს: „მავას კი წაკითხვა უნდა, რომ კაცმა მოიწო-

ნოს... აი, როცა მოვალ, მე თვითონ წავითხვავ და მაშინ ნახავთ, როგორი თარგმანი გქონდა“<sup>4</sup>.

გამომეტყველებითი წაკითხვის საქმეში ილიას დიდი მოთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა და უკეთესისაკენ ლტოლვა კარგად ჩანს ერთ კერძო წერილში, რომელიც მწერალს გაუგზავნია ვასილ მანაბლისათვის ქ. თელავიდან 1873 წლის 15 ივნისს. აქ ვკითხულობთ: „დღეს საღამოზე დიდი ყრილობაა და აქა ვკითხულობ ღირსა. თუ ჩემებურად გაქირი ვქენ, ვერაფერი კითხვა მომივა. ქუთაისში გამოვლავლავ წავიკითხე, ძალიან ცუდად და საძაგლად მომივიდა კითხვა... ვნახოთ ამდამდეღი ღამე რას იტყვის“<sup>5</sup>.

ილია დიდად აფასებდა, ახალისებდა და შთაავონებდა ზეპირი სიტყვის ყოველ მოყვარულს, ვინც ამ სფეროში შემართოთ თავს გამოიჩინდა. ასე, მაგალითად, ცნობილ დეკლამატორს კოლა ერისთავს ილიამ უძღვნა თავისი წიგნი საგულისხმო წარწერით:

ახვისა სიტყვა, შენგან თქმული,  
კეთდება და უფრო შეგნის.

განსაკუთრებული ოსტატობით კითხულობდა ილია საკუთარ ნაწარმოებებს. ბევრგან აღნიშნულია „მგზავრის წერილებს“, „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრისის“ ადგილების შესანიშნავი დეკლამაციო აეტორის მიერ როგორც ფართო აუდიტორიის წინაშე, ისე მსმენელთა-ვიწრო წრეში. სხვისი ნაწარმოებებიდან ილია უფრო ლექსებს მიმართავდა. განსაკუთრებით უყვარდა ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ლექსების კითხვა.

ცნობილია, რომ ილიამ თავისი პროზაული შედევი — „ოთარაანთ ქვრისი“ გამოქვეყნებამდე მკაცრ შემფასებელთა წრეში წაკითხა ისეთი ხელოვნებით, რომ მსმენელნი აღფრთოვანებული დარჩნენ ილიას კითხვის საოცარი მომხიბველობითაც.

1889 წლის 25 მარტს თბილისში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ილიას მხატვრულ კითხვას ასე აფვიწის ი. სიმონიძე (იაკობ გოგებაშვილი): „საქმე ილია ჰევავაძეზე მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზე რვეული და დაიწყო კითხვა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ დარბაზში ბუზის ფრენას ვაიფონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდე არ შენელებულა. მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნათევი მკითხველების დასს არ ეკუთვნის,

<sup>1</sup> ი. გ რ ი შ ა მ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1952 წ., გვ. 274.

<sup>2</sup> ი. ჰევავაძე, წერილები, 1, იოსებ ბოცვაძის რედ., სოსოში, 1949 წ., გვ. 51.

<sup>1</sup> ი. ჰევავაძე, ტ. VI, გვ. 253.  
<sup>2</sup> ი. ჰევავაძე, ტ. IV, გვ. 283.



მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრივი მკითხველის ღირსებითა: ხმა აქვს მუსიკალური, კი-ლო შესაფერი, ლოგიური ხმის აწევა-დაწევა რიგზე მიჰყავს, გამოუმეტყველება და მოძრაობა პირისახისა შესაბამება წყაითხვის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა მკაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობას, რომელსაც კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები<sup>1</sup>.

ასეთი იყო ილია როგორც მკითხველი.



ჩვენში კარგად ცნობილია ი. ჭავჭავაძის პაექრული ტემპერამენტი და მსჯელობის უზალო ლოგიკური დინება, რომელთა დაუჯანბნელ ძალას არა ერთხელ მოუხიბლავს ორატორის მოსაზრებათა მომხრეცა და მოწინააღმდეგეც.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ბანკის საკითხებზე ატეხილსა და ფართო საზოგადოებაში გატანილ ცხარე პაექრებაში, რომელშიაც არა ერთი და ორი ენაშპევი ორატორი მონაწილეობდა, საქმიანი კამათის მაღალი ხელოვნებით გამოირჩეოდნენ ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი.

მათ შორის ილიას ასე ახასიათებს ხსენებული პაექრობის დამსწრე და მეთვალყურე ი. მანსვეტაშვილი: „დინჯი, აუჩქარებელი, გულის არ ამყოლი. მინამ ენიდგან სიტყვა მოსწყდებოდა, მრავალჯერ მოფიქრებული, აწონ-დაწონილი უნდა ჰქონოდა. მრავალჯერ ფერადებით იცოდა სიტყვის მორთვა. თვალ მარჯვე ჰქონდა და რაწამს შეატყობდა მსმენელთა მოწყენას ანუ უსიამოვნებას, მაშინვე ფანდს იცვლიდა: მკვანხე სიტყვას ისროდა და გასაციუნებელს რასმე იტყოდა. ხან თუ მედგარი იყო, ულამობელი, შეუბოვარი, უკან დახევაც — საცა არა სჯობს, გაცულა სჯობს კარგისა გეკაცისაგან — კარგად ჰქონდა შეთვისებული. დროზე მარჯვე პასუხი, დროზე მოსწრებული სიტყვა მიხერხებულად იცოდა ილიამ“<sup>2</sup>.

ასეთი იყო ილია, როგორც მოკამათე.



ჩვენს ყურადღების უმთავრესი საგანი აქ, როგორც იტყვა, ი. ჭავჭავაძის სახობო-სახეიმო ჟანრის მკვერმეტყველებაა. ამ სფეროდან ჩვენ წინაშეა დიდი ქართველი ორატორის საქმიოდ გრცელი მემკვიდრეობა. ეს ძვირფასი მასალა მოვლილი, დაეული და შენახულია თვით ავტორის მზრუნველი ხელით და წარმოდგენილია მისივე ნაწერების გვერდით, როგორც უკვდავი შემოქმედების შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული

გარემოება ილიას ყოველ ორატორულ ნაწარმში ანიჭებს დედნის ღირსებას და თავდაპირველი ორიგინალის სახით გადმოგვცემს იმ შინა-მხარეებს, ნიუანსებსა და შეფერილობას, რომელთა წვდომა ხშირად ძნელდება სხვა გზით შენახული, ვთქვათ, სხვის მიერ ჩაწერილი სიტყვის შესწავლის პირობებში. ამ მხრივ ილიას ორატორული ხელოვნების დაუფლებიას მეტად ხელსაყრელ ეითარებაში ვიყოფებით: მისი ყოველი მკვერმეტყველური ქმნილება ავტორისეული რედაქციით შემონახულა.

ი. ჭავჭავაძის ორატორული შემოქმედების საგანძურს ამშვენებს შემდეგი ქმნილებანი: 1. სიტყვა, თქმული გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვაზე (1883); 2. სიტყვა, თქმული წინამძღვრით კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე (1883); 3. სიტყვა, თქმული იოსებ დავითაშვილის პანაშვილზე (1887); 4. სიტყვა, თქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე (1893); 5. სიტყვა, თქმული გაბრიელ ებისკოპოსის დაკრძალვაზე (1896) და 6. სიტყვა, თქმული ეგვენი მარკოვის მიმართ (1899). ეს უკანასკნელი სიტყვა ნათქვამია რუსულ ენაზე.

ამ სიტყვებთან განსაკუთრებით საყურადღებოა მეორე, მეოთხე და უკანასკნელი.



ი. ჭავჭავაძის მკვერმეტყველება იდეური სიღრმითა და სიტყვიერი სისადავით ხასიათდება; მისთვის ნიშანდობლივია შინაგანი სიბრძნე და გარეგნული უბრალოება. ილიას ზეპირი მეტყველება მოკლებულია სიტყვის რეკამბოლობას, ჩუქურთმებს, ბგერითი პარაფრაზის ხერხებს, რიტორულ ამოძახილებებსა და შორისდებულებებს. სადა, მარტივი და ნათელი ფორმით გადმოგვცემს ორატორი თავის ღრმა იდეურ, ბრძნულსა და ქვეშაორიებით აღსავსე სათქმელს. დიდი მწიერლის უმთავრეს ფაქტორს იშვიათი სისადავით გამოთქმული ბრძნული აზრი წარმოადგენს. აქ სათქმელის შინაარსი განსაზღვრავს მთლიანად თქმის ყოველგვარ საშუალებას, ყველაფერი სათქმელს ემსახურება, არაფერი არ არის თქმისათვის ნათქვამი. ფორმა არსად არ იქცევა ყურადღებას და აზრისაგან არ თიშავს მსმენელის გულისყურს. მოკლედ, მხოლოდ აზრია წამართველი, თავისთავადი მნიშვნელობის ერთადერთი განმსაზღვრელი ძალა.

ორატორი ხშირად მიმართავს აფორიზმებს. ზოგიერთი მისი სიტყვა მთლიანად და მრავალი სიტყვის ცალკეული ნაწილები აფორისტული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებია. ილიას მეტყველება დამშვენებულია ანდაზებით, მოსწრებული გამოთქმებითა და სიტყვიერი თვალსაჩინოებით; აქ ხშირია გონების თვალთ მოზომილი შესიტყვება და ბევრია ოსტატურად გამოყენებული ხალხური სიტყვის მასალა.

<sup>1</sup> გაზ. „ივერია“, № 76, 1889 წ.

<sup>2</sup> ი. მაჩაბელი ა. შ. ე. ლ. ი., მოგონებანი, ტფ., 1936 წ., გვ. 183.



ორატორი შეგნებულად გაურბის ფორმის შე-  
ლაშაზებს, ხელოვნურ გამოთქმებსა და სტილის-  
ტურ ორნამენტებს; მისთვის უცხოა სიტყვის  
მალაღღარაღვინება, ზერელე მხატვრობის  
ხერხები და ნაძალადევი კეთილშობიანება. ორა-  
ტორი არასოდეს არ ცდილობს გარეგნული ეფექ-  
ტის გამოწვევას, მისი სიტყვა ყოველთვის ში-  
ნაგანი მღელვარების წყაროა; იგი მსმენლის  
ინტელექტს მიემართება და უფრო ადამიანის  
გონებასა და ნებისყოფაზე ახდენს გავლენას,  
ვიღრე გრძნობაზე. ილიას სიტყვა აზრით გვზიბ-  
ლავს და გვაჯადოებს, შინაარსისკენ მიმართავს  
ჩვენს ყურადღებას და სიბრძნით გვიმართობს.  
ღრმა ხალხურობა, თვითყოფადი ენობრივი  
საუნჯის უხვად გამოყენება და სასაუბრო მასა-  
ლით სარგებლობა დამახასიათებელია ილიას  
მჭევრმეტყველებისათვის.



ი. ჭავჭავაძის სიტყვა წინამძღვრიანთ კარის  
სამეურნეო სკოლის დაარსების გამო წარმო-  
ითქვა 1883 წლის 4 სექტემბერს სოფელ წი-  
ნამძღვრიანთ კარში, სკოლის გახსნასთან დაკავ-  
შირებით გამართულ სადილზე, ქართული ინტე-  
ლიგენციის წარმომადგენლებისა და ადგილობ-  
რივი გლეხების წინაშე. სიტყვა არსებითად მი-  
მართული იყო გლეხებისადმი. 1883 წლის 8 სექ-  
ტემბერს „დროებაში“ ამის შესახებ ვკითხუ-  
ლობთ: „სიტყვები ბევრი ითქვა, მაგრამ არც  
ერთი ამ სიტყვათაგანი არ იყო გლეხებისადმი  
მიმართული, რომ აეხსნა სათთვის ამ სკოლის  
მნიშვნელობა. ბოლოს სადილიდან წამოდგა  
ბ. ი. ჭავჭავაძე, ჩაიდა გლეხების შუაში და  
უთხრა შემდეგი... ქვემოთ მოთავსებულია სი-  
ტყვის ტექსტი. დასასრულ, ნათქვამია: „გლეხებს  
ყურბობდათ, რომ ჭავჭავაძის ყოველივე სიტყვა  
კარგად ესმოდათ, რაგანაც იგინი წამ-დაუწყებ  
წამოთახებდნენ ხოლმე: „დიად“, „ლოზნადაც“,  
„მართალი გახლავთ“ და სხვ.“

ამრიგად, ილიას ეს სიტყვა პირველად გამო-  
ქვეყნდა 1883 წლის 8 სექტემბერს, გაზეთ  
„დროებაში“. იმავე წლის ფურნალ „ვერიის“  
სექტემბრის ნომერში ილიამ გამოაქვეყნა „ში-  
ნაური მიმოხილვა“, რომელშიაც ეს სიტყვა შე-  
ტანილია ილია წინამძღვრიანის სიტყვასთან  
ერთად.



ი. ჭავჭავაძის სიტყვა, თქმული წინამძღვრიანთ  
კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე, იწყება მსმე-  
ნელისადმი მიმართვით — უბრალოდ, ბუნებრი-  
ვად, საუბრის კილოთი: „ერთი ორიოდე სიტყვა  
მეც მინდა ვითხარა, და ყური რომ მათხოვოთ,  
მალღობელი ვქნებო“. ამ შვიდი დასაწყისის და  
სისადავით გულის მომკვებ მიმართავს მოსდევს  
არსებითი ხასიათის შესავალი, სადაც ერთმა-  
ნეთთან დაპირისპირებულია მდღარი ქვეყანა

და ღარიბი ხალხი, ყოველისშემძლე ბუნებად და  
უწყვეთ ადამიანი, გამრჯელი შრომელი და უწყ-  
დევო გარჯა. ამით ფართოდ გახსნილია ყურად-  
ღების გზა და უკვე გადმობრუნებული მსმენლის  
წინაშე მისივე პირით დასმულია კითხვა: „მიშ-  
რალადა ვართ ღარიბნიო, მკითხავთ თქვენ“. ამ  
კითხვას ორატორი პასუხობს პირდაპირ და დაუ-  
ყოვნებლივ: „იმეტამ, რომ არ ვიციო, სად რა  
სიმდიდრე ძეგს, სად რა განაძა. არ ვიციო —  
საიღამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატო-  
ბით ამოვიღოთ, რა ჯაფაც ადივიო იყოს და  
ნაჯაფევიც ბლომად“. და შემდეგ ორნავადასმე-  
ბული ტონით კერძოდ განმარტავს ნათქვამს და  
ახალი სათქმელისათვის ამზადებს ნიადაგს. აქ  
ნათქვამსა და სათქმელს საზღვრავს ფრაზა:

„მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა  
ჰქვიან“.

ამ გზით აღძრულია მძაფრი ცნობისმოყვარეო-  
ბა და გამოწვეულია მანგილი ყურადღება. ეს  
სკირდება ორატორის უმთავრესის სათქმელია.  
უმთავრესი სათქმელი კი ცოდნის ბუნება, აზრი  
და მნიშვნელობაა: ცოდნის განსაზღვრავს ორა-  
ტორი სიტყვის არსებობის ნაწილში. აქ მეტყველი  
აღწევს მსმენელზე ზეგავლენის უჩვეულო ძალას,  
მალალი დონის სრულყოფილებას და ხანგრძლი-  
ვად ინარჩუნებს ღრმა აზრითა და ძლიერ  
გრძნობით შეთავონებული შემოქმედების მწვერ-  
ვალს. ამ მწვერვალზე სიტყვა ელერს მეტად  
მკვეთრად, მხატვრულად და დამაჯერებლად:  
„ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავისი-  
თავადაც სიმდიდრეა-მეთქი, მერე იმისთანა მაღ-  
ლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაუ-  
რიგო, ბევრს გაუფილადო, შენ არა დაგაკლებო-  
რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა  
ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერის სანთელზედ  
რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს  
იმით არც ალი დააკლები, არც სინათლად, არც  
სიციცხლად. პირიქით, იმატებს კიდევ, რადგანაც  
ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან  
ერთად დაიწყებს ღაბღაბას.“

სანთელი კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნ-  
დაც ცოტად ბეჭეტავდეს შორს სადმე ბნელაში,  
ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, — იქ  
სინათლეა, სიანს პლევძავით, და დაგვიანებულს  
მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ  
ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო“.

ამის შემდეგ კლებულობს ორატორის მეზნე-  
ბარე შეთავონება, მეტყველება ხდება უფრო  
დინჯი, აუჩქარებელი, თანდათანობით ძირს ეშ-  
ვება მღელვარების განწყობილება და წინა პლან-  
ზე წამოიწეის ლოგიკური მსჯელობის შედარე-  
ბით გულგრილი მდინარება. ამით მზადდება ნია-  
დაგი სიტყვის დასამთავრებლად.

სიტყვა მთავრდება სწორედ ისევე, როგორც  
დაიწყო — მსმენლისადმი მიმართვით — უბრა-  
ლოდ, ბუნებრივად, საუბრის კილოთი: „თქვენ

იეთი ხოლმე, როცა სიმღერას ვაგაფებთ, იტყვიან: თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც ვაგაფებ, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: თქვენი გამარჯვებისა იყოს!"

• •

ო. ჭავჭავაძის სიტყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე წარმოითქვა 1893 წლის 25 აპრილს, ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. სიტყვის ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1893 წლის 27 აპრილს, გაზეთ „ივერიაში“.

ეს სიტყვა იწყება ციტატით, მიმართვის გარეშე, შემადლებული ტონის მასალით: „თავითუ-ლი ცემა გულის ძარღვისა გვეჭრის და გააწყლულ-ებს ჩვენ, და ჩვენი სიოცნლე ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“, სიტყვა ერთმა ბრძენმაა.

ასეთი დასაწყისი წარმოადგენს ერთგვარ შესავალს, რომელსაც აქ მოსდევს მეორე, უფრო ვრცელი, შესავალი: „ღმერთო რომ ერს, ქვეყანას, მოწყალების თვლით გადმოხედავს, მოუქლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა. როცა ადამიანს სურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამაას იკითხავს, — რამდენი მოქმელი და მწერალი მკაცსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი“. ამის შემდეგ ორატორი პირდაპირ გადადის ძირითად სათქმელზე: „რაკი ესეა, ენაა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძა ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგე-ვართ ჩვენ დღეს“.

უმოაგრესო სათქმელის ხსენებას მოსდევს სიტყვის განმარტებითი ნაწილი, რომელიც მოიცავს ნელი ტემპისა და დაბალი ტონის მასალას, რაც თანდათანობით გადადის მღელვარე, ემოციურ მოტივებში და მთავრდება ბარათაშვილის ვრცელი პასაჟით „მერანიდან“.

აქ სიტყვა იძენს ზეგავლენის უმაღლეს ძალას, რაც მკვეთრად იგრძნობა შემდეგი ნათქვამიდან: „...და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახლოდ, მოვასვენებთ აქ მისი მტვერი, მისი ნეშტი, რომ დღეს ამას იქით სამშობლო ცამ თავისი ნაში კრებულად ზედ ადინოს, მისმა სამშობლო დედა-მიწამ გული გადაიხსნას და მისი მტვერი მიიბაროს, მისდა განსასვენებლად და ჩვენდა სალოცავად“.

ამის შემდეგ ორატორი გამოთქვამს შესანიშნავ ადორისტულ აზრს: „მართალია, ეს მოგვიხდება ორმოცდა-შვიდს წელიწადს შემდეგ, და იქნება სატყენი, გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდა-შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავი და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრე“.

აქ კვლავ მაღლდება ორატორის ემოციური

განწყობილება, მატულობს მგზნებარებუ-ღი და დღეს აქ შეპყრბა წარმომადგენლობა მიულის საქართველოსი, მაგალითია იმისი, რომ ჩვენი ერთი აღმადლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუაგახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ესე ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდებუნივან კაცისა“.

დასასრულ, ორატორი კვლავ წარმოითქვამს ბარათაშვილის შემოქმედების იდეური შინაარსის გამოხატველ ადგილს „მერანიდან“, რამდენიმე სიტყვით პირდაპირ მიმართავს მსმენელს, პერვერზის სახით იყენებს პოეტის ნათქვამს და მაღალი, ზვიადი განწყობილებით ამთავრებს სიტყვას: „...დაღეს-კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისი ტრფიალიცა, მისნი ნათესავიცა, და ამას ცრემლს ზედ დასდის დიდებულნი ცრემლი მიულის საქართველოსი“.

• •

ო. ჭავჭავაძის სიტყვა ევგენი მარკოვის მიმართ წარმოითქვა 1889 წლის 24 ოქტომბერს, ნადიშე, რომელიც ქართველმა ინტელიგენციამ გაუმართა რუს ეურნალისტსა და მოგზაურს ევგენი ლენის ძე მარკოვს და ფრანგ არქეოლოგსა და ეთნოგრაფს დე-ბაის.

სიტყვა ითქვა რუსულ ენაზე. მისი ავტორაფული დედანი არ შენახულა. სიტყვის რუსული ტექსტი, დაბეჭდილი რემინტონის მიწაქაზე ავტორის სიოცნლეში და დაკული მწიგნობარი ქალის თამარ მაკარის ასულ ჭავჭავაძის მიერ, ამჟამად ინახება ყვარლის ილიას სახლ-მუზეუმში<sup>1</sup>. სიტყვის ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ავტორის მიერ გაზეთ „ივერიაში“<sup>2</sup>.

• •

ო. ჭავჭავაძის სიტყვა, თქმული ევგენი მარკოვის მიმართ, თავიდანვე ცხადად წარმოგვიდგენს იმ დებულებას, რომლის აზრით გამსჭვალულია მთელი ქმნილება. დასაწყისშივე მოცემულია სიტყვის იდეური შინაარსის საყრდენი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ილიას პროგრესულ შეხედულებას საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხზე. აქ ნათქვამია: „В числе прочих позвольте и мне приветствовать Вас, Евгений Львович, на почве многострадальной родины моей, обретшей, наконец, свой покой под сенью великодушного русского народа“.

<sup>1</sup> ამ ტექსტზე მითითებისათვის ვმადლობთ ამბ. პლატონ კეშელავს.

<sup>2</sup> გაზ. „ივერია“, № 230, 1899 წ., 27 ოქტომბერი.



იქვე, ამ მრავალმეტყველი შესავლის შემდეგ, სადაც ხაზგასმულია რუსი ხალხის ეროვნული სიდიადე, ორატორი ჩივილს გამოხატავს უზუნაესი ხელისუფლების უფარვის წარმომადგენლებზე, რომელთა საქციელს, ილიას აზრით, მოჰყვა განაპირა ქვეყნების ინტერესთა სრული დეფორმაცია: „Прошу жаловать и миловать нас, забытых граждан русской земли, нашего общего отечества. Я говорю „забытых“ не потому, что нас не помнят, а потому, что нас не знают“.

შემდეგ ილია მეტად პირდაპირ და დაუფარავლად საყვედურობს ქართველი ერის სასიციცხლო გულისნადებისა და მორალური ღირსებების უგულვებლყოფაზე მმართველი პირების მიერ და უპირისპირად მკვერამეტყველური ფორმით გამოითქვამს დიდად საყურადღებო აზრს: „Я говорю это не в упрек кому-нибудь, а из желания установить духовную связь между нами, связь, возникшую только на почве взаимного понимания. Нечего таить, мы, несомненно, любим нашу родину, но нечего фальшивить — только любя ее, мы любим и Россию“.

ქვემოთ, ილია მკვერად გამართული ლოგიკური მსჯელობით ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას და მოხერხებულად გადადის თავის უმთავრეს სათქმელზე — სამშობლოს სიყვარულის მნიშვნელობაზე. აქ სიტყვა იძენს უკიდურეს გამოსახვევით ძალს და ყოველი ფრაზა ეკლერს შთამბეჭებლად: „Эта именно любовь к родине представляет собой ту плодотворную почву, на которой коренится, растет и крепнет наша привязанность и преданность к России. Эта именно любовь является прочным посредствующим звеном, соединяющим наши помыслы и упования с помыслами и упованиями лучших русских людей.. отнимите эту любовь, и вы не найдете в сердце человека другого чувства, на котором можно было бы возвести прочный фундамент братской любви и единения“.

ამის შემდეგ ორატორი ერთხელ კიდევ საყვედურობს უსულგულო მოხელეთა ქცევაზე, აღნიშნავს ეროვნული მწუხარების მიზეზს: „И это все оттого, что нас не знают. На нас смотрят, но не видят, нас слышат, но не понимают“; ილია ჩერდება რუსი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე შვილებზე, რომელთა შორის ასახელებს ე. მარკოვს და, დასასრულს, ასე მიმართავს მას: „В очерках ваших о Кавказе от вашего просвещенного наблюдения

не ускользнула необходимость решения этой высокой задачи русского человека на окраине, и со свойственной вам независимостью убеждений вы выразили, между прочим, одну глубокую идею.. что следует стремиться прочно государство основать не на единообразии, а на единодушии входящих в состав его народов. Идея эта является.. неопровержимой истиной, и потому торжество ее мне представляется лишь вопросом времени“.

• •

ილია თავის საჯარო სიტყვას ყოველთვის წერილობით ამზადებდა და შემდეგ, მსმენელთა წინაშე, მსგავსად ანტიკური ხანის ორატორებისა, ზეპირად წარმოთქვამდა. ილიას ზეპირად სათქმელი სიტყვა წინასწარ კალმით მზადდებოდა და წარმოთქმამდე მესხიერების კუთვნილება ხდებოდა. ჯერ ქალაქში და შემდეგ ცნობიერებაში ფიქსირებული სიტყვა თავის დროზე ზეპირად წარმოითქმოდა, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, არა ზუსტი და შეუცვლელი ფორმით, არამედ შესვლელი და სრულქმნილი სახით. ამ საბოლოო სრულქმნაში იხატებოდა ილიას ორატორული გზნება, ტემპერამენტი, ხასიათი და მთელი შემოქმედებითი პროცესი. აქ, ტრიბუნაზე, მსმენელთა წინაშე ვლინდებოდა ეს შემოქმედებითი პროცესი — მაჩვენებელი ილიას ორატორული ოსტატობისა და ოქროპირული მკვერამეტყველებისა.

ილია ბრწყინვალედ ფლობდა ქართული სიტყვის ექსპრესიულ ძალას, ფართოდ იყენებდა მშობლიური ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, მოხერხებულად სარგებლობდა ხალხური ენაშეკვერებით და იშვიათი დამაჯერებლობით მოსაგდი ზეპირ მეტყველებას. ეს ყველაფერი, — განუყოფელი ერთიანობით შეთავსებული, ცხოველყოფილი ხელოვნებით გაოცებულელი და მგზნებარე შემოქმედებით გამოხატული, — ანიჭებს ი. ჭავჭავაძეს შეუთილებელ ადგილს ახალი ქართული მკვერამეტყველების საბიძეულზე.

ასეთია, დაახლოებით, ილია ჭავჭავაძე, როგორც მკვერამეტყველი — ის ამ დარგშიაც მისთვის ჩვეულ სიმაღლეზე დგას; ასეთია მისი ორატორული ხელოვნების არსებული, მაგრამ მიინც ბევრისმთქმელი სურათი. ეს ხელოვნება დღემდე ატარებს მისაბაძი ნიმუშის სახეს და მომავალშიაც შეინარჩუნებს ღირსეულ ადგილს ჩვენს კულტურის ისტორიაში.

## ნიკო ქავჭავაძე

### ხალხი და პოეტი

თერგისა და მყინვარის სახეთა დაპირისპირება ილიას „მგზავრის წერილებში“, ერთი შეხედვით, მარტივია და ნათელი. „თერგი სახეთა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა“ და სამშობლოში მომავალ ილიას, რომელსაც „გული უტრეს და მკლავი უთრის“ სამოქმედოდ, ცხადია, თერგის სახე უფრო იზიდავს, ვიდრე დიდებული, ცათაზიდული, მაგრამ ცივი და მიუკარებელი, ქვეყნის ავკარგისაგან განზე გამდგარი მყინვარისა. „არა, არ მიყვარს მყინვარი!“ — ამბობს ილია და ეს ბუნებრივადაც უნდა იყოს. მაგრამ როცა იგი კიდევ და კიდევ იმეორებს, სულ ახალი და ახალი საბუთებით ამტკიცებს თავის გულგრილობას მყინვარისადმი, ეკვი დაგებადებათ — თავის თავს ხომ არ უმტკიცებს ამასო.

მართლაც, რატომ უნდა ნიშნავდეს თერგის სიყვარული მყინვარის სიძულვილს? განა თერგი მყინვარისა და მის უმცროს ძმათა პირში არაა? როცა მშობელ მთებსა და მობანე კლდეებს გასცილდება, განა არ მდოვრდება და დუმდება, „თითქო ან როზგ-ქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო“?

თერგი გაღვიძებული ცხოვრების სახეთა, იმიტომ რომ იგი „თავზედ ხელალებული, გივი, გადარეული“, მაგრამ „შეუპოვარი და დაუმონავია“, ხოლო „მოძრაობა და მარტო მოძრაობა... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. „უღევარი და უსვენარი“ კი თერგი სწორედ მთებშია, რომელნიც ასე ახლოს არიან ცასთან; სწორედ აქ იცის კალმახი, თორემ უმთებოდ თერგი უსრბოლო წყალად ვადაიქცეოდა, სიდაც „ბაყაყანი, ჭია-ჭუაი, ქვემეორში გამარაღლის“.

მაშ რატომღაა მყინვარი მიუღებელი ადამიანისათვის, რომელსაც მიზნად დაუსახავს: „ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ეოლავედეს, ერთ დიდ ცეცხლად შევარგოვ ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათობად“? რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ „ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი,

ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალ შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ შეატოკებს“. ადამიანს არა აქვს უფლება მყინვარსავით განზე გადგეს ცხოვრებიდან და მხოლოდ ცას უყუროს — იგი ისევე დაისვენება, როგორც მყინვარს შეფარებული განდევნილი. კაცი აქ, დედამიწაზე, კაცთა შორის უნდა ცხოვრობდეს. მაგრამ არც ისე, რომ სულ მოსწყდეს იმ ნათელს, რასაც მყინვარს ცასთან სიახლოვე აძლევს. განდევნილი იმიტომ კი არ დაისვენებს, რომ წმიდა იყო და ცასთან ახლოს მივიდა, არამედ იმიტომ, რომ ამ სიახლოვეთ მოპოვებული მაღლი სხეებს არ გადასცა და გულში ეგოისტურად ჩაიკლა. თუ მყინვარზე ასეა მოახერხე და ციურ სინათლეს ეზიარე — იგი ძირს უნდა ჩამოივანო, ხალხში. თუ ღვთის სამსახური გინდა, უნდა გესმოდეს, რომ იგი (როგორც ეს „გლახის ნამშობის“ მღვდელმა იცის) კაცის სამსახურში მდგომარეობს.

მით უმეტეს, თუ პოეტი ხარ, რომელსაც „ცა ნიშნავს და ერი ზრდის“, — უნდა იცოდეს, რომ

დიდის ღმერთის საკურთხევლის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მომე იყო  
კუმუნავსა და სიხარულში;

პოეტი შუამავალია ცასა და ქვეყანას, ღმერთსა და კაცს შორის. ნამდვილი პოეტი ისაა, ვინც მყინვარსავით ახლოა ცასთან და იმავე დროს თერგსავით მთლიანად აქაა, დედამიწაზე, მოკვდავთა შორის.

მყინვარი, ცა, ღმერთი — ყველა ესენი აქ მხატვრული სახეებია. ისინი რაღაც მიღმურს, კაცთა ცხოვრების გარეთ ან ზევით მყოფს კი არ გამოხატავენ, არამედ ადამიანის ამ ცხოვრებაშივე ჩასახულ ოცნებას. ცა, რომელიც პოეტს ნიშნავს ადამიანთა გულის შესაიდუმლედ და წინამძღოლად, ეს უტრეჯი სივრცე კი არაა, დედამიწას რომ ახურავს, არამედ მშობელი ხალ-



ხის სულის სინათლეა; ცეცხლი, პოეტის გულში რომ ღვთის, ღმერთის საკუთრებელიდან კი არაა მოტაცებული, არამედ იმ ნაპერწყლებითაა დანთებული, „რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ელაგდეს“. პოეზია, საერთოდ ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, ცხოვრების ძირზე ამოსული შტოა. „როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისე მიწას ვადმოსცემენ, რომ ახალი ჰიბი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებულ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევე ცხოვრებასვე ვადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძვლად“.

პოეტი ახალი ცხოვრებისათვის, ხალხის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლია. იგი წინ იყურება:

მას ნულად გვირით, რაც დამარბულა,  
რაც უწყალის დროთ ხელით დანთქულა;  
მოვივლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსკეთ მომავალი ხალხს...

მყოობადი ციდან არ ვარდება, მას აწმყო სქედებს; აწმყო კი წარსულის ნაყოფია. ამიტომ, ვისაც უნდა, რომ უკეთესი მომავალი შექმნას, დარდი კი უნდა მოიკლას წარსულზე, მაგრამ მისი სხივია არ დაჰკარგოს. პირიქით, პოეტი მოვალეა გაახსენოს თავის ხალხს გმირული წარსული, „მამა-პაპური მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური“, გაავლიოს ეროვნული ენერჯია და ახალი გზებით წარმართოს იგი, თუ სანატრელი მყოობადი არც თუ ისე ახლია. პოეტმა იმედის სხივით უნდა გაათბოს ერი. ამისთვის ყველა საშუალება ვარგა. თუნდაც ლეგენდა — „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არის“ —

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,  
ვისიც არ ითქმის სახელი,  
ვისაც დღე-ღამე-ღამე მხანგრულობს  
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

პოეტი ერის მესხიერება და მისი მომავლის წინასწარმეტყველი. აწმყოში კი იგი მებრძოლია — მებრძოლია ერის შინაური თუ გარეული მტრების წინააღმდეგ. სულერთია, ვინ იქნება ეს მტერი — ლეუარსაბ თათქარიძე, რომელიც უკვე თავისი არსებობით სცხებს ჩირქს ქართველი კაცის სახელს, ეროვნული ნიპილიზმით დაავადებული ჯაბადარი, შოინისტი პატკანიძე თუ შერაზმელი კატკოვი — ერის შეურაცხყოფლის წინააღმდეგ პოეტმა პირველმა უნდა აღიძვრის ხმა.

პოეტი ერის სინილისია. სამართლიანობის ხუბრი გრძნობა მასში უძლიერესადაა გამოხატული. მტერს ვაკაცურად, ქართველურად უნდა დაუხვდეს. აი ისე, როგორც ნიკოლოზ გოსტაშვილი:

„... მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შეუბით, გოსტაშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა, წაწვედა, ერთი-ორი ლინიერად შემბლერდა და ცხენი დამ ძირს დასცა, ისე რომ დაცემულს ფეხზედ აღვამა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენი დამ გოსტაშვილი, აყენდა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა: — ნუ გეკვილია, მე თავს არ მოგკები, შენი თავი შენის ვაკაცობისათვის მიმატევიან. ცოდვია შენი ვაფუქება. წაიღე და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცეს.“

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჭუქებდი, მარტო შენისთან ვაკაცისავანაო, — უპასუხა ყიზილბაშიმა, სალაში მისცა და წავიდა“.

ასე ორგზის — ღონითა და უმაღლესი რაინდული სიკეთით ძლეული ყიზილბაში, საქართველოს ასახორბლად რომ იყო მოსული, სამტრიად აქეთ, რა თქმა უნდა, აღარ მოიხიდავს.

ანდა აი, სომეხ მეცნიერთა ერთი გუნდი, ყვავ-ყორნებივით რომ შემოსევიან საქართველოს და მის ისტორიას, „გუფუქებს გული ქართველებს სომეხზედ და სომეხებს ქართველებზე“. ისეთი პასუხი უნდა გასცეს, რომ სამედიცინო დედაც. მაგრამ სწორედ ამ გუნდს, „თორემ ჩვენ სომეხებისა არა გეშურს-რა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძღურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომეხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ — ჩრდილოეთით ვინახავდით სომეხებს და სომეხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით...“

.. ვანა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქ-საქსულბა სომეხებისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიღამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან“.

ან კიდევ, ვთქვათ, კატკოვი დაგვსხა თავს, ის კატკოვი, მთელი რუსეთი რომ კანკალბეს მისი შიშით, და ეროვნული დროშა შეგვიკინა. ისევე პოეტს ძალუქს მისი პასუხის გაცემა. დამსახურებული სახელით უნდა დადალო კატკოვიცა და მისი დამქაშებებიც, მათი საქმეცა და სიტყვაც:

„უბედურება ამგვლიმე ერისა, დიდი ერთია თუ პატარა, სხვათა შორის, ისიც არის, როცა ერთგვარს ბეზლობას, რომელსაც პოლიტიკურ ბეზლობას ეძახიან, დიდი ავალ მიეცემა, ფართო გზა გახსნება და აღმ-მიცემობის საგნად გახდება. როცა ბეზლობა, — ეგ უწმინდური ძალღონე ვაკეთილის კაცისა, პირახილი დაიარება არამც-თუ უსიტყვილოდ, თავმოწინებითაც ფარფაშობს და ლუქმა პურს აწევის მამხუღარს, — მაშინ პირდაპირ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევიაო და აღსასრული მოახლოვებიაო... მერე ვის-



გან არის შემდგარი ეს მამბულარია რაზმი? რა ჯურის კაცნი არიან? ეგენი არიან მოხელენი, რომელთაც რუსეთის სიყვარული კი არ ამოქმედებს, არამედ მათი საკუთარი დამშეული კუჭი. ეგ იმისთანა მოხელენი არიან, რომელთაც თავისი ბოროტმოქმედებით იმოღვანად შეურაცხვენიათ თავიანთი თავი, რომ თვით ყოვლადშემწყენარებელს ამ-გვარებში მთავრობას ველარ შეუწყენარებია იმათი სამსახურში ყოფნა და გამოყურია. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც ჯერ კიდევ თავის ადგილას სხედან და საღერღელი-კი აშლიათ მალა აცოცვისათვის, ვერას გზით-კი ვერ აცოცვილან. ან კიდევ იმისთანანი, რომელნიც თავისი უხეირობით და უნიჰობით ვერას გამხდარან და უნდათ თავი როგორმე გამოიჩინონ, თვალი ჩვენ უფრო გვიჭრისო და შორს ჩვენ უფრო გხედავთ“.

ღელა-სამშობლოს აუგად ხსენება არავის არ უნდა აბატო — არც შინაურს და არც გარეულს. მაგრამ საკუთარი ხალხის ნაკლისადმი დაუნდობელი უნდა იყო. უპირველეს ყოვლისა იმ სენის მიმართ — კაცი რომ კაცის მონაა თუ ყმა. ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა საშუალებაა გამართლებული—იარაღიც და სისხლისღვრაც. პოეტი ხალხის გულსმთქმელია, ამიტომ მან იცის, რომ აღამიანზე მეტი ფასეულობა ქვეყნად არ არსებობს; კაცის სიკვდილით დასჯა უმაღლესი ბოროტებაა (პოეტი მისი აკრძალვისათვის უნდა იბრძოდეს); კიდევ მეტი, პოეტი ღმერთს უნდა შეევედროს იმოღვანა სიყვარული ჩაუნერგოს აღამიანისადმი,

რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს  
ლაზვარი მკრან,  
გთხოვდე: „შეუენდე, — არ იციან, ღმერთო,  
რას იქმან!“

მაგრამ სწორედ ამ სიყვარულის, თავისუფალი აღამიანის სიყვარულის გამო უნდა უმღეროს პოეტმა ამბოხებულ ყმას:

— შენი გამჩენის კირიზე, შენი!  
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშენი...

პოეტი ხალხის სისხლ-ხორცია, თანამეზამთლის  
სისხლის ყოველი წვეთი პოეტის გულიდან ეცე-  
მა, მაგრამ რაკი

თავისუფლების მშოვნელი  
ამ ქვეყნად მარტო თოფია,

ამიტომ

შინ უღლით გაქნილს მშვიდობას  
ომში სიკვდილი სჯობია!

სჯობია, რადგანაც

თავისუფლებაც, შენ ხარ კაცთა  
ნათესაყუღარი,  
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა  
საფარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა  
ქვეყნისა,  
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ  
ბუნებისა.

თავისუფლებაა, მყინვარწყვრზე რომ აიყვანს  
აღამიანს და ცას აზიარებს. ხოლო ვიდრე ხალხს  
თავისუფლება არ მოუპოვებია, პოეტი თერგს უნ-  
და დაედაროს, მისი ცხოვრება — თერგის „გაუთა-  
ვებელ ბრძოლას ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო  
მისი განიერი წაილი მის ვიწრო საწოლში ვერ  
მოთავსებულა“. პოეტი წინ უნდა წაუძღვეს  
ერს სიტყვითაც და საქმითაც, შრომაშიც და  
ბრძოლაშიც — და ჯილდოდ, ალბათ, იმას მი-  
იღებ, რომ იმავე მყინვარზე იხილავ აჩრდილს —  
საქართველოს თანამდეგ უქცდავ სულს, ერის  
უქცდავებას ეზიარები და თანამემამულის  
ტყვიას ვალმოხდილი შეხვდები.

ასე ესმოდა ილიას პოეტის დანიშნულება.  
იგი თავისი ხალხის შვილიც იყო და ქომიავიც.  
მგოსანიც და წინამძღოლიც, მისი თერგიცა და  
მყინვარიც. ამიტომ დარჩა იგი ხალხის სლოგანში  
პოეტად, თუმცა მის მემკვიდრეობაში გალექსილ  
სტრიქონებს ძალიან მცირე ზღვრილი უკავიათ.  
ამიტომაც შეცდნენ მისი მკვლელები — პოეტს  
არ კვდებია.



## ზუიკუ ჭუმბუკიკე

### ილი ღე აკაკი

1907 წლის 9 სექტემბერს ქართველი ხალხი სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის გულის მესაიდუმლეს, სასიკეთლო შეილს და წინაშელოლს დიდ ილიას. როცა სამგლოვიარო პროცესია სიონის ტაძრიდან დაიძრა და მაშინდელ ერევნის მოედანზე გაიშალა, აქ — სასახლის ქუჩის დასაწყისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობიდან რამდენიმე კაცის დახმარებით გადმოვდა ავადმყოფი, მაგრამ მაინც დიდებული გარეგნობის მხცოვანი აკაკი დაჰქვითინოთ გამოეთხოვა ილიას ცხედარს.

ავადმყოფი მგოსანი ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ სულგანბულ ხალხს არ გამოჰპარვია არც ერთი ბგერა მისი სიტყვისა, რომელიც ღრმად აღბეჭდა მთელი ხალხის გულში:

„მშვიდობით, ძაო! — გარემოებამ ვადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლვა საქმელია, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!..“

„შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკლთვინი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილადადებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მითქმა ვეღარც არას დააკლებს და ვეღარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და გონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღარ ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი ვახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან ვარს!.. და ვინ იცის, ეგებ სიკვდილით მაინც განამტკიცოა ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირავ: ერთობას, თანასწორობას, ძმობასა და სიყვარულს! მშვიდობით, ძაო!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!..“

მართლაც, რა ძნელი უნდა ყოფილიყო სამოცდაშვიდი წლის მოზტევისათვის იმასთან განშორება, ვისთანაც ორმოცდაათწლიანი ბრძოლის ისტორია აკავშირებდა.

აკაკი ილიაზე სამი წლით უმცროსი იყო, მაგრამ ისინი თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სალიტერატურო ასპარეზზე, ერთად ჩაუღდგენ სათავეში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხარდამხარ იბრძოდნენ, ერთი საქმე ჰქონდათ და ერთი მიზანი ამოძრავებდათ. ამიტომაც ქართველი ხალხის წარმოდგენაში ასე მტკიცეა და დაკავშირებული ეს ორი სახელი: ილია და აკაკი. ასე, მხოლოდ სახელით, ჩვენი ხალხი სხვას იშვიათად ასხენებს.


უნდა ითქვას, რომ ილიას და აკაკის არ ჰქონიათ პირადი მეგობრობა. ხასიათისა და ცხოვრების წერილობების მიხედვით, როგორც ჩანს, მათ ბევრი რამ განასხვავებდა. თანამედროვეთა გადმოცემით, ილია იყო დინჯი, გულჩათხრობილი; ხოლო აკაკის იმერული სიფიცე მოსდგამდა. აკაკის ადვილად სცოდნია გაბრახებაც და გულის მობრუნებაც, მაშინ როცა ილია, თუ ერთხელ ამოიგდებდა ვინმეს გულიდან, სამუდამოდ გასწირავდა. აკაკის თავი „გარემოების საყვირად“ მიაჩნდა და მის მუხას ზოგჯერ ებიტაფიების წერაც არ მიუჩნევია სათავილოდ, ილია კი „საღვთო პანჯთა“ გამოსაცემოდ კალამს აგრე ადვილად არ ახლვებდა ხელს. ილიამ სალიტერატურო ენის ვახალხურებისათვის ბრძოლას ქართლ-კახური ცოცხალი მეტყველება დაუდო საწინდრად, ხოლო აკაკიმ თავის მშობლიური იმერული ენის მასალა შეაშველა მას და ორივემ ერთად მისცეს ჩამოყალიბებული სახე ახალ სალიტერატურო ქართულს. ილია და აკაკი სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვაგვარად, მაგრამ ერთნაირი გულწრფელობითა და თავდადებათ ემსახურებოდნენ ერთ დიდ საქმეს — ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, მისი დამოუკიდებ-

ლობისათვის ბრძოლის საქმეს, და ამ ბრძოლაში ორივეს ურყევად სწამდა ქართველი ხალხის უკეთესი მერმისი.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმე, რომლის მხურვალე მონაწილე და მესვეურთ არ ყოფილიყო ორი ბუმბერაზი — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. როცა ილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას თავმჯდომარეობდა, აკაკი მისი ამხანაგი ანუ მოადგილე იყო; ქართული თეატრის საქმე რომ შეფერხდა და სეზონს ჩავარდნა მოელოდა, ილია მივიდა აკაკისთან და დასის ხელმძღვანელობა სთხოვა, თვითონ კი ფინანსიური საშუალებების გამოძახება და დასის მატერიალური უზრუნველყოფა იკისრა; როცა შავრაზმელ კატკოვის გაზეთმა სასაცილოდ აიგდო დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“ და შეურაცხყოფა მიაყენა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას, ილიამ და აკაკიმ ერთხმად გაილაშქრეს ამ რეაქციული გამოხდომის წინააღმდეგ; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის

ნავ სიტყვას სპეციალური წერილით გამოეხმურა ილია, რომელიც „ივერიის“ „შინაურნიშნულში“ შემდეგს წერდა:

„ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯულ კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუღვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის საქმესა და თანამემამულესა. ამისი მაგალითი ბნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამასწინათ გორში და ბოლოს ეამს კახეთში; ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთენელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთ წელწადში ატკობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და მპართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის... ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისი ღვაწლის ნაყოფი სიოცხლოთვე თავისის საკეთარი თვლით ინახულა... საცა წავიდა ბნ-



დამდგენი კომისია რომ ჩამოყალიბდა, ილია და აკაკი აქტიურად მონაწილეობდნენ მის მუშაობაში... და ასე იყო ყოველთვის, ყოველ დიდ ეროვნულ საქმეში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეს ორი უდიდესი მოღვაწე მუდამ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ ერთმანეთს, სათანადოდ აფასებდნენ ერთიმეორის ღვაწლს.

1882 წელს აკაკიმ ქართლსა და კახეთში იმოგზაურა. თელავში გამართულ ნადიმზე მან წარმოთქვა ღრმა პატრიოტული სიტყვა და ამ სიტყვაში, სხვათა შორის, ბზგასმით აღნიშნა ილიას ღვაწლი, დაახასიათა იგი როგორც მათი დროის მეთაური და დალია მისი საღვთიკრებლო.

აქვე უნდა ითქვას, რომ აკაკის მოგზაურობას და კერძოდ თელავში წარმოთქმულ მის შესანიშ-

აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა. აგრეთვე თვითონვე იგემა ბნ-მა აკაკიმ ნაყოფი თავის დაწერულისა და დათესილისა.

ჩვენ ესეთი მიღება ბნ აკაკი წერეთლისა აღვნიშნეთ, როგორც სანუგეშო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენის ცხოვრების წარმატებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთ ფრიად შესანიშნავი სავანიც არის. ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთლისა, თქმული თელავში კახელების წინაშე. ამჟამად მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კიოხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ





აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეზამებულია, ისე შეზორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან...

ღმერთმა აიღოს, ასახლოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეკირებება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელ საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სასოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრანობას, და არა ერთხელ გულს მოიციქვს მამულის-შვილობისათვის“.

ეს იყო დიდი და დამსახურებული შეფასება ერთი უმესანიშნავესი მოღვაწისა მეორის მიერ.

ჩვენს ხელთ არის მრავალი მასალა იმის დასადსტურებლად, თუ რა მალად შეფასებას აღმეცდა ილია აკაკის ღვაწლს და როგორი პატივისცემით ექცეოდა მას. აქვე ვებუძავთ ილიას სადარბაზო ბარათს, რომლითაც იგი დღესასწაულს ულოცავს და ჯანმრთელობას უსურვებს თავის დიდ თანამოკლმეს.

როცა ილიამ გადაწყვიტა თავისი ეურნალი „იერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებინა, ქართველ მწერლებსა და ლიტერატორებს მან დაუგზავნა დაბეჭდილი ბარათი, რომლითაც თხოვდა მათ გაზეთში თანამშრომლობას. აკაკის კი ილიამ ასეთი დაბეჭდილი ბარათი არ აკადრა და საგანგებო წერილი მისწერა პირადად:

„ძამო აკაკი, მე შენ ვერ ვაგვიადინებდი და ვერ მოვართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს ვაუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მაძულს შვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომერთმია და მეოთხედა ვაგემშვენიერებინა ჩემი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს გათქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებთან მოძრაობას ჩემის გულისა, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ ამ ვიცოდი სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს — ქალაქში არ არისო. დღეს შევეტყვე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევ“.

ასე გულთბილად და გულითადი ტონით არის დაწერილი მთელი ეს წერილი, რომელსაც აღიფრთხილებს ასე ამთავრებს:

„უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ახლა შენ იცი. მიანცდამიანც ვთხოვ დარწმუნებული იყო, რომ შემეწყვიე თუ არ შემეწყვიე, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები.“

შენის კეთილის მსურველი  
ილია ჭავჭავაძე“.

მართალია, ისიც მომხდარა, რომ ილიას და აკაკის სხვადასხვა შეხედულებანი ჰქონიათ ამა თუ იმ საკითხზე, მათ შორის პოლემიკაც გამართულა, ერთმანეთი სახუმარო ლექსებითაც გაუკენწლავთ, მაგრამ ამგვარ შემთხვევაშიაც ისინი მუდამ ინარჩუნებდნენ ზომიერების გრძნობას და ამქდავენდნენ ერთმანეთის დიდ პატივისცემას.

ილიასთან და აკაკისთან დაახლოებულნი პირნი კარგად გრძნობდნენ და აფასებდნენ ამ ორი ბუმბერაზი მწერლის ურთიერთობას. არტურ ლანისტის მოგონებით, „ორივენი, როგორც ნამდვილი ფილოსოფოსანი, ისე ეყრბობდნენ ერთმანეთს“. მხოლოდ შორით მაყურებელს შეიძლება მოსჩვენებოდა, რომ აკაკი და ილია ერთმანეთისადმი კეთილად არ იყვნენ განწყობილნი. ერთხელ, რ. ერისთავის საიუბილეო ნაღიშზე, ერთმა რუსმა პოეტმა ველიჩკომ სადღეგრძელოში გამოთქვა სურვილი: „ვისურვებ, რომ აკაკის ილია ჰყვარებოდეს და ილიას აკაკიო“. ამის პასუხად აკაკიმ სიტყვა ითხოვა და განაცხადა: „ამ ბატონმა, რუსის მწერალმა, უადილოდ და უსაფუძვლოდ ინატრა, რომ ქართველ მოღვაწეთა შორის თანხმობა და სიყვარული იყოსო. ცხადია, რომ ეს ამოზღვანა განაგონებოთ და, მაშასადამე, ჩვენშიაც ყოფილა ზოგიერთი იმავე აზრის. უნდა მოვასხენოთ, რომ ეს ძლიერ შემცდარი აზრია... რაღა საჭიროა მისი ნატვრა, რაც არსებობს და ხელში მიიჭირავს!“

ასეთი იყო, ზოგადად, მეტწილად საუკუნის ამ ორი ბუმბერაზი მოღვაწის — ილიას და აკაკის პირადი ურთიერთობა, ურთიერთობა, რომელიც საერთო იდეებით, საერთო საქმით იყო მადლმოსილი და მირონცხებული.



## შოთა ძიძიგური

# ილია ჭავჭავაძე და ქართული სალიტერატურო ენა

მტრობა ენის  
არს მტრობა ქვეყნის.

ილია

ილია ჭავჭავაძეს იონა მეუნარგაიმ ჩვენი ენის კანონმდებელი უწოდა. ეს შეფასება, შეიძლება ითქვას, კარგი გამოხატულებაა ილიას დროინდელი საზოგადოებრივი აზრისა, დამადასტურებელი დაუფასებელი ამავისა, რომელიც დასდო ქართული მწერლობის დიდმა მოჭირანხულემ სალიტერატურო ენის განვითარებას. ენის კანონმდებელია ილია ჭავჭავაძე არა იმ გაგებით, რომ მან შეიმუშავა რაიმე თეორიული გრამატიკული სისტემა ანდა თავისებური სალიტერატურო ნორმები. არა, ილიას მიერ არჩეულ გზა-კვალს სხვებზე მიჰყვებოდნენ და, როგორც ისტორიამ დაადასტურა, ეს გზა სავსებით გამართლებულია მრავალსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის შინაგანი კანონზომიერების თვალსაზრისით. ილია ჭავჭავაძემ — აკაკი წერეთელთან ერთად — სათავე დაუდო თანამედროვე სალიტერატურო ენის სტრუქტურას.

დიდი ილია ემყარებოდა იმდროინდელი ლინგვისტური მეცნიერების საფუძვლებს, კარგად იცნობდა შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდოლოგიას. ქართული ენის მეცნიერული ანალიზი, ილიას აზრით, საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ჩვენი ხალხის ისტორია, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება. ცნობილია, რომ მან, პირველმა, მიაქცია ყურადღება ისეთ სიტყვებს, რომლებიც წყლის ცნებას შეიცავენ და ყრუდ გვანიშნებენ ქართველთა პირველსა-ცხოვრისის პირობებს. წყალია, მიწაა, შემიწაღე, მოწყალეა, ილიას დაკვირვებით, საინტერესო ლექსიკური ერთეულებია, „ცოცხალი მოწე“ იმ დროისა, როდესაც „პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალია“ ნატერისა და ვედრების სიგანდ გახდომია“. ანდა: „ქალის გათხოვება, მითხოვება... გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის

ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია“ (თხზ., ტ. 5, გვ. 97 — 98). ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მეტად საგულისხმოა ი. ჭავჭავაძის მსჯელობა საისტორიო კვლევა-ძიებისათვის, შედარებითის მეთოდთან ერთად, ლინგვისტიკური ანალიზითა და დაკვირვებით მოპოვებული დასკვნების გამოყენება... მანვე მაშინდელ ქართველ მკვლევართ დანახვა თუ რაოდენ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვლევა შესაძლებელი ენის ნამდვილი ანალიზის საშუალებით“.

ი. ჭავჭავაძისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის სიმდიდრე. ჩვენი ენის განსაკუთრებულ თვისებად იგი ზმნის ფორმათა მრავალფეროვნებას მიიჩნევდა, ყურადღებას მიაქცევდა კაუზატიური ფორმის თავისებურებას და სამართლიანად დასძინდა, რომ სხვა ენებში შეუძლებელია ერთი სიტყვით გამოიხატოს, მაგალითად, წავადებინებ, გადააზომინა და მისთანანი. ასევე მნიშვნელოვან თავისებურებად თვლიდა ილია იმ გარემოებას, რომ ქართულში მეტყველების ყველა ნაწილი იბრუნვის. მას მოჰყავს მშვენიერი მაგალითები ზმნიზელის, თანდებულის, ზმნის, შორისდებულის ბრუნვის ფორმებისა.

ილია ჭავჭავაძეს მაშინ მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული იყვნენ არქაისტები. როდესაც ლაპარაკია გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ არქაისტთა შესახებ, აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი. ისინი (ქართველი არქაისტები) განსხვავდებოდნენ ევროპული ტიპის კონსერვატორი მწერლებისაგან (აქ იგულისხმება, უწინარესად, ენისა და სტილის სფერო): თუ, საერთოდ, არქაისტებისათვის დამახასიათებ-



ბელია კონსერვატორული ენობრივი ფორმების გაბატონება თანამედროვე ენაში, ჩვენი არქაისტების სამწერლო პრაქტიკაში ამას ემატებოდა ხელოვნურად შეთხზული ენობრივი ნორმების გამოყენება, ისეთი გრამატიკული ნორმებისა, რომლებსაც რეალური საყრდენი არ ჰქონია ენის განვითარების არც ერთ ეტაპზე. ეს იყო XVIII საუკუნის გამოჩენილი გრამატიკოსი — ანტონ პირველის მიერ გამოუმუშავებული ხელოვნური ფორმები, რომლებიც ასი წლის მანძილზე გაბატონებული იყო ქართულ მწერლობაში. ბევრი ფორმა, შემოტანილი ჩვენი სალიტერატურო ენაში, ანტონის გამოგონილია, არქაული კი არაა, ხელოვნურად შექმნილია. ქართველ რომანტიკოსებთან, მაგალითად, ქართული მორფოლოგიისათვის არა ერთი ასეთი შეუფერებელი ფორმა დიდ მოწონებაში იყო. გაიდა ამისა, ისიც სიმპტომატური, რომ ჩვენი არქაისტებისათვის მისაბამი იყო იოანე პეტრიწის ხელოვნური და მძიმე ენა<sup>1</sup> და არა იმდენად ძველი ლიტერატურის კლასიკური ენობრივი ძეგლები. თქმა არ უნდა, რომ ამ პრინციპზე აგებულა სალიტერატურო ენა არ ასახავდა ჩვენი ენის ბუნებრივ განვითარებას. დიდი შემობრუნება იყო საჭირო, რათა აღდგენილიყო ენის ევოლუციის გეზი და სალიტერატურო ენა წარმართულიყო დემოკრატიისათვის გზით.

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა ენობრივი კონსერვატიზმის წინააღმდეგ და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების მძიმე ტვირთი იყისრა. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ფეოდალურ-კლერიკალურ ლიტერატორებთან პოლემიკის გაშლა არცთუ ისე იოლი საქმე იყო, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. არქაისტების შეხედულებებს ადასტურებდა საკმაოდ ხანგრძლივი ლიტერატურული ტრადიცია, მათ ნაწილობრივ ზურგს უმაგრებდა ქართველი რომანტიკოსი მწერლების პოეტური ენის პრაქტიკა; „მამების“ თვალსაზრისის თეორიული საყრდენი ჰქონდა ლოგიკისტური გრამატიკული სისტემისა და საშუალო საუკუნეების თეოლოგიის საფუძვლებში; ე. წ. „სამი სტილის“ თეორიას, რომელსაც ისინა ეყრდნობოდნენ, დიდი გასავალი ჰქონდა მთელ მსოფლიოში.

დრომოქმულ ენობრივ ნორმათა უკუგდების აუცილებლობა და თანამედროვე ლიტერატურული ენის ნორმალისაციის ინტერესები დღის წესრიგში აყენებდნენ ტრადიციული თვალსაზრისის კრიტიკას, არქაისტების მეოროლოგიის თეორიულ დაძლევას, ერთი მხრივ, და ახალი სამწერლო ენის შენებას, ახალი ნორმების დამკვიდრებას, მეორე მხრივ.

ანბანის გამარტივება, არქაული და ხელოვნური ლიტერატურული ნორმების განდევნა, მსხვილი მეტყველებისთან დამოკიდებულება, უცხოური (საერთაშორისო) სიტყვების დამკვიდრება, ტერმინოლოგიის მოწესრიგება — აი წრე ძირითადი მნიშვნელობის საკითხებისა, რომლებიც დღისგა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის წინაშე.

ამ პრობლემების გადაწყვეტაში ილია ჭავჭავაძის გვერდში ედგა აკაკი წერეთელი, მეორე დიდი მოამაგე და მოპირინახულე ქართული ენისა, ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეორე დიდი მებრძოლე და სულისჩამდგმელი. აკაკი წერეთელი — ილია ჭავჭავაძისთან ერთად — არა მხოლოდ ლიტერატურული პრაქტიკით ახორციელებდა საერთო-ეროვნულ ენის პრინციპებს, არამედ თეორიულადაც ასაბუთებდა ახალი ენობრივი პოლიტიკის ძირითად დებულებებს. ენის სფეროშიაც ილია და აკაკი საქართველოს განუყრელი ბუმებერაზები არიან.

არქაისტების თეორიულ ქვაკუთხედს წარმოადგენდა ე. წ. „სამი სტილის“ თეორია, რომელსაც ფესვიდან ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჰქონდა, ხოლო აღორძინების ეპოქაში მან საყოველთაო გავრცელება ჰპოვა. ჩვენში ეს თეორია ანტონ პირველმა ვადმონერგა. რას ნიშნავს „სამი სტილის“ თეორია? ამ მოძღვრების თანახმად არ არსებობს ერთი და იმავე სახის ენით ვიმსჯელოთ სხვადასხვა საგანზე. მაგალითად, ღვთისმეტყველებას შეეფერება „მაღალი შტილი“ — აღზევებული, მაღალთაროვანი ენა; ყოველდღიური სასაუბრო მეტყველება „დაბალი შტილი“ — მოთხოვნის (ასეთია, მაგალითად, გლეხთა ენა); ისტორიული ხასიათის თხზულებათათვის „საშუალო შტილია“ შესაფერისი. სხვაგვარი ტერმინოლოგიით, არსებობს ეკლესიური, დარბაისური და გლეხური ენა.

გასულნი საუკუნის სამოციან წლებში თავი იჩინა ერთგვარმა რევიზიონისტულმა შეხედულებამ: სალიტერატურო ენის ქვაკუთხედად გამოცხადდა „საშუალო შტილი“, ე. ი. „დარბაისლური მეტყველება“. გლეხთა ენა „დაბალი კატეგორიებისთვისაა“ განუთვნილი!

ილია და ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისაა, რომ მან ე. წ. „დაბალი სტილი“, გლეხკაცის მეტყველება გამოაცხადა სალიტერატურო ენის საყრდენად და ამით რადიკალურად უპირისპირდა ტრადიციულ თვალსაზრისს. ეს იყო გაბედული რევოლუციური ნაბიჯი, რასაც მოჰყვა მწვავე რეაქციული ძველი თაობის ლიტერატურთა მხრივ. პოლემიკა გაიშალა „მამების“ ორგანოში — ეურნალ „ცისკარში“.

სქოლასტიკური ფილოსოფიის საფუძვლებზე

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, გვ. 020).





აღმოცენებულმა „სამი სტილის“ თეორიამ მარცხი განიცადა. ი. ჭავჭავაძემ თავის უფლებებში აღადგინა ახალი სალიბერალური ენის სტრუქტურა, რომელიც საწყისებს სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის სამწერლო ენაში პოულობდა, გამართულა ის ხაზი, რომელიც გაიყვდა XVIII საუკუნეში ანტიონისეული გრამატიკული სკოლის წყალობით.

ახალი სალიბერალური ენის შენება შინაგანი აუცილებლობით მოთხოვდა ორთოგრაფიის რეფორმას. ილია ჭავჭავაძემ დაასაბუთა, რომ ასოები უ, ზ, ჯ, ა, შ, ძ, ჭ, რომლებიც ძველი სალიბერალური ენის ფონეტიკურ სისტემას შეეფერებოდა, შეუფერებელია ახალ ენაში. არქაისტები თავგამოდებით იბრძოდნენ ამხანაის გამარტოების წინააღმდეგ, ზემოსენებული ასოების განდევნა წიგნის ენიდან მათ მიუტრეხებელ შეკრებულ მიზნით. დასაბუთება ასეთი იყო: თუ, მაგალითად, ჭ ასო განვდევნეთ, მაშინ როგორღა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ქელი (გოეთ), და ხელი (აღამიანის სხეულის ნაწილი)? ეს არგუმენტი უსუსურია: ყოველთვის გადაწყვეტა კონტექსტი, სწორედ კონტექსტს ენიჭება ენაში სადიფერენციაციო მნიშვნელობა; განა ომონიმები ჩვენს მეტყველებაში ბადებენ რაიმე უხერხულობას? ენათმეცნიერების ეს კანონი კარგად იცოდა ილიამ, როდესაც უპასუხებდა თავის მოკამათეს: „თუ ეგრე არის, მაშ დარიგე (ქაღალდის დარიგება) და დარიგე (დარიგების მიცემა) სხვადასხვა „დ“-ებით უნდა დაიწეროს? ააგე (ააშენეთ) და ააგე (ცეთქეთ, შეწვიდა ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს? გავციო (მითომ სხვას მივეცო) და გავციო (ხმა ამოვიღეო) სხვადასხვა ასოებით უნდა იწეროს? ესე რომ მიპყვეთ, ათას სხვა მაგალითს გიჩვენებთ, მაშასადამე, თქვენი თეორიით ათასი სხვადასხვა ასო უნდა შემოვიტანათ და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლობელნი იქნებიან“. როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ ყოველთვის მეცნიერულ თვალსაზრისზე დგას.

ი. ჭავჭავაძემ დიდი ამაგი დასდო სალიბერალური ქართულის ლექსიკური შედგენილობის შევსებას ახალი ცნებებითა და ტერმინებით. მან დაამკვიდრა ქართულში ბევრი სიტყვა, რომლებიც სამუდამოდ შევიდნენ ჩვენი ენის ლექსიკურ ფონდში. ასეთებია, მაგალითად, შინაარსი, ავტოდასხვა, სინამდვილე, მიმართულება, დრეზბულეობა, ზეგარდმო, შთაგონება, განყენებულობა, ადგ-მიცემობა, გავრით (გრაით) და სხვ.

როგორაა შექმნილი ეს სიტყვები? ცნობილია, რომ, საერთოდ, სავსებით გამორჩეული სიტყვები არ არსებობს. ერთადერთი სიტყვა, რომელიც კლასიკურ მაგალითადაა მიჩნეული, არის „გაზი“, მისი შემუშავება-მიწვერება XVIII საუკუნის ერთ ჰოლანდიელ ჭიმეოსს შერამ არც ესაა მთლად „ციდან ჩამოვარდნილი“ სიტყვა:

იგი შედგენილია გერმანული „გაისტიც“ (გაისტიცი) შორეული რემინისცენიით. ნეოლოგიზმებიცაა ში ფეხს მოიკიდებს, თუ იგი შემუშავებულია ენის მორფოლოგიის წესების მიხედვით, ენაში უკვე არსებული მასალის საფუძველზე. ასე, მაგალითად, ენაში არსებობდა არსი და შინა, მაგრამ მათი კომბინაცია, შეერთება, რომელიც ახალ ცნებას გამოხატავს, ილიამდის არ იყო ცნობილი („შინაარსი“). რაკი ილია ითვალისწინებდა ქართული მორფოლოგიის კანონზომიერებას, მის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმებიც გავრცელდნენ ენაში. ილიასვე მიეწერება რამდენიმე მეცნიერულ-პოლიტიკური ტერმინის შექმნა. მაგალითად, არ გვქონდა რუსული право-ს შესაბამისი ტერმინი. ილიამ ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდიდან აიღო სამი სიტყვა: მართლებება, რჯულთებრება, უფლება-ამათგან დამკვიდრდა უფლება. ასევე, обращение-ის შესატყვისად მან დამკვიდრა ქტევა საქონლისა (შეადარე დღევანდელი ტერმინები: უფლის მიმოქტევა, ხისხოს მიმოქტევა...); თვითონ საქონელიც (რუსული товар-ის გაღმოსაცემად) ილიას მიერაა შემოტანილი. რუსული омен ილიამ აღუამიცივმოხალ გაღმობა ქართულა. რუსული სიტყვა-გამოთქმების გაღმობართულებს 85 ნიმუშიდან ყველას არ მოუპოვებია მოქალაქეობრივი უფლება ქართულ ენაში (მაგალითად, гражданин-ის შესაბამისად ილიასეული მამულის-შილი არ დამკვიდრდა; არც единич-ის შესატყვისად ცალი ვაბატონდა, და სხვა)¹.

ილია ჭავჭავაძე დადი ყურადღებით ეკიდებოდა საერთაშორისო სიტყვების დანერგვას ჩვენი ენის ლექსიკურ შედგენილობაში. არქაისტები ილიას უცივიებდნენ, რომ მან პირველად იხმარა თავის საპოლიციო სტატიაში ინტერაციონალური სიტყვება „ორიგინალი“, „სენტემენტალური“ და სხვ. ილია სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ ენაში აუცილებელია საერთაშორისო სიტყვების დამკვიდრება, ისეთი სიტყვებისა, რომელთა შევიცადნენ ჩვენი ენას არა აქვს; ვერც ერთი კულტურული ენა ვერ ასცდებდა უცხოურ სიტყვებსო. აი რას წერდა ილია ბარბარე ჯორჯაძის მისამართით: „ორიგინალი, სენტემენტალური და სხვანი მაგგვარნი სიტყვები, ხმარებულა ჩემს აპრობის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგილიათ. ეგ მართალია, ქართული სიტყვები არ არი, მიელი კაცობრიობა კი ხმარობს... არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ... თუნდ

¹ იხ. ა. შანიძე, ი. ჭავჭავაძე, როგორც მებძოლი ახალი სალიბერალური ქართულის დამკვიდრებისათვის („ილია ჭავჭავაძე, საუბნული კრებული“, 1939), გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენის შესწავლა სკოლაში, 1957.



რომ მე არ ვინმარო ვე სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოლიკა და სხვანი მრავალი. ეგ არა ხალხს არა დეძარახება, ის სცრლობს, — რომელიც ძრახავს მაგვარ სიტყვების შემოტანას ენაში“ (თხზ., 1941, ტ II, გვ. 34 — 35). ი. ჭავჭავაძემ, ამასთანავე, ისიც კარგად იცოდა, რომ უცხოური სიტყვების მოზღვაება ენაში დასაგომბია; არ არის გამართლებული ისეთი საერთაშორისო სიტყვა-გამოთქმის დავკვიდრება, რომლის ბადალი, ძირეულად ქართული სიტყვა ენაში მოიპოვება. ილია სასტიკი მტერი იყო ბარბაროზებით ენის დანაგვიანებისა. აი რას ამბობდა იგი: „მე „ისტორიები“, „ლინიები“ და სხვა გარბიანული სიტყვები... ამისათვის დაძვრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში“ (ტ. II, გვ. 434). საესებთ სწორი დებულედა. გავისხენით დიდი ლენინის აზრი უცხოური სიტყვების თაობაზე. ცნობილია, რომ ლენინი სასტიკად ილაშქრებდა რუსულ ენაში ისეთი საერთაშორისო სიტყვების შემოტანის წინააღმდეგ, რომელთა შესატყვისი მდიდარ რუსულ ენას გააჩნდა ძირეულად რუსული სიტყვების სახით.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძეს სახელმძღვანელო დებულედა აქვს გამოთქმული ქართულ ენაში ინტერნაციონალური ლექსიკური ერთეულების დაშვების შესახებ.

ი. ჭავჭავაძე დაულალავად ზრუნავდა ქართული ენის სიწმინდისათვის. იაკობ მანსვეტაშვილი წერს: ილია ჭავჭავაძე „მტკიცედ იცავდა ენის სიწმინდეს, სიფაქიეს, ქართულებას. „რა ენა წახდეს, გრიც დაეცეს“, — უყვარდა ხშირად ამის გამოვრება, ენა უნდა დაეცვათ შერყენილობისაგან“<sup>1</sup>. თუ რა პასუხისმგებლობით ეციდებოდა ილია თავისსავე ნაწერებს ენის სიწმინდის თვალსაზრისით, კარგად ჩანს მისი რამდენიმე ნაწარმოების ხელნაწერი ნუსხებისა და ვარიანტების ტექსტუალური ანალოზიდან<sup>2</sup>. ახალი სალიტერატურო ენის ფორმირებამ საესებთ ბუნებრივად წარმოშვა სიძნელეი, რომელთა გადალახვა ჩვენი ენის მეყვერეთა გადადუღებელ ამოცანას წარმოადგენდა. ვანსაუთრებით ოთხმოციან-ოთხმოდდაათიან წლებში ერთგვარი სიტყვე დავტყო სამწერლო ენას, მოსაქვსრიგებელი იყო ნორმების საციოთხი, ენის ნორმალი-

ზაცია მთელ რიგ მტკიენულ კითხვებში<sup>3</sup> და. აქაც ილიას გამჭირახი გონება იყო საჭირო. ძალიან საინტერესოა შემდეგი ფაქტი: ილია ჭავჭავაძეს შეუდგენია ლიტერატურული ენის ნორმების მომწესრიგებელი კომისია, რომელშიაც შედიოდნენ მკოდნე პირები. ყვარლის ილიასეულ სახლ-მუზეუმში ინახება დაბეჭდილი უწყება, რომელიც ეგზავნებოდა კომისიის წევრებს. სხდომა უნდა შემდგარიყო 1886 წლის 8 მარტს „იევირის“ რედაქციაში, „განასახილველად საგარამტოკო საგანთა — იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყველთაო კანონი აიხსნას და დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად“. უწყებაში ჩამოთვლილია განსახილველი საციოთხები: ჰავსა და სანის ხმარება ზნაში, ბრუნეთაა შეთანხმება წინადადებაში, „რა“-ს ხმარება (მიწვეურე რა...), ქვემდებარის რიცხვის საციოთხი, წინადადების კონსტრუქციის საციოთხები და სხვ.

ილია ჭავჭავაძე მწერლობას, სიტყვაჯამულ ხელოვნებას საერთოგონელო ენის დავკვიდრების ყველაზე მძლეარე საშუალებად მიიჩნევდა. ამიტომ იყო, რომ იგი სწორედ მწერლობისაგან მოითხოვდა ენის სიწმინდის დაცვას, ენის ფენომენის ღრმად შესისხლბორცებას, სიტყვისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოცივებას. „ჩვენ მარტო ეს ვიცით ძალიან კარგად, — ამბობდა ილია, — რომ ლიტერატურას შევყავს წარმატებაში ენა, ესეც კარგად ვიცით, რომ ლიტერატურის განზრახვეც ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალშტოიანი“.

ილია საესებთ კატეგორიულად ამბობდა, რომ „ნიჭიერი მწერალიც ამისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოიჩინოს ხოლმე“. მოვიგონოთ ეს სიტყვებიც: „ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ჭვეყანაზე... ძვირფასი თვისება ჩვენის ენისა როგორ უნდა დაიძახოს წინდაუხედავად თეორეტიკის ზღაპრებით! როგორ უნდა დაუკარგოთ ეგ უყვეთსი თვისება ჩვენს ენას! ცოდევა, სასიკვდინო ცოდევა მაგ-გვარი წინდაუხედავი მასხარაობა ლიტერატურაში ენახედა და ენის უყვეთს თვისებახედა!“ — ასე მიმართავდა ილია ენობრივი კონსერვატიზმის მქადაგებელთ.

ძნელია პატარა წერილის ფარგლებში ჩასტოო იმ დიდი დეაწლის დახასიოთება, რომელიც მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს მრავალსაუკუნეოვანი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. აქ ჩვენ სრულიად არ შეგვხებიათ ილიას ნაწერების ენას, არ გვიჩვენებია, თუ რა ხორცმესხმა განიცადა ილიას თეორიულ-ტეოთმეცნიერულმა იდეებმა მისსავე ლიტერატურულ ქმნილებებში, რა საუფხურზე აიყვანა მან ქართული საერთოგონელო ენა და ამით საზარადეამოდ აღბეჭდა თავისი სახელი ჩვენი დედაენის განვითარებაში.

<sup>1</sup> ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 77.

<sup>2</sup> ეს შედარებითი ანალიზი მოცემულია პრ. კეკელიძის წიგნში: „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საციოთხები საშუალო სკოლაში ენის შესახებ ი. ბ. სტალინის მოძღვრების შექმნა“, 1952, გვ. 75 — 76.



## გუგამ გუგამიანი

### პოემა სიცოცხლის გაპარჯებისა

ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში კარგა ხანია დაიბადა და მომწიფდა აზრი, რომ ილია ჭავჭავაძის, ისევე როგორც სხვა ქართველი კლასიკოსების, შემოქმედებას უნდა განვიხილავდეთ არა მხოლოდ როგორც ლოკალური მნიშვნელობის მოვლენას, რომ საჭიროა ამ შემოქმედების შესწავლისას შესაფერის მასშტაბებზე მოიძებნოს. კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მართებული ბრძოლის პათოსში ზოგი მკვლევარი ლიტერატურული პარალელების სრულ უარყოფამდე მივიდა, მათ ვერ ვაივს, რომ კოსმოპოლიტური ჩხირკედლობის მკაცრი უარყოფა სრულებით არ ნიშნავს კლასიკოსების მსოფლიო ლიტერატურის ასექტში განხილვაზე ხელის აღებას. ი. ჭავჭავაძის „კაცია-აღამიანი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „საჩინოებლავზე“, „განდეგილი“ თუმცა ქართულ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ნაწარმოებებია, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა რიგს განეკუთვნებიან და სწორედ ასეთ ასექტში უნდა იქნან განხილული. ამ თვალსაზრისით შევნიშნავთ პოემა „განდეგილზე“.

ამ პოემაში ი. ჭავჭავაძემ შეუღარბებელი ოსტატობით გადაკრა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა ცხოვრებისა და მისგან განსვლის, ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ცხოვრებასთან დამოკიდებულების პრობლემა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკული და საზოგადოებრივი პრობლემა, მრავალი მთავროვნისა და მწერლისთვის გამხდარი შთაგონების წყაროდ და, ამდენად, „განდეგილის“ ლიტერატურული პარალელების დაძებნა მსოფლიო ლიტერატურაში არ ძვირდება. ამ პრობლემასთან არის დაკავშირებული ფლობერის „წმიდა ანტონის ცთუნება“, ზოლას „აბატ მურეს შეცდომა“, ტოლსტოის „მამა სერგი“, ფრანსის „თაისი“, ლერმონტოვის „შწირი“. სიკვდილზე სიცოცხლის გაპარჯების იდეით და ცხოვრების უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით „განდეგილი“ ძლიერად ეხმარება

ლერმონტოვის, ლონდონის, გორკის ნაწარმოებებს. ეანრობრივად და მხატვრული აზრის სიმბოლიტობით იგი უფრო ლერმონტოვის „შწირს“ ენათესავება, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ ორივე პოემა ჰიმნია მოქმედებისა და ადამიანური ცხოვრების უფლებების დაცვისა. მაგრამ „შწირში“ აქცენტი გადატანილია თავისუფლებისმოყვარეობის დიდ გრძნობასა და ადამიანზე ძალდატანების წინააღმდეგ ბრძოლაზე, იმ დროს, როდესაც ილიას მთელი ყურადღება ასექტიზმის პრობლემას დასტრიალებს. სწორედ ამიტომ ის მკვლევარები, რომლებიც „განდეგილის“ შექმნის მიზეზს შამბაძელობაში ეძებდნენ, მიუთითებდნენ არა ლერმონტოვზე, არამედ ფლობერსა და ზოლასზე.

აზრი, რომ „განდეგილი“ ლიტერატურული წყარო ფლობერის „წმიდა ანტონის ცთუნება“ და ზოლას „აბატ მურეს შეცდომა“, შეიძლება ითქვას, ილიას პოემასთან ერთად დაიბადა. მის წარმოშობას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მკვლევართა ნაწილი სწორად ვერ ახსნა პოემის დანიშნულება, ვერ გაიგო პოეტის ჩანაფიქრი. ეგსტათი მკედლიძემ ილიას პოემაში დაინახა რეალური ცხოვრების თვალის არიდება, მის საქიბოროტო საკითხებზე პასუხის გაცემის უფლებებუყოფა და მკაცრად უსაყვედურა პოეტს „განსვენების ძიება“ „განდეგილის“ პოემაში (იხ. ე. ბოსლეველის (მკედლიძის) სტატია, გაზ. „შრომა“, 1883 წ., № 18).

იმ მკვლავი საფუძვლიდან, რომ „განდეგილი“ არ აბილა სპეკულაციური სინამდვილით შთანაგონები პოემა, ჭუნებრივად დაიბადა არაჩაკლებ მცდარი აზრი პოემის წყაროების უცხოურ სინამდვილესა და ლიტერატურაში ძიებისა. „განდეგილი“ რამდენიმე ხნით აღერ გამოქვეყნდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფლობერის „წმიდა ანტონის ცთუნება“ და ზოლას „აბატ მურეს შეცდომა“, რომლებიც ასევე ასექტიზმის პრობლემისადმი მიძღვნილი. ამ ნაწარ-





მოგზა მსგავსების შესახებ აზრა იდრევე გე-  
მოითქვა, განსაკუთრებული ყურადღებით ეს  
საკითხი პირველად კიტა აბაშიძემ განიხილა (იხ.  
ვახიანის წერილი ვახუშტი „ივერია“, 1894 წ.,  
№ 198, კიტა აბაშიძის წერილები 1896 წ. „მო-  
ამბეში“ და მისივე ეტიუდები).

კ. აბაშიძის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდოლო-  
გიური შეცდომა იყო როგორც ცხოვრების, ისე  
ლიტერატურის კანონად მიმბაძეულობის მიხედვა-  
მისი აზრით, ფრანგული ლიტერატურა იყო ამო-  
სავალი როგორც რუსული, ასევე ქართული ლი-  
ტერატურისათვის XIX საუკუნეში. მან ერთიმეორ-  
ის ტექსტუალურად შეუდარა ილიას „განდეგილი-  
“, ზოლას „აბატ მურეს შეცდომა“, და ფლო-  
ბერის „წმიდა ანტონის ცთუნება“. თუ საბო-  
ლოდ კიტა აბაშიძე არ მიუთითებს, კონკრეტულ-  
ად რომელი მთავანის მიმბაძით არის შექმნილი  
„განდეგილი“, იმიტომ კი აბა, რომ იგი პოემის  
ორიგინალით სისარგებლოდ წვეტეს საკითხს,  
არამედ იმიტომ, რომ სიფრთხილით აცხადებს:  
„მიმბაძეულობას გენოსი თავისებური ელფერით  
შემოსავს და ეს სამოსელი თითქმის შეუძლებ-  
ლად ხდის მასში მიმბაძევის კვლის აღმოჩენას“.

სამწუხაროდ, ზოგ საბუთია მეკლავარზეც მო-  
ახდინა ვაგუნა ამ მკლავარმა აზრმა. მაგალითად,  
ნ. ურუშაძე წერს, რომ ილიას „განდეგილი“ ზო-  
გეირთების მიერ გაგებულ იქნა, როგორც სო-  
ციალურ აქტუალობას მიკლავარ ნაწარმოები“, და  
აცხადებს: პოემაში გადაწყვეტილი „პრობ-  
ლემის აქტუალობა თვით ეპოქის კათოლიკურ-  
რეაქციულ-მისტიური ტენდენციებით იყო შე-  
პირობებული — ევროპისა და რუსეთის სინამდ-  
ვილოში“. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ  
ხანაში... იწერება ფლობერის „წმიდა ანტონის  
ცთუნება“ და ზოლას „აბატ მურეს შეცდომა“.  
ილიას „განდეგილი“ განხილულ უნდა იქნას  
როგორც მსოფლიო ლიტერატურული ღირებუ-  
ლება და ანალოგია აღნიშნულ ნაწარმოებებთან“  
(იხ. ნ. ურუშაძის წერილი ილიას საიუბილეო  
კრებულში). რაკი „განდეგილი“ ქართულ ეროვ-  
ნულ ნიადაგს მოწყვეტა, ნ. ურუშაძე ლოკიუ-  
რად მივიდა იმ მკლავარ დასკვნამდე, რომ იგი  
ანალოგიით, მიმბაძით არის შექმნილი.

ერთი შეხედვით, „განდეგილი“ ილიას შემოქ-  
მედებაში თითქმის მართლაც ცალკე დგას, მის  
უშუალო გავრცელებას არ წარმოადგენს. „აზრ-  
დილობა“, „კაკო ყაჩაღობა“, „გალობის ნაამბობ-  
თან“, „მედე დიმიტის თავდადებულთან“ ზეგრეს  
სიყვეტური შედარების შედეგად მართლაც შე-  
იძლება დაიბადოს აზრი, რომ „განდეგილი“ ილი-  
ას შემოქმედებას თემატურად აფართოებს და  
ამშვენებს, ხოლო მის ლიტერატურის, ეროვნულ  
მოტივს, ორგანულად ვერ ერწყმის. მაგრამ თუ  
გაივანალობებით ამ პოემას ილიას მთელი შემოქ-  
მედებითი მეგვიდროობის ფონზე, მისი მსოფლ-  
ხედველობისა და მისწრაფების გათვალისწინე-

ბით, დაერწმუნდებით, რომ „განდეგილი“  
ტის შემოქმედებით გააქვს ერთ-ერთ მსგავს-  
ბელი რგოლია და მის ძირითად მიზანს — ქარ-  
თველი ხალხის ეროვნული შეგენების გამოცხი-  
ლებას ემსახურება.

ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულების  
საკითხი ილიასათვის სასხვათაშორისო და მოინ-  
ტური არასოდეს არ ყოფილა, იგი ყოველთვის  
იღვა პოეტის ყურადღების ცენტრში. ჯერ კი-  
ნდეუ ჰაბუტის პერიოდში ქვეყნის სოციალური  
და პოლიტიკური უმწეობის შემყურე ილიას  
წინაშე მთელი სერიოზულობით დასვა საკითხი  
ცხოვრების სრული მიღების ან უარყოფისა.  
ამიტომ ილიასათვის, მისი მსოფლხედველობის  
ჩამოყალიბების პერიოდში, უცხო არ იყო ფიქ-  
რი როგორც გარდაბლდის რაზმში ვოლონტე-  
რად წასვლაზე, ისევე ბერად შედგომაზე. ისე-  
თი ძლიერი პიროვნებისათვის, როგორც ილია  
იყო, მესამე, სამუალო გზა არ არსებობდა. მის  
ან უნდა მიეღო უკუღმართად მოწყობილი ცხოვ-  
რების გამოწვევა და აქტიური ბრძოლა ეწარმო-  
ებინა, ან საბოლოოდ დაეყარა ფარ-ხმალი; რო-  
გორც ციკო, მის პიროვნებაში ოპტიმისტურმა,  
მებრძოლმა განწყობილებამ სძლია. ეს განწყობი-  
ლება ილიას უკანასკნელ ამოუწთქამდე გაჰყ-  
ვა. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რადგან  
ილია, მედროშე თერგდალულებსა, რომლებ-  
მაც იტიერთეს სამშობლოს უკეთესი მომავლ-  
ისათვის ბრძოლა, თავისი შემოქმედებითა და  
მოღვაწეობით ოპტიმიზმისა და აქტივობის გან-  
სახიერება უნდა ყოფილიყო. პოემა „განდეგი-  
ლი“, რომელიც ილიამ უკვე ხანდაზმულმა და-  
წერა, სიკვდილზე სიკოცლის გამაბრჯევის  
პიშნია, პოეტის ოპტიმისტური მსოფლხედველო-  
ბის კენტიცენციაა.

მართალია, ილია პოემაში ქრისტიანი ხსე-  
ტის სახეს იძლევა, მაგრამ ეს უკანასკნელი გან-  
სახიერება არა მარტო რელიგიის შთაგენებით,  
სარწმუნოებრივ ნიადაგზე ცხოვრებისაგან გამდ-  
გარი ადამიანისა. ილიასეული ასექტივიზმი გაცი-  
ლებით ფართო ცნებაა, ვიდრე რელიგიური.  
ილიასათვის ასექტია ყველა ის, ვინც ცხოვრებ-  
ისაგან გადგარა, ვინც მის დღილიში არ იწვის,  
ვისაც არ შეაქვს თავისი წილი, თუნდაც მკი-  
რე, პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში. ცდე-  
ბიან ის მეკლავარები, რომლებიც „განდეგილში“  
რელიგიური ასექტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლას  
ხედავენ მხოლოდ. ამით ისინი აწინებენ პოემის  
მიზანდასახულობას, მის ღირსებას, ვინაიდან XIX  
საუკუნის ბოლო მეოთხედში საქართველოში  
რელიგიური ასექტივიზმის წინააღმდეგ ბრძოლა  
პირველხარისხოვანი პრობლემა სულაც არ ყო-  
ფილა. მით უმეტეს, თუ გაითვალისწინებთ არა-  
გაივანალობის ილიას დამოკიდებულებას, ცხადი უნ-  
და იყოს, რომ იგი არ გამოვიდოდა „განდეგილ-  
ში“ მასთან მებრძოლად. ილია, მიუხედავად მისი

მატრიალისტური მსოფლმხედველობისა, არ გამოიყოფა მებრძოლი ათეიზმის გზას. პირიქით, იგი დაბეჯითებით ცდილობდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში „ბედნიერად მორიგებას“, რაც რელიგიისადმი ფეიერბახსიეულ დაპირდებულებას მოგვავიწყებს. რელიგიისადმი ი. ჭავჭავაძის კომპრომისული დამოკიდებულება გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველოს ერთიანობისათვის დაუღალავი მებრძოლი პოეტი ქრისტიანულ რელიგიასში ხედავდა ძალას, რომელსაც შეეძლო გარკვეული სასარგებლო სამსახური გაეწია ქართველი ხალხისათვის მისი ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. ხოლო თუ ამასთან ერთად გაითვალისწინებთ ილიას შინაგან შეუნელებელ მისწრაფებას მოქმედებისაკენ, ბრძოლისაკენ, რომელიც ნათელ გამოხატულებას პოულობს მთელ მის შემოქმედებაში, აშკარა გახდება, რომ „განდეგილი“ იგი გამოდის არა რელიგიური ასკეტისად, არამედ ასკეტისად, როგორც ცხოვრებისაგან განდგომის ყოველგვარი სახეობის გამოხატულები ცნების, წინააღმდეგ.

ამდენად, „განდეგლის“ პრობლემის აქტუალობა შეპირობებული იყო არა ევროპის „კათოლიკურ-რეაქციულ-მისტიკური ტენდენციებით“, არამედ XIX საუკუნის საქართველოს სინამდვილით, პოეტის შემოქმედებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი ამოცანის — ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებისა და ბრძოლისუნარიანობის ჩანერგვის — სამსახურის მიზნით. პოემის მსოფლიო მნიშვნელობა იმით კი არ აიხსნება, თითქოს იგი ევროპის სინამდვილითაა შთაგონებული, არამედ იმით, რომ ილიამ შეძლო ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების ზოგადსაკაცობრიო პრობლემის დიდი მხატვრული ოსტატობით გადაწყვეტა. „განდეგლი“ ქართული სინამდვილის პირშემა და მან, ისევე, როგორც ყოველმა გენიალურმა ნაწარმოებმა, თავისი მაღალი პროგრესული იდეისა და მხატვრული სრულყოფის წყალობით შეძლო ეროვნულიდან მსოფლიო მნიშვნელობამდე ამაღლება. ეს გარემოება ნათელს ხდის, თუ რამდენად მცდარ საფუძველზე იყო დაყრდნობული თეორია, რომელიც „განდეგლის“ შექმნის მიზეზს მიმბაძველობაში ხედავდა. თუმცა „განდეგლის“ ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობა საბოლოოდ არ გამოირიყვას მასში მიხაბეის კვალის აღმოჩენის შესაძლებლობას. პოემის სრული ორიგინალობის კატეგორიული მტკიცება ასეთი აპრიორული მსჯელობით, ცხადია, იმდენად დამაჯერებელი ვერ იქნება, რამდენადაც ტექსტების ანალიზით. ასეთი ანალიზის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ, მართალია, მთელმა რიგმა მკვლევარებმა აღნიშნეს „განდეგლის“ ორიგინალური ხასიათი, და ეს აზრი დღეს აღიარე-

ბულიცაა, მაგრამ მისი შეღარებითი ანგლიზი ფლობერისა და ზოლას ნაწარმოებებთან შედარებით ბული ობიექტური პოზიციიდან დღემდე არავის უცდია.

ერთგვარი მსგავსება ფლობერის „წმიდა ანტონის ცთუნებას“ და ილიას „განდეგლის“ შორის მართლაც არსებობს. ორივე ნაწარმოებს ავტორთა შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მათი მსოფლმხედველობის ერთერთ ძირითად მომენტს — ცხოვრებასთან დამოკიდებულებას — განსაზღვრავს. ფლობერი „წმიდა ანტონის ცთუნებას“ მთელი თავისი ცხოვრების ნაყოფს უწოდებდა. ილიასაც შეეძლო გაემეორებინა ეს სიტყვები: თუმცა მის, ფლობერივით, ათეულ წლების მანძილზე არ უშუშავია თავის პოემაზე, მიანც „განდეგლი“ მთელი მისი ცხოვრების აზრისა და მისწრაფების გამოხატულებაა, მასში დასმულია ის პრობლემა, რომელიც ილიას, ისევე როგორც ფლობერს, ჰაზრულობდა იგი ასვენებდა. არც ფლობერსა და არც ილიას თავისთავად ქრისტიანი ასკეტის განცდებმა არ აინტერესებთ. მათი მიზანი ვაკაცობის რთული და საყურადღებოა. მათი აზრი ცხოვრების რაობისა და მასთან ადამიანის დამოკიდებულებას დასტრიალებს. ამით იწყება და მთავრდება საერთო „წმიდა ანტონის ცთუნებას“ და „განდეგლის“ შორის. არც სიუჟეტური, მით უმეტეს, არც მსოფლმხედველობრივი მსგავსება მათ შორის არ არის. პირიქით, ცხოვრებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა მათში საბიბლისირო პოზიციებიდან არის გადაჭრული.

ფლობერმა თავისი ფილოსოფიური დრამის სიუჟეტად საკმაოდ პოპულარული წმიდა ანტონის ცხოვრება აირჩია. ანტონს, რომელიც ქრისტიანი ასკეტის მკაცრ ცხოვრებას ეწევა ფიგურის მიუვალ მთებში, სინაელის გამოწვევა უჩნდება ცხოვრების მიტოვების გამო. მაგრამ მისი რელიგიური რწმენა ჯერ კიდევ იმდენად ძლიერია, რომ იგი უძლებს მრავალ ცთუნებას, რომლებიც მოჩვენებათა სახით ეგონებოდას. მხოლოდ ემშვიბა — განსაზღვრება შეცნობებისა — შეძლებს მის დამარცხებას. იგი მოევიწინება ანტონს ილარიონის სახით და დაარწმუნებს, რომ ამ ქვეყნად ყოველივე, თვით სარწმუნოებაც და ღმერთებიც, წარმავალია; მარადიულია მხოლოდ მეცნიერება. ანტონს იტყუებს მატერიის შეცნობის უსივლილი, იგი ივიწყებს ძველ რწმენას და მიჰყვება ილარიონს, რომელიც თვალწინ გადაუშლის მთელ სამყაროს. მაგრამ ამ მოჯახურობის შედეგად ანტონი რწმუნდება სამყაროს განუსაზღვრელობაში, მისი შეცნობის შეუძლებლობაში, ადამიანის უსუსურობაში. დრამა სკეპტიციზმით გამსჭვალული, იგი ხელს იღებს სამყაროს შეცნობის უნაყოფო სურვილზე, უბრუნდება ძველ ცხოვრებას და ჩვეულებრივი ლოცვით იწყებს მეორე დღეს. საფუძვლიანი ანალიზი ამ ფილო-



სოფიური დრამისა შორის წაგვიყვანს და ეს არც წარმოადგენს ჩვენს მიზანს. ჩვენთვის საყურადღებოა, თუ როგორ წყვეტს ავტორი ადამიანის ცხოვრებასთან დამოკიდებულების საკითხს.

„წმიდა ანტონის ცთუნება“ ფლობერის სულიერი დრამის ნათელი გამოხატულებაა. სადრანგეთის რევოლუციების პერიოდის ისტორიული ფაქტორები წარმოადგენენ იმ საფუძველს, რომელმაც განაპირობა ფლობერის დრამა წინააღმდეგობებით საყვარელი შემოქმედება. ფლობერი ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგიად დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ნათლად გრძნობდა ამ უკანასკნელის სიმანჩვესა და განწირულებას. მან ვერ გაართვა თავი რევოლუციების რთულ ეპოქას, ვერ გაუგო ხალხს და სწორედ ამით არის გამოწვეული მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სკეპტიციზმი და უნდუნეობა, რომლის შესანიშნავი განსახიერებაა „წმიდა ანტონის ცთუნება“. ფლობერის დრამა რწმენით, უახრობაა აქტიური შექმედება, რადგან ადამიანი უძღურებდა რაიმე შეცვალის ცხოვრების მიდინარებაში. იგი თავის ფილოსოფიურ დრამაში უმოქმედობასა და ბედთან შერეგებას ქადაგებს. განა შეიძლება მსგავსების პარალელის გაღება ასეთი მიზანდასახულების ნაწარმოებებსა და „განდევლის“ შორის, რომელიც ბრძოლისა და მოქმედების მოყოლებას! კონტრასტულია „წმიდა ანტონის ცთუნებისა“ და „განდევლის“ ფინალიც. თუ პირველში იმარჯვებს უსაზღვრო პესიმიზმი და ფაქალიზმი და იმედგაცრუებულ ანტონს კვლავ ღვთის მადეარებელს ვხედავთ, ილიას ბოემის ფინალი ასეკტივიზმის სრული დაღუპვის მრისხანე სურათს გვიშლის თვალწინ. ასე რომ არ შეიძლება სერიოზული მსჯელობა ამ ორი ნაწარმოების არც სიუჟეტურ, მით უმეტეს, არც იდეურ მსგავსებაზე. დამაჯერებელი არაა ნ. ურუშაძის ცდა — აღმოაჩინოს „მსგავსება პერსონაჟების სულიერი კოლიზიის გამოხატვის ზოგიერთ მომენტშიც“, რაც იმით ამოწურება, რომ, როგორც ფლობერის ანტონს ესმის ზმები „ოი, სირცხვილო“, „ახ, საბრალო“ და სხვა, ასევე ილიას მწიროსაც დახატაბრებს თავზე მაცთურთ: „წაწყდი თუ არა!“, „დავძლიე თუ არა!“. „სულიერი კოლიზიის“ გამოხატვის ეს მსგავსება (თუ შეიძლება ამას მსგავსება ეწოდოს), არავითარ უფლებას არ გვაძლევს ფლობერის „წმიდა ანტონის ცთუნება“ ილიას ლიტერატურულ წყაროდ მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ სიუჟეტური და იდეური ანალიზი სრულიად საპირისპიროში გვარსებებს.

ცნობილია ზოლას გატაცება ფიზიოლოგიური პრობლემებით მისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველ ათეულ წელში. „ფიზიოლოგიური ნატურალიზმის“ თეორიის ჩამოყალიბებით ზოლას სურდა მჭიდროდ დაკავშირებინა ერთმანეთთან მეცნიერება და ხელოვნება. მისი რომანები „ტერეზა რაქინი“ და „მადლენ ფერა“ სწორედ ამ ახალი ესთეტიკური თეორიის საფუძველზე

შექმნილი ნაწარმოებებია. „რუგონ-მარკაის“ ადრინდელ პროსექტშიც ზოლას უფროსი მსგავსება ფიზიოლოგიურ პრობლემებზე შევსურადღებდა გამახვილებული, ვიდრე სოციალურზე, რადგან პირველს იგი მდლარად აუთენენდა დიდ როლს საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხების გარკვევის საქმეში. მართლაც, შემდგომში ზოლამ უღალატა პირვანდელ ჩინაფიქრს და „რუგონ-მარკაის“ შესანიშნავი დრამა სოციალური ეპოქა შექმნა, ფიზიოლოგიური ნატურალიზმის კვალი მასში მინც ძლიერად დარჩა, განსაკუთრებით რამდენსამე რომანში, მათ შორის „აბატ მურეს შეცდომაში“.

მურესა და ალბინას გარდა, რომელთა ურთიერთობა ძირითად ქარგას წარმოადგენს, რომანში საყურადღებოა ნაყოფიერების საწყისი — დეზირესა და ასეკტიური მსოფლმხედველობის ცოცხალი სიმბოლოს — არკანეიას მხატვრული სახეები. აბატი მურე კათოლიკურმა აღზრდამ და ღვთისმსახურებამ მიიყვანა ზოგი უზიოლოგიური გრძნობის დათარგუნვამდე. მაგრამ ამ გრძნობების მოთხოვნებზე ნელ-ნელა უღვივდება და სულის სიმშვიდეს უკარგავს. მურე ღვთისმშობლის ხატშიც გრძნობით საყვარელ ქალს ხედავს. იგი გაკვირებულია ნაყოფიერების ძალით, რომელიც სოფლის მცხოვრებელთაც ისევე ძლიერად იმორჩილებს, როგორც მისი დეი, დეზირეს ცხოველებს. აბატი რწმენით წინააღმდეგება მოზღვაებულ გრძნობას, მაგრამ ეს უკანასკნელი ფიზიკურად სძლევს მას და მურე გონებას კარგავს. დოქტორ პასკალს ავიდევითი ალბინასთან გადაყავს დაბურულ პარადუს ბაღში. ალბინა ბუნების შვილია, სიცოცხლის სიყვარულის გრძნობით საყვარელი მურე, რომელსაც არაფერი ახსოვს ძველი ცხოვრებისა, ძლიერად შეიყვარებს ალბინას. მაგრამ ასეკტი არკანეია, რომელმაც ზიზღს იწვევს ადამიანის ბუნებრივი გრძნობები, ახსენებს აბატს მის წარსულს და მოვალეობას. ალბინა ვერ გადაიტანს მურეს დაშორებას, ეს უკანასკნელი კი სრული სიმშვიდით ასრულებს საეკლესიო რიტუალს მისი დაკრძალვისას. როგორც ვხედავთ, „განდევლის“ ფაბულას ამასთან ოდნავი მსგავსებაც არა აქვს. იქნებ მათში ჩაქსოვილი აზრი ანათესავებს ამ ნაწარმოებებს? როგორც დავინახავთ, არც ამ მხრივ ხერხდება მათი მჭიდროდ დაკავშირება.

რომანის ძირითადი საკითხია, თუ რა გავლენას ახდენს რელიგიური ექსტაზი ადამიანის ფიზიკურ ბუნებაზე, სძლევს თუ არა იგი ადამიანურ, ან უფრო სწორად, ცხოველურ გრძნობებს. ზოლა აწმშვლებს ადამიანთა დამოკიდებულებას, თანმიმდევრულად და დაბეჯითებით გვარწმუნებს იმაში, რომ სოფელ არტოს მცხოვრებთა და დეზირეს ურიცხვ ცხოველთა შორის ნაყოფიერებისადმი სწრაფვაში არავითარი განსხვავება არ არსებობს. მწერალი ადამიანშიც ცხოველურ ალტკინებას ხედავს.





ზოლა გაცდა ამ ეწირო ფიზიოლოგიურ პრობლემას და საკითხი გაცილებით უფრო დიდ პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა (ასეთი შემთხვევები ზოლას შემოქმედებაში ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან მწერლის ესთეტიკური თეორია და მხატვრული პრაქტიკა ერთგვარ წინააღმდეგობაშია მოქცეული). ზოლამ ერთმანეთს დაუბირისპირა ორი მსოფლმხედველობა: ცხოვრების უარყოფისა და მისგან განდგომისა — არკანეიასა და აბატ მურეს სახით, და ამქვეყნიური ცხოვრებისა და ბუნების სიყვარულისა — ალბინას, დეზირესა და სოფელ არტოს მცხოვრებთა სახით. მართალია, ცენტრალური გმირებიდან აბატში მსაბოლოოდ კვლავ რელიგიური რწმენა სძლევს, ხოლო ალბინა — სიცოცხლის სიყვარულის განსახიერება — მურეს მიტოვების შემდეგ უწყლო მყენარესავით ჰქნება და იღუპება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ასკეტური მსოფლმხედველობის გამარჯვებას, როგორც ეს კიტა აბაშიძემ გაიფიქრა. ცხოვრების უძლეველობაში გვარწმუნებით სოფელ არტოს მცხოვრებლები, რომლებიც საბოლოოდ აქცევენ ზურგს ეკლესიას. არკანეია და აბატი მურე განცალკევებით რჩებიან. დეზირეს მხიარული შემაბილი ალბინას საფლავზე: „ძროხაში ხბო მოვიო“, რომლითაც თავიდან რომანი, ნაყოფიერების, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას გვაძენობს.

მწერალმა უკვე ამ რომანში გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკური რელიგიისადმი, რაც განსაკუთრებულად სიძლიერით გამოჟღერდა მის 90-იანი წლების შემოქმედებაში, როდესაც მან რეაქციული კათოლიკური იდეების გაძლიერებას ანტიკონტრადიქტური და ანტირელიგიური რომანების სერიით უპასუხა.

მართალია, ზოლა და ილია ამქვეყნიური ცხოვრებისადმი ადამიანის ძლიერი ლტოლვის გამოხატველნი არიან, მაგრამ ზოლა, ფიზიოლოგიური ეტოლდის დამუშავების შედეგად, უნებლიეთ და არა წინასწარი განზრახვით, ამოღდა ცხოვრების მიღების ზოგად პრობლემად, იმ დროს, როდესაც ილიას „განდევილი“ თავიდანვე ცხოვრების ჰიმნად იყო გამოზნული. თუ ზოლა ნაყოფიერების ძალის აღიარებით მიდის ცხოვრების მიღების აუცილებლობის მივანდე, ილია ზოგადად სევამ ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს და მოქმედებისა და ბრძოლის აბოლოგეტად გვევლნება. იმ დროს, როდესაც ასკეტრზმის ილიასელი გავებით, ალბინასთან შეუღლებული მურე კვლავ განდგომილთა ცხოვრებას ეწევა, რადგან იგი პარადუს დაბურულ ბაღში ალბინასთან ალერსის დროს მოწყვეტილია ხალხს, ცხოვრებას, მოქმედებას, ნაყოფიერების ძალით გრატაცებულ ზოლასათვის მისი ასეთი მდგომარეობა სრულიად საკმარისია. ასე რომ ლაპარაკი ზოლას „აბატ მურეს შეცდომასა“ და ილიას „განდევილს“ შორის ისეთ მსგავსებაზე, რომელიც მიმბაძვე-

ლობის თუნდაც ექვს დაბადება, მოკლებულია რეალურ საფუძველს. რაც შეეხება ნ. კვინიტაშვილს, მისი მოკრძალებულ განცხადებას, რომ ილია „არ უთმობს ზოლას იდეის პროგრესულობაში“, როგორც შემოთქმულიდან ჩანს, უსამართლობა ისეთი მაღალი დეის მატარებელი ნაწარმოების მიმართ, როგორცაა „განდევილი“.

როგორც ვხედავთ, მიმბაძველობის თეორიის მიმდევარ მკვლევართა აზრი ილიას „განდევილს“, ფლობის „წმიდა ანტონის ცთუნებისა“ და ზოლას „აბატ მურეს შეცდომის“ წაბაძვითა და გავლენით შექმნის შესახებ, საფუძველს მოკლებულია. მართალია, ეს სამი მხატვრული ნაწარმოები ასკეტური მსოფლმხედველობის კრიტიკის მატარებელია, მაგრამ მათი ავტორები სულ სხვადასხვა სინამდვილეში შეთავრებით მივიდნენ ცხოვრებისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევის აუცილებლობამდე და საყოველთაო მსოფლმხედველობის შესაბამისად სხვადასხვა სიძლიერითა და პრინციპულობით გადაჭრეს იგი, რომ აღარაფერი ვთქვათ ენარობრივ სხვაობაზე. ამდენად, პარალელების გავლება ამ ნაწარმოებთა შორის თუ დასაშვებია და ლოგიკური, მიმბაძველობის ძიება მითხვევებით შეუძლებელია.

უარყოფა პრინციპულად მცდარი დებულებისა, რომ „პრობლემატური მხატვრული ნაწარმოების შექმნისას ყოველი დიდი მწერალი... სესხულობს სიუჟეტებს, იდეებს, სახეებს და სხვა“ (ნ. ნ. ურუშაძე), რაც კოსმოპოლიტური მეთოდით უტრევებს ამოსავალ დებულებას წარმოადგენს, არ ნიშნავს იმ ჰუმანიტარების უგულვებლყოფას, რომ ხშირად მწერალს რაიმე კონკრეტული ფაქტი, შეიძლება ლიტერატურის ამ ხელოვნების ძეგლიც, უკარნახებო იმ იდეის მხატვრული რეალიზაციის კონკრეტულ ფორმებს, რომელიც მას ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად გამოუმუშავდა და წლებს მანძილზე აწუხებდა. თუ ფლობის მისი სკეპტიციზმისა და ფატალიზმის მხატვრული განსახიერებისათვის წმიდა ანტონის ცხოვრების აღება ბრეიგელის სურათში შთააგონა, ილიასათვის ასეთი ბიძის მიმცემი გახდა ხალხს ვაგონილი ლეგენდა ბეთლემის განდევილი მეუღლანოეს შესახებ. პოეზის სათაურის პირველი ვარიანტები პირდაპირ აღნიშნავდნენ ამ გარემოებას, ხოლო საბოლოო ვარიანტს შერჩა მინაწერი — „ლეგენდა“.

ცხოვრების ღრმა სიყვარულის და ადამიანის აქტუალობის პრობლემის დაყენებით „განდევილი“ მრავალ მხატვრულ თხზულებას ენათესავება, ხოლო ამ პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული ფორმათა კი (ასკეტის მარცხის მავალთხე), ზოლას და ფლობის შემოსენებულ ნაწარმოებს, ტოლტორის „მამა სერგის“ და სხვებს მოჰკავს. საკითხი „განდევლის“ ორიგინალურობის შესახებ, მართალია, სანატრესთა, მით უმეტეს, როდესაც არსებობს მისი საწინაა-



ლმდევა გადაწყვეტაც, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა, თუ რა ადგილი უქირავს პოემას მსგავს თხზულებათა შორის.

როგორც ზემოთ დავინახეთ, პრობლემის ფართოდ დაყენებითა და მისი მართებული გადაჭრით ილიას „განდევილს“ უბრატესი მწიგნულობა ენიჭება ზოლასა და ფლობერთან შედარებით. ამ მხრივ მას ვერც ტოლსტოის „მამა სერგი“ გაუტოლდება. ტოლსტოი თვით აღნიშნავდა, რომ მისი მოთხრობის აზრს აღამიანის ყინთან ბრძოლა კი არ წარმოადგენს — ეს მხოლოდ ეპიზოდია, — არამედ ბრძოლა აღამიანის პატივმოყვარეობასთან. ტოლსტოის გმირი „სწორედ ამ გრძნობის სიძლიერემ მიიყვანა ასეკრებამდე. ასეკრების პერიოდშიც პატივმოყვარეობა ამოძრავებს მას და თავისი მტკიცე ხასიათის წყალობით იგი კიდევ იხვეწს განსაკუთრებულ სახელს. მაგრამ ზოლას რწმუნდება ამ გრძნობის უარყოფითობაში, რასაც თან სდევს მისი, როგორც ასეკრის, მარცხი. ტოლსტოის ღვთისმამიელობა, მისი მეგვიდრეობის ყველაზე სუსტი მხარე — „მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ზუცების ადგილას ზნობრივი რწმენის ზუცები დადგენ, ე. ი. დაინერგოს უადრესად მოქნილი და ამიტომ განსაკუთრებით სიძაგელი ზუცობა“ (ლენინი), მთელი სიძლიერით იჩენს თავს მოთხრობაში „მამა სერგი“. ტოლსტოის გმირი, მართალია, უარყოფს ქრისტიანული ასეკრის ცხოვრებას, რადგან იგი არ აკმაყოფილებს მას, ხელს უწყობს მასში პატივმოყვარეობის გრძნობის გაღვივებას, მაგრამ სამაგიეროდ იგი ზნობრივ სრულყოფასა და მორჩილებაში პოევებს ახალ, მისი აზრით, ჭეშმარიტ რელიგიას, რომელიც თითოეულ მართლა ახსოვებს მას ღმერთთან.

ის გარემოება, რომ „წმიდა ანტონის ცთუნება“ პესიმოზმისა და ფატალიზმის გრძნობითაა გამსჭვალული, უკვე საკმაოდ ნათელს ხდის მასთან შედარებით „განდევილის“ მაღალ ღირსებას. მაგრამ ამ უკანასკნელს სხვა გარემოებაც აძლიერებს. ფლობერს „წმიდა ანტონის ცთუნება“ გადატვირთული აქვს ძველი აღმოსავლეთის და სამხრეთ-რომის სინამდვილის რელიგიების, ფილოსოფიური სისტემების, მეცნიერებების, ლეგენდების, მატერიალური კულტურის მიმოხილვით. მართალია, ეს ავტორს იმ აზრის დასასაბუთებლად სჭირდება, რომ ქრისტიანობაც, ისევე როგორც ყველა მანამდელი მოძებნება, აღამიანის აზროვნების განვითარების გარკვეული საფეხურისათვის აუცილებელი შეცდომა იყო, მაგ-

რამ ვერსად წაუვალთ იმ ფაქტს, რომ ისტორიული და ფილოსოფიური მასალის ეს სრულყოფილად ამომიგებს მხატვრულ ნაწარმოებს და შეიხვევლისათვის მწვალად გასაგებს ხდის. ამავე დროს ილიამ შეძლო ისეთი რთული ფილოსოფიური საკითხი, როგორცაა ცხოვრებასთან აღამიანის დამოკიდებულება, მარტივად, გასაგებად და ამასთან მაღალი მხატვრული ოსტატობით გადაეჭრა.

დიდი მხატვრული ოსტატობითაა შესრულებული ზოლას „აბაზ მურეს შეცდომა“. მწერლისათვის დამახასიათებელი მისწრაფება უკიდურესი დეტალიზაციისადმი ამ რომანში საკმაოდ ძლიერად იჩენს თავს. ზოლასათვის დამახასიათებელია აგრეთვე მეტაფორული სახეების რთული სისტემა, რომელიც დიდი საზოგადოებრივი აზრის მატარებლად გვევლინება. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს „აბაზ მურეს შეცდომა“. ეკლესიის დეტალური აღწერის დროს ზოლა იშვიათი მხატვრული ოსტატობით ვაღმოგვეცნოს მასში მზისა და ბუნების შეჭრის სურათებს. მზის სხივები, რომლებიც სულ სხვაგვარ იერს აძლევენ, აბოზსა და აცოცხლებს ეკლესიის ცეც, ჩაბნელებულ შინობას, და ეკლესიაში ფანჯრებიდან შეჭრილი გადახალბოთული ხის ტოტები, ბუნების ძლიერად მოხილვის დიდებულ სურათებს რომ ქმნიან, რომანის ძირითადი აზრის — ნაყოფიერების, ცხოვრების უძლეველობის — აღეგორიულ სახეებს წარმოადგენენ. ასეთი დეტალებით გადატვირთულია ზოლას რომანი, მაგრამ ისინი მოქმედების განვითარებას, იდეის ძლიერ გამოხატვას ემსახურებიან და ამდენად არა თუ აბეზრებენ მკითხველს, პირიქით, ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ. სამწუხაროდ, რომანი თანაბარი სიძლიერით არ არის დაწერილი. მურესა და აღამიანს გაუთავებელი ალერსი პარადუს ბაღში, რომელიც მოქმედების განვითარებას აფერხებს, უთუოდ ასუსტებს შთაბეჭდილებას და ენებს რომანის ღირსებას. ამ მხრივაც ილიას განდევნილი სანიმუშო მხატვრული ქმნილებაა. მასში შეუმღებელია ზედმეტი, გაკვირვებული არა თუ ადგილის, არამედ ფრაზისა და სიტყვის პოვნაც კი. პოემაში ვერ იპოვით ვერც ერთ პოეტურ შედარებას ან სურათს, რომელსაც მხოლოდ სამკაულბრივი დანიშნულება ჰქონდეს და არ ემსახურებოდეს იდეის სრულყოფილად გამოკვეთის საქმეს. შემთხვევითი არ არის, რომ მარჯორი უორდროპმა „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად „განდევილი“ უთარგმნა ინგლისელ მკითხველს.



## აკესანრა კოჭავეზილი

### ილია ჭავჭავაძე და მრეწველობის საკითხები

ილია თავის სპეციალურ სტატიებში და „შინაურ მიმოხილვებში“ ხშირად ეხებოდა სოფლის მეურნეობის საკითხებს და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სოფელი საზოგადოების არსებობის, წინსვლისა და სიძლიერის საფუძველია. ეს ერთხელ მტკაცედ შეთვისებული თვალსაზრისი მას დიდხანს არ შეუცვლია.

ამ გარემოებამ, აგრეთვე იმან, რომ არ ითვალისწინებდნენ მწერლის ყველა პუბლიცისტურ სტატიას, თავის დროზე ხელი შეუწყო ილიას გარშემო იმ არსებობად მცდარი შეხედულების შექმნას, თითქოს ილია საერთოდ წინაღმდეგი იყო ან უგულვებელყოფდა მრეწველობას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ფაქტორს. ამ შეხედულების უსაფუძვლობას მკვერმეტყველურად ადასტურებენ ილიას სტატიები მრეწველობის საკითხებზე. ამ სტატიებით, აგრეთვე სხვა ცნობებით, ნათელი ხდება, რამდენად დიდად აფასებდა ილია მრეწველობის როლს ხალხისა და ქვეყნის არსებითად გარდაქმნის საქმეში. როგორც გამოჩვეულია, ილია გულმოდგინედ სწავლობდა ამ დარგის განვითარებას სხვა ქვეყნებში და ცდილობდა, შესაფერ პირობებში, მის გადმონერგვას ჩვენს ქვეყანაში. გარდა იმისა, რომ ილიას შეთვისებული ჰქონდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ეკონომიური მოძღვრება, რომლითაც სოფლის მეურნეობა მთელ რუსეთში წამყვან დარგად იყო აღიარებული, ის თვალნათლივ ხედავდა, რომ საქართველოში — ამ უფრო მეტად ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანაში — მრეწველობის ფართოდ განვითარებისათვის ჯერჯერობით არ იყო მომზადებული ნიადაგი. 70-იანი წლების დასაწყისში ამავე შეხედულებას იზიარებდა ნ. ნიკოლაძე — ქართველ მესამოციანელთა ეს, ილიას გამოთქმით, დიდი ფალავანი, რომელიც იმ აზრისა იყო, რომ ტყიბულის ქვანახშირის დასამუშავებლად აუცილებელია უცხო კაპიტალის გამოყენება, და სამართლიანად დაურობდა: საქართველოში მრეწველობის განვითარები-

სათვის საჭირო არც ფულია და არც ნდობა.

რუსეთიდან ილიას ჩამოსვლის მერე, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ჩვენმა ქვეყანამ მრავალი ცვლილება განიცადა. შეიკვალა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ურთიერთ-



ილია ეკლის უხმობს

ფარდობაც. ილიას, როგორც დიდ მოაზროვნესა და რეალისტს, არ შეეწლო არ შეეგვრნო ეს თვალსაჩინო ცვლილება.

როდესაც ილია აღნიშნავდა, რომ ხალხის საარსებო წყაროს სოფელი შეადგენს, „ვიღრე





სხვა რამე, რომ „სხვა ყოველივე ფეხია და წარმავალი“, ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ის უარყოფდა მრეწველობის მნიშვნელობას. თუმცა ილია სოფელზე ბევრს ზრუნავდა, მაგრამ ის თავისი მისწრაფების კერად არ გაუხდია, მისი უპირატესობის მტკიცება არასოდეს უდგია და მომავალში საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის მნიშვნელობა არ უარუყვია. ის იმ კუჭმარტებიდან გამოდიოდა, რომ საქართველოშიც სოფლის მეურნეობას ჯერჯერობით მეტი ხვედართან წონა ჰქონდა, ვიდრე სხვა დარგს და ამიტომ საჭიროდ მიიჩნდა მისი ყოველმხრივი გაუმჯობესება.

მართალია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში მრეწველობა ჩვენში საგრძნობლად განვითარდა, მაგრამ ეს იყო ისეთი დარგები, რომლებსაც არ შეეძლო ხალხისათვის საჭირო ფართო მოხმარების, კერძოდ, კვების პროდუქციის შექმნა. ილიას კარგად ესმოდა მრეწველობის განვითარების აუცილებლობა, მაგრამ სოფლისადმი უფრო მეტ ყურადღებას მიათხოვდა, თუმცა განმოსტავმდა რწმუნას — აუცილებელია ახალი დარგის განვითარება. სტატიაში — „ღვინის ქართულად დაყენება“ ილია პირდაპირ მიუთითებდა — „ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ს ა ხ ს ა რ ი ჯ ი რ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიკ არ არის, მე რ მ ი ს ს ე ლ ი ს“. აშკარაა, მას აქ მრეწველობა ჰქონდა მხედველობაში და როდესაც 80-იან წლებში მრეწველობის განვითარებამ ფართო ხასიათი მიიღო, ილიაც ხელს უწყობდა მის შემდგომ აღმავლობას: ის აღარ კმაყოფილდებოდა სოფლად მანქანა-იარაღების შეტანის აგეცავით, არც სამთამადნო მრეწველობით, — ქარხანა-ფაბრიკების გამრავლებას მოითხოვს. ალგეთში სალითოვრავით ქვის აღმოჩენასთან დაკავშირებით ილიამ გამოაქვეყნა სტატია — „ჩარჩული კაბიტალი და ჩვენი მრეწველობა“. ამ მრავალმხრივ საინტერესო სტატიაში გარკვევითაა მოცემული ილიას პროგრესული დამოკიდებულება მრეწველობისადმი. ილია თავს ესხმის „ფულიანი კაცების“ უმოქმედობას მრეწველობის დარგში და მოუწოდებს მათ ხელი შეუპოვდნენ მრეწველობის განვითარებას და ამით უზრუნველყოფნენ ქვეყნის ეკონომიური აღორძინება: „აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვიჩვენეთ, რომ ერთს ვისმეს მთავანს თითი გაეძრის ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად. ამ ყოველად და მ ა რ ა ვ ა ლ გ ვ ა რ ა დ მ დ ი დ ა რ ს ქ ე ვ ე ყ ა ნ ა შ ი, ს ა ც ა თ ა ს გ ვ ა რ ი ფ ა ბ რ ი კ ა, ქ ა რ ხ ა ნ ა დ ა ე რ თ ო ბ ა მ ი ს მ ა გ ვ ა რ ი მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა დ ი დ ს ხ ე ლ ს მ ი ს ე მ ს მ რ ე წ ვ ე ლ ს ა ც და ქ ე ვ ე ყ ა ნ ა ს ა ც გა ა მ დ ი დ რ ბ ს, არც ერთს ფულიანს კაცს გუნებაშიც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითო-

ნაც იხიროს და ქვეყანასაც არგოს რამე უკეთესად აღსანიშნავი, რომ ილია ამავე პერიოდში გამოდებით ებრძოდა მეისნერის პროექტს; რომელიც ჩვენში მსხვილი კაპიტალისტური წარმოების შექმნას ითვალისწინებდა, მაგრამ მისი მახვილი მიმართული იყო არა საერთოდ მსხვილი წარმოების განვითარების, არამედ ამ წარმოების წმინდა კაპიტალისტური ბუნების წინააღმდეგ, რადგან ილიამ მეისნერის პროექტში სწორად განჭკობდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სასტიკი ექსპლოატაციისა და ძარცვის აშკარა ტენდენცია. ამასთან, ილია ითვალისწინებდა უცხოური კაპიტალისტების მტაცებლურ ზრახვებს და კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ბუნებრივი სიმდიდრეების დასამუშავებლად მათი დამუშავებისა. ილია ხელმძღვანელობდა იმ პარიციბთს, რომ „ჩემს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპირატესია ჩემს ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელში; თუ რამე გაკეთდეს, ჩემი ხელით გაკეთდეს, და თუ გამოჩნდა რამა რამე, მე გამოვჩნე, სხვის გამოჩნობას. აქამომდე, ამ-გვარ საქმეებისათვის ჩვენ მიიძინებული ვიყავით, ჩვენის ქვეყნის სიკეთეს სხვებზე ხეირობდნენ.. მდიდრდებოდნენ“.

90-იან წლებში მრეწველობა ჩვენში უფრო განვითარდა და განვითარდა. აშკარად ჩანდა მისი შემდგომი აღმავლობის ტენდენციები. ილია ხეივად, რომ სამრეწველო კაპიტალიზმი ითვინ განვითარების გზაზე გაბედულად ანგრევდა ყოველივე ძველსა და დროშოკმულს, ამიტომ, თუ ის წინა წლებში სოფლად მანქანა-იარაღების შეტანას, სამთამადნო მრეწველობის ახალ ტექნიკურ ბაზაზე განვითარებას და საერთოდ ქარხანა-ფაბრიკების მომრავლებას ჭადავებდა, ახლა მსხვილი ქარხანა-ფაბრიკებისაკენ მოუწოდებდა ხალხს. უნდა ითქვას, რომ ილია ამ პერიოდშიც არ იფიქრებდა სოფლის მეურნეობას, რადგან „საქართველოში, — წერდა ილია, — არც ერთი იმისთანა ჭალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის ან ქარხნის რისამე ნაწარმოებითა“. მაგრამ ის უკვე ახლებურად უყურებს სოფელს. რომლის შევითქვამს სწრაფად იზრდებოდა მრეწველობა. სტატიაში — „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეგავშირების საჭიროება“ ილია წერდა, რომ სოფლის მეურნეობას ყურადღება უნდა მივაქციოთ „თუ ს ა მ უ ლ ა მ ო ლ არა, ჯერ ხ ა ნ ა დ მ ი ნ ე ნ“. იგივე აზრი ილიას განმეორებული აქვს სტატიაში — „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“. აქაც „ჯერ ხანად“ ყურადღების ცენტრში რჩება სოფლის მეურნეობა, რადგან „საფაბრიკო და საქარხნო ნაწარმოების მოდენი“ ნაკლებად იყო განვითარებული უსახსრობისა და გამოუცდებლობის გამო. ამასთან, ილია მიუთითებდა, რომ საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარება „აზრადაც არავის მო-

სელია“, რათა „ეს დღეს მოცილი და სხვისაგან დაუქურცილი ადგილი მაინც დაიჭიროს“. ილია გულწრფელად მიესალმებოდა თელავის ამხანაგობას, რომელსაც თავისი წესდებით სხვა ღონისძიებათა შორის ქარხნებისა და ფაბრიკების მოწყობა ჰქონია გათვალისწინებული. „საქმე დიდ ფარგალშია მოქცეული, როგორც ჩანს, და სანატრელია რომ აღსრულებაში მოვიდეს“, — წერდა ილია.

90-იანი წლების მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე უფრო შორს მიიღო მრეველობის მნიშვნელობის შეფასება. მას უკვე აღარ აკმაყოფილებს აღარც სამთამაძრო მრეველობა და, მით უფრო, აღარც თელავის ამხანაგობის მიერ გათვალისწინებული ფაბრიკა-ქარხნები. მისი ყურადღება მანქანური მრეველობის განვითარებისკენ არის მიმართული. ილია მზარდ სამრეწველო კაპიტალიზმში ხედავდა ქვეყნის მომავალს, იგი ემყარებოდა იმ რეალურ მდგომარეობას, რომ ძველმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ უკვე დიდი ხანია დაკარგა ხალხის მოთხოვნათა დაკმაყოფილების უნარი. მეორეს მხრივ, ცხოვრებისადმი ხალხის ძველებური დამოკიდებულება აღმამის საშუალებას უსაძლავდა ფეხდაფეხ გაჰყოლოდა ახალ ურთიერთობას. თუ წინათ ილიას საზოგადოების ბურჯუაზი „ჯერ ხანად მაინც“ სოფელი მიაჩნდა, 1897 წელს ის ხალხს ახალ პერსპექტივებს უსახავდა. მწერალი საზოგადოებრიობას მოაგონებდა: წარსულში ჩვენი ხალხი გადაარჩინა, შეინახა და აცოცხლა იმ გარემოებაში, რომ „ვიციდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სამაგრე, მისი ფარ-ხმალი... იმ დროთა ჩარხზე გაიარხული ვიყავით, იმ დროთა ქარ-ციცქლში ვამოთავადებუართი, იმ დროთა სამქედურში ნაკედნი“. მაგრამ, თუ ეკონომიური ცხოვრების სადავეები მაინც სხვას ჩაუვარდა ხელში, ეს, ილიას აზრით, იმიტომ, რომ შუა საუკუნეების რაინდთა ანდერძის მიხედვით — „ხმალი, თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა სავანს ჩვენის ნატურისა და წყურვილისა“. ახლა, ამ ახალ ურთიერთობაში, ეს რაინდული მისწრაფება შეუთავსებელი იყო და ილია ხალხისაგან მოითხოვდა ამ ძველი დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევას: „წავიდა ის დრო: დაჩუნგდა ხმალი, გაუქმდა ვეჯაკობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდგათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან აღლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულე ბი მანქანისა... კიდევ ვიტყვი, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირგება და ვინც იცის წესი და ხერხი ვარჯისა... ვინც მცდელია და ბეჯითი... ცოდნითა და მარჯვენითა“.

ამრიგად, ილიამ სწორად გაითვალისწინა „ქარხნის ჩარხისა“ და „მართლებიანი მანქანის“, ე. ი. სამრეწველო კაპიტალიზმის დადებითი მნიშვნე-

ლობა და მომავალი. მაგრამ ხალხმა, რომელსაც სტრეფი წარმატებას მიაღწიოს, მაინც ვერ მოუხერხებია ვეჯაკობისა“ და „ვარჯის“ გარდა უნდა იცოდეს შრომის ახალი „წესი და ხერხი“, ე. ი. შეიარაღებული უნდა იყოს თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნის „ხმლით მოსეულთა ვერა დავეჯაკობა“, — შრომით და ვარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშადამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიკრებს, გავვიწყვეტს, სახსენებელი ქართულისა ამოიკვეთება, და ჩვენს შუენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვეტი დაებატრონებთან“, — დაასკენდა ილია ასეთ დიდ ამოცანას უყენებდა მწერალი ხალხს.

სტატიაში — „სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებელთა შესახებ“ ილია გადაჭრით მოითხოვდა მრეველობის სწრაფ და ფართოდ განვითარებას. ის განიხილავდა იმ უზარმაზარ ცვლილებებს, რომელსაც გერმანიამ მიაღწია ვაჭრობისა და მრეველობის, აგრეთვე ტექნიკური განათლების განვითარების შედეგად, და წერდა: „ვისაც ჩვენში გული ერისის ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის და ვინც იცის რა ძალ-ღონეს შეადგენს ერისას ვაჭრობა და მრეველობა, იმისათვის გულში დასაქდევია ყოველი ზემოსხსენებელი ამბავი... სახელმძღვანელო და მისაღებია ყველგან და ჩვენთვის უფრო... ტექნიკო ჩვენი აშკარაა და წამალიზ ნაბოვნი, ჩვენ მარტო ის-ღა დაგვჩენია, იგვიე წამალი ვისმართო თავის მოსარჩენად“. ნათელია, რომ „ტექნიკო“ ილია გულისხმობდა ჩვენში ვაჭრობა-მრეველობის ჩამორჩენილობას, დაბალ ტექნიკურ განათლებას, ხოლო „წამალი“ — აღნიშნული დარგების განვითარებას ტექნიკური განათლების საფუძველზე.

ილიას არ დასცალდა ამ სავესებით სწორი და პროგრესული თვალსაზრისის შემდგომი განვითარება და კონკრეტიზაცია, მაგრამ აღნიშნულიდანაც აშკარაა ილიას შეხედულებანი მრეველობის როლის შესახებ — მარტოეი მომხმარებელი შეფასებდიან სახალხო მეურნეობაში მისი წამყვანი როლის აღიარებასკენ.

ილია არ დაკმაყოფილებულა მრეველობის მნიშვნელობის ზოგადი აღიარებით. ის 80-იან წლებში აქვეყნებს მთელ რიგ ფრიად საინტერესო სტატიებს ნათობის, მარგანეტის მრეველობის, გზების, რკინიგზების, არხების, საფეოქრო მრეველობისა და სალითოგრაფიო ქვის წარმოების შესახებ. ამ სტატიებში ის დაწვრილებით იხილავს აღნიშნული დარგების განვითარების პრაქტიკულ-ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომელთაც დღესაც არ დაუქარავათ არა მარტო ისტორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა.



ილია ქავჭავაძე სერობულ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას. მას არაერთგზის მიუთითებია ჩვენი სოფლის დიდ ჩამორჩენილობაზე და დაუსახავს მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანის პრაქტიკული გზები. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად ილიას სოფლად მანქანა-იარაღების ფართოდ გამოყენება მიიჩნდა. ის ყურადღებით სწავლობდა მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას და ყველგანარად ცდილობდა, ხშირად საკუთარი სახსრებით, ამ გამოცდილებათა ჩვენში გადმოწერვას. ილია უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთს ახლად გამოჩენილ მანქანა-იარაღს და ისწრაფოდა სოფლად მის შეტანას, ახალსედა გლეხობას მეურნეობაში ახალ სავარაუდო საშუალებათა ფართოდ გამოყენებისათვის.

ილიამ ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში, უფრ. „საქართველოს მოამბეში“, დაბეჭდა ესტ. მაღალაშვილის სტატია თბილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ. სტატიის ავტორს გამოფენის დიდ ნაკლად მიიჩნდა ის, რომ იქ ძალზე ღარიბად იყო წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, და შემდეგ წერდა: „აქ უნდა ყოფილიყო იაფი მიწის იარაღი, რომელსაც ხმარობენ ევროპაში. ეს ჩვენი მამაპაპური მიწის დამამუშავებელი იარაღით მოსავლის მოყვანა მეტად უსარგებლოა დიდის სისქისა გამო“.

ცნობილია, რომ შეიძლება ილია არა ერთხელ შეხებია ამ საკითხებს თავის სტატიებში. ის არა მარტო ზოგად შეფასებას აძლევდა ამა თუ იმ იარაღს, არამედ თვით ტექნიკურ და კონსტრუქციულ დეტალებსაც არჩევდა და მათს ავტორიანობას მიუთითებდა.

„შინაურ მიმოხილვაში“ ჩვენი სოფლის მფორმირებისა და განხილვისას ილია აღნიშნავდა, მისი შემდგომი აღმავლობა შესაძლებელია ნიადაგის გაუმჯობესებით უხვმოსავლიანობისათვის, პროდუქციის გაზარდვით და, ამით საფუძველზე, თვით სოფლის მეურნეობის გაძლიერებით. ავტორი დაწვრილებით იხილავს, თუ რა გზით შეიძლება პროდუქციის გაზარდვა და ამისათვის იწვევლებს უცხოურ და ადგილობრივ გამოცდილებას. ილია არჩევს ყველაზე შრომატევადიან პროცესებს: ხვნას, მკას, ლუწვას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ პროცესების მექანიზაციით შეიძლება მოსავლის გაუხვევა და გაზარდვა. ილიას გადმოცემით იმ დროს ერთი დღიური მიწის მოხვნას ესაჭიროებოდა 8—10 უღელი გამწვევი ძალა, 4—5 მეზრე და გუთნისდელი, რადგან ქართული გუთანი მიმივ და მოუხეშავი იყო, მაშინ, როდესაც ევროპასა და ამერიკაში 40-იანი წლებიდან უფრო მსუბუქი და მოხერხებული გუთანი იყო შემოღებული. ილია იცნობ-

და ამ ტექნიკურ სიახლეს და მიწათმოქმედურჩვევდა ძველის ნაცვლად გამოყენების შესაძლებლობა, სახელობრ, „ანგლო-ბოლშევიკური გუთანი № 2 გოვარდის სისტემის“, როგორც ყველაზე უკეთესი ახალ გუთნებს შორის. „ერთს მამულში ქალაქის ახლო“ ილიას პირადად უნახავს ამ იარაღის მუშაობა და დასძინდა: „ჩვენის ფიქტორ, ეგ გუთანი ჩვენში ყველგან გამოვდება“. ამავე მამულში ილია დასწრებია ბუკეის სისტემის „სამკალი მაშინის“ მუშაობას, რომელიც ადგილობრივ გლეხებს დასაწყისში დაუწუნიათ, მაგრამ შემდეგ ხოლოდ ამ მანქანით ლეწდნენ. ილია ითვალისწინებდა მუშა და გამწვევ ძალის ნაკლებ ხარჯს, მანქანის სწრაფ მუშაობას და წერდა: „სამკალი უკეთესი არა უნდა-რა, რაც ის მაშინა არის... ღირს, რომ კაცმა ეს მაშინა იქონიოს“. დასასრულ, ილია დაწვრილებით იხილავს იმავე მამულში ნანახ სალუწავ მანქანას და აღნიშნავს, ეს მანქანა ათი საათის განმავლობაში 450 ათულს ლეწავს, ხორბალს ანიავებს, აცხებებს, არყვევს, ტომარებში ჰყრის და თვით სავსე ტომარებსაც ურემზე აწყობსო. ამას გარდა, მანქანას ზამთარ-ზაფხულ შეუძლია მუშაობა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილებაც ძალზე იოლიაო. ამიტომ ილია ამ მანქანის ფართოდ გავრცელებას მითითებდა.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზარდვის მიღწევა, ილიას დასკვნით, შესაძლებელია მექანიზაციის საფუძველზე. ილია ვარაუდობდა, რომ ამ ღონისძიების შედეგად „ჩვენი ქვეყანა არამედ თუ უფრო და ქვეს სხვიდამ მოიტანს, არამედ თითონ უწილადებს სხვადას“.

ეს საკითხი უფრო მკვეთრად ილიამ დააყენა სტატიებში — „შინაური მიმოხილვა“, რომელშიც ვკითხულობთ: „საკვირველი ვახშირება სამიწათმოქმედო მაშინებისა ამერიკაში ხარჯს პურის მოყვანისას მეტის-მეტად აცოტავენს. თითქმის არ არის იმისთანა სამუშაო მიწისა, რომ მამონით არა კეთდებოდეს. გარდა ამისა, რომ ხარჯი იქ ამ გზით შემოკლებულია, თითონ მოსავლიც პურისა დიდია, იმიტომ რომ ცოდნით ეკიდებან საქმეს და ყოველს სახსარსა და ღონეს მეცნიერებისას ხმარობენ შემოსავლის გაძლიერების და გაძლიერებისათვის“. ამერიკის ამ გამოცდილების საფუძველზე ილია სტატიის დასასრულს მიუთითებდა, თუ საქართველოს სოფლის მეურნეობა ასევე არ გარდაიქმნა, სანდოვარეთთან კონკურენციას ვერ შეგვლებოთ.

ილია მეღვინეობის საქმეში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა უახლესი მეცნიერული და ტექნიკური მიღწევების გამოყენებას, მაგრამ წინააღმდეგი იყო ყოველგვარი უცხოურის მექანიკურად, უკრიტიკოდ გადმოტანისა. ის ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის“ საშუალებით მოუწოდებდა სხვა ქვეყნების გამოცდილება „ამორჩევით გადმოვიტანოთ“ საქართველოში.



მართალია, ილია მაღალ შეფასებას აძლევდა თავისი ქვეყნის გამოცდილებას, შეურიგებელი მტერი იყო ნიპილიზმის ყოველგვარი გამოვლინებისა, მაგრამ ამავე დროს სასტიკად ამოთრახებდა იმათ, ვინც სხვა ხალხის მოწინავე გამოცდილებას ხელაღებით უარყოფდა ან ჩქმალავდა. „წარმატება, — წერდა ილია, — იმისი კი არ არის, ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეზარის“, არამედ იმისი, ვინც თავის ავკარგიანობას სხვების სასარგებლო წარმატებით ავსებს და ამით საქმეს წინ სწევსო. ასე უღებებოდა ილია ჩვენში მეღვინეობის გაუმჯობესების საკითხსაც. ღვინის ტექნოლოგიის განხილვისას ჩვენში და საზღვარგარეთ ის წერდა: მართალია, ქართველი მეღვინეები დიდად დახელოვნებულნი არიან, მაგრამ უკეთეს შედეგს მივაღწევთ, თუ ამ საქმეში ევროპის გამოცდილებიდან ზოგ რამეს (საქაჯაგი, არემენტრი, სიფონები) ჩვენში გაღმოვიტანოთ.

როდესაც 900-იანი წლების დასაწყისში ილიამ შეიტყო წარმატება რისტერის ცდებისა (ელექტროდენით ღვინოში მავნე მიკრობების მოსპობა, ღვინის პირვანდელი სუნისა და ბუქეტის აღდგენა, გამძლეობის მინიჭება), მან ქართველ მეღვინეებს მყისვე მოუწოდა, გადმოვიტანოთ ეს გამოცდილებაო. ამით ილია ცდილობდა ქართული მეღვინეობა ეხსნა იმ განსაცდელისგან, რომელშიც ის აღმოჩნდა გარე ბაზარზე, რადგან ქართული ღვინო გადატანას ვერ იტანდა და ამიტომ აქ დამზადებული საუკეთესო ღვინო შორს ბაზარზე მდარე ხარისხიანად ფასდებოდა და ზარალს იწვევდა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე არ ემყოფილდებოდა მარტო რჩევა-დარიგებებს მიცემითა და სტატიების ბეჭდვით. ის, ამავე დროს, საკუთარ მამულში მანქანა-იარაღების გამოყენებითა და ახალი კულტურული ჩვევების შეტანით ცდილობდა თვალნათლივ დაერწმუნებინა გლეხკაცობა ამ სიახლის სიკარგეში.

ილია დიდი ენთუზიასტი იყო სოფლად მანქანა-იარაღების შეტანის საქმისა. თავის მეუღლისადმი ვაგზავნილ ბარათში იგი წერს: „ღამით ცოცხელს მოველოდი, რომ სამკალი მამინა წამოგვედო... ხვალ მამინას გამოვგზავნი... ერთი შექანიკი ენახე, რომელსაც მამინის მოხ-

მარება შეუძლიან“. საქართველოს დემოკრატიული ილიას უფულოთადესი მეგობარი — არტურ ლასტი ივონებდა ილიას გატაცებას სოფლის მეურნეობის მექანიზაციით: „ილიას ფულის დახარჯვა მეურნეობაზე არ უყვარდა. მხოლოდ ერთ რამეზედ ხარჯავდა ბევრ ფულს — ეს იყო მანქანები, რომლით მუშაობაც მას სიამოვნებას ჰგვირდა. ბევრი მანქანა უძრავად ეყარა საბაქელში, მხოლოდ ცხენით სამკელი და სალუწი მანქანა მუშაობდა დიღხანს“. ი. ანდრონიკაშვილის მოგონებით, ილიას მრავალნაირი მოწყობილობა ჰქონდა საგურამოში, მაგრამ მათი გამოყენება მოუგვარებელი ყოფილა, რადგან ილიას სურდა ყოველივე ახალი პირადად გამოეცადა და გადატვირთულობის გამო სურვილს ვერ ანხორციელებდაო. ილიას ყოფილი საგურამოელი მწყემსის ალექსი შთინიაშვილის გადმოცემით, ილია თავის საკუთარ ამა თუ იმ მანქანას გლეხებს ათხოვებდა ხოლმე და ქირას კი არ ღებულობდა. ამით შვერალი ცდილობდა გლეხები მეტად დაეინტერესებინა მანქანებით. ფრიად საყურადღებო ცნობას გადმოგვცემს ილიას საგურამოს მამულის ყოფ. მეფუტრე-მეზაღ დანიელ მასლოვი: „აი, უთხარით გლეხებს, რა სარგებლობა მოაქვს მანქანას, — მუუსებოდა ილია, — ისინი თქვენ უფრო დაგიჯერებენ, ვინემ მე. მე რომ ვუთხრა, ისინი იფიჭრებენ, რომ ამას მარტო ჩემთვის ვაქეთებ“.

ი. ჭავჭავაძე ბევრს ფიქრობდა და ზრუნავდა ჩვენში სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე, ხალხში აგრონომიული ცოდნის გავრცელებაზე, საგზო მშენებლობის, გზების კეთილმოწყობის, რკინიგზის გაყვანის, მელორაციის საკითხებზე, მაგრამ იმდროინდელ პირობებში მისი ოცნების განხორციელება შეუძლებელი იყო. დიდი ილიას ყველა ამ მისწრაფებათა ხორკმესხმა შესაძლებელი გახდა ჩვენს პირობებში, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ილიამ თავი შესწირა ქართველი ხალხის ბედნიერ მომავალს, იგი არაფერს ზოგავდა ქვეყნის სიკეთისათვის და ცამდის მართალი იყო, როდესაც თავის მეუღლეს წერდა: „გითმენ მწუხარებას, ოღონდ ის საზოგადო საქმე, რომელშიაც მე ბედმა გამარა, კეთილად წარმართოს და ჩვენი პირადი მწუხარება იმის ქირის სანაცვალო იყოს“.



## სიდა თოფუჩიძე

### „განდგომილი“ ინგლისურ ენაზე

ქართველ მკითხველს არაერთხელ სმენია ინგლისელი მწერალი ქალის მარჯორი სკოტ უორდრობის სახელი, რომლის ლიტერატურული მოღვაწეობა მჭიდროდა დაკავშირებული ქართულ კულტურასთან, რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან.



მარჯორი უორდრობი

და-მამამ — მარჯორი და ოლივერ უორდრობებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ინგლისში ქართული მწერლობის გატანისა და გაცნობის საქმეში. XIX საუკუნის 80-იანი — 90-იანი

წლებიდან მოყოლებული საქართველო და მისი კულტურა უკვე აღარ წარმოადგენდა Terra incognita-ს ინგლისის მოწინავე საზოგადოებასათვის. თუ შეიძლება ასე ითქვას, „საქართველოს პირველი ნამდვილი აღმოჩენი ინგლისელებისათვის“ იყო ოლივერ უორდრობი, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ 1888 წელს ლონდონში გამოაქვეყნა „საქართველოს სამეფო“ („The Kingdom of Georgia“) — წიგნი ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, ლიტერატურის და ხალხთა ადრე-ჩვევების შესახებ. ოლივერ უორდრობის წიგნმა დიდი ცნობისმოყვარეობა, ინტერესი და სიყვარულიც აღუძრა ჩვეყნისადმი მის ახლობლებს, განსაკუთრებით კი მის დას მარჯორის. ისე, რომ ჯერ კიდევ თავის სამშობლოში მარჯორი უორდრობი მთელი მონღო-მებითა და დაუცხრომელი წადილით ჩაუჯდა ქართული ენის შესწავლას, გააბა მიწერ-მოწერა ქართველ სახელოვან მოღვაწეებთან.

ილიას მოწვევით მარჯორი უორდრობი საქართველოში პირველად ჩამოვიდა 1894 წელს, ხოლო მეორედ 1896 წელს მშობლების თანხლებით.

მარჯორი უორდრობმა ინგლისურ ენაზე თარგმნა „ქართული ხალხური ზღაპრები“ (1894 წ.), „განდგომილი“ (1895 წ.), „ვეფხისტყაოსანი“ (გამოცა მარჯორი უორდრობის სიკვდილის შემდეგ, 1912 წ.), ძმასთან ერთად თარგმნა „ცხოვრება წმ. ნინოსი“ (1900 წ.) და სხვ. მარჯორი უორდრობი არ იფარგლებოდა მხოლოდ ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშების ინგლისურ ენაზე თარგმნით, იგი დიდი გულმოდგინებით კრებდა ქართული წიგნების, ზბილითუქას, რომ მომავალი თაობებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გამხდარიყო ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული კულტურისა და ისტორიის შესწავლა ინგლისში. ამ მხრივ საგულისხმოა მარჯორის მიერ მოწერილი წერილი „მოსავლის“ რედაქტორ ვ. რეხილაძისადმი:

„დიდად პატივცემული პატრონო რეხილაძე, დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენი წერილი და



ნაჩუქარი უტრანალ-გაზეთები; მადლობას მოგახსენებთ. თქვენი თხზულებანი საყურადღებო შემატება იქნება ჩვენი ქართულ წიგნთ-კრებულისა. ჩვენი სურვილია ყველა ქართული წიგნის შერება, რაც, შეიძლება შემდგომში მივართვეთ ერთ ინგლისელ მუზეუმს, ასე რომ ვისაც სურს ქართული ენის შესწავლა, ადვილად შეიძენს საჭირო მასალებს“.

მარჯობი უორდრობი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. ამიტომაც ქართველი მოწინავე საზოგადოება დიდი პატივითა და სიყვარულით იხსენიებდა და იხსენებს დღესაც მის სახელს. მარჯობი უორდრობი გარდაიცვალა 1909 წ. 7 დეკემბერს ბუქარესტში, დაკრძალულია ინგლისში, ბელმონტში, სვენიუქში. ჩვენი ქვეყნის ერთგული და გულშემატკივარი მეგობრის დაკარგვამ დიდად დააწუხრა ქართველმა საზოგადოებამ. თითქმის არ დარჩენილა იმდროინდელი ქართული უტრანალი თუ ვაზეთი, რომელიც არ გამოხმაურებოდა ნეკროლოგიით ინგლისელი პოეტი ქალის ნაადრევ სიკვდილს.

„საქართველოს მოამბეში“ ნეკროლოგი მთავრდებოდა თბილი და ამასთანავე პათეტიკური სიტყვებით:

„საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო და დიდებულნივანო ადამიანი; საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, როგორც შენი განუყრელი ძმა-მეგობრის ოლივერის და სხვა მეგობართა შორის, ისე ჩვენ შორის, შენთვის უცხო, მაგრამ ძვირფას მეგობარ ქართველთა შორის. დეაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე და მადლიერი ქართველი ნიცი ედებდა დაუწყობარყო შენი სახელი, სანამ საქართველო იარსებებს“.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტებს არაერთხელ გვხმენია განსვენებულ პროფესორ ერეკლე ტატიშვილისაგან, რომ ქართველი ახალგაზრდობა (მათ შორის პროფ. ტატიშვილიც), რომელიც მიდიოდა ზოლმე ინგლისს სასწავლებლად, ჩასვლისთანავე, პირველ რიგში მარჯობი უორდრობის საფლავს ეწვეოდა ყვაავილებით შესამკობად. მარჯობი უორდრობის მოღვაწეობას ეძღვრა მრავალი ნარკვევი და დღესაც, ილიას სააუბილო დღეებში, კიდევ ერთხელ მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ მას.

• •

მარჯობი უორდრობს არ დახვედრია უცხო ენებზე ქართველი მწერლების თარგმნის ტრადიცია. ქართული ლიტერატურის სწორად გაგება-შეფასება და პოპულარიზაციისათვის ინგლისში და საერთოდ დასავლეთ ევროპაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ეპქტს, თუ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელთაგანი რომელ მწერალს, რომელ ნაწარმოებს

მიიჩნევდა ქართული ლიტერატურის წამყვანად შედევრად, რომელი ლიტერატურული მიმართულებით გააცნობდა საქართველოს უცხოეთის ქვეყნებს. დიდად განათლებულმა, დახვეწილი მხატვრული გემოვნების მწერალმა ქალმა ეს მძიმე პრობლემა სწრაფად და იოლად გადასჭრა. იგი პირველსავე, არჩევანში არ შემცდარა. გავეცნო თუ არა ილიას შემოქმედებს, იცნა მისი უკვდავი პოემის „განდებელი“ სიღაღე და პირველ რიგში მისი თარგმნა განიზრახა („გუფხის-ტყაოსნის“ თარგმნის იდეა მას ქართული ენის შესწავლის დაწყებიდანვე გაჩენია, მაგრამ ამ მეტად საპასუხისმგებლო მისიას მხოლოდ საქართველოში ყოფნისა და ქართული ენის უფრო სრულყოფილად დაუფლების შემდეგ მოჰკიდა ხელი). 1894 წელს, ვიდრე საქართველოში ჩამოვიდოდა და ცოცხალ ქართულ სიტყვას მოისმენდა, იგი უკვე პირად წერილში სთხოვდა ილიას პოემის ინგლისური თარგმნის გამოქვეყნების ნებაბრთვას. მოგვყავს ეს წერილიც.

„მოწყალეო ხელმწიფეო,

„ინგლისურად თარგმანი ვქმენ თქვენსა „განდებლისა“, რომელსა უკეთესისა ლექსისა თქვენი მშვენიერ ენაში, რომ მე მკითხველს და რომელსა ქონება ყველას მწერლობას დიდება უნდა იყოს.

„მე დიდი სურვილი მაქვს გავუზიარო ჩემს თანამემამულეთა ის სიამოვნება, რომელიც მე ამ ლექსმა მაგრძნობინა. ამისათვის ვპატივდებ თხოვნა თქვენი ნება ეს ჩემი თარგმანი გამოცემად; ვცადე სიტყვათა სიტყვითად მას გამოთქმა, მაგრამ ბევრი მისი მშვენიერება უნდა იყოს, საჭიროდ, დაკარგული უცხო თარგმანში.

„ჩემი ძმა დიდი პატივი ქონდა რაოდენმე წელიწადი უკან, ტფილისში, თქვენი გაცნობა ქმნა და მე დიდი იმედი მაქვს, რომ მეც მავასთან მალე მოვალ საქართველოში, ქვეყანა, რომლისაკენ მე გულწრფელი სიყვარული ვგრძნობ და სურვილი მაქვს, რომ მეც მე შევძლებ პირდაპირ გამოთქმა უადრესი პატივისცემა თქვენის ნიჭისათვის და დიდებული მსახურობისათვის მოცემული თქვენგან ძველებურს მეფობას საქართველ სათვის.

„მე ვა:, ბატონო, მომლოდინე ჩემთვის სასიხარულო ნებისა.

„თქვენი პატივისმცემელი მარჯობი უორდრობი“.

1895 წელს ლონდონში გამოიცა ილიას „განდებელი“ ინგლისურ ენაზე მარჯობი უორდრობისვე მოკლე წინასიტყვაობით, რომელშიც იგი გულსიტკივლს გამოთქვამს, რომ ინგლისელებს თითქმის არაფერი სმენიათ ქართველი ხალხის ხასიათისა და კეთილშობილების, ეროვნული ბედუქელმზარობისა და გვირობის, უძველესი და





თანამედროვე ლიტერატურის შესახებ.

„ინგლისელ მკითხველთა უმეტესობა მეტ-ნაკლებად მიიწევიან სპარსულ ლიტერატურას, მაშინ, როცა სულ თითო-ორილას თუ გუფავა ქართული ლიტერატურის არსებობაც კი. საქართველო კი ქვეშაობად დიდი ყურადღების ღირსია. XII საუკუნის დიდი ეპიური პოეტის რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არაფრით არ ჩამოუვარდება ფირდოუსის „შაჰ ნამეს“. ამა რომელი თანამედროვე სპარსული პოეტის ამოყენება


ატრალური მაინაცეები, თვალისმომკვლევების ფუნება, ოცნება ძალაუფლებებზე, რომელიც შექმნილი განმარტოვებულა, გილატავებული და წამებული შვირის შეცდენა. აქ არ გვხვდება არც კლომატარის, არც სენირამიდას მიწვევნებანი, რომ იგი წმიდა სამსახურისაგან ვადეკინათ. პოემაში გამოყვანილია მხოლოდ უბრალო, უმანკო, თვალწარმტაცი ქალწული, რომელიც მოუთბრობს ბერს კაცთა შორის წმინდა სიყვარულსა და ცხოვრების სიხარულზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ცთუნება სწორედ ამ უბრალოების გამო უფრო მეტად ფაქიზი და ძლიერია. დედნის სტილი დიადი და პარმონიულია, აღწერები მძალაოეტური და ყველგან იგრძნობა აეტორის ნაზი სიყვარული ბუნების ნაირსახეობისადმი“.

წინასიტყვაობაში აგრეთვე მოცემულია ი. ქავჭავაძის ბიოგრაფია და რამდენიმე შტრიხით მოხაზული ილიას ცოცხალი პორტრეტი, როგორც XIX საუკუნის უნივერსალური ქართველი მოღვაწისა.

წინასიტყვაობის დასასრულს აეტორის მობოდიშება, თითქოს თარგმანში არ არის შენარჩუნებული ორიგინალის მხატვრული ძალა, კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ როგორ უფრთხილდებოდა მარჯობი უორდრობი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შედევრს და როგორ დიდ პასუხისმგებლობას იტენდა საერთოდ მხატვრული თარგმანისადმი.

ილიას „განდეგილის“ უორდრობისეული თარგმანი ოსტატური ხელით შესრულებული შემოქმედებითი თარგმანია. ილიას პოეტური მეტყველების თავისებურება და სილიადე — ნათელი სისადავე, აზრის სიღრმე, ზომიერად მოჩქურთმებული მონუმენტური მხატვრული სახეები თარგმანში დაჭერილია პირველ სტრიქონებიდანვე და შენარჩუნებულია ბოლომდე. „განდეგილი“ თარგმნილია ინგლისურ კლასიკურ ეპოსსა და დრამაში დამკვიდრებული ლექსური ზომით — იამბიკური პენტამეტრით, რითაც თარგმანი ინგლისურ ენაზეც ბუნებრივ ტონს ინარჩუნებს და შორეულად ეხმარება ქართული ლექსის მუსიკალობას. დედნის მსგავსად თარგმანშიც ერთმანეთს ერთიმეზა მეორე და მეორე სტრიქონები. ამასთანავე ზუსტადაა დაცული სტრიქონთა რაოდენობა და თანმიმდევრობა. თარგმანიდან ნებისმიერი ნიმუშის მოყვანა შეიძლება:

პირველი უნდა — ხელი არ ერჩის, ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება, ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე... ქალი წყველი თვალთ ელანდება! „აბა სძლიო!“... და კვლავ ეილიდამ გაიხარება იმის სენაკში... აჲ იმა ხარხარს ველარ გაუქლო და როგორც გიგი გავარდა კარში.



„განდეგილის“ ინგლისური გამოცემის თავფურცელი

შეიძლება ბარათშვილისა და ქავჭავაძის გეგრდიო! — ამ სიტყვებით იწყება წინასიტყვაობა.

ილიას „განდეგილის“ იდეურ-მხატვრულ ძალასა და სიღრმეს მარჯობი უორდრობი სრულიდ მართებულად ხედავს არა პოემის თემატიკასა და კოლოზიაში ასეკტრზმსა და სიციოტლეს შორის, რაც მსოფლიო ლიტერატურაში, მოყოლებული ბუდისტური ლეგენდებიდან — ფლობერის, ზოლას, ფრანსის რომანებამდე, მრავალგზის განმეორებულა, არამედ ამ თემისა და კოლიზიის ახლებურად გომლასა და გადაქარაში.

„უმძველესი ბუდისტური ლეგენდებიდან თანამედროვე ფრანგულ რომანებამდე მრავალი ამბავი დაწერილია წმიდა შვირების ცთუნებათა შესახებ. ყველა მათგან „განდეგილი“ თავისი სისადავით გამოირჩევა. ჩვენ აქ არ გვხვდება თე-


თარგმანი:

„He tries to cross himself, but lo! his hands  
 Refuse to move; he seeks to breathe a  
 prayer,  
 His tongue is mute; he, thirsting for God's  
 smile,  
 Can see naught save the cursed maided  
 there.  
 „Now, canst thou still resist?“ and in his cell  
 The mocking laughter reechoed forth  
 once more.  
 No longer could the unhappy monk remain;  
 But, like a madman, rushed forth  
 thro' the door“...

„განდეგილი“ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ინგლისის ლიტერატურული წრეების, ჟურნალ-გაზეთების ყურადღება. ისინი ერთხმად აღიარებდნენ, რომ „თავადი ჭავჭავაძე, უეჭველია, საუკეთესო პოეტი უნდა იყოს თავის ქვეყანაში. ამ პოემის დამწერს აშკარად ეტყობა დიდი ნიჭი

და ძლიერება პოეტური ფანტაზიისა“ („Times“ მარჯორი უორდროში ინგლისელ მეცნიერს გააცნო „ისეთი ქართველი ნიჭიერი პოეტი, როგორცაა ილია“ („The Academy“) და სხვ.

გასული საუკუნის მხატვრული თარგმანის ისტორიიდან და ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიიდანაც ცნობილია, რომ ხშირად მხატვრული თარგმანი ძველდება, ე. ი. თარგმანმა თავის დროზე შეიძლება გარკვეული სიძლევით და ინტერესით შეიტანა ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში, მაგრამ მხატვრულად იმდენად მოსუსტებდა, რომ დროთა ვითარებაში საჭირო შეიქნა იმავე ნაწარმოების ხელმეორედ თარგმნა აზრობრივ მხატვრულ მხარეთა სრულყოფის მიზნით. დღესდღეობით ილიას „განდეგილის“ უორდრობისეული თარგმანი XIX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული თარგმანის ნიმუშს წარმოადგენს და ალბათ ახლო მომავალშიც ამ პოემის ინგლისურ თარგმანს ძნელად გამოუჩნდება მეტოქე.



## აღმსახურე ბუტიკაჟილი

### ჩვენი თეატრის მოჭირნახულე

განსწავლული და რუსეთის მოწინავე პირთა იდეებით გამსჭვალული ჰაბუკი სამხედრო ჯიხით სამშობლოში ბრუნდება. გამოცდა თუ არა ეტლი კავკავს და სამშობლოს სიომ დაჰკრა, ჰაბუკის გული სხვაგვარად აჩქოლდა. მრავალმა ფიქრმა მოიკვა იგი — როგორ დახვდება თავისი ქვეყანა, მიიღებს თუ არა ბუდიდან გაფრენელ შვილს, რას ეტყვის ახალს...

„მგზავრის წერილები“ გვამცნობენ ავტორის მიზანდასახულობას, სამოქმედო გეგმას. ქვეყნის სამსახური — აი ჰაბუკის პროგრამა; ხალხის ეთილდობისათვის ზრუნვა — აი მისი მრწამსი. დასახული გეგმისათვის ილია ჰეჰეჰაჰეს სიკედილამდე არ უღალტნია. ის იყო ერის ჰომავი, მისი დოსტაჰარი, ნუგეში, იარის მომშუშებელი.

ამიტომაც ტკბილი ჰანგებით მოუბარი მგისანა, სიტყვის დიდი ოსტატი მწერლობით როდი იფარგლება, იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს და თვითონვე წარმართავს ერის მთელ ცხოვრებას.

იმ პერიოდში, როცა ილია შეუდგა მოღვაწეობას, ჰართული თეატრი მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო. სავალალო კი არა, თამამად შეიძლება ითქვას, არც კი არსებობდა: გიორგი ერისთავის თეატრი მალე დაიშალა. პროფესიული მუღმივი დასი ისტორიას ჩამარდა. სცენის-მოყვარენი აჰა-იჰ კანტიკუნტად მართავენ სექტაკლებს მახლობელთა გასართობად. მათი წარმოდგენები ფართო მოსახლეობისათვის არ იყო მისაწვდომი. დღის წესრიგში დაისვა საკითხი მუღმივი დასის აღდგენის შესახებ. ამისი შესაქებაე ილია ჰეჰეჰაჰემ იყისრა.

რა ფუნქციებს აკისრებდა ილია ჰეჰეჰაჰე თეატრს, როცა მისი აღდგენისათვის იბრძოდა? იმავე ფუნქციებს, რასაც საზოგადოდ მეცნიერებასა და ხელოვნებას. თავის შესანიშნავ წერილში „საქართველოს მოამბეზე“, რომელიც 1862 წელს გამოქვეყნდა, იგი წერს, რომ „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათ“.

„დიდი რამ არის-მეთქი სცენა, — წერდა ილია

მეორე წერილში, — ძლივს ერთი საჯარო ადგილი მიინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებას, მთელი მისი ჰკუისა და გულის მონაგართ.“

ამას გარდა სცენა იგივე სკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჰკუასა... სცენა ხალხის მწერონელი; ხალხის გამზრდელი უნდა იყოს და ამასთანაც იმისთანა შემაქცევაიცი არის, რომ უკეთეს მხარეს აღამინისას ფეხს აღგმევენებს, ფრთას აშლევინებს; უკეთესი შესაქცევაი, უკეთესი დროს გასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ასეთი არა ვიცა რა სცენის მეტი“.

ილია არ კმაყოფილდება მარტო თეორიული ხასიათის წერილებით, არამედ პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს მუღმივი დასის დასაარსებლად.

როცა 1879 წელს კომიტეტი შედგა და მუღმივი დასის დაარსების საკითხზე საჯარო კრება დაინიშნა, კრებაზე მოსაწვევე პირთ ბართეკა ილია ჰეჰეჰაჰის ხელისმოწერით დაეგზავნათ. ცხადია, ამ კრების ინიციატორი და სულისჩამდგმელი ილია იყო. 1881 წელს ახალდაარსებული დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იქნა ილია ჰეჰეჰაჰე. როგორი ენერგიით უძღვებოდა ამ საქმეს ილია ჰეჰეჰაჰე, ეს მტკიცდება ილია ოქრომქელიშვილისადმი მიწერილ წერილში: „...თეატრის საქმეს კითხულობდი. ავად შენი მტერი იყოს, ავად ეგ საქმეა. ორმა აქტიორმა აბამიემ და მესხმა ანტრეპრენიორობა იყისრე, აწინდელი მათი ტრუჰა ძალიან კარგია, კომიკურის როლებისათვის კაცი თუ ჰაბუკი ასეთი კარგნი არიან, რომ ამჟამად უკეთესი არ უნდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში ერთი დრამატიული აქტიორიცი შეიძინეს კახელი აღქსიფია-მესხივი. პირველ დებიუტშივე ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ტრუჰა სწორედ გითხრა ლაზათიანია და ახალ ანტრეპრენიორებს ძალიან რიგინად მიჰყავთ საქმე, მგარამ რას იქს,



ზალნი არ დადის იმოდენად, რომ ხარჯი მაინც აღდგეს.

მე, ამის მნახველი, აქეთ ვეცი, იქით ვეცი და როგორც იყო, ძალიდ თუ ნებით აბონემენტები დავუბრუნებ, ერთი თორმეტი ლოჯა გავასაღე და ოცდობით კრესლა, მაგრამ მაინც ცოტაა, ამით ჩვენს ტრუპას სულს ვერ მოვებრუნებინებო. ცოდვაა, ღმერთთან იცის, მომავკინებელი ცოდვაა, რომ უღონობით და უვილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდეს. წელიწადში ერთი სამაის თუმანი რომ გარედან როგორმე მოგვეშველებინა, თეატრის საქმე გაიჩარებოდა და ფეხს მოიმარებდა“.

ილია ყველა ღონეს ხმარობდა თეატრისათვის სახსარი ეშვინა. მაგრამ მარტო მატერიალურ სახსარით აღმოჩენა ვერ მისცემდა საშუალებას თეატრს შეესრულებინა ის დიდი მისია, რაც მას ეკისრებოდა. მარტო კარგი დასით საქმე სათანადოდ ვერ წარიმართებოდა, თუ თეატრს შესაფერი რეპერტუარი არ ექნებოდა. და ილიაც გამოიღოს ამ რეპერტუარის იდეურობისა და მხატვრულობის დამკველად. ჯერ კიდევ მუდმივი პროფესიული დასის დაარსებამდე, სახელდობრ 1879 წლის 21 მარტს, დაიდა და. ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებული კომედია „გვეო, მინას და კამპანია“. ილია „ივერიის“ ამავე წლის აპრილის ნომერში თავისებური სარკაზმით აღნიშნავს: „თვითონ კომედიაზე ბევრს ვერას ვიტყვი, შეენიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლოვანება აქვს, თორემ სხვაფრთხი არა უქირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რაღა დასწერა, მეორე ისა, თუ დამწერმა დასწერა, გადაკეთებულმა რაღა გადააკეთა და მესამე ისა, რომ თუ ორივე შესცდნენ, თეატრში მაინც რაღა წარმოადგინეს“.

ილია თავგამოდებით იბრძოდა ეროვნული რეპერტუარის შექმნისათვის. ერთ-ერთი წერილში იგი გულისტკივილით აცხადებდა: „ჩვენი თეატრის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ სათეატრო თხზულებანი არა გვაქვს, რომ ჩვენი საკუთარი, ჩვენ მიერ ქმნილი, ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული თხზულებანი არა გვაქვს. ეგ ადვილად მისახვედრია. ამას ბევრი საპატიო და შესაწყნარებელი მიზეზი აქვს...“

ასეთ პირობებში ილიას დასაშვებად და საჭიროდ მიჩნია ითარგმნოს ქართულ ენაზე უცხოური პიესები, მაგრამ აქაც დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ უხვიორი პიესებით არ იკვეთებოდეს ჩვენი თეატრი. იღწვოდა რა მშობლიური დრამატურგიის განვითარებისათვის, ილიამ „ივერიაში“ დაბეჭდა რაფიელ ერისთავის „ადვოკატები“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან წამებული“ და სხვ.

ილია ქაეკავაძის წერილი „ახალ დრამების გა-

მო“ სანიმუშოდ უნდა ჩათვალოს პრეპრესული ლობითა და ღრმა შინაარსით. სწორად გვესმის, რომ მწერლობაში დრამა ყველაზე ურთულესა უნდა იყოს. ილიამ ეს კარგად იცოდა, რაცა წერდა: „დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ არის. დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის ძვრავა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტისმეტი მჭრელი, მეტისმეტი მზილაგი ნიჭი უნდა, მეტისმეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შექმი მიპფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურ საიდუმლოებას, რომელსაც აღამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვიან და რომელიც იმოდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამდენადაც უფრო ახლოს მიუვლია, ამიტომაც დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებებზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი, თუნდ ნიჭიერი, ვერა ბედავს ხელი შეჰმართოს“.

ილია საუცხოოდ ერკვეოდა თეატრის რთული მექანიზმის ყოველ წერტილში და იცოდა, რომ სპექტაკლის გამარჯვება მარტო რეპერტუარის მხატვრულობით არ აიხსნება. თუ მსახიობნი არ არიან აღჭურვილნი მომადლებული ნიჭით, გარდასახვის უნარით, ისე ყოველივე ცდა ამაო იქნებაო, წერდა. და აი ილია გვევლინება სპექტაკლების რეცენზენტად. ფურცლავთ ეამთა ვითარების გამო გადაყვითლებულ „ივერიის“ ნომერებს და თვალი ვერ მოგიშორებიათ. რა დიდა ერუდიცია, საგნის ღრმა ცოდნა მოიჩანს ყოველ წერილში. რა ანალიზი, რა გონებაშეხილობა თვითელე ახზავნი. როგორ უქსიკობს ავტორის ენა, ჩვენი ლამაზი ენა. სწორად რომ ბედი დავყა ილიასა და მის თანამებრძოლთა ინიციატივით აღდგენილ ქართულ მუდმივ დასს. მას ისეთი ბუმბერაზი მსახიობნი გამოუჩნდნენ, რომ ყველა განათლებული ქვეყნის სცენა იამაყებდა ამ პირებით. და როგორც რუსეთის თეატრის დიდ მსახიობს ჰაველე მოჩალოვს გამოუჩნდა ღირსეული მემკვიდრე ბესარიონ ბელინსკის სახით და თავისი შესანიშნავი წერილებით შთამომავლობისათვის უკვდავყო სცენის ტიტანი მოჩალოვი, ასევე დიდმა ილიამ შარავანდედით შემოსა ქართული თეატრის ოთხი ბუმბერაზი — მაკო საღაროვა, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე და ლადო კლდისიშვილი. ილიას მაღლივთა კალმა არც თუ სხვა თვალსაჩინო მსახიობებს ივიწყებდა. მარტო ერთი რეცენზია „ბანი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლიში“ რათ ღირს.

ილია და თეატრი — ეს საკითხი მრავალჯერ ყოფილა გაშუქებული, მაგრამ მაინც მკვლევარისათვის შემოქმედების უშრეტო წყაროა. სათანადო მასალათა ოდნავი გაცნობაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი ერის საპატიო მწერლის როლი ქართული თეატრის აღორძინების საქმეში განუზომელია.

## მინი გეგმაჰორი

### სახლი საგურამოში

ულრანი ტყის წყვილია მიჰქრის ცხენი. ცხენზე დაკრულია ჰაბუკი. თოკებგადაჭერილი ხელიდან სისხლი მოთქრიალებს. განწირულ მხედარს მგლები მისდევენ და სიმრუმეში ელავენ მათი ცეცხლისმფრქვეველი თვალები...

პირველი იმპერიის ფრანგ ბატალისტ მხატვართაგან ყველაზე უფრო ცნობილი ოსტატის ემილ-ჟან-ორას ვერნეს სურათი „მაზება მგლებში“ მოსკოვის პუშკინის სახელობის სახეითი ხელოვნების მუზეუმში ფრანგული ფერწერის გამოფენაზე უტრადლებას იპყრობდა თავისი რომანტიული შინაარსით და შესრულების ტემპერამენტით.

ორას ვერნემ ეს სურათი ბაირონის პოემა „მაზებას“ სიუჟეტზე შექმნა. ლეგენდის მიხედვით, სიჰაბუკის წლებში, პოლონელი პანის სასახლეში ყოფნისას, მაზებას პანა შეუყვარდება. გარისხებული ქმარი გაშიშვლებულ მაზებას გაუხედნავ ცხენზე დააკრავს და ულრან ტყეში შეაგდება. მაზებას ტყეში მგლების ხროვა დაედევნება. ცხენი თავს დააღწევს ტყეს და მხედარს სამშვიდობოზე გაიყვანს.

ორას ვერნეს სურათმა პუშკინის სახელობის სახეითი ხელოვნების მუზეუმში საგურამო გამახსენა. ვერნეს სურათის რეპროდუქცია ერთხელ უკვე მქონდა ნანახი საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, მისი საძინებელი ოთახის კედელზე. ეს სურათი უცნობი მხატვრისა და გრანეს სურათთან ერთად ილიას მეუღლემ ჩამოტყანა საზღვარგარეთიდან.

საგურამოში რამდენიმეჯერ ვყოფილვარ.

ყოველი დიდი ადამიანის სამყოფელი თავისებური რომანტიკა ახლავს. მასთან დაკავშირებულია მრავალი მოგონება, მრავალი ამაბავი, რომელიც თაობიდან თაობაში გადადის. მის თავისი სურნელება აქვს. მასში წარსულის სურათები იბინადრებენ და მუხლმოდრეკილი მგზავრის წინაშე დროდადრო ცოცხლდებიან.

ასეთი რომანტიკა საგურამოში მიმავალი

მგზავრისათვის ბებრის ციხესთან იწყება. ხმაურით მიიკვლევს გზას ლართისკართან შემოჭრილი არავი. სინათლის ჩქერები იღვრება საგურამოსა და მუხრანის ველებზე. წიწამურის ტრაგედიის შესახებ მოუთხრობს მგზავრს გზის პირას აღმართული მარმარილოს თეთრი სვეტი. აქ ნახეს მეფის ჯალათების მიერ განგმირული ილია ბიშენდელმა მეურმეებმა.

ვიწრო ორღობე სოფელთან იწყება და ზედახნის კალთებზე მიემართება. გაზაფხულზე მართლა კარგი სანახავია ორღობეში აყვავებული ასკილისა და მარწყვის ბუჩქები. ახლა აფვისტოა, ველზე ბიბინებს შეყვითლებული ბალახი, ზუზუნებს ფუტკარი, ნაადრევად სცივავთ გორისუბანში ფოთლები ცაცხვის, იფნის, თელისა და ნეკერჩხლის ხეებს. ნაადრევად ჩამოცვივნილ ფოთლებს ისე თელავს ბილიკზე მიმავალი მგზავრი, როგორც ნაზადს დიდოელი ლეკი. სიმშვიდეა გორისუბანში. მხოლოდ ორასწლოვანი კაკლის ჩეროში ლიკიკებს ილიასეული წყარო.

აქ, გორისუბანში, საგურამოს დიდი მკვიდრის დეით გურამიშვილის ნამოსახლარზე, ჯვარისწერიდან თერთმეტი წლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძემ ორსართულიანი ფიქრული სახლი ჩადგა თავისი სიმამრის თადეოზ გურამიშვილის მამულში. უფრო ხის შენად, ოციოდ წლის შემდეგ, ილიამ ძველი გის შენობის ნაცვლად ქვეთიარის სამსართულიანი სახლი ააშენა.

ილიასთვის საგურამო იყო სულიერი მყუდროების მღვიმე, მოქანცული სულის ნავსადგური. ყოველდღიური წვრილმანით მოღობილი ილია საგურამოში განერიდებოდა ხოლმე ქალაქის ხმაურს. აქ იგი თეთრ ხალათს იცვამდა და წითელ ფუნჯიან ქუდს იხურავდა. დადიოდა ტყეშიც, მაგრამ „ნადირობის ტრფალი“ არასოდეს არ ყოფილა. ტყის მყუდროება, მისი მშვენიერების ჭერება ან ტყეში ჭივოს საჭურვლად წასულ გლეხთან საუბარი უფრო ჰყვარებდა



ცნობილი კაკლის ხე ილიას ეზოში

ილიას. მას თავის ხელით დაურგავს თავის ეზოში რამდენიმე ცაცხვი. არაგვზეც თევზაობდა თურმე. გატაცებით თამაშობდა ჭადრაკს, ნარდს, ბანჯოს. მისი უსაყვარლესი ადგილები ყოფილა დიდი მუხა და კაკლის ხე.

გლახებთან საუბარი განსაკუთრებით ეხალისებოდა ილიას: მათგან ჰკლასა და გონებას ვსწავლობო. „ოთარაანთ ქვრივი“ იგი ერთგან ამბობს: „...ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდაც უწიგნო, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია“. ჩადგებოდა თურმე ილია საგურამოელ გლახეებში და ესაუბრებოდა ბიზინგაურებს და ცეიშვილებს, გზირიშვილებს და ლაბაურებს... ილიაზე ერთ ვლახს უთქვამს: „ილიამ ცაზე რამდენი ვარსკვლავი არი, სულ იცისო...“

ილიამ საგურამოში თავისი ცხოვრების ნახევარი გაატარა. მესამე სართულზე, საძინებელი ოთახის პირდაპირ, მისი სამუშაო კაბინეტია. კაბინეტიდან აივანზე გადვიდვართ. შარიშვრობენ ცაცხვის ვერცხლისფერი ფოთლები. მზე გადადის და სარკიშთის მთებისაკენ მივშურება. ჩამავალი მზის სხივები ფანჯრებს ეთამაშება. შორს მუხრანის ველია, უფრო შორს დიდებული მყინვარი. ილიას თურმე სამუშაო ოთახში მაგიდა უფრო ხშირად კედელთან ედგა, რომ ბუნების სიმშვენიერეს არ დაეტყვევებინა და ლიტერატურული მუშაობის დროს მისთვის ხელი არ შეეშალა. ამ ოთახში მრავალჯერ დასთენებია ფელეტონის წერით ვართულ ილიას. აქ არჩევ-

და ბრუდონისა და ლასალის ფილოსოფიურ და ეკონომიურ თეორიებს. აქ იწერებოდა „განდუგოლი“ და „ბაზალეთის ტბა“. ამ ოთახის კედლები მოწმენი არიან შემოქმედის დიდი სიხარულისა. თრთოდა და კანკალებდა სანთლის ალი შანდალში, მაგიდაზე წვებოდა ოდნავ წახრილი ილიას ლანდი და მხოლოდ თვალებს ეპარებოდა რულო.. და ოთახებში ფეხაკრეფით დადიოდა ილიას შეუღლე ოლა თადეოზის ასული, რომ მისთვის მყუდროება არ დაერღვია.

ვინ არ ყოფილა საგურამოში!..

ილიას კარმიდამოში ბევრმა იჩრილა ჭადრის ჩრდილი... შაბათობითა და დღესასწაულებში საგურამოში თავს იყრიდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, „ივერიის“ თანამშრომლები, აკაკი, ვაჟა, ილია ოქროშქელიშვილი, პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ლოდობერიძე, ნიკო ლომოური, პეტრე ნაკაშიძე, ვალ. გუნია, გიორგი ქართველიშვილი, ეკ. გაბაშვილი, დრამატურგი აქესენტი ცაგარელი, ივანე მაჩაბელი, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი. აქ საუბრობდნენ ისინი საქართველოს წარსულზე, აწმყაზე და მომავალზე, მსჯელობდნენ პოლიტიკურ, ეკონომიურ და ლიტერატურულ საკითხებზე.

მშვენიერი სანახაობა ყოფილა ილიაობა საგურამოში.

ილიას სახლთან ჩერდებოდნენ ეტლები, „ლინეიკები“, „დილიეკები“ და იქიდან გადმოდიოდნენ ჩისტაკობებში გამოწყობილი მანდილოს-





ნები და შავსერთუიანი მამაკაცები. კაცის ქვეშ იშლებოდა ქართული სუფრა, სადაც სახლის პატრონი ტროლიმბაშობდა. „ილიაბა დღეს სა-ში საბაღნე ღვინო დაიხარჯებოდა, სამი ძროხა დაიკვლებოდა“, — იგონებენ გლეხები. ამ დღეს ილიასათვის მრავალი საჩუქარი მიჰქონდათ. 20 ივლისს მორთმევიანთ მისთვის წინამძღვრია-ანთ კარის სკოლის მოწაფეებს თავისი ხელით გა-მოსხარატებული სკამ-ჯოხი, ხის კალმისტარი, სამელნე, ქაღალდის საკრელი დანა, ოღლას ხე-ლის კალათა, რომლებიც ახლა საგურამოს სახლ-მუხეუმში ინახება. პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ ილიასა დაღეს ქართველი ხალხის სახელით ილიას ალისფერი დროშა გადასცა.

საგურამოში ილიას სახლს სადარბაზო მნიშ-ვნილობაც ჰქონდა. საქართველოსა და ქართვე-ლი ხალხის გასაცნობად ჩამოსულ უცხოელს ილია ჰაქვავაძე უწყებდა მასპინძლობას. საგურა-მოში სტუმარს უხვდებოდა დაბალი ტანის მას-პინძელი, თანამედროვეთა გადმოცემით, დინჯი და ენამეკერი, უხვი და პურადი, მზრებანიერი და შუბლმაძალი; სწორი ცხვირი, მაგრად მო-კუმული ტუჩები, ცოტა წინ წამოწყული ნი-კაბი და ჰკვიანი მეტყველი თვალები, ხან ლმო-ბიერი და ხან ცეცხლისმფრქვეველი.

მასპინძელი ცდილობდა უცხოელებისათვის ეჩვენებინა ქართველი ერის სულიერი საგანძუ-რი, მისი გვირული წარსული, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი და თვისებები.

საგურამოში სხვადასხვა დროს ილიას ეს-ტუმრნენ: ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფე-სორი მორფილი, პარიზელი პროფესორი ბოსკო, გრაციის უნივერსიტეტის პროფესორი შუხარდტი, ბერლინის უნივერსიტეტის წინა აზიის ხალხთა ისტორიის პროფესორი, ურარტული წარწერე-ბის მკვლევარი კარლ ლემან ჰალტი და პროფე-სორი გოტფრიდ მერცხაბერი.

საგურამოში მიიწვია ილიამ ინგლისელი მთარ-გმნელი ქალი მარჯორი უორდრობი, რომელმაც ინგლისურ ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ილიას „განდეგილი“. სხვათა შორის, მარჯო-რი უორდრობს უთარგმნია აგრეთვე ილიას სი-ტყვა, წარმოთქმული წინამძღვრიათ კარის სკო-ლის გახსნაზე. უორდრობს ქართული საღვთო წიგნიდან უსწავლია. იგი ორპროვინდ ამბობდა თურმე: ქართული „დაბადებიდან“ ვისწავლიო..

საგურამოს ხშირი სტუმარი იყო ბრესლაუში დაბადებული სიღვზიელი გერმანელი არტურ ლისტრი. ილია მას ევროპასთან საქართველოს ლიტერატურულ შუამავალს ეძახდა. მასპინძე-ლი გულმოდგინედ უმარტავდა სტუმარს „ვეფ-

ხისტყაოსნის“ სტრიქონებს და ქართველთა თავისებურებებს. ლისტმა შესანიშნავად შეა-წავლა ქართული ენა და ლაიპციგში რამდენიმე-ჯერ გამოსცა ქართველ მწერალთა ნაწერების ანთოლოგია და ილია ჰაქვავაძის თხზულებათა თარგმანები. არტურ ლისტმა თავის მოგონებებში თბილად იხსენიებს ილიას სახლის აივანზე გა-ტარებულ, საგურამოს მთავარიან დაშვებს. სტუ-მარსა და მასპინძელს თურმე ძილი მხოლოდ მა-შინ გაახსენდებოდათ, როცა ტოროლები აღვი-ძებდნენ სოფელს. სოფელი ისმოდა ძაღლების ყევა, მინდვრებიდან მოდიოდა ახალმოხსნულ მიწის სურნელი, გზაზე მძიმედ მიჭრიალებდა ურემი და მეურმე ნაღვლიან სიმღერას მღე-როდო...

ილიას მუსიკალური სმენა ნაკლებად ჰქონია და არც ხმა უფარგოდა სასიმღეროდ, მაგრამ სიმ-ღერა ძლიერ ჰყვარებია. საგურამოს სახლ-მუ-ხეუმში ინახება ილია ოქრომქედლიშვილის მიერ ილიასათვის გერმანიიდან ჩამოტანილი მუსიკა-ლური ყუთი. მას საათის მექანიზმის მთავარი მოწყობილობა აქვს და შიგ ბარაზნები მათავ-სებულთ. ბარაზნში 6 მელოდიია. ასეთი ბარაზანი თერთმეტია. განსაკუთრებით საინტერესოა მე-თერთმეტე ბარაზანი. თუ ათი ბარაზანი დასავ-ლეთ ევროპის კომპოზიტორთა მუსიკალურ ნა-წარმოებებს შეიცავს, მეთერთმეტეში ექვსივე მელოდია ქართულია, კერძოდ, სუფრული სიმ-ღერები. იგი, ეტყობა, შეკეთითაა დაშაღებუ-ლი, რადგან ბარაზნებისათვის განკუთვნილ უჯ-რედში მეთერთმეტე ბარაზანი არ ჩადის.

მუხეუმის თანამშრომლები სათუთად ინახავენ იმ ნივთებს, რომლებიც ილიას სახელთან არის დაკავშირებული. მუხეუმში ნახავთ ილიას დედის ნაქონ სპილოს ძვლის ოქროს ზარნიშთან მარაოს, ილიას დის ელისაბედის მოქსილელი თავსაქრავს, ილიას სტუდენტობის დროინდელ ქუდს, მისი მეუღლის ხელსაქმის ყურის, ნაწილით სკივრის, პე-ლისანდრის ხის სეკრეტერს, ძველბურ კაბოდს, ტრილიავს, ილიას კალმისტარს, მომრიგებელი მოსამართლის სამკერდე ჯაჭვს, რომელსაც იგი დღემდეში სამსახურის დროს ატარებდა; თბილი-სელი ხელოსნების მიერ მორთმულ თარს, ილიას ტანსაცმელს — სერთესს, ნაირფერ პალს-ტუხებს, ყიღეტებს, მანკეტებს... თიხის სურას, რომელსაც მხოლოდ საგურამოში ხმარობდა ილია; საწიგნოხელს, რომელშიაც იგი სანახე-როდ წაყითხულ წიგნს ინახავდა; ექსილიების შესანახ ნანთას, გრძელ ჩიხუხს, რომელიც ილიას არასოდეს არ უხმარია; მისი მკერდიდან ამოღე-ბულ ტყვიას, „ივერის“ დაყვითლებულ ფერ-

ცლებს, რომლებიც მე-19 საუკუნის დარბაისლური ქართლის სურნელებს აკმევენ; გვირგვინების ბაფთებს, სამგლოვიარო ბალიშებს, ვერცხლის ჭიქას, რომელსაც იგი განუყრელად თან ატარებდა. ამ ჭიქით დაუღვია მას უკანასკნელად წყალი წიწამურის გზაზე...

საგურამოს სახლ-მუზეუმში ილიას მრავალი სურათია გამოფენილი, მაგრამ ყველაზე უფრო დიდხანს მე ერთი სურათის წინაშე შევიჩერდი. იგი მე-19 საუკუნის 90-იან წლებშია გადაღებული. ილიას სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებს. და ეს ღიმილი ისე უხდება მას, როგორც საგურამოს შემოგარენს ილიას სახლი...

ილიას ღიმილი გამომეყვა გარეთ. კაცდამსწრეობაში ლებში ატანს ვარდისფერი დაისი. ქართულ გზებში გაშლილან ყვავილები, ქვის მაგიდაზე გდია ბაწია გუთანი, ბალახებში ჩაფლულა გოდორი, შორიანლო ჩაჩოქილა ხავსმოკიდებული გადაჭრილი მუნა.

სახლ-მუზეუმის ოთახებში მეცხრამეტე საუკუნეა, გარეთ — მეოცე. შევივებენ ბელურები, შრიალებენ ჭადრის ტოტები და აივნისაყენ იწვდიან ხელებს. საგურამოს ნელა ებარება ზაფხულის ლურჯი იღუმალება.

ზედაზნის კალთებზე იცრიცება ღრუბელი...



აკაკი ბაქრაძე

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება  
კინემატოგრაფიაში, ოთარაანთ ქვრივო!..

ილიას არც ერთ ნაწარმოებს არ უნახავს ჯერჯერობით ეკრანი. ეკრანიზაციის ცდები კი ყოფილა, მაგრამ, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით, ისინი სცენარისტის მაგიდას არ გასცილებიან. მალე „ოთარაანთ ქვრივი“ გასტეხს ამ ყაშირს და მყუერებელი ნახავს კინემატოგრაფიის ენაზე ამეტყველებულ ილია ჭკვიანებას.

დაუმთავრებელი ფილმის ავ-კარგზე მსჯელობას არავინ აპირებს (ამის დრო მოვა). მხოლოდ ეკრანიზაციის ზოგიერთ საკითხს გვინდა შევეხოთ „ოთარაანთ ქვრივის“ კონკრეტულ მაგალითზე.

ქართულ ლიტერატურაში თითქმის არაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც ისე ძნელად ემორჩილებოდეს ეკრანიზაციას, როგორც „ოთარაანთ ქვრივი“.

უბრველესი სიძნელე, სცენარისტის წინ რომ დგას, ილიასეული ნაწარმოების არქიტექტონიკაა. თუ გავიხსენებთ დაწერილებით „ოთარაანთ ქვრივის“ ექსპოზიციას, დავინახებთ, რომ ილია ოთხ თავს („რას მიქვიან ტყბილი სიტყვა?“, „პილიპილიოყრილი მადლი“, „ხუთი ქისა“, „განძი და ანდერძი“) ოთარაანთ ქვრივის სახისა და ხასიათის დახატვას ანდომებს, ხოლო შემდეგ ორ თავს („დღეა-შვილია“, „გვიკია, თუ რა?“) გიორგის ბიროვნების გამოძერწვას უძღვნის. ილიამ ხსენებული ორი პერსონაჟი ჯერ ცალ-ცალკე გამოაქანდაკა და მერე სამოქმედო ამოცანა და ასპარეზი მისცა. ისინი იმთავითვე სამოქმედოდ არ ჩააბა გარკვეულ სიუჟეტურ ქარავში და თანდათანობით, მოქმედების საშუალებით, არ ვაშალა მკითხველის წინაშე ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სამყარო.

მოთხრობის კითხვის დროს მკითხველი, მონიშნული ილიას ენის ხატოვნებით, დაუფიქრებლად მიჰყვება მწერლის თხრობის მანერას და ბრწყინვალედ ახატული პორტრეტების შეცნობით ტყბება. ახლა, ერთი წუთით, ეკრანზე წარმოვიდგინოთ ზემოთ ხსენებული თავები ისეთი-

ვე თანმიმდევრობით, როგორც მოთხრობაშია: მივიღებთ მარტოოდენ ილუსტრაციებს, რომელთაც არავითარი დამაკავშირებელი სამოქმედო ხაზი არ ექნებოდა. არ ექნებოდა კინემატოგრაფიული ეპიზოდის დრამატურგია და ამოცანა.

ეკრანზე, გინდა თუ არ გინდა, ილიას ენის მარილი და ეშხი დიკარგება და დარჩება პატარა, უმნიშვნელო ამბავი, რომელიც თუნდაც „ხუთ ქისაშია“ მოთხრობილი, ან „განძი და ანდერძში“.

უმნიშვნელო ამბავიათ? აბა, ღრმად ჩააყვირდით რა დიდი მნიშვნელობა აქვს ილიასეულ ყოველ ფრაზას, ყოველ ხაზს, ყოველ დეტალს!.. თითოეულ თავში ხომ ოთარაანთ ქვრივის სახის შემქმნელი ფერები აქვს ილიას და რომელიმე ფერი რომ დააკლდეს, პორტრეტი სრულყოფილი აღარ იქნება. რა უფლება აქვს სცენარისტს ოთარაანთ ქვრივს მოაკლოს ილიასეული რომელიმე ხაზი? არავითარი, მაგრამ თუ იგი „ხუთ ქისას“ (კონკრეტული მაგალითისთვის ეს თავი მოვიშველიოთ) ისევე დატოვებს, როგორც მოთხრობაშია, ეკრანზე იქნება მეტისმეტად მოსაწყენი ეპიზოდი, რომელიც მყუერებელს სრულიად ვერ აგრძობინებს ხსენებულ თავის მხატვრულ ძალას. როგორი ოსტატობითაც არ უნდა ასრულებდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მსახიობი ოთარაანთ ქვრივის როლს, იგი მაინც ვერ დაინტერესებს მყუერებელს, რადგან ქისებში ფულის ჩაწყობა და დათვლა არავითარ მხატვრულ მომხიბლობას არ შეიცავს. ხოლო მყუერებელს რომ ქისების კლასიფიკაცია გააგებინო, აუცილებლად სადიქტორო ტექსტი უნდა მოიშველიო. აქ კი, მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით რომ ვილაპარაკოთ, გადაულახავი წინააღმდეგობის წინ დადგება რეჟისორი: იმ მოქმედების ჩვენებას, რომელიც „ხუთ ქისაშია“ აღწერილი, გაცილებით ნაკლები მეტრაჟი სჭირდება, ვიდრე იმ ახსნა-განმარტებას, რომელიც ქისების დანიშნულებას გვაძენობს.

ასეთ შემთხვევაში სცენარისტმა ორიგინალი-





სადმი მონური ერთგულება არ უნდა გამოიჩინოს. იგი ვალდებულია მართებულად გაიაზროს, რად დასჯიდა მოთხოვნის ავტორის ესა თუ ის თავი.

ილიამ „ხუთ ქისაში“ ოთარაანთ ქვრივის ანკარაშიანობას, ყარათიანობას, ფულადი მეურნეობის თადარიგიანად წარმოების უნარს გაუსვა ხაზი. სცენარისტმა უნდა გამოიჩინოს კინემატოგრაფიული ხერხები და მათი საშუალებით მაყურებელს ილიას ჩინაფიქრი გადასცეს.

სცენარისტს უფლება არა აქვს დაარღვიოს ან არამართებულად გადასცეს საეკრანიზაციო ნაწარმოების ავტორის ჩინაფიქრი, შესცვალოს სახე და ხასიათი, მაგრამ იგი თავისუფალია მხატვრული ხერხების გამოყენების დროს. ხელოვნების ყოველ დარგს მეტყველების თავისებური საშუალებანი გააჩნია და მათი აღრევა დაუშვებელია.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟების ხასიათი მოქმედებით არ ვლინდება. კინემატოგრაფია კი უპირველესად დრამატურგიული ქმედებით მოითხოვს სახესა და ხასიათის გახსნას.

ის დრამატურგიული ქმედება, რომელიც სცენარისტს სჭირდება, „ოთარაანთ ქვრივში“ იწყება იმ აღდგომიდან, როცა დედამ გავიო, გიორგის თავადის ქალი კესო შეპყვარებიაო. აქ ისმება თავსატეხი კითხვები: რას მოიმიქმედებს ოთარაანთ ქვრივი? რას იზამს გიორგი? როგორ შეხვდება კესო გიორგის სიყვარულს? უფრო მეტიც, აქ იბადება იდეურად მეტად საინტერესო კითხვა — როგორ გადაწყვიტს მწერალი დასმულ სოციალურ კონფლიქტს. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

კითხვები კი დისვა, მაგრამ პასუხი? სტანდარტული დრამატურგიის მიხედვით, არაფერი მომზდარა. ოთარაანთ ქვრივმა გულში ჩაიკლა წყენა, გიორგიმ სიყვარულს გამქლავებდა ვერ გაბედა, კესო გიორგის გულსთქმას ვერ მიწვდა.

ილიამ ადამიანთა ურთიერთობის, წინააღმდეგობის, განცდების ყოველი ნიუანსი ფსიქოლოგიის სფეროში გადაიტანა და შექმნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა გარეგნული ქმედობის დრამატურგია, არამედ სულიერი წინააღმდეგობის დრამატურგია და თითოეული პერსონაჟი შინაგანი კონფლიქტით აღბაჟა.

გართულდა არა მარტო სცენარისტის ამოცანა, არამედ რეჟისორისაც და აქტორისაც.

კეთილი და პატოსანი. მოთხოვნის მეორე ნახევარი სცენარისტს მოქმედების მეტ საშუალებას აძლევს, მაგრამ რა ვუყოთ პირველ ნახევარს? რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ მოთხოვნის ცენტრალურ ნაწილში ოთარაანთ ქვრივი არ ჩანს? (ვგულისხმობთ იმ თავებს, რომელშიაც გიორგის არჩილთან მოჯამგირედ ყოფნის პერიოდი აღწერილი). აუცილებელია ერთი რაღაც საერთო ხაზის გამოქმენა, რომელიც ცალკე არსებულ ილი-

ასეულ ეპიზოდებს კინემატოგრაფიულად ერთმანეთთან დააკავშირებს.

ასეთი დამაკავშირებელი საერთო ხაზი „ოთარაანთ ქვრივის“ ცენტრალური პრობლემა — კლასთა შეურიგებლობის საკითხი — უნდა იყოს.

პირდაპირ თუ ქარაგმულად ეს პრობლემა ილიას მთელ შემოქმედებას წითელ ხაზად გასდევს და არ შეეცდებით, თუ გიტყვით, რომ იგი ილიას აზროვნების უმთავრესი საკითხი იყო.

სხვადასხვა სოციალურ პირობებში სხვადასხვანაირად მკლავდება ეს წინააღმდეგობა. ბროლო ყველგანაა, ხან ფარული და ხან აშკარა, ხან შეგნებული და ხან შეუგნებელი. ზაქროსა და გაბროს თოფი უპყრათ ხელთ, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი შინაგანი სამყაროთი უპირისპირდებიან არჩილსა და კესოს. მათი შერიგება შეუძლებელია, ისინი საერთო გზას ვერაფერს იპოვენია.

და როცა შეურიგებლობაზე ვილაპარაკებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შეურიგებლობა „ოთარაანთ ქვრივის“ ყოველ გვერდზე იგრძნობა. ნაცვლი და ასაული რომ ქვრივის ეზოში ვერ გაიქაჟანებენ, გზირს რომ ტყავი გააძრო — კლასობრივი წინააღმდეგობის თავისებური გამოვლენაა და არა კაპასი დედაკაცის კაპრიზი.

თუ ყოველივე ზემოთ თქმული მართალია, მაშინ ოთარაანთ ქვრივია მოთხოვნის პირველი გვერდიდანვე ილიასეული პრობლემის მატარებელი გმირი და იგივე აკავშირებს და აერთიანებს ნაწარმოების ყოველ თავს.

ოთარაანთ ქვრივი უნდა იყოს სცენარის ყოველი ეპიზოდის შემადგენელი მასალა, რომელიც მოთხოვნის ცენტრალურ პრობლემასაც უცდომლად მოიტანდა მაყურებლამდე.

„ოთარაანთ ქვრივის“ მოქმედ სიუჟეტს გიორგისა და კესოს ურთიერთობა ქმნის. პრობლემის მთელი სიღრმითა და სიმამრით გამოვლენაც ამ ურთიერთობის საშუალებით ხდება და ნაწარმოების ძირითადი კონფლიქტიც გიორგისა (ოთარაანთ ქვრივთან ერთად) და კესოს (არჩილთან ერთად) დაპირისპირებაში მივლინდება. ეს კონფლიქტი სოციალურია. ის მცირე შეტაკებანი და წინააღმდეგობანიც, რომელიც გზირთან და სხვებთან ხდება, სოციალურია. მათ ერთმანეთის შეესება და გამდიდრება შეუძლიათ. მათი დაკავშირება საშუალებას იძლევა ძირითადი კონფლიქტი და მისი მამოძრავებელი ორი ძალა (ოთარაანთ ქვრივი = გიორგი წინააღმდეგ არჩილ = კესოსი) იმთავითვე გამოვავლინონ. გარეგნულად მათ შეჯახებას თითქოს მტრულს სახე არა აქვს, მაგრამ ბოლოს ირკვევა, რომ „ჩატეხილი ხიდის“ გამართლება შეუძლებელია.

როგორ შეიძლება ხსენებული წერილ-წერილი წინააღმდეგობანი ძირითადსა და უმთავრესს დაუკავშიროთ?

ოთარაანთ ქვერვის სამართლიანობისადმი მისწრაფება რომ უჩვენოს და ამავე ღრის კლასობრივი დაპირისპირების პირველი მინიშნება გააყეთოს, ილია გზირისა და ქათმის ისტორიას მოგვითხრობს.

დიაბეგი მობრძანებულა და თურმე ამიტომ ართმევდენ ოთარაანთ ქვერვს ქათამს. არა გვგონია, რაიმე არსებითი შეიცვალოს, დიაბეგის ნაცვლად არჩილი რომ მობრძანდეს. ამით არჩილის ლიბერალიზმს ჩრდილი არ მიადგება, რადგან თავადს არავისთვის არ უბრძანებია — მოვდივარ და გლევებს ქათამი წაართვითო. მომხდარი ფაქტი გზირის თვითნებობა იქნებოდა. სხვათა შორის, ეს გაამართლებდა იმ შინაგან შიშსაც, რომელსაც მერე არჩილი განიცდის ქვერვის მიმართ. იცის თავადმა, რა ძალაა ოთარაანთ ქვერვში.

იქნება ვინმემ იკითხოს: გზირს რა იურიდიული კავშირი ჰქონდა არჩილთანა?.. თავი დაეანებოთ იმას, რომ მათი იურიდიული დაკავშირება შეიძლება, — განა ამას მხატვრული განზოგადოებისათვის მნიშვნელობა აქვს?..

ილია აგრძელებს თხრობას და ვიკვებთ, რომ შეიღს დედის ხასიათი დაჰყოლოდა და ისიც ვერ იტანდა უსამართლობას, თუნდაც იგი პირუტყვის მიმართ ყოფილიყო გამოვლენილი. გიორგის ასეთი ხასიათი ოთარაანთ მოჯამაგირისადმი დამოკიდებულებაში გამოჰქადაგდა.

სცენარისტი თავიდან აიცილენს ერთ ზედმეტ პერსონაჟს, ომარაშვილის სახით, თუ იგი ომარაშვილის ფუნქციას არჩილს გადასცემს. ამით არჩილის ხასიათს არაფერი დააკლებდა, რადგან ლიბერალ თავადს თავისუფლად შეეძლო მოქცეულიყო ისე, როგორც ომარაშვილი მოიქცა სასამართლოში.

მსგავსი ცვლილებანი სიუჟეტს გაზდის შეკ-

რულსა და კომპაქტურს, რაც ეგზოტიკური კინემატოგრაფიას.

გიორგის არჩილთან მოჯამაგირედ დადგომა და ამავე სცენარშიაც ისე წარმართება, როგორც მოთხრობაშია.

მხოლოდ ერთ ადგილას დადგება სცენარისტი ისევე ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე.

არჩილსა და კესოს კამათი „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემის გარშემო მოითხოვს უსათუთეს კინემატოგრაფიულ ხერხებს.

და-ძმის გრძელ დიალოგს, როგორ ოსტატურადაც არ უნდა წარმართონ იგი მსახიობებმა, ეკრანი ვერ აიტანს.

საერთოდ, ჩვენი კინემატოგრაფიის ერთ უმთავრეს ნაკლთანაა მომეტებული „ედაწყულიანობა“. ამიტომაც სასამართლიანად ყვირის მაყურებელი ხანდახან — რეგლამენტიო.

ილია რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენოთ, სცენარისტი ვალდებულია პლასტიკური გადაწყვეტა მოუძებნოს არჩილისა და კესოს კამათს.

და-ძმის კამათის პლასტიკური გადაწყვეტისათვის შეიძლებოდა ეკრანზე ნამდვილად ჩატეხილი ხიდი გვეჩვენებინა და რეალური საგნისათვის სიმბოლიკის მნიშვნელობა მიგვეცა. ცხადია, ყველაფერი მხატვრული გადაწყვეტის ხარისხზეა დამოკიდებული, თორემ ნამდვილად ჩატეხილი ხიდის ჩვენება უხეშადაც კი შეიძლება მოეჩვენოს კაცს.

საერთოდ, როგორ იქნება გადაწყვეტილი „ოთარაანთ ქვერვი“ ეკრანზე, ამას მომავალი ფილმი გვიჩვენებს.

დასასრულს მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ამ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი ერთობ სუბიექტური ხასიათისაა და არაფერი აქვს საერთო ფილმის შემქმნელი კოლექტივის კონცეპციასთან.



ქიზიაჲს ყიზიანი

მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე

27 სექტემბერს თბილისში დაბრუნდნენ ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი ალბუმი ლაშქრობის მონაწილენი. ეს თავისებური, ყველასაგან გამორჩეული ალბინიადა იყო. მართალია, მას სპორტული ლაშქრობა ერქვა, მაგრამ ილიას სახელთან იყო დაკავშირებული, მართალია, ათი დღის განმავლობაში ალბინიადის მონაწილენი სპორტსმენებად გადაიქცნენ, მაგრამ ისინი ხომ ახალგაზრდა პოეტები და მწერლები არიან. სწორედ ამ გაორებამ შექმნა და განავითარა „სიუჟეტი“ ლაშქრობისა — ახალგაზრდა პოეტები იპყრობდნენ მწვერვალებს, ახალგაზრდა პოეტებს კი მუზა იპყრობდა: გზადაგზა იწერებოდა ლექსები, მოკლე ნარკვევები, მოთხრობებიც კი.

ჩვენ მიყვებოდით დიდი ილიას ნაკვალევს. თითქოს ამ გზებზე, ხეობებში და მთის ფერდობებზე ვკითხულობდით სტრიქონებს მისი ბიოგრაფიიდან. აქაც კანონზომიერება აღმოჩნდა — ბარში, დაბლობში, წიწამურთან ჩვენ ერთხელ კიდევ აღგვაშფოთა გახსენებამ იმ ადამიანების შემადარწუნებელი მოქმედებისა, რომლებმაც სიცოცხლეს გამოასალმეს ბუმბერაზი ილია. მაღალ მთებში კი — ბეთლემის გამოქვაბულთან და მყინვარწვერზე ჩვენ გავიხსენეთ ილიას შემოქმედების მწვერვალები — „განდეგალი“ და „აჩრდილი“.

მთას ერთი დაუწერელი კანონი აქვს: როცა მწვერვალისაკენ მიდიხარ, ქვა არ უნდა დააგორო. ამ ბრმაღ დაგორებული ქვის მსხვერპლი გახდა დიდი ილია.

მთას სხვა კანონიც აქვს: ერთი ადამიანიც რომ ავიდეს მწვერვალზე, მისი დიდება მთელს ჯგუფს, მთელს კოლექტივს ეკუთვნის. ასევე ეკუთვნის ილიას სახელი და დიდება ქართველ ხალხს, მთელს ჩვენს ქვეყანას.

ლაშქრობა სიმბოლიურ ხასიათს ატარებდა; ქართველი ახალგაზრდა მწერლები ეწვივნენ ილია ჭავჭავაძის ადგილებს — ბაზალეთის ტბას, რომლის შესახებ დიდმა ილიამ დასწერა თავისი უკანასკნელი, ბრწყინვალე ნაწარმოები. ეს იყო უღიადესი ოცნება გენიოსი მწერლისა... ოცნება ახლა: ჩვენმა დრომ ტბაში ჩასვენებული ოქროს აკვანი მზის სინათლეზე ამოიტანა და თავისუფლებისა და ბედნიერების სხივები აარეკლინა ყოველი ოჯახის, ყოველი ყრმის აკვანთა გასათბობად.

აქვეა ილიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის აკვანიც — ქალაქი დუშეთი. აქ დაიწყო მგოსანმა თავისი იურიდიული საქმიანობა, აქ იცავდა გლეხებსა და ყველა გაპირვებულს დიდი მოსამართლე. დუშეთი კი მოუსყიდველი მოწმე იყო ამ დიდი მოსამართლის ყოველი საქმისა. 50 წელია, რაც დაიღუპა იგი მოსა-





მართლმადიდებელი დღესაც მზად არის მოწმედ დაუდგეს იმ დიდ პატივისცემას, რასაც ხალხი იჩენს საყვარელი წინაპრის მიმართ.

ჩვენი მანქანა ჯვრის უღელტეხილზე შედგა, 2395 მეტრის სიმაღლეზე. ეს მუდამ დანისლული სიმაღლე ხანგრძლივი დროის განმავლობაში უშლიდა ხელს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას, მაგრამ ნისლი გაიფანტა, ბოლოს მაინც გადალახეს უღელტეხილი ორივე ხალხის მოწინავე შეილებმა — დეკაბრისტებმა და თერგდალეულებმა, გრიგოლ ორბელიანმა და ალექსანდრე პუშკინმა, გრიბოედოვმა და ილია ქავჭავაძემ. ფიქრობ ამ წარსულზე და გადასასვლელის სახელწოდების ორივე სიტყვა თავისთავად იწყებს თამაშს — რა თქმა უნდა, ამ გზამ მართლაც ჯვარი გადაუსვა ქართველი ხალხის საუკუნოვან თავდაცვითს ომებს, რა თქმა უნდა, ამ უღელტეხილმა მართლაც გატეხა უძველესი ქართველი ხალხის სოციალური ჩაგვრისა.

ღარილის ხეობისაკენ როცა ეშვები, გგონია, შენ კი არ ჩადიხარ, შენ კი არ დაბლდები, მთები მაღლდებიან და იზრდებიან ზღაპრული გოლიათებით. ბოლოს, აქაფებულ თერგის ნაპირებთან ყოველმხრივ გარშემორტყმული ხარ და ტყვედქმნილი ამ მთების სილამაზითა და სიდიადით. და აღარ იცი რას უყურო: თერგს, თავპირის მტკრევით რომ მიშხუის ვიწრო ხეობაში, თუ თვით ხეობის კედლებადშემდგარ კლდეებს და თავზე წამომდგარ ცისფერლოყება ცას. აი, საღ შეიძლება ორზე მეტი თვალი ინატროს ადამიანმა!

ახალგაზრდა მწერლებმა თერგის ნაპირთან ჩამოუხლეს და შესვეს წყალი მდინარისა, რომლითაც ერთ დროს წყურვილი მოიკლა დიდმა ილიამ, წყურვილი დიდი ცოდნისა, დაჩაგრული სამშობლოს სადიდებლად და საბედნიეროდ. ახალგაზრდა ქართველმა მწერლებმა ამით სიმბოლიურად გამოხატეს სსოვნა თერგდალეულთა მოღვაწეობისა.

ბეთლემის გამოქვაბულის ძნელადმისასვლელ ციკაბოებზე ისე თავისუფლად ავედით, თითქოს ჩვენთვის მანამდე მართლაც გაეკვლიოს გზა დიდ ილიას. ბეთლემის მღვიმეში დავტოვეთ ილიას პატარა ქანდაკება და მის ნაწარმოებთა კრებული. ბეთლემის ბებერმა ქვებმა პირველად იხილეს იმ ადამიანის სახე, რომელმაც ამღერა და უკვდავყო ეს ქვები. ბეთლემის თვალდათხრილ კედლებს ისევე აეხილათ თვალები და გაკვირვებით ჩააქკერდნენ „განდევლის“ სტრიქონებს... ოდესღაც, უხსოვარ დროს, მგონი, ცხადად ნახეს ამ წიგნში მოთხრობილი ამბავი.

ახალგაზრდა მწერლებმა დაიპყრეს მყინვარწვერი, ზედ აიტანეს საგურამოში დაწნული, კაკლის ტოტებისა და ვაზის ლერწმისაგან გაკეთებული ილიასეული გვირგვინი წარწერით: „ილიას სადიდებლად, მყინვარწვერის დასამშვენებლად“. როგორც ჩვენი ლაშქრობის ხელმძღვანელმა მწერალმა ლევან გოთუამ თქვა, საბჭოთა მწერლებს ამეირიდან ყველაზე უმადლესი ტრიბუნა აქვთ მსოფლიოში დიდი იდეების წარმოსათქმელად, სამართლიანობისა და მშვიდობის საქადაგებლად.

ჩვენ კვალდაკვალ მივყვებოდით დიდ ილიას. ილიას ყურით ვუსმენდით თერგის ხმაურს და ეს ხმა ახლა ისეთი შემფთოებელი და აღრენილი აღარ იყო; ილიას თვალებით ვუმხერდით მყინვარწვერს და ეს მთა ახლა ისეთი პირქუში და მიუკარებელი აღარ ჩანდა; ილიას გულისხმიერებით ვუსმენდით მოხვევებს და მოხვევები დღეს ისეთი გულდაკოდინი და დანაფლავებულნი როდიღა არიან; ქვეყანა მათ ემსახურება, ისინი — ქვეყანას, დღეს „მათი თავი მათვე



ეყუდნის“. ჩვენ გავიცანით შთამომავალი იმ რუსისა, რომელიც ილიას „მეცხენაში“ რის წერილებშია“ ჰყავს აღწერილი. დღეს იგი როდიღა უწოდებს საქართველოს „ბნელსა და გაუნათლებელ ქვეყანას“, პირიქით, თვითონვე იძენს განათლებას საქართველოში. იგი ახლა იმით კი არ იკვებნის, რომ „იზღერის ბალი აქვს ნახული“, არამედ იმით, რომ მყინვარწვევის მეტეოსადგურში მუშაობს რადისტად. სერგეი სმირონოვი ახალგაზრდა მწერლებს ბეთლემსა და მყინვარწვევზეც აჰყავს, საკუთარი ფეხით ეწვია დიდ ილიასთან დაკავშირებულ ადგილებს და პატივი სცა მის ხსოვნას.

ძნელი აღმართები და დამრეცილი მყინვარები ჩვენმა ახალგაზრდულმა ენერგიამ დასძლია, მყინვარწვევი — ნებისყოფამ, ბეთლემი — ცნობისმოყვარობამ, და ყველაფერი ერთად — ჩვენმა სიცილმა და მხიარულებამ.

\* \*

მხოლოდ ერთმა ამბავმა დამწყვიტა გული: ჩემი უბის წიგნაკი დავკარგე, ლაშქრობის შთაბეჭდილებებით აჭრელებული, დღიურებად ჩამოყალიბებული. იქნებ არაფერი საინტერესო არ ჩამიწერია შიგ, მაგრამ რადგან დავკარგე, მგონია, მეტად მნიშვნელოვანი ჩანაწერები მომაკლდა. ვცადე აღდგენა. აი, ისიც.

\* \*

### 17 სექტემბერი.

დილის 7 საათია. ჩვენი მანქანა მწერალთა კავშირის წინ დგას. აქ არის შესაკრები ადგილი. თანდათან ემატებიან ლაშქრობის მონაწილენი. ზოგი ტაქსით მოდის, ზოგს ქუჩის დასაწყისშივე ვამჩნევთ (ქუჩა ცარიელია), მოიჩქარიან ზურგჩანთააკიდებულნი. ვიწყებთ მანქანის დატვირთვას ალბინისტური საჭურვლით, სურსათ-სანოვავით. ერთი აურზაურია. ეტყობა, მღვდლები დავადვიძით — იღება მეორე სართულზე ფანჯარა, თბილ ხალათმოსხმული, თმებაწეწილი შუახნის ქალი გვიყურებს. ხმაურით დამფრთხალი, ჩანს, ვერ გარკვეულა რაშია საქმე. ჯერ ვერ ბედავს საყვედურს, მაგრამ მალე იწყებს დილის გამამხნეველ ვარჯიშს — მას ცალმხრივი განვითარება აქვს; ავარჯიშებს მხოლოდ ერთ ორგანოს — ენას. ჩვენ თურმე წესრიგს ვარღვევთ, უდისციპლინოები ვართ, ანგარიშს არ ვუწევთ აღამიანებს, რომლებმაც დილით ადრე უნდა გაიღვიძონ სამსახურში წასასვლელად (აკი გავადვიძეთ!).

ყველანი მოგვროვდით. ყველაფერი მზადაა. ქალი ამთავრებს დილის გამამხნეველ ვარჯიშს და ჩვენი მანქანაც ადგილს წყდება. ქალი კმაყოფილი ხურავს ფანჯარას; მისმა ენაწყლიანობამ, ბოლოსდაბოლოს, შედეგი გამოიღო — წავედით, ქუჩა მიწყნარდა.

დიღმის ველს გავცდით. მანქანაში ანბანის მიხედვით ჯდობა ძნელია. ყველა გავუშინაურდით ჩვენი ლაშქრობის ხელმძღვანელს მწერალ ლევან გოთუას, გავაახალგაზრდავეთ, ავიყოლიეთ ხუმრობასა და მხიარულებაში.

დღემდე გავიძახოდით: „საეჭუთა, ალექსანდრა ჯაფარიძე რომ წამოგვეყვებ ლაშქრობაში“. უკვე ამის თქმა აღარ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ პატივცემული ალექსანდრა არათუ მოგვეყვება, ჩვენზე წინ მიჰქრის: მანქანის კაბინაში ზის. რა დიდი იმედია ეს მათთვის, ვინც პირველად მიდის მთებში, ე. ი. ჩვენთვის. თუ ალპინიადში თან გახლავს ჯაფარიძე (ოღონდ ეს გვარი ჰქონდეს), ნურც ნაპრალების გეშინია, ნულარც ზეავისა. პატივცემულ ალექსანდრას სულ



შავები აცვია, ახლახან დაასაფლავა 12 წლის წინათ ყინულებში დაღუპულმა ძმა, სახელგანთქმული მთავრული ალიოშა ჯაფარიძე. ეს უფრო გადმოსვენებას ჰგავდა, მთებიდან ბარში. განახლებულმა გლოვამ თმის უკანასკნელი შავი ღერებიც გაუთეთრა ალექსანდრა ჯაფარიძეს (აღმოსავლეთის ზოგიერთი ხალხი იქნებ თეთრ სამოსს იმიტომ უკავშირებს გლოვას?).

ჩვენ შორის ოთხი ორმოც წელს გადაცილებულია, მაგრამ ლაშქრობის მონაწილეთა საშუალო წლოვანება 28-ს არ აღემატება. ასეთი საშუალო კოეფიციენტის გამოყვანის უფლება მანქანაზე მაინც გვაქვს, რადგან ხანდახან ისე გვანჯღრევს (გზის ბრალაი), რომ არა თუ წლოვანება, ჩვენც ერთმანეთში ვირევი.

პირველად მუხათგვერდის ხილთან ვჩერდებით. 50 წლის წინათ, 1907 წლის 30 აგვისტოს, ამ ხილზე უკანასკნელად გაიარა ილია ჭავჭავაძემ.

ლევან გოთუა კითხულობს თავის ახალ მოთხრობას, რომელშიაც აღწერილია დიდი მგონისა და საზოგადო მოღვაწის უკანასკნელი დღე, უკანასკნელი საათები... ჩვენი ლაშქრობის ხელმძღვანელი ამით მაგალითს გვაძლევს და გვანინიშნებს ახალგაზრდა მწერლებს, თუ როგორი ხასიათის იქნება ჩვენი ლაშქრობა, თუ როგორ დაუკავშიროთ ჩვენი ლექსები, ნარკვევები თუ მოთხრობები ილიასეულ ადგილებს, რომლებიც ელიან ჩვენს სტუმრობას.

მუხათგვერდის ხიდი ორსართულა ყოფილა ძველად. ქვედა ხილზე ფეხოსნები, მხედრები, ურმები და ეტლები დადიოდნენ, ზედაზე — მატარებელი. რაღაც მანიშნებელია: ამ „ორსართულიანობას“ — განვითარებისაკენ სწრაფვას და, ამავე დროს, მუდმივ ჩამორჩენილობას დიდხანს ვერ დაუძვრა რევოლუციამდელი საქართველო.

დავიძარიო. ზაჰესის ელსადგურთან კარგად მოჩანს მდინარეს გადამდგარი შესანიშნავი ქანდაკება ლენინისა.

აი, სიფელი წიწამურიც, ილიას წყარო. აქ შეაჩერებინა ეტლი, შესვა წყალი, უყვარდა ეს წყარო. გვიამბობს ლევან გოთუა. იქ კი, სადაც ახლა ჩამონგრეული კედელია ჩანს, დუქანი ყოფილა, იქ უნდა შეხვედროდა ილია ჯაშს, თავის მოურავს, მაგრამ მოურავი არ მოვიდა...

მანქანიდან გზას ვათვალიერებ. წყაროს შემდეგ დაღმართია, შემდეგ მოსახვევი მარცხნივ, ისევ აღმართი... უეცრად თვალი მოვკარი ობელისკის წვერს, ილიას მკვლევლობის ადგილზე რომ არის წამომართული. ხუთასიოდე მეტრით იქნებოდა დაშორებული ჩვენგან. გული ამიძვერდა, თითქოს მალე უნდა მოხდეს რაღაც უბედურება, თითქოს ჩვენი მანქანა ეტლად გადაიქცა, ამ ეტლში დაღონებული, ჩაფიქრებული ილია ზის, თანდათან უახლოვდება იმ საბედისწერო ადგილს. აჰა, რაღაც ათიოდე წუთიდა დარჩენილა კიდევ, ათიოდე წუთი სიცოცხლე...

ამ შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობდა ლევან გოთუას მოთხრობა, რომლის კითხვა ავტორმა ილიას წყაროსთან განაგრძო. მოთხრობის მსვლელობაც თანდათან გვაახლოვებდა იმ წუთს...

ობელისკთან ვდგავართ ქუდმოხდილნი და მღუპარენი. სიჩუმეს მხოლოდ ილია არღვევს, ობელისკის ქვაზე ამოჭრილი:

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინც ჩემს უკანა ვლიან,  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.





გზა წიწამურიდან საგურამომდე ის მანძილია, რომლის გავლა აღარ იქნებოდა ილიას, ეს ის გადასხებილი წლებია, რომლებსაც იქნებ ჩვენს დღეებში მოეყვანა ილია და სიცოცხლეშივე მოსწრებოდა თავისი ოცნების განხორციელებას, მოსწრებოდა საგურამოს სახლ-მუზეუმსაც, სადაც ყველაფერი ისევე იქნებოდა გამოფენილი, როგორც დღესაა, არ იქნებოდა მხოლოდ მისი გამგმირავი ტყვია.

გზა წიწამურიდან საგურამომდე ვეღარ განვლო ილიამ, ვეღარ მიღწია მიზანს, ვეღარ მოესწრო საწაღელს. ამ დიდი მსხვერპლის წყალობით მომრავლდა ამ გზაზე მგზავრები, ექსკურსანტები, დელეგაციები, შინა და უცხო სტუმრები. ასეთ დიდ მსხვერპლთა წყალობით დადღივართ ამ გზაზე, ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე.

საგურამოში შევისვენეთ. ვაკეთებთ გვირგვინებს ილიასეული კაკლის ტოტებისა და ვაზის ლერწმებისაგან. ეს არც ისე ადვილი საქმეა. ყველაზე დიდი ოსტატობა რევაზ ინანიშვილმა და ზაქარია შერაზადიშვილმა გამოიჩინეს, ლამაზი, კონტა გვირგვინები დაწნეს. ვავსებთ მათარას ილიას წყაროს წყლით, ეს წყალი უნდა შევუბრთოთ მყინვარწყვრის მისადგომებთან მოჩუხჩუხე უსახელო წყაროს. სახელოვანმა უნდა მონათლოს უსახელო.

ვათვლიერებთ ილიას სახლ-მუზეუმს. გავდივართ იმ ავიანზე, სადაც ილიას უყვარდა დგომა და საიდანაც ტუბებოდა არაგვის ხეობისა და მყინვარწყვრის ცქერით. ჩვენ თითქოს თვალს ვაყოლებთ ილიას მზერას და ვამჩნევთ მყინვარწყვრს, თეთრად დათოვლილს. იქ უნდა ავიდეთ და აი ეს ერთ-ერთი გვირგვინთაგანი იქ უნდა ავიტანოთ.

პირველად ვნახე ბაზალეთის ტბა. ბავშვობაში დამახსოვრებული პირველი ტბის სახელიც ბაზალეთი იყო. მაშინ იგი ყველაზე დიდ ტბად მიმაჩნდა მსოფლიოში. და როცა წამოვიზარდე, არათუ შემრცხვა ჩემი ბავშვური წარმოდგენისა, არამედ ვამაყობდი კიდევაც, რადგან გავიგე და მივხვდი, რომ ბაზალეთი ჩვენი ილიასთვისაც ყველაზე დიდი ტბა ყოფილიყო, ყველაზე დიდი ოცნება და მომავალი.

გავიარეთ დუშეთი. კვლავ გავიხსენეთ ილია. თუმცა რა, სადაც არ უნდა შეჩერდე საქართველოში, რომელ სოფელში თუ ქალაქში, გზაზე თუ მდინარეზე, ყველგან თავს გაგახსენებს დიდი მგოსანი. იგი მზესა ჰგავს, რომელიც ერთ დროს შავმა ღრუბლებმა თვალს მოგვაფარეს, დღეს კი კვლავ დაგვანათის და ჩრდილს გვიმოკლებს.

საგურამოდან წამოდებული ერთ-ერთი გვირგვინი ბაზალეთის ტბაში შევატივებთ.

**18 სექტემბერი.**

წუხელ წვიმამ აღარ მიგვიშვა სოფელ ყაზბეგამდე. ანდუზიტის ტურბაზას შეეკეკელეთ.

ვიყავით დარიალის ხეობაში. საკუთარი ყურით მოვუსმინეთ თერგს: სუფთა ქართულად ლაპარაკობს, მხოლოდ კილო აქვს მოხეუარი.

ყოველ მთაზე კოშკი და ციხე-სიმაგრე, ყოველ კლდეზე — გამოქვაბული, შემოსევათა ჟამს შესახიზნი. თუ ძველად ჩაკეტილი ჰქონდათ ქართველებს დარიალი მტერთაგან თავდასაცველად, დღეს ამ კარს ფართოდ ვუღებთ მეგობრებს. თუ ძველად დარიალი, ანუ „ოვსთა კარი“ ერქვა, დღეს იგი რუსთა, უკრა-



ინელთა, ჩეხთა, გერმანელთა და სხვათა მეგობართა კარია. ანდრეიტის ტურისტთა ბაზის კლუბში გამოფენილია გერმანელ და ინგლისელ ტურისტთა მიერ გამოშვებული კედლის გაზეთი. ეს ტურისტები დარიალის ხეობაში, ალბათ, შეამჩნევდნენ ერთდამავე მთაზე მიშენებულ თამარ მეფის დროინდელ ციხის ნანგრევებს და სამამულო ომის დროინდელ სამხედრო ნაგებობათა ნანშობებს. საუკუნეების განმავლობაში ასე იცავდა ჩვენი ხალხი თავს, მაგრამ ასევე ივიწყებდა ციხე-სიმაგრეებს, თუ მტერი აღარ მტრობდა. მალე ამ ციხეებს დარიალჰესის უზარმაზარი წყალსაცავი დაფარავს.

იგივე ტურისტები ნახავდნენ, ალბათ, ალექსანდრე ყაზბეგის ეზოში წამომართულ ტაძარს, და ჯაკვზე დაბმული ორი ღომის გამოსახულებას ტაძრის კედელზე. ეს ქართველ მეფეთა სიმბოლო იყო აღმოსავლელი და დასავლეთელი მტრის მოდრეკისა.

სალამოს სალამო ჩავატარეთ სოფელ ყაზბეგის კლუბში.

**19 სექტემბერი.**

ამ დღით ბევრმა ჩვენთაგანმა პირველად გადაიცვა ალპინისტური საქურველი, პირველად შეუტია ნამდვილ, „რეალისტურ“ მთას და პირველად ასცდა თავის სიცოცხლეში 3.000 მეტრს ზღვის დონიდან (ეს პირველი უკანასკნელიც არ იყოსო, — თქვა ჯანსუღ ჩარკვიანმა. — მერე ჩემს სურათს ჩემს შვილს აჩვენებენ და ეტყვიან: აი, საწყალი მამაშენი ასეთი იყო).

წინ ლევან სუჯაშვილი მივიძღვის, მოხვევ მთასვლელი, სპორტის ოსტატი. გზადაგზა გვაცნობს ალპიურ მცენარეებს — დეკას ბუჩქებს, წოროს. პატივცემული ალექსანდრა ჯგუფს გამოყოფილი მოჰყვება. ხან ჩამორჩება, ხან წინ უსწრებს, აღმართებზე იმოკლებს გზას. ალბათ, მოსაბეზრებელია მისთვის ჩვენი ტაბატი სიარული, ასე მეგონა, მაგრამ მერე თქვა: შორიდან გითვალთვალებდით, უფრო კარგად ჩანდა, ვის უჭირდა სიარული და ვის არაო.

ჩვენი ხელმძღვანელი ლევან გოთუა მთასავით კაცია, მთებშიც არ იჩქმალება მისი გოლიათობა. მთაზე მცოცავი მთაა.

ლაშქრობის მონაწილე ახალგაზრდა ალპინისტი გურამ თიკანაძე, მთასვლელი გივი ყალიბევაშვილი და ასევე ლაშქრობის მონაწილე და ასევე ახალგაზრდა, მაგრამ არავითარი ალპინისტი ჯანსუღ ჩარკვიანი ცხენებს გაჰყვნენ მეტეოსადგურისაკენ. „არავითარი ალპინისტი“-მეთქი, იმიტომ ვაკადრე, რომ ჯანსუღმა ფიზიკა გაიხსენა და დამტკიცა, რომ ერთი ცხენის ძალა, და არათუ ცხენის ძალა, ცხენის კუდის ძალაც საკმარისია უძნელესი აღმართის გადასალახად. ეს არ ეკადრება წერაყინით, ტრიკონებიანი ფესხაცმელებით და საიერიშო ხალათ-შარვლით აღჭურვილ პოეტს. ჩემს თავს რომ გამოვუტყდე, შური მაღაპარაკებს, თორემ მეც სიამოვნებით დავეკიდებოდი ცხენის კუდს ამ უსაშველო აღმართზე.

ძირითადი ჯგუფი მძიმედ მიიწევს უახლოესი მიზნისაკენ, საბერწესაკენ. იქ უსახელო წყარო გველოდება, ოცი-ოცდაათი წუთის შემდეგ მას სახელი შეერქმევა. თან მომაქვს საგურამოდან წამოღებული წყლით სავსე მათარა. შადრევანივით მაღლა მიიწევს ილიას წყარო. ყველა წყალს როდი აქვს ეს თვისება.

დავისვენეთ. საქინოქრონიკის ოპერატორს არტურ პოლოსოვს სურს გადა-



გვიღოს მსხვილი პლანით, მაგრამ წვიმა მოდის და არტური მსხვილი პლანით იღებს წვიმის მსხვილ წვეთებს.

ალექსანდრა ჯაფარიძე ქამა სოკოს დაეძებს ამ სიმაღლეზე, ასუფთავებს და პირს იგემრიელებს: წყურვილიც მომიკლა და შიმშილიცო.

მთებში შიში გეკარგება, ბარში უფრო გეწინიან მთებისა. იქნებ წნევის დაკლების ბრალია? ნერვული სისტემა ხომ არ დუნდება?

სეტყვა წამოვიდა, სულ ახლოს, ჩვენგან ორიოდ ნაბიჯის მოშორებით. ჩვენ მშრალზე ვჩრები. ჩემმა მეგობარმა, პოეტმა ემელიან ქურდიანმა თქვა: ეგ რატომ გიკვირთ, მე ერთხელ სოფლის გზაზე წვიმამ მომისწრო, ცალ ბეჭზე მაწვიმდა და ცალი მშრალი მქონდაო. ვილაცამ იკითხა, რამდენი ხანია, რაც ქართულად მიუწაუშენი აღარ გამოსულაო.

მივადწიეთ საბერწეს. სოფელ ყაზბეგიდან წამოსული ალპინისტები აქ ჩვეულებრივ დამეს ათევენ, ჩვენ კი ვაპირებთ ამაღამე ავადწიეთ მეტეოსადგურს. უსახელო წყაროს შევეურიეთ საგურამოდან წამოდებული წყალი და ვუწოდეთ „ილიას წყარო“. ლევან გოთუამ და ალექსანდრა ჯაფარიძემ პირველი ქვა მიიტანეს და საფუძველი ჩაუყარეს ილიას ნიშს. ნიშთან წარწერა გაჩნდა, ქართულ-რუსულ ენაზე: „მგზავრო, ერთი ქვა შენც შემატე ილია ქავკავაძის ნიშს!“ ამ მოწოდებას სახელდახელოდ გამოეხმაურნენ: დაბარებულებივით ჩამოვიდნენ გერგეთის მყინვარზე ნამყოფი ტურისტები, ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდები. ილიას ნიშმა გაგვაცნო და დაგვაახლოვა ერთმანეთი.

ჩვენი ლაშქრობის თვითეულ ნაბიჯს მართლაც რომ თვალ-ყურს ადევნებენ: თვალს — კინოქრონიკიდან წამოსული ოპერატორი არტური, ყურს — რადიოკომიტეტის თანამშრომელი მოსე ქარჩავა თავის მაგნიტოფონითურთ.

**20 სექტემბერი.**

დამე გავათიეთ მეტეოსადგურში, 3.653 მეტრის სიმაღლეზე. ვინც ძილში ლოგინიდან გადმოვარდნა იცის, ალპინისტობას თავი უნდა დაანებოს.

კიდევ ერთი ახალი განცდა, საძილე ტომრები! ნამდვილად ტომარასა ჰგავს, მხოლოდ ზევიდან თუ რამე თბილი არ წაიყარე, დილით „წისკვილში“ წაგიღებენ.

დღეს საშინელი ამინდია, ქარი ისე გაშმაგებით. ზმუის, როგორც რადიოკომიტეტის გადმოცემებში. დღეს ვერსად წავალთ. ოთახებში ვმეცადინებთ, გურამ თიკანაძე და ვადიმ მიხაილოვი გვასწავლიან ალპინისტური კვანძების გაკეთებას, ერთი სიტყვით, თეორიულად ვიპყრობთ მწვერვალებს... არც ისე ძნელი ყოფილა მწვერვალზე ასვლა, როგორც გვაშინებდნენ.

მეტეოსადგურის მოზამთრეები გულთბილად დაგვხვდნენ. ეს იოლი არ არის ამ სიცივეში. გამოცდილი მეტეოროლოგი შოთა ჩიქოვანი ფოთელია, იგი დაიბადა 0 მეტრზე ზღვის დონიდან, ყვინთავდა მინუს 10 მეტრზე ზღვის დონიდან, ახლა კი...

ყაზბეგის მეტეოსადგურის რადისტი სერგეი სმირნოვი თბილისს ეკითხება, თუ რა ამინდი იქნება ზვალ... ყაზბეგის მეტეოსადგურის მიდამოებში. ერთი პირობა გაოცდება, ეს იგივეა, სხვას რომ ჰკითხო შენი ჯანმრთელობის ამბავი. თურმე ერთი მეტეოსადგური ამინდს ვერ ჰქმნის.





მყინვარწვერის მეტეოსადგური სეტყვაში, თოვლში და ღრუბლებში ხვეული სამეცნიერო დაწესებულებაა. აქ ყოველ საათს ამოწმებენ ხელსაწყოთა ჩვენებას. ამოწმებენ და ეთერში აგზავნიან. ახლა მსოფლიო გეოფიზიკური წელია. მყინვარწვერის მეტეოსადგურის ცნობებს საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებიც იჭერენ და სარგებლობენ.

## 21 სექტემბერი.

ავალწივით ბეთლემს. შეიძლება ითქვას, რომ უკვე ალპინისტები ვართ, რადგან თოკით ვეკიდეთ უფსკრულთა პირებს და თვითელმა ჩვენთაგანმა განიცადა შიში: „ვაი, თუ გაწყდეს...“. როცა სამშვიდობოზე გავედით და ქვებზე ჩამოვჯექით, ლევან გოთუამ გვითხრა, ეს თოკი 800 კგ-ს უძლებსო. ყველამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

ბეთლემის მღვიმე პირველად ლევან სუჯაშვილმა და შალვა წერეთელმა შეამჩნიეს. პირველად უნს ლეგენდარული გამოქვაბული ალექსანდრა ჯაფარიძემ გამოიკვლია. ასე რომ ჩვენ თვით ბეთლემის „ავტორებმა“ გაგვაცნეს თავიანთი „ნაწარმოები“ — ლევან სუჯაშვილმა და ალექსანდრა ჯაფარიძემ.

ლევან სუჯაშვილი ისე აძვრა მღვიმეში, როგორც საკუთარი სახლის ერობზე. ეს მოხვევე პოტენციალური მსოფლიო ჩემპიონია კლდეებზე სიარულში. სუჯაშვილს გურამ თიქანაძე აპყვა. ჩვენ, ახალგაზრდებმა ალპინისტებმა, ვერ გავბედეთ ასვლა, რადგან შეიძლება უკან ვეღარ ჩამოვსულიყავით და ძალაუნებურად ბერად შევმდგარიყავით ბეთლემში, ეს კი დღევანდელი ახალგაზრდისათვის შეუფერებელია. ბეთლემი ინგრევა. პატივცემული ალექსანდრას თქმით, ამ 9 წლის განმავლობაში მისასვლელი ძალიან გართულებულა, ქვები ცვივა, თვითელი ქვა „გაცოცხლებულა“, წვიპზეა შემდგარი. ჩვენ აგაფარუნეთ ილიას განდგომისეული ჯაჭვი, წავიკითხეთ ლექსები და ვიწყეთ უკან ჩასვლა. პატივცემული ალექსანდრა გვიჩვენებს შორს, მათათა შორის ამადლებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალს, რომელიც მისმა ძმამ ალიოზა ჯაფარიძემ დაიპყრო და მონათლა.

ბეთლემის მღვიმედან მოგვაქვს ხის სადგომი და ჯიხვის რქა. ვინ იცის ვინმე ხევისბერს რამდენჯერ დაუღვია ამ ყანწით სადღეგრძელო საქართველოს მომავლისა, ჩვენ კი — ის დღეგრძელქმნილი მომავალი — იმავე ყანწით შევსვამთ ხსენებას ჩვენი ღირსეული წინაპრებისას.

## 22 სექტემბერი.

მხოლოდ დილის 6 საათზე გამოკეთდა ამინდი და მთელი ჯგუფი მყინვარწვერისაკენ გაეშურა. ჩვეულებრივ, ღამის ორ საათზე გადიან მყინვარწვერის დასალაშქრად, ასე რომ დასაწყისშივე 4 საათი დავაგვიანეთ. „იაგორას ნიშთან“ დავკათენდა. ჩვენს ქვევით ღრუბლები მეღუშებივით დაცურავენ დილის ბინდბუნდში.

როდესაც ამ სიმაღლიდან ჩაიხედავ ქვევით, სოფელ ყაზბეგისაკენ, სხვა პლანეტაზე გეგონება თავი. ღრუბლები სადღაც ჩაძირულან, მხოლოდ სოფლის თავზე შექუჩულან, თითქოს მათ ადამიანები იზიდავენ, თითქოს მხოლოდ ადამიანებს დაეძებენ და სოფელთა მოსაღრუბლავად გაჩენილან, ცნობისმოყვარენ არიან ძალზე... პირველად ვნახე ჩემს ქვემოთ მტრინავი ქორი.



განვაგრძობთ გზას თოკზე გადაბმულები, რადგან ნაპარლებთან გვიხდებოდა გაგლა. სუნთქვა ჭირს, დაღლილობაც გვეპარება. ვცდილობთ არ შევიმჩნოთ. თუმცა ლევან სუჯაშვილს რა გამოეპარება; ათასი კაცი რომ მოჰყვებოდეს უკან თოკზე გადაბმული, ზურგით იგრძნობს, ვის უჭირს და ვის არა.

თანდათან მივიწყეთ მალა, ჩემს დღიურში კი სტრუქონები თანდათან ქვევით ჩამოდის. იქნებ უწყვრთნედი სტრუქონებიც ვერ იტანენ დიდ სიმაღლეებს?

როგორც გამარჯვებულ კაცს აისვრიან ხოლმე ჰაერში, ისე აუსვრიათ მყინვარწყვირი გარშემორტყმულ მთებს.

ლევან სუჯაშვილმა მთას გაჰხედა, შუბლი შეექმუნა, ცირუსები ახსენა, უამინდობის მომასწავებელი ღრუბლები. ხმაურას მშვიდობიანად გაცვდით. ეს ქვესაროლია მთაა, ხან კენჭებს, ხან ლოდებს ესვრის გამვლელებს. ბოროტი სულდგმულია. კიდევ კარგი, ნიშანში სროლისა არაფერი გაეგება.

ვიღლებით. ზოგს უიმედობა ეუფლება, ნაღვლიან ჰანგზე მღერის, ალბინისტობას ვეფხთან არწყობას ადარებს. ზოგი თავს იმხნევეებს და ხუმრობასაც ცდილობს: „3.999 მეტრის სიმაღლეზე რომ ერთ მეტრზე შევხტე, 4.000 მეტრი ჩამეთვლება?“

ფირნის ველს მივალწვიეთ, ეს არის მყინვართა მკვებავი ველი. ამინდი გაუარესდა, ნისლი ჩამოწვა, მთები და მწვერვალები სადღაც გაქრნენ, დავრჩით მხოლოდ ჩვენ და სითეთრე. ფირნის ველზე მეტეოსადგურის ლარტყაა დასობილი, თოვლის წლიური მატების აღმნუსხველი. ჩემში ჟურნალისტის სული იღვიძებს, მინდა ინტერვიუ ავიღო 4.155 მეტრის სიმაღლეზე.

მაილის პლატო. 4.500 მეტრზე ვართ! ნისლს თოვლი წაემატა, ამოვარდა ძლიერი ქარი. ჩვენი ჯგუფი გერგეტის მყინვარივით დნება, მხოლოდ ნაწილი განაგრძობს მალა სვლას.

4.600 მეტრი, 4.700, 4.800! ქარი მძინევარებს, თოვს, მოსალოდნელია ზეავი. არა თუ ადამიანთა სიმძიმე და ხმაური, ზეავს აქ ჩიტის გადაფრენაც იწვევს, როგორც მოხვევები იტყვიან. ვისვენებთ. ვბჭობთ. თოვლში წერაყინს ვარტყამ და ვცდილობ მეორედ და მესამედაც იმავე წერტილს მოხვდეს. ვერთობი? არა, ვნერვიულობ. ალიოშა ჯაფარიძემ კი აქ ხის მორი ამოიტანა და მყინვარწყვერზე დაასო. რა გაეწყობა, ის ალიოშა ჯაფარიძე იყო! იქნებ ასეთ ამინდში და ასე გვიან მას უკან დაბრუნება ერჩია ჩვენთვის?

ყველას გვინდა წინ სვლა, მაგრამ ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგაა — ამინდი, დრო, ახალბედათა გამოუცდელობა. ტარდება მოკლე რეფერენდუმი. ალექსანდრა ჯაფარიძე გრძნობს ჩვენს სისუსტეს, ამასვე გრძნობენ ლევან გოთუა, გურამ თიანაძე. პატივცემული ალექსანდრა მანდილს ავლებს ჩვენსა და სტიქიას შორის, გვაშველებს უთანასწოროდ შებრძოლებულებს. უკან ვბრუნდებით ოდნავ დარცხენილები, მაგრამ დარწმუნებულნი, რომ ხვალ თუ ზევ გავიმარჯვებთ.

იმ დამით კიდევ ერთხელ გავსწვი მყინვარწყვერის დასაპყრობად, სულ მარტო მივიდიდი, მხოლოდ ეს ამბავი სიზმარში ხდებოდა. აუცილებლად ავალწვევდი მწვერვალს, მაგრამ ჩემმა პროფესიამ დამაძალატა. ხელი შემეშალა იმან, რომ მოთხრობებს ვწერ: იმის მაგივრად, რომ მესარგებლა სიზმრის სალუკხო თავისებურებით და ერთ წუთში ავფრენილიყავი მყინვარწყვერზე, უგემოვნო პროზაიკოსივით მიეყვი გზის დაწვრილებით აღწერას, აქ როგორი ქვა გდია, იქ როგორი ხრამია, მზემ როგორ გამოაპყიტა ღრუბლებიდან, გული როგორ მიცემდა, და მიუხედავად იმისა, რომ გრძელი სიზმარი იყო, გავდივებამდე „იაგორას ნიშს“ ძლივს ავალწვი.

ასე რომ სიზმარშიაც ვერ ავედი მყინვარწყვერზე.

25 სექტემბერი.

ვაშა და კიდეც ვაშა! მყინვარწვერი დაპყრობილია! მწერალთაგან ორი ავიდა, მაგრამ ეს მთელი ჯგუფის გამარჯვებაა. სამი დღე-ღამე ველოდებოდით გამოდარებას. ჩვენ კი რატომღაც გვეგონა, რომ მეტეოსადგურთა თავზე, ნაცნობობით და პროტექციით, ცა ყოველთვის მოწმენდილია.

მყინვარწვერზე ავიდნენ რევაზ ინანიშვილი და ზაქარია შერეზადიშვილი, ავიდნენ და აიტანეს ილიას სურათი, ლენტი წარწერით, კაკლისა და ვაზის გვირგვინი...

ბიჭოს! მხოლოდ ახლა გამახსენდა — ეს გვირგვინი ხომ საგურამოში სწორედ ზაქარიამ და რევაზმა დაწნეს? ახალი ანდაზის შეთხზვაც კი შეიძლება: ვინც გვირგვინს აკეთებს, ის იღვამს.

27 სექტემბერი.

თბილისში დაებრუნდით. ამ საინტერესო და შინაარსიანი ლაშქრობის შემდეგ მყინვარწვერზე უფრო მაღალი მოგვეჩვენა მთაწმინდა, სადაც მიწასაა მიბარებული ჩვენი დიდი მგოსანი ილია ქავჭავაძე.





## ვიცინოთ თუ ვიტიროთ?

(ორიოდე სიტყვა ერთი მიწემა ბამოჩინილი მთარგმნელის მიერ სახელოვანი რუსული თხზულების ძარბოვალად თარგმანზედა)

ერთ მშვენიერ დღეს ბირი საგურამოსკენ ვქენი, გამოვყე შარავზებს, და რაკი ჩემის საყვარელი მიწა-წყლის სიომ დამკრა, გულმა სხვა რიგად დამიწყო ფეჟა. მიყვარს ჩამოვლა ჩემ მშვენიერს, პატარაძლასავით მორთულს ქვეყანაში.

წინათ რომ ჩამოვივლიდი საქართველოში, ყველაფერი ძველებურად, ჩვენებურად იყო: იგივე მთა, იგივე ბარი და იგივე გულაცრუებული ერი; კაცი არ იყო გარემოში, რომ ადამიანის ნიშან-წყალი ჰქონოდა. ვეყარეთ ასე, როგორც ნახირი ბაკში, ისე დამდოვრებული, ისე დადუმებული, თითქოს როზგ-ქვეშა ვართ გატარებული. ქვეყანა დუმდა.

ახლა კი... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

თვალსა და გულს ახარებს ჩემი სათაყვანო მამულის ახლად აყვავებული მთა და მდელი. ამ ძლევაშისილმა საუწყუნემ აკი იტვირთა და ახსნა კიდევ მშრომელს ხუნდები და განაკაცა იგი. მტირალს ცრემლი მოწმინდა, დაერდომილი აღადგინა, მუშაკს შრომა გაუადვილა, მოუკლა წარსულ დროებზე დარიდი, და შეუქმნა ბედნიერი აწმყო და ნათელი მომავალი.

ვენახე, ვანეიცადე, ვაციცან. თვალს ვაკიძლე მშვენიერის სანახავეების ხილვითა და ამ მზიარულმა სანახაობამ და კარვს ქეიფზე ყოფნამ ჩემი სიხარული და სიამოვნება ჩვეულებრივს წრეს გადაიცვალა. ფრიად მახარებს, რომ ჩვენში ასე უხვად მომრავლდნენ ყურნალ-გაზეთები. ღმერთმა ხელი მოვიმართოთ ყოველს საქმეში, რომელიც ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნოა. ღმერთმა ყოველთვის მშვიდობით, ბედნიერად და სიამოვნებით გაცხოვროთ ქართველი ერის სასიხარულოდ და სანუგეშოდ. ხშირ-ხშირად მოიგონებდეთ ერთს ღამაზე გონიერ ქართველის ანდაზას: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო.

წინა დღით ერთი მოზრდილი ხელნაწერი გადამომცეს განაშინჯად. საკვირვლად მიყვარს წიგნის კითხვა. ყოველი ახალი დასაბეჭდი წიგნი ჯერ მე უნდა „გამოვიგნო“ და მერე სხვებს ვავუზიარო შიგ ამოკითხული. ახლაც, მანქანაში მჯდომი, თან ჩემის ქვეყნის წარმტაც სურათებს ვათვალიერებდი და თანაც იმ ხელნაწერ თხზულებას ჩაგვიკრიტებდი.

ემ ერთი რუსული რომანის თარგმანი აღმოჩნდა ქართულს ენაზედა. წიგნის სახელს, ავტორისა და მთარგმნელის ვინაობას ვერ ვაგამეღვანებ მიზეზისა ვაზო სხვისა და სხვისა. ამისთვის, წინათ, მრავალი ტარაცუა მჯალახელი გადაამკიდა და ამ იუბილეს დღეებში არ მინდა ამიშტერდნენ. კარგი მკითხველი თვითონ მიხვდება და ამოიცნობს მათს სასაქაღდლო სახელებსა.

ეს თხზულების თარგმანი, როგორღაც, დიდად მეჭამნიკა.

ასეთი საუცხოო და წარმტაცი რამ მე ჯერ არა მინახავს რა.

თავიდან ბოლომდე, სადამდინაც წავიციოთ, სულ იმისთანა შედეგებია, ქვემოთ რომ იხილავთ. ჩვენ ისე აღუფრთოვანდით, გვიხარეთ და ალტაცებული დავრჩით ამ მარგალიტების კითხვითა, რომ ბოლომდე წავითხვა ვეღარ შევძელით. სწორედ მეთერთმეტე თავის მეხუთე სტრიქონზე შევდექით. კიდევ ბარაქადა ჩვენს ბიჭობას, რომ იქამდე მივსულვართ. მთლად ზეცამდე აღუფრენია არც თუ ძალიან მაღლა მდგომარე დედანი... ერთი ბეწო გადახვევა არა ჰქონია იმის მთარგმნელსა — არც იმისგან, რაც უთარგმნია, არც ხელოვნებისაგან, არც თავისი მშობლიური ენისაგანა.

იმ თავის თარგმანში, რაც კარგი რამ უნახავს და ხელი წამოუტყავს, ყველაფერი ჩაუდვია კრიანტელოვითა, რომელსაც რუსულად აკროშკას ეძახიან: აქ კიტრიც არის, ისეარმც, კვასიც,



ძმარც, ხარდალიც, ყინულიც, ხორციც და თევზიც და ათასნაირი სხვა რაღაცეები, რომელთაგანაც შეგრობდა, მართლაც კუქს მოუშლის კაცსა.

მე ბუნებრივად ცნობისმოყვარე ვიყავ და ახლა იფიქრეთ, ამ თხზულების გადასინჯვამ როგორ აღმიძვრეს გული იმ თარგმანის შესატყობრად. შინ დაბრუნებულმა რუსული დედანი ვიშოვნე და იმ თარგმანს შევედარე. შევედარე და სინხარულით ფეხზე ვედარ დავდეგ. აი ღმერთმა დალოცოს მთარგმნელის ენა და კლამი, მისი ახალი მეთოდები მთარგმნელობაში, მისი ახალი მეცნიერება.

მე უფრო ცალ-ცალკე ფრაზები და სიტყვები ამოვწერე. მაშ, თქვენც წაიკითხეთ და დატებით, თუ რაოდენად გაამწვინებია მან ჩვენი ქართული სიტყვებზე. ვეცდებით. შეძლებისამებრ. წარმოუდგინოთ ისინი მკითხველს, ხოლო, თუ ამ საქმეს გაგვიძინებებს რაიმე. უფრო ისა, რომ ეს ნათარგმანევი თხზულება ჯერჯერობით არც ერთს პატიოსან ქურნალ-გაზეთში არ დაბეჭდილა და არც ცალკე წიგნად გამოცემულა. ერთ-ერთი გამოცემლობის საორიენტაციო გეგმაში კი ყოფილა შეტანილი.

რომ ეს მისი ღვაწლი უფრო დინახოთ, მე მის თარგმანებს დავანახებთ. აი ეს ხელიხელსა-გოგმანები ნიმუშები:

მაგალითად, თუ რუსულ ენაზედ წერდა: „Он заложил в линейку пристяжную лошадь и выехал во впадину“, თარგმანში ასეა: „მან სახაზავში დააგირავა ნაფიცი ცხენი და შევიდა ჩაყარდნილში“.

დახე, როგორ თარგმნის! უთუოდ ახლებურ მთარგმნელობას ჩემულობს და მშვენიერად თარგმნის კიდევ. მერე და რა კარგი რამ არის! არ მოგწონთ?

ავტორი ძალიან გარკვეულად წერს: „чуть-чуть не ввел в искушение своего молочного брата, доброго, разбитого малого“.

მთარგმნელსაც ცდა არ დაუკლია: „კინალამ შეიყვანა შექმულობაში თავისი მერძევე ძმა, ეს კეთილი, დამსხვრეული პაწაწა“.

აი, მუხი კი დავცა! ყვავი ფარშეანგის ფრთებითა, ბულბულო ყვავის ჩხავილითა, რომ ასეთ მშუდარებელ თარგმანს არაფრად ავადებ. გაგონილა ეგრეთი ყიზილბაშოზა?

აბა ახლა ეს განიხილოთ: „Крупный крепостник зашел в монетный двор и там, среди бела дня, застал с полицием вора“, — „მსხვილი მეციხოვნე ფულების ეზოში შევიდა და თეთრი ღლის შუაში პოლიციელთან ქურდი შეისწრო“.

აი აქ ჩანს ენაც, მხატვრობაც, აზრიც და ის სურათიცა, რომლის წარმოდგენაც ცოცხლად და ცხოვლად შეიძლება. ვინ ამოსწერს ასეთ საუცხოო მაგალითებსა, ხელი დავედლებათ... ასეთი სა-ნიმუშო სიტყვები უთვალავია და ურიცხვი.

დედანიშ საესებით გასაგებადაა: „Этот мировой судья поразительный человек“.

მთარგმნელიც ასე უშტკენს: „ეს მსოფლიო მსაჯული პარაზიტული ადამიანია“.

ოღოლო შენ, რომ ასე კარგად გამოვიცვინია! ხედავთ, რა ღვაწლს სდებს ქართულს ენასა, რომ მაგისტანა ყოვლის მხრივ შემკული ენა შემოაქვს ჩვენში?!

„Сперва на небе засияла бездна звезд, потом оно покрылось барашками белых туч“...

რა კარგადაა რუსულად. ეს წინადადება ერთადერთია მთელს თხზულებაში, ასე პოეტურად რომ ედერს. იმ ბაჯუჯუჯანას უფრო გაუჩარხავს, ფერ-უმარილი წაუცხია და მშულაშაზებია: „ჯერ ზეცა ვარსკვლავების უფსკრულით დაითესა და შემდეგ კი იგი ბატყების თეთრმა ტუჩებმა და-ჰფარეს“.

ბარაქალა, მთარგმნელი! აფერუმ შენი გულისა! სიტყვისიტყვით რომ უთარგმნია და აზრიც სწორად დაუცავს, სწორედ და მართლაც იმიტომ გამოსვლია დიდი დოვლათიანი რამე.

„მას ავღებდნენ საფურარში და ეს მისთვის ჯოჯოხეთის ფქვილი იყო“, — ამოვიკითხე ქართულად. ვაკვოდვი, რუსულად რა უნდა იყოს-მეთქი? შევედარე რუსულს და, თურმე ნუ იტყვიოთ: „Его бросало в дрожь и это было для него адской мукой“.

გაი შენ ჩემო თაო, აქამომდე როგორ ვერ მივხვდი! ალბათ, ამ ზედასლ მთარგმნელსა და მის გამოცემელს რაღაც სხვა შეგნითიკური მისატყებელი მიზნებზე ექნებოდათ, რომ ეს ტანად მოზრდილი და საპონორაროდ ზორბა თხზულება გეგმაში შეუტანიათ რომელიმე წირპლიანი მწერალ-რეცენზენტისა და ხელმოცარული რედაქტორის მგლოვიარე ჯიბის გასასქელვლად. ალბათ ეს მთარგმნელი რომელიმე დიდკაცის ცოლი ან შორეული ნათესავია, რომელიც მოცილილობის ჭამს მთარგმნელობს და შეეწევა მამულსა ენასა, თანაც ეს ხელობა შემოსავლის მჩქეფარე წყაროდ გაუხდია. ნეტავი იმასა, საყვარლო მეტიხველო, არა?

„На горе Ивана ветер спал“. — „ივანეს მთაზე ქარს ეძინა“.

თქვენი ამბავი რომ ვიცო, არც ეს მოგეწონებათ. მშვენიერი ქართული კია და დედანთანაც სიტყვა-სიტყვით სწორია. მე გულდასმით შევაჯერე. აბა ისევ პირუკუ რუსულად სთარგმნეთ, რა



გამოვიდეს? მე უკეთ ვერ ვთარგმნი და, ვინმღო თქვენ შინჯოთ. ნუ აზირდებით და ნუ იტყვით, რომ ეს როგორი ქართულიაო. ვაი უმეცრებავ! ქართულია, ახალი ქართული.

როგორც მოგვხსენებთ, მე სწორედ ნადირობის ტრფილას რომ იტყვიან, ისა ვარ და მილუ-ლის გულის ცემით წაფიქოხებ შემდეგი: „Напал на свежий след оленя.. охотно ел медвежа-тину... в тихой заводи увидел плавающих диких уток“.

რა ბედნიერი კაცი ყოფილა: ირემი, დათვი, იხვი, — სამივე ერთად. სხვა რაღა უნდა ყოჩად მონადირეს? კარგი თოფი და მარჯვე თვალი. მაგრამ, რა ქნას კარგმა მონადირემა, დროზედ შაში თუ არ მოგა? აი როგორ უთარგმნია:

„დაეცა ირემის ნელდ კვალზე... ნადირობისას დათვის ბელს სჭამდა... წყნარ ქარხანაში მოცუ-რავე ველური იხვები დაინახაო“.

აგანგალა, განგალა! როგორც ვხედავთ, მთარგმნელს ძალიან სულწასულად ყვარებია სიტყვე-ზის რაბარუხი და ბრახუნი, იმისთვის შეუწირავს აზრიც, ფიქრიც, ის ცოტაოდენი გულის სითბო, რაც ალაგალაგ ჰქონია ორიგინალსა და სულ ხელაღებით აუყვავებია ავტორი. მარტოოდენ ტინცარიელსა და გონებაზღუნვს კაცს შეუძლია ასე „აღამაღლოს“ დიდებულ რუსული ენა და ჩვენს სასაქაღულო ქართულსაც მაგარ-მაგარი წიხლები ჩასცხოს. ტყვილად კი არ გვარწმუნებს ჩვენი საღვთო წერილი, რომ პირველი სისხლი უბოროტო ქვეყანაზედ კაცმა კაცისა დაანთხიოთ. აკაცი მოსისხლეა, მეც კაცთაგანი ვარ და, ახლა, ის მთარგმნელი ანაზღად რომ თავზე წამომადგეს, ცოცხალი ვეღარ ვაღამირჩებო. შური და სიხარბე მახრჩობს, რომ ასე კარგად თარგმნა. აბა მე რას შევძლებდი ამგვარის თარგმანის შესრულებასა!

ამის შემდეგ სულ არ გამეკვირვებია, როცა რუსული „Прилег бочком на кровати и ел моченые яблочки“, — ქართულად ასე გამოსულა: „ქასრთან ტახტზე გაწვა და დაშარდულ ვაშ-ლებს სჭამდა“.

ეს სიტყვები ისეთი ლამაზუბი არიან, რომ ჩვენ გვიკვირს, ამისთანა სიტყვები როგორ შესძლო იმან, ვინც, მაგალითებრ, ასე შეუღარებლად თარგმნა:

ქვემოთ დედანში სწერია: „Отец, умирая, наказывал сыну, быть человеком с большой буквы“..

თარგმანში კი გასაგებებლად:

„როცა მამა კვდებოდა, დასაჯა შვილი, რომ ის ყოფილიყო ადამიანი... დიდი...“  
ვეღარ დავასრულებ!..

ამ წინადადების ბოლო სიტყვა-სიტყვით უთარგმნია იმ ფინანსა. მე ვერ ვითარგმნი, მკითხვე-ლო. თუ კი გული გაქვს და გამარჯვ გონება, შენც ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და თქმა საჭირო არ არის. წინეთ ასეთ უხამს სიტყვებს კალამსა და ქაღალდს არ გვაგავსრვეინებდით და ახლაც ჩვენს ფრად პატრიარქსა მკითხველს ვერ შეურაცხვეყოფთ ეგრეთის უგვანის ფრანსის სწო-რად ვაღმოდებოთა. ჩვენი კდემამოსილი და ზრდილობიანი მთარგმნელი კი ამას არ დაგიდევთ და თარგმნის: „ყოფილიყო ადამიანი დიდი ა...“ ფუი, დალახვროს ღმერთმა, კინალამ არ წა-მომცდა და საქვეყნოდ თავი შევირცხვინე! ჩვენ მიხვდებით, თუ რის თქმაც უნდოდა მთარგმნელს. დედნის აზრი სწორად არ ჩაუთვლია და ქართულად უფრო ვაუმართავს. ასეც უნდა!

„Меня забрало за живое!“ — ეს რუსულადაა ნათქვამი.

ქართულად უფრო მკაფიოდაა: „მე ზარადი ცოცხალზეა!“

აქ ფლაკიცაა და ჩლაკიც. ეს იმ „ფეხი გავიქინე ხელის“ კონსტრუქციასავითაა, მე რომ მო-ვისხსენე, როცა ამ ასიოდე წლის წინათ ჩვენს წინანდელს „ცისკარში“ დაბეჭდუე ჩემი პირველი ლიტერატურული სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძე ერისთავის კოზლოვიდან „შემილის“ თარგმანზედა“.

ახლა კიდევ ქვემოთა ნახეთ: „Он остался круглым дураком на этом белом свете“, — „ის მრგვალი რეგვენი ღარმა ამ თოთრ სინათლეშიო“.

ეტყობა, ლექსიკონშიც ჩაუხვდავს. აბა, მარტოოდენ თავის ლაყე ტინისა და ცარიელი გოგრის თხელ გონებას კი არ დანდობია ამიტომაცაა ასე არნახულად შერწყმული ერთმანეთში სიტყვისა და აზრის მშვენიერება! რა კარგი რამ ხარ! რა მშვენიერი!

ახლა დაიჩინებთ, თუ ეგ მშვენიერია, ესეც მშვენიერი იქნებაო, აი ეს სტრიქონები ასოცდა-მეათე გვერდიდანო:

„Миша ухаживает за своей большой матерью“ — „მიშა ეარშიყება თავის ავაღმყოფ დედას“.

აფერუმ მათს დედაშვილობას!

ასოცდამეთორმეტე გვერდზე ასეთი მარგალიტი მეცა თვალში:





„Мичман отдал концы“ — „მიჩმანმა ბოლოები მისცა“.

ეს რა ფლასტიკ-ფლუსტი და ძველებური ლათიაიზია? აი სად მიეყვართ ცვილიზაცია და განათლებას. აკი მოგახსენეთ, რომ ამ კაცის თარგმანებში ასეთია და ისეთია-მეთქი. სწორედ რომა ვსთქვათ, არაზუსტია, ანუ კიდევ უფრო სწორად რომ ვსთქვათ. ზუსტი ვერაა და ეს გნებს საქმეს, ესე იგი მდაბიურის ენით რომ ვსთქვათ, მეტის მეტად სუსტია. ხომ გესმით? ანუ უფრო გასაგებად რომ გითხრობ, არც ისე ძლიერ მოისუსტებს, თუმცა არ ვარვა, ესე იგი უუარგისია.

მარტო ზემოთ ნათქვამი წინადადება როდია ასე გამართული. მას გვერდში თამამად ამოუდგება ეს სტრიქონები:

„Судя по манерам, он был невежа, просто дворянжка“.

„მოსამართლე, მანერების მიხედვით, იყო უფაცი, უბრალო აზნაურის ქალი“.

უთუოდ რუსული ენა გერე კარგად იცის, და ქართულზეც მწყურადად როდია, მაგრამ ლექსიკონს დაულუპავს, რადგან ლექსიკონის სათანადოდ მონმარება არ ცნოდნია ამგვარ ტარაცუთა, და როცა რომელიმე სიტყვის განმარტებას ეძებს, მის პირველს მნიშვნელობას დასტაცებს ხელს — ის კი აღარ იცის, ეს სიტყვა კიდევ სხვა რამესაც თუ ნიშნავს. ალბათ, სიტყვა „Судья“-მ გააბრწყინა, პირველად ის მოხვდა თვალში და შემდეგ თაყი აღარ შეიწუხა.

ახია მის თავზე, მაგრამ არც მე დამადგა კარგი დღე. აბა, რა გუნებაზედ უნდა დადგეს კაცი, როცა ამას წაიკითხავს:

„Он остался без крова и за душой не имел ничего, кроме одного топорища“.

„იგი უსისხლოდ დარჩა და სულის გადაღმა ერთი დიდი ნაჯახის მეტი არა ეხადა რა“.

ჰო, ჰო, ჰო, აი გიდი, რა წისქვილის ქვა დაუტრიალებია და იქაღნის, შემომხედეთ, რა ბიჭი ვარო. რა მშვენიერად ათამამებინებს სიტყვას ავტორს ჩვენი მთარგმნელი. სწორედ იმ მოკრივეს ჰგავს, რომელსაც ერთი ხელი მოკლე აქვს და ისიც მარტყვნა: გრძელის ხელით ავტორს სვეს და მოკლე ხელით — თავის თავსა. ახლა ზიანს ვის აძლევს ეს უბადრუკი? — ავტორს, მკითხველს, თუ თავის თავს? ვგონებ — სამივეს...

„Парящий в небе орел“, — „ცაში აორთქლებული არწივიო“ — თარგმნის ეს ახალი ოქროპირი.

განა რას რომავს ეს ხურმის უმეცარი? ეს რაღაც ახალი ქართული უნდა იყოს. ჩვენებურად კი ასე იქნებოდა: „ზეცაში მონაერად არწივი“. ჩვენ მხოლოდ სანიმუშოდ ვთარგმნეთ ეს ერთი ფრაზა, რომ მთარგმნელს ასე უნდა ეთარგმნა, თორემ ყველა ეს რომ სწორად ჩვენ ეთარგმნით, დრო და დღეილი აღარ გვეყოფა. ათასი კიდევ სხვა ამისთანა ენის „აორთქლებული“ კონსტრუქცია აქვს ამ ჩინებულ მთარგმნელსა, მაგრამ ყველას ხომ ვერ ამოწვევთ.

„На вас от злости лица нет, — в сердцах говорил ему“, — „თქვენ ბრაზით სახე არა გაქვთ, — გულებში ეუბნებოდა მას“.

დაზე, როგორ მიმკვდარა ამ საუსუბო სიტყვების ქებნაში! ისე ჭრიბინებენ ეგ სიტყვები გაუსამნავი სააღნის ურმის თვლებივითა, რომ დიდად აამებენ ყურთა სმენასა და გულსაც მოფხანენ ადამიანს.

როგორ გგონიათ, რას ნიშნავს? „Они в западно загнали дикого жеребенка, но он оставил их с носом“.

მთარგმნელი გვასწავებს: „მათ დასაგლეოში ჩააგდეს ვეღურთვე ბავშვი, მაგრამ მან ისინი ცნვირთან დასტოვა“.

ამ სიტყვების დაწერილობით განჩრეკა მივანდოთ ბეთილებს, თორემ ამ გარამიანულს სიტყვებში რაღაც ღრმა აზრი უნდა იყოს, მაგას ჩვენი სუსტი ვიხებია ვერ მიწვდება და, ვგონებ, თვით მთარგმნელსაც არ ესმის, რა არის. თუნდ რომ აზრიც იყოს, მაინც გაუგებარი იქნება. განა ენახავთ-ღა თლესმე ვინმე მთარგმნელს, ავრე მდიდარს რუსულისა და ქართულის ენის მყოფლობით, ავრე ლაზათიანად მოუბარს, ავრე მუყერმეტყველების შუშხუთით აფთქებულსა?

განეავარძობ ამოწერას:

„Его песня будет снета через несколько лет“, — „მის სიმღერას რამდენიმე წლის შემდეგ დაილიდნებენ“.

მკითხველი იტყვის: ეს რა არისო? ღმერთმა და აღქაჯმა ნუ იცის მთარგმნელის თაყი. ახალი ქართულია და ის არის!

ეს სამყოფი საბუთი კია, რომ დავიმტკიცოთ, რა კაცი გამოვიჩინდა ჩვენი სიტყვიერების აღსაყვავებლად, მაგრამ თაყი ვერ დამიჭერია, მოხარული, მოჯაღაოებელი ვარ ამ სიტყვიერებით, რომლითაც მან გაამდიდრა ჩვენი ღარიბი ენა და მისი მიმოხვრა.

აი კიდევ მაგალითები:

„На худой конец решил нажать собачку и убить красного зверя“, — „გამმმარ ბოლოში გადაწყვიტა დააჭიროს ძაღლს და მოკლას წითელი მხეცი“.



ეს რაღა დარღუბალაა! როგორც ხედავთ, მარტოოდენ ცარიელი სიტყვებით და ცარიელი ხმებით კი არ უნდა ფონს ვასკლა, რომ ენამ მხოლოდ პირში იშტივის და ყურმა ძარღვი მიტყუნოს ნახეთ, რა შარბონია, რა სიღრმე, რა მწყობრი და თანხმოვანი გამოთქმაა. პირდაპირ ერთგულან მოპვერის კაცს და ნეტარეპას განაცდევინებს.

„На этом деле собаку съел“ — ამბობს ავტორი.

„ამ საქმისათვის ძალი შეკამა“, სურვია ხელნაწერში.

გაგონილა ასე ლავამწყარილი ლაპარაკიო, იტყვიო თქვენ. საკვირველია, საიღამ იგონებს ამისთანა უცნაურს, შეზენითიკურს ილიომებს ეს მართლა ვასათარი და რაღაც უადლოთი შელოცვილი მთარგმნელიო. თქვენმა მზემ, თარგმანი მაშინ არის უფრო კარგი, როცა ვასაოცარია.

„Закатил пир горой“ — „მთაზე ნადიმი დაავორა“.

ეს რაღა ჯანდაბა და დოზანაა ეტყობა, ეს ფრაზა ასე არ უნდა ეთქვა, მაგრამ ალბათ, მეტი ევლარ მოახერხა და ესე დატოვა: რაც იყოს, იყოს, მაინც ვერაფერს გაიკვებს მკითხველიო. ეპ, უმეცრებას რა შეძლება!

„Лук звенит“ — „ხახვი წყრიალებს!“

ეს ფრაზა საგანგებოდ ლექსიკონის დახმარებით უთარგმნია. ახალს რუსულ-ქართულ ლექსიკონში ჩაუხედავს და იქ სიტყვა „лук“ პირველად „ხახვს“ ნიშნავს, მეორედ კი „შვილანს“. სწორედ ეს „შვილანი“ უწყველიდა მაც გაჭირვებულს, მაგრამ ამდენი გონება ვერ მიატანა. კიდევ კარგი, რომ ასე უქნია. ერთი სიტყვით, რაც არ უნდა ექნა, არ უქნია. ეპ, რად არ დაიწვა მავის აკვანი!

მართლა, სიტყვამ მოიტანა და აქ უნდა გავიხსენო:

იმ დღეს გაზვისა გვიჩხულობდი, გოგოლზე სტატია დაებეჭდათ. ერთ ადგილს თვალში მომხვდა: „ტარას ბუღბას პირში ბებერი აკვანი (!) ჰქონდა გაჩრილიო“. ბარაქალა ტარას ბუღბასა, ღმერთმა მის გვირუღ სულს უღბინოს! დიდად სახელმოხვერილი ვაჟაკიო იყო მთელს დღეიაზედა, მაგრამ ძველი ჩიბუხის ნაცვლად აგრე რიგად ვერ დიპერდა პირით აკვანსა, თუნდაც ეკ აკვანი სულ ნორჩი ყოფილიყო და არა ბებერი. ამის მთარგმნელიც, ალბათ, ლექსიკონს გადააბარალებს და დაიკვირებს: „старая люлька“ — ბებერი აკვანიაო. მოდი და ამის შემდეგ ვირი ტლახიდან ამოიყვანე!

ხომ არ მოგწყინა, მკითხველო? მალე დავამთარებ. მხოლოდ უნდა დაეძინო, რომ ჩვენს მთარგმნელს ძლიერ გაუწყობა სიტყვა „წითელი“ და უნდა თუ არ უნდა, ყველგან ჩაჩრის ამ ზედმსერულსა. მისი თარგმნით:

„Красноречивый человек“ — „წითელმდინარიანი ადამიანია“, „Красная девица“ — „წითელი გოგონა“, „Красное слово“ — „წითელი სიტყვა“, „Красные дети“ — „წითელი ბავშვები“, და ასე თარგმნის დაუსრულებლოც. უსირცხვილოდ და შუბლვაწითელვლად. იგი ნამეტანავად ძალას აქანს ზოგიერთ ამოჩემებულ სიტყვას. მაგალითად, „душегрейка“ — „სულის სათაურია“, „душегуб“ — „სულტრა“, „душеприказчик“ — „სულის ნიქარი“. ასევე: „Извиетник“ — „ცნობილი კაცი“, „сердцеед“ — „გულის მქამელი“, „местоимение“ — „ადგილმამული“, „Партнерша“ — „შეკრავი ქალი“, „воздушные замки“ — „ჰაერის კლიტეები“, „большое место“ — „ავადმყოფი ადგილი“.

სმირად ცალ-ცალკე გამოთქმებსაც თავისებურად ურევს: „ходит гоголем“ — „გოგოლივით დაღის“, „смотри в оба“ — „ორივეში ვახედე“, „шестная школа“ — „სახაზუხოლო სისწავლებელი“, „разделал его под орех“ — „ვაჟყო იგი ნიკვზის ქვეშ“, „он, яковны, уехал в город“ — „ის და იაკობი ქალაქში წაიდა“, „чай, проголодался?“ — „ჩაი მოგშივდა?“ და სხვა ათასობით ასეთი მაგალითებია.

ყველანი სულ ანდაზებად გადავა ხალხში, თორემ ნახავთ!

ამასთან, ერთი ახირებული ზნეცა სჭირს. ზოგიერთი რუსული სიტყვა ბევრითა და გამოთქმით ქართულს ავონებს და იმდენად გოგონებულა, რომ რუსული „некий“ — ქართული „ნეკი“ ჰგონია, „обучать его“ — „აბუტად ავებუა“, „гонять“ — „გონიაო“, „сук“ — „მწველი“. ერთ ადგილას სიტყვა „раздайтесь“, პირდაპირ ქართული ასოვებით დაუწერია და „რას დაითეს“ გამოსულა.

ამ საქმეში მარტო ჩვენს მეტად დასაფასებელს მთარგმნელს როდი მიუძღვის ესეთი დაუფასებელი ღვაწლი. ხელნაწერი მის რედაქტორსაც კარგა ღალათიანად აუტერღებია წყალკარგულ წითელს მელანში ამოწეპულის ბლავვის კალმითა და ზოგ-ზოგე კარგად ნათარგმნი თავისებურად უფრო კარგა შესწორებია, შეუკრებია და, მთარგმნელისავე შესაფერი კარგის გამართული ქართულის ენით, მოლად გარდაუქმნია აზრიცა და შინაარსიც.

ზოგიერთი ასოკრიკატა თეორეტიკოსი კულის რიკამდე ტყავს ვააცილიდა ამ კულამთარგმნელსა ესრეთის უუულო ზედმსერულების გამარაღებისთვის და მის კულაბზიკა რედაქტორსაც ზედ მია-



ქულეტდა, მაგრამ დავეხსნათ ამ საცოდავსა ესეც ეყოფა. თავი არ უნდა გავუყადროთ შემსრულნი სულიერსა, რომლისგანაც, ჩვენი მდაბიური ანდაზის ძალით, არა უნდა იწყინოს რა კაცმა.

წუთისოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოცვალა დედამიწის ზურგზედ. მაგრამ ზოგიერთი მთარგმნელის მიერ ჩვენი ენის უღვთოდ დამახინჯებას ბოლო არ მოელო, ეს საქმე გვირ ისეც ფეხმძიმობს და ნამეტნავად ასკინცილობს.

შორს წავედი, ძალიან გამიგრძელდა... შემინდეთ მეტი სიტყვა. ბოდიშს ვიხდი, რომ ამ უღირსს თხზულებაზედ ასეთი გრძელი სიტყვა გავაბით. გვეტყვიან, განა ორიოდ სიტყვით სასაცილოდ აგდება საკმარისი არ იყო? განა ღირდა ამდენი ლაპარაკი? ჩემი ნატურა და გულწრფელი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ ამ უბადრუკს ცოტაოდენი რამ შევაგნებინო და ვასწავლო, ანუ როგორც რუსები იტყვიან, „отучить его“. მაგრამ მაგისი დამთხვეული ტყვის ამბავი რომ ვიცი, ამ სიტყვებსაც თავისებურად გადასთარგმნის, „აბუჩად აგდება“ ეგონება და უფრო დამემღღერება. ამიტომაც მეტს აღარ გავაგრძელებ და მხოლოდ ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა; მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო.

მე დავამთავრე და შენ რაც გინდა ჰქმენ, მკითხველო, გინდა იციენ და გინდა იტირო...

სხვაფრივ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა.

გთხოვთ დარწმუნებული იყოთ, რომ ძველ მწერალთა შორის ერთ-ერთი ერთგული მეგობარი გყავთ, რომელსაც ევახიან.

ილია ჭავჭავაძის

1-სა ოქტომბერსა, 1957 წელსა.

საგურამო.

ილია ჭავჭავაძეს ეს სტატია, ავტორის თანხმობითა და დავალებით, რემინგტონზე გადაბეჭდა და რედაქციას გადამოსცა

ნიკა აგიაშვილმა





ბელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10,5. შეკვეთა 558.  
უე 08721. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიამომცემლობის  
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР  
Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

3360 6 856.

202



3637 365

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ